


**სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია**

**LEPL - DAVID AGHMASHENBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA**



ფსიქოლოგია და თანამედროვეობა

PSYCHOLOGY AND MODERN TIMES



**სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE**

ბორო, 2023

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA



ფსიქოლოგია და თანამედროვეობა

PSYCHOLOGY AND MODERN TIMES

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

ბორი, 2023

სარედაქციო კოლეგია

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი

პოლკოვნიკი დავით რაზმაძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოადგილე

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელის მოადგილე

პოლკოვნიკი გიორგი ლალიაშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

სარედაქციო კოლეგიის წევრები

პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის უფროსი

ალექსი ბურდულაძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების პროფესორი

გიორგი კაკაშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

ნანი არაბული

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

რომეო გალდავა

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

ვიცე-პოლკოვნიკი იოსებ ტურაშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების უფროსი

ქეთევან ჭიაბრიშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების პროფესორი

გივი დუჩიძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

რუსუდან დალაქიშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

© საავტორო უფლებები დაცულია

გამომცემლობა:

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია 2023

ISBN-978-9941-8-5577-1

ვიცე-პოლკოვნიკი ნიკოლოზ ხაჩიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების უფროსი
ლევან გეგეშიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების პროფესორი
ქეთევან კვესელავა	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
ნიკოლოზ ესიტაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
თინათინ კროპაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
რედაქტორი/კორექტორი	
ზურაბ მჭედლიშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი რედაქტორი
მთარგმნელი	
იზა ჯანიაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის უცხო ენის მთარგმნელი
კომპიუტერული უზრუნველყოფა	
დავით სტეფანიშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის დისტანციური სწავლების ცენტრის კურსების მთავარი სპეციალისტი

Editorial Board

Head of the Editorial Board

Colonel Davit Razmadze Deputy Rector of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Deputy Head of the Editorial Board

Colonel Giorgi Laghiashvili Head of the Scientific Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Members of the Editorial Board

Colonel Zurab Zerekidze Head of Baccalaureate of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Aleksi Burduladze Professor of Informatics Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Giorgi Kakashvili Associate Professor of Informatics Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Nani Arabuli Associate Professor of Informatics Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Romeo Galdava Associate Professor of Informatics Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Lieutenant Colonel Ioseb Turashvili Head of Management Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Ketevan Chiabrishvili Professor of Management Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Givi Duchidze Associate Professor of Management Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Rusudan Dalakishvili Associate Professor of Management Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

© ALL RIGHTS RESERVED

PUBLISHING:

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA 2023

Lieutenant Colonel Nikoloz Khachidze Head of Defence and Security Program of Bacculaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Levan Gegeshidze Professor of Defence and Security Program of Bacculaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Ketevan Kveselava Chief Scientist of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Nikoloz Esitashvili Chief Scientist of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Tinatin Kropadze Chief Scientist of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Editor/Corrector

Zurab Mchedlishvili Editor-in-Chief of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Translator

Iza Janiashvili Foreign Language Translator of the LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Computer Designer

Davit Stepanishvili Main Specialist in Training Courses of the Distance Learning Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

სარჩევი

მენეჯმენტის ფსიქოლოგია - მართვის ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორი გივი დუჩიძე	11
კიბერუსაფრთხოების რისკები და სოციალური ინჟინერია - ერთ-ერთი ყველაზე გამოყენებადი ფსიქოლოგიური შეტევის ტიპი გულნარა კოტრიკაძე	18
წარმატების ფორმულა (სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ერთი ჯგუფის მაგალითზე) თათია მარდალეიშვილი, ელენე კოხრეიძე	28
დისტანციური განათლების განვითარება საქართველოში: სისტემური პოლიტიკისა და ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი ასპექტები თათია კალანდაძე	36
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, როგორც პედაგოგიური კვლევის კომპონენტი, და მისი გამოყენების საშუალებები თინათინ კროპაძე, ქეთევან კვესელავა	46
თვითშეფასებისა და სოციალური განწყობის კვლევა ტიპოლოგიის ჭრილში თამარ მერაბიშვილი	59
პრობლემები საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროების უზრუნველყოფაში ჰენრი კუპრაშვილი	68
მოზარდის განვითარების ასაკობრივი თავისებურებანი თინათინ ჭარხალაშვილი	76
მოსახლეობის მორალურ-ფსიქოლოგიური უზრუნველყოფა საომარი მდგომარეობის წარმოშობის პირობებში იოსებ შურღაია, ნონა ცაბაძე	82
სტრატეგიული კომუნიკაციის როლი ორგანიზაციული კონფლიქტების პოზიტიურად გადაწყვეტაში ლელა აბდუშელიშვილი	87
თანამედროვე გამოწვევები განათლების სისტემაში და წარმატებისთვის საჭირო უნარები 21-ე საუკუნეში ნანა გოგიჩაშვილი	91
ფერთა ფსიქოლოგიის გამოყენების ასპექტები ბრენდის განვითარების პროცესში (ლიტერატურული ანალიზი) ნინო რუხაია-მოსემდვდლიშვილი	99
თავდაცვის სისტემა გენდერულ ჭრილში ოლღა ცისკარიშვილი-სოსელია	104
ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მხარდაჭერა დისტანციური სწავლების ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში რამაზ ჩიჩუა	114
არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევა მაპროვოცირებელი ფაქტორები ქართულ კულტურაში სოფიო მამესწარაშვილი	123
იდეოლოგია და პროპაგანდა მედიაზემოქმედების პროცესში შორენა გაბოშვილი	129
რუსეთ - უკრაინის ომი და აფხაზეთიდან დევნილთა ტრანსგენერაციული (თაობიდან თაობაზე გადაცემული) ტრავმის განახლება Après-Coup ხათუნა ივანიშვილი	135

Content

Management Psychology - A Determining Factor of Management Quality Givi Duchidze	12
Security Risks and Social Engineering - One of the Most Applied Types of Psychological Attack Gulnara Kotrikadze	20
The Formula For Success (On The Example of A Group of Cadets Military Lyceum Named After General Giorgi Kvinitadze) Tatia Mardaleishvili, Elene Kokhreidze	29
Development of Distance Education in Georgia: Key Aspects of Systemic Policy and Quality Assurance Tatia Kalandadze	37
Information and Communication Technologies as a Component of Pedagogical Research and Means of Their Application Tinatin Kropadze, Ketevan Kveselava	47
A Study of Self-Esteem and Social Attitude in a Typological Context Tamar Merabishvili	60
Problems in Ensuring Informational and Psychological Security Henri Kuprashvili	69
Age Characteristics of Adolescent Development Tinatin Tcharkhalashvili	77
Moral and Psychological Provision of the Population under the State of Hostilities Ioseb Shurgaia, Nona Tsabadze	83
The Role of Strategic Communication in Positively Managing Organizational Conflicts Lela Abdushelishvili	88
Contemporary Challenges Facing the Education System and Skills for Success in the 21st Century Nana Gogichashvili	92
Aspects of the Use of Color's Psychology in the Process of Brand Development (Literature Review) Nino Rukhaia-Mosemgwdlishvili	100
Defence System in Terms of Gender Olgha Tsiskarishvili-Soselia	105
Psychological and Pedagogical Support in the General Educational System of Distance Learning Ramaz Chichua	115
Juvenile Delinquency Provocative Factors in Georgian Culture Sopio Mamestsarashvili	124
Ideology and Propaganda in the Process of Media Influence Shorena Gaboshvili	130
The Russia-Ukraine War and the Renewal of the Transgenerational Trauma of Internally Displaced Persons from Abkhazia, Après-Coup Khatuna Ivanishvili	136

მენეჯმენტის ფსიქოლოგია - მართვის ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორი

გივი დუჩიძე

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის
მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია მენეჯმენტის ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიისა და სტრუქტურის საკითხები. აღნიშნულია, რომ მენეჯმენტი განიხილება როგორც სისტემა, რომელიც ორგანიზაციის მიზნების მიღწევას ემსახურება და ამ პროცესში ჩართული ადამიანების კოორდინაციას ახდენს. ხაზი აქვს გასმული იმ გარემოებას, რომ მართვის პროცესის ეფექტურობისათვის მნიშვნელოვანია ვერკვეოდეთ ადამიანის ფსიქოლოგიურ თავისებურებებში, მის მოტივაციებსა და ამ მოტივაციის განმსაზღვრელ ფაქტორებში. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფსიქოლოგია საშუალებას იძლევა მართვის პროცესში სრულად იყოს გამოყენებული ადამიანის ინტერესები და შესაძლებლობები, რაც მენეჯერს საშუალებას მისცემს თავის დაქვემდებარებაში მყოფ ადამიანებს, მათი ინტერესების გათვალისწინებით, სულიერი და მატერიალური კომფორტის პირობები შეუქმნას. გაკეთებულია დასკვნა, რომ მენეჯმენტის ფსიქოლოგიას აქვს პრაგმატული მიზნები, გამოიყენოს მართვის პროცესში ფსიქოლოგიის შესაძლებლობები და უზრუნველყოს ორგანიზაციის მიზნების მიღწევა. გარდა ამისა, განხილულია პიროვნების თვითრეალიზაციის საკითხი, რომელიც ყველაზე ძლიერი მოტივატორია ადამიანისათვის, რადგან ესაა ყოველი კონკრეტული ადამიანის ბუნებრივი მონაცემების, ნიჭისა და უნარის მიგნება, განვითარება და პრაქტიკული გამოყენება. ნაშრომში გაანალიზებულია მართვის ფსიქოლოგიის მეთოდების გამოყენების მნიშვნელობა ორგანიზაციის ხელმძღვანელობის პროცესში, რაც საშუალებას იძლევა გაუმჯობესდეს მენეჯერის საქმიანობა და მართვის პროცესები, ამადლდეს მენეჯმენტის ეფექტურობა. აღნიშნულია, რომ მმართველობითი საქმიანობის გაუმჯობესებას ხელს უწყობს ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკა. ეს პროცესი საშუალებას იძლევა ორგანიზაციაში შეიქმნას ჯანსაღი ფსიქოლოგიური კლიმატი. შეფასებულია, რომ გუნდის წევრებს შორის ჯანსაღი ურთიერთდამოკიდებულებები და საქმიანი განწყობა დამოკიდებულია არა მხოლოდ მართვის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე, არამედ მენეჯერის პიროვნულ თვისებებზე, მის უნარზე შექმნას ჯანსაღი გარემო გუნდში და მოახდინოს მისი კონსოლიდაცია ერთი მიზნის გარშემო. გამოტანილია დასკვნა, რომ ეფექტური მენეჯმენტი უზრუნველყოფს არა მხოლოდ ორგანიზაციის წარმატებულ საქმიანობას, არამედ გუნდში არსებულ ფსიქოლოგიურ კლიმატსაც, გუნდის წევრებს შორის ურთიერთგაგების ატმოსფეროს შექმნას, ასევე ხელმძღვანელებსა და მათ დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომელთა ურთიერთობებსაც.

ნაშრომში ასევე ყურადღებაა გამახვილებული ისეთ ფაქტორზე, როგორცაა ორგანიზაციული კულტურა. ახსნილია, რომ ორგანიზაციული კულტურის ერთიანი განმარტება არ არსებობს, მაგრამ იგი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ადამიანთა ქცევა, რომელიც განპირობებულია მათი მოტივაციით, მიაღწიონ წარმატებას და ამ წარმატების აღიარებას. გამოტანილია დასკვნა, რომ ორგანიზაციულ კულტურას ქმნიან ის ფაქტორები, რომლების წამახალისებელ ეფექტს ახდენენ ადამიანზე. აღნიშნულია ორგანიზაციული კულტურის ის კავშირები, რაც არსებობს ორგანიზაციის მართვის ისეთ სისტემებთან, როგორცაა ორგანიზაციული სტრუქტურა, თანამშრომელთა წახალისების სიტემა, გუნდის წევრების მოტივაცია და სხვ. აღნიშნულია, რომ ამ კავშირების გააზრების გარეშე ვერ მოხდება ორგანიზაციაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრა.

გამოტანილია დასკვნა, რომ თანამედროვე ეტაპზე მენეჯმენტის ფსიქოლოგიის აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს მმართველობითი საქმიანობის მექანიზმის და სტრუქტურის სიღრმისეული შესწავლა. აღნიშნულია, რომ სტრუქტურულ-მმართველობითი საქმიანობა მოიცავს მართვის ობიექტების ანალიზსა და შეფასებას, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას და მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების ორგანიზაციას.

მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების საკავნძო რგოლს წარმოადგენს მმართველობითი ამოცანების გადაწყვეტა. ეს გადაწყვეტილებები თავისი ბუნებით განსხვავდება ერთმანეთისაგან და ამის მიხედვით შეიძლება შემდეგნაირად დახასიათდეს:

- მიღებული სტრატეგიული გადაწყვეტილებები და ცალკეულ შემთხვევებში, კონკრეტული პრობლემის გადასაწყვეტად მიღებული გადაწყვეტილებების კომპლექსური ხასიათი;
- გადაწყვეტილებების მიღების იერარქიული პროცედურები, და ამავე დროს, გარკვეული დამოუკიდებლობა გადაწყვეტილებების მიღებისას ცალკეულ იერარქიულ დონეზე;
- კონფლიქტური, მაგრამ არა დამაბული პროცესი გადაწყვეტილებების მომზადების დროს, მიღებული გადაწყვეტილებების კომპრომისული ბუნება, გადაწყვეტილებების შემუშავების კოლეგიალური ხასიათი და მაღალი პასუხისმგებლობის დონე ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღების დროს;

- მართვის ფსიქოლოგიის მთავარ პრობლემას წარმოადგენს მენეჯერის პიროვნული თვისებების ანალიზი, მისი მნიშვნელოვანი პროფესიული უნარების გამოვლენა და ამ უნარების შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
არსებობს პიროვნული თვისებების სტრუქტურის სამი დონე:
- ფსიქოფიზიოლოგიური, რომელიც შედგება შემეცნებითი, ინფორმაციული პროცესების და მათი მახასიათებლებისგან;
- უშუალოდ ფსიქოლოგიური, რომელიც მოიცავს ტემპერამენტის თავისებურებებს და ადამიანის ხასიათს, მის ინტელექტუალურ მახასიათებლებს, საერთო-ემოციურ სფეროს და ისეთ სპეციფიურ პიროვნულ თვისებებს, როგორცაა პროფესიონალური, ორგანიზატორული და პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლები;
- უმაღლესი სოციალური საფეხური, რომელიც მოიცავს სულიერ, პოლიტიკურ და მორალურ მახასიათებლებს;

ხელმძღვანელის, როგორც პიროვნების პროფესიული გამოცდილება, საქმიანი და კულტურული თავისებურებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორგანიზაციის მართვის დროს, მაგარამ მხოლოდ მენეჯერის პიროვნული თვისებების განხილვა არ უნდა მოხდეს, მისის საქმიანობის სფეროს გათვალისწინების გარეშე.

საკვანძო სიტყვები:

მართვის ფსიქოლოგია, ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, მართვის სიტემა, მოტივაცია, თვითრეალიზაცია, ორგანიზაციული კულტურა.

Management Psychology - A Determining Factor of Management Quality

Givi Duchidze

Associate Professor of the Department of Undergraduate Management at the
LEPL Davit Agmashenebeli National Defense Academy of Georgia
Doctor of Business Administration

Abstract

The article deals with the issues of methodology and structure of management psychology. It is noted that management is considered as a system that serves to achieve the goals of the organization and coordinates the people involved in this process. The article emphasizes the fact that for the effectiveness of management process it is important to understand the psychological characteristics of a person, his motivation and the determining factors of this motivation. It also assumes that psychology makes it possible to fully use the interests and abilities of a person in the management process, which will allow the leader to create conditions of spiritual and material comfort for people subordinate to him, taking into account their interests. The article concludes that management psychology has pragmatic goals to use the possibilities of psychology in the management process and to ensure the achievement of the organization goals. Moreover, it discusses the issue of human self-realization, which is the strongest motivator for a person because it is the discovery, development and practical use of natural data, talents and abilities of each individual person. The paper analyzes the importance of applying the methods of management psychology in the process of managing an organization that allows improving the activities of a manager and management processes, and increasing management efficiency. It is noted that psychological diagnostics contributes to the improvement of managerial activity. This process enables to create a healthy psychological climate in the organization. The article assumes that healthy relationships between team members and business spirit depend not only on the proper functioning of the management system but also on the personal qualities of the leader, his ability to create a healthy atmosphere in the team, and to consolidate it around one goal. It is concluded that effective management ensures not only the successful operation of the organization but also the psychological climate within the team, the creation of an atmosphere of mutual understanding between team members as well as the relationship between managers and subordinate employees.

The article also focuses on organizational culture. It explains that there is no single definition of organizational culture but we can consider it as the behavior of people determined by their motivation to achieve success and the recognition of this success. The paper concludes that organizational culture is created by those factors that have a stimulating effect on a person. It mentions the connections of organizational culture that exist with the organization's management systems such as organizational structure, employee motivation system, motivation of team members, etc. It is noted that without understanding these connections, it will be impossible to identify problems within the organization and eliminate them.

It is concluded that at the present stage, an urgent task of management psychology is an in-depth study of

the mechanism and structure of management activities. It is noted that structural and managerial activities include the analysis and evaluation of management objects, making managerial decisions and organizing the implementation of the decisions made.

The solution of managerial problems is a link in making managerial decisions. These solutions are different in nature and can be characterized as follows:

- The strategic decisions made and, in some cases, the complex nature of the decisions made to solve a specific problem;
- Hierarchy of decision-making procedures and, at the same time, a certain independence in decision-making at an individual hierarchical level;
- Conflict, but not tense process in the preparation of decisions, the compromise nature of the decisions made, collegiality in making decisions and a high level of responsibility in making individual decisions;
- The main problem of management psychology is the analysis of the personal qualities of the leader, the identification of his important professional qualities and the definition of criteria for evaluating these qualities.

There are three levels of personality structure:

- Psychophysiological, which consists of cognitive, informational processes and their characteristics;
- Directly psychological, including features of a person's temperament and character, his intellectual characteristics, general emotional sphere and specific personal qualities such as professional, organizational and pedagogical and psychological characteristics;
- The highest social level, including spiritual, political and moral characteristics.

Professional experience, business and cultural characteristics of the leader as a person play an important role in the management of the organization but one should not take into account only the personal qualities of the leader, without considering the scope of his activity.

Keywords:

Management Psychology, Organization Leadership, Management System, Motivation, Self-Realization, Organizational Culture.

შესავალი

მენეჯმენტი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც სისტემა, რომელიც ორგანიზაციის მიზნების მიღწევას ემსახურება და ამ პროცესში ჩართული ადამიანების კოორდინაციას ახდენს. ადამიანები განსხვავდებიან ცოდნით და პროფესიული უნარებით, ასევე ფსიქოლოგიური თავისებურებებით, რომელიც მათ ინდივიდუალიზმს აყალიბებს, პიროვნულ თვისებებს და ინტერესებს განსაზღვრავს. განსხვავებული პიროვნული თვისებების და ინტერესების მქონე ადამიანებს კი, ერთ ორგანიზაციაში, ერთი მიზნის მიღწევისთვის უწევთ მუშაობა, რაც გავლენას ახდენს მათი საქმიანობის წარმატებაზე და ორგანიზაციის მუშაობის ეფექტურობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უდავოა ის გარემოება, რომ მართვის პროცესის ეფექტურობისათვის მნიშვნელოვანია ვერკვეოდეთ ადამიანის ფსიქოლოგიურ თავისებურებებში, მის მოტივაციებსა და ამ მოტივაციის განმსაზღვრელ ფაქტორებში.

ფსიქოლოგია საშუალებას იძლევა მართვის პროცესში სრულად იყოს გამოყენებული ადამიანის ინტერესები და შესაძლებლობები, რაც მენეჯერს საშუალებას მისცემს თავის დაქვემდებარებაში მყოფ ადამიანებს, მისი ინტერესების გათვალისწინებით, სულიერი და მატერიალური კომფორტის პირობები შეუქმნას, რითაც გაზრდის მათ მოტივაციას და მიღებული მმართველობით გადაწყვეტილებების შესრულების ეფექტურობას.¹

მენეჯმენტის ფსიქოლოგია, იყენებს რა ფსიქოლოგიის შესაძლებლობებს, განიხილავს არა მხოლოდ გუნდში და სოციალურ ჯგუფში მყოფი ადამიანების ურთიერთობას, არამედ ორგანიზაციაში ადამიანების ურთიერთობას.² ანუ, ადამიანები შეისწავლება იმ პირობებში, როდესაც ერთობლივი საქმიანობის თითოეული მონაწილე ერთმანეთთან არის დაკავშირებული, არა მხოლოდ ურთიერთპასუხისმგებლობით, არამედ კანონის წინაშე პასუხისმგებლობითაც, რაც მათ საქმიანობას წარმართავს ერთიანი კორპორატიული მიზნების მიღწევისაკენ. ამდენად, მენეჯმენტის ფსიქოლოგია შეისწავლის ადამიანებს, რომლებიც ფინანსურად და იურიდიულად არიან დაკავშირებული დამოუკიდებელ ორგანიზაციასთან.³

აღნიშნულიდან გამომდინარე მკაფიო დასკვნა შეგვიძლია გავაკეთოთ, რომ მენეჯმენტის ფსიქოლოგიას აქვს პრაგმატული მიზნები, გამოიყენოს მართვის პროცესში ფსიქოლოგიის შესაძლებლობები და უზრუნველყოს ორგანიზაციის მიზნების მიღწევა.

მნიშვნელოვანია ანალიზი გაუკეთდეს იმ მიდგომებს და მეთოდებს, რომელიც მენეჯმენტის ფსიქოლოგიის უკეთ გაგების საშუალებას მოგვცემს. ეს მიდგომები მრავალფეროვანია და გარკვეული სირთულით ხასიათდება. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მენეჯმენტის ფსიქოლოგიის კვლევის საგანია ორგანიზაციაში ფსიქიკური ფენომენების და ურთიერთობების ისეთი ერთობლიობა, როგორიცაა ფსიქოლოგიური ფაქტორები, ინდივიდუალური და ჯგუფური გადაწყვეტილებების მიღების ფსიქოლოგიური თავისებურებები, ლიდერობის ფსიქოლოგიური პრობლემები, ლიდერის მოტივაცია და სხვ. მენეჯმენტის ფსიქოლოგიის კვლევის საგანი ასევე მოიცავს ისეთ მოვლენებს, როგორიცაა ლიდერობა, ფსიქოლოგიური კლიმატი, კომუნიკაციის ფსიქოლოგია და სხვა.⁴

მენეჯმენტის ფსიქოლოგიის მეთოდების გამოყენება ორგანიზაციის მიზნების მიღწევისა და წარმატებული საქმიანობის უზრუნველყოფისათვის უდავოა, რადგან თანამედროვე ფსიქოლოგია მაღალი ადამიანური და პიროვნული-სულიერი თვისებების პარალელურად ყურადღებას ამახვილებს ისეთ ფენომენზე, როგორიცაა თვითრეალიზაცია. თვითრეალიზაციის მიმართ ინტერესი ყველაზე ძლიერი მოტივატორია ადამიანისთვის.

თვითრეალიზაცია ინდივიდის მიერ საკუთარი შესაძლებლობების განვითარება-გამოყენება, ანუ ესაა ყოველი კონკრეტული ადამიანის ბუნებრივი მონაცემების, ნიჭისა და უნარის მიგნება, განვითარება და პრაქტიკული გამოყენება. როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ესაა ადამიანის ნაყოფიერი მოღვაწეობისა და პირადი ბედნიერების მიღწევის ყველაზე უფრო საიმედო გზა. თუმცა, პრობლემა ამ „ნიჭისა და უნარის“ მიგნებაა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადამიანის წარმატების და თვითრეალიზაციის მაჩვენებელი მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობა და საზოგადოებისთვის მისი ცნობადობა არ არის. თვითრეალიზაცია მისი სულიერი, ფსიქიკური მდგომარეობაა, რაც როგორც წესი, მაღალი თვითშეფასების, ოფტიმიზმის, ღირსების და ბედნიერების განცდას უნდა იწვევდეს.

მენეჯმენტის ფსიქოლოგიის როგორც მეცნიერების და პრაქტიკული გამოყენების დარგის ამოცანაა ხელი შეუწყოს ეფექტური მენეჯმენტის განხორციელებას, შესაბამისად დაეხმაროს მენეჯერებს მართვის პროცესის ბუნების გააზრებაში, უზრუნველყოს მათი ფსიქოლოგიური მომზადება, ჩამოუყალიბოს და განუვითაროს მათ ფსიქოლოგიური მართვის კულტურა, მისცეს მათ ორგანიზაციული კულტურის და ორგანიზაციული სტრუქტურის საფუძვლების ცოდნა და პრაქტიკული გამოყენების უნარები.

1 გ. ტყემელაშვილი; ნ. დოდუშვილი; თ. კალაძე; *მენეჯმენტის ფსიქოლოგია*, თბილისი, 2007წ.

2 ნ. ერიაშვილი; ა. სტოლიარენკო; *„მენეჯმენტის ფსიქოლოგია“* თბილისი, 2014წ.

3 მ.ამსტრონგი; *„ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელო“* თბილისი, 2020წ.

4 გ.ტყემელაშვილი; ნ. დოდუშვილი; თ. კალაძე; *„მენეჯმენტის ფსიქოლოგია“*, თბილისი, 2007წ.

ძირითადი ნაწილი

წარმატებული ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია მენეჯმენტის კულტურა. საიმედო და ღირსეული ცხოვრების სტანდარტის მიღწევა შეუძლებელია სწორი მმართველობითი და საორგანიზაციო გადაწყვეტილებების მიღების გარეშე, რომელიც მოითხოვს მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდების ცოდნას და კულტურის გააზრებას.

თანამედროვე მენეჯმენტი ეფუძნება საზოგადოების და წარმოების განვითარების არსებულ დონეს, მათ ინდივიდუალურ მახასიათებლებს, სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პროგრესის მიღწევებს და პროცესში მონაწილე ცაკეული ინდივიდების პერსონალურ შესაძლებლობებს.⁵ სწორი გადაწყვეტილებები და მართვა ხელს უწყობს ორგანიზაციის დინამიურ და პერსპექტიულ განვითარებას, ინოვაციური პოტენციალის გამოყენებას და ორგანიზაციის თანამშრომელთა პროფესიულ ზრდას.

ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, წარმატებული მენეჯმენტის ძირითადი კომპონენტია. სწორედ ხელმძღვანელობაზე და ხელმძღვანელის, მენეჯერის უნარზეა დამოკიდებული დამტკიცოს ყველას, რომ საქმე რომელსაც აკეთებს ორგანიზაცია, მნიშვნელოვანი და პერსპექტიულია.⁶ ეს ფაქტორები განაპირობებენ თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებას და წარმატებას.

წარმატებული მენეჯმენტის საფუძველს ქმნის და თანამშრომელთა მოტივაციაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორი, როგორცაა ორგანიზაციული კულტურა.

შეიძლება ითქვას რომ ორგანიზაციული კულტურის ერთიანი განმარტება არ არსებობს, მაგრამ მისი გაგება შესაძლებელია იმის მიხედვით, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ ორგანიზაციის თანამშრომლებს იმ საქმის მიმართ, რასაც ისინი აკეთებენ. ანუ, ორგანიზაციული კულტურა ყალიბდება იმის მიხედვით, თუ როგორ იქცევიან გუნდის წევრები, როგორი ურთიერთობა ყალიბდება მათ შორის. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმატებული მენეჯმენტისთვის მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების ცოდნა, რომლებიც განაპირობებენ ამ ქცევებს და ჩვეულებებს, გავლენას ახდენენ ადამიანურ ურთიერთობებზე. არისტოტელეს ცნობილი ფრაზა „ის ვართ, რასაც მუდამ ვაკეთებთ“ სწორედ ორგანიზაციული კულტურის გააზრების გასაღებია.

გამომდინარე აღნიშნულიდან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება ადამიანების ქცევებს, რომელიც განპირობებულია მათი მოტივაციით მიაღწიონ წარმატებას და ამ წარმატების აღიარებას. ე.ი. ორგანიზაციული კულტურას ქმნიან ის ფაქტორები, რომლებიც წამახალისებელ ეფექტს ახდენენ ადამიანზე. ამ ფაქტორების გააზრების გარეშე ეფექტური მენეჯმენტის განხორციელება შეუძლებელი იქნება, რადგან მენეჯერები ვერ შეძლებენ იმ კავშირების გააზრებას, რაც არსებობს ორგანიზაციის მართვის ისეთ სისტემებთან, როგორცაა ორგანიზაციის სტრუქტურა, თანამშრომელთა წახალისების სიტემა, გუნდის წევრების მოტივაცია და სხვ. ასევე ვერ მოხდება პრობლემების სწორი იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრა.⁷

მნიშვნელოვანია ორგანიზაციული კულტურის გააზრება იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი გავლენას ახდენს თანამშრომელთა შორის ერთიანი აზრის ჩამოყალიბებაზე, მათი მოქმედებები ქცევითი კონტექსტიდან, საერთო ღირებულების კონტექსტში გადაჰყავს. ეხმარება მათ სწორად გაიაზრონ, შეაფასონ და აღიქვან არსებული რეალობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორგანიზაციის კულტურას ქმნიან გუნდის წევრები, რომლებიც ორგანიზაციის განვითარების ისტორიას აყალიბებენ და ქმნიან ნარატივებს „რა არის“ და რატომ არის“ ამ ისტორიის გაგება შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ გვეცოდინება ყველა ნიუანსი, რაც ორგანიზაციის განვითარებასთან არის დაკავშირებული.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ხელმძღვანელის, ლიდერის როლი მართვის პროცესში წამყვანია. იგი არის პასუხისმგებელი პირი წარმატებასა თუ წარუმატებლობის დროს. მას მოეთხოვება ღრმა და მრავალმხრივი ცოდნა არა მხოლოდ კონკრეტული საქმიანობის, არამედ ეკონომიკის, კონკურენტული გარემოს, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების შექმნისა და მენეჯმენტის, მართვის ფსიქოლოგიის სფეროებში.

მართვის ფსიქოლოგია ფსიქოლოგიის დარგია, რომელიც იკვლევს მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს, განიხილავს მის თავისებურებებს და შესაძლებლობებს. აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, მართვის ფსიქოლოგია იყოფა პროგნოზირების და დიაგნოსტიკის ქვესისტემებად, რომელიც საშუალებას იძლევა მართვის ფსიქოლოგიური ასპექტები გამოყენებული იყოს ორგანიზაციაში მომუშავეთა სამუშაო გეგმის შედგენის, ასევე, სამუშაოების ორგანიზების პროცესში მათი პროფესიული უნარებისა და საქმიანობის შემოწმებისათვის. მართვის ფსიქოლოგია ორი ნაწილისაგან შედგება, რომელთაგან ერთი ეხება უშუალოდ ხელმძღვანელს, მის პერსონალურ უნარებს და ინდივიდუალიზმს, ხოლო მეორე ნაწილი კი განიხილავს ორგანიზაციაში მომუშავეებს მთლიანობაში, ამ ჯგუფიდან არ ხდება ვინმეს გამოყოფა და მისი ინდივიდუალური თვისებების განხილვა.

ორგანიზაციის მენეჯმენტი, ეს არის მაღალი სტანდარტის პროფესიული და რთული საქმიანობა. ის როლი, რომელიც აკისრია ორგანიზაციის ხელმძღვანელს, როგორც ლიდერს, გადაწყვეტია ამ ორგა-

5 ნ. პაიჭაძე; თ. ხომერიკი; გ. შიხაშვილი; „მენეჯმენტის საფუძვლები“, თბილისი, 2010წ.

6 გ. შუბლაძე; ბ. მღებრიშვილი; ფ. წოწკოლაური; „მენეჯმენტის საფუძვლები“, თბილისი, 2008წ.

7 სტივენ პ. რობინსი; ტიმოთი ა. ჯაჯი, „ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები“, თბილისი, 2008წ.

ნიზაციის წარმატებისათვის.⁸ სწორედ მასზეა დამოკიდებული მომხმარებლისთვის შეთავაზებული საქონლისა და მომსახურების ხარისხი. მარალი სტანდარტის მენეჯმენტი უზრუნველყოფს:

- შრომის ნაყოფიერების ამაღლებას;
- ორგანიზაციის განვითარებას;
- შრომის ორგანიზაციის მაღალ კულტურას;
- თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას და მოტივაციას;

მენეჯერის საქმიანობა პირველ რიგში არის კომპლექსური ყოველდღიური მუშაობა საკუთარ თავზე, რომელიც მისგან მოითხოვს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის, მრავალმხრივ პროფესიულ უნარებს. მენეჯერი საქმის კურსში უნდა იყოს მარეტინგის სფეროში არსებულ სიხლეების შესახებ, ასევე იცოდეს თანამედროვე წარმოების ინოვაციური მეთოდები და ასევე იცნობდეს ადამიანურ ფსიქოლოგიას.

მიუხედავად მრავალმხრივი კომპლექსური მიზნებისა, მენეჯერი უნდა ითვალისწინებდეს და იყენებდეს იმ ფსიქოლოგიურ ინსტრუმენტებს, რომელიც დაეხმარება მიაღწიოს ურთიერთთავაგებას თანამშრომელთა შორის, ხელს შეუწყობს თანამშრომლობის და თანამონაწილეობის ატმოსფეროს შექმნას, მოტივაციის ამაღლებას. დაეხმარება მას მოძებნოს ხერხები და მეთოდები, რომელსაც გამოიყენებს მუშაობის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების მოსაგვარებლად.

მენეჯერის საქმიანობის შეფასების მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს საკადრო პოლიტიკა, რომლის ამოცანაა შეიქმნას ერთი მიზნის ირგვლივ შეკავშირებული მაღალი ინტელექტუალური შესაძლებლობების და მწარმოებლური უნარების მქონე სამუშაო ძალა. ამ მიმართულებით წარმატების მიღწევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკა, ანუ იმის გარკვევა, თუ რა მეთოდები უნდა მოიძებნოს, რომ შესაძლებელი გახდეს ორგანიზაციაში დასაქმებული თითოეული ინდივიდის შესაძლებლობები მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული, მათი აზროვნების, ინტერესების, მეხსიერების, ემოციების, პროფესიული უნარების შეფასების და გამოყენების გზით.

ერთად მუშაობის პროცესში ადამიანებს შორის ყალიბდება გარკვეული პიროვნული ურთიერთობები, მეგობრდებიან, უჩნდებათ ერთმანეთის მიმართ სიმპატიები და ანტიპატიები. ყალიბდება ე.წ. “ფსიქოლოგიური კლიმატი“, რომლის გავლენით ორგანიზაციაში ყალიბდება საერთო განწყობილებები, მუშაობის ერთიანი სტილი, ერთიანი ორგანიზაციული კულტურა, დაფუძნებული ერთიან ინტელექტუალურ და მორალურ ერთობაზე.

ორგანიზაციის მართვის პროცესში ადამიანთა დიდი რაოდენობა მონაწილეობს, ამიტომ მართვის მეცნიერების წინაშე პრობლემის ორი ასპექტი იკვეთება, ერთის მხრივ მომუშავეთა შტატი წარმოადგენს მართვის ობიექტს. ამიტომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მათზე ზემოქმედების ეფექტური მექანიზმი რომ ვიპოვოთ, საჭიროა ვიცოდეთ ამ ორგანიზაციის განვითარების დინამიკის კანონზომიერებები და ფაქტორები, რომლის გავლენითაც ჩამოყალიბდა ორგანიზაციის სტრუქტურა. მეორეს მხრივ, თვითონ კოლექტივი გამოდის მართვის სუბიექტის როლში.

დასკვნა

ამიტომ, თანამედროვე ეტაპზე მართვის ფსიქოლოგიის აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს მმართველობითი საქმიანობის მექანიზმის და სტრუქტურის სიდრმისეული შესწავლა. სტრუქტურულ-მმართველობითი საქმიანობა მოიცავს მართვის ობიექტების ანალიზსა და შეფასებას, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას და მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების ორგანიზაციას.

მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების საკავნძო რგოლს წარმოადგენს მმართველობითი ამოცანები გადაწყვეტა. ეს გადაწყვეტილებები თავისი ბუნებით განსხვავდება ერთმანეთისაგან და ამის მიხედვით შეიძლება შემდეგნაირად დახასიათდეს:

- მიღებული სტრატეგიული გადაწყვეტილებები და ცალკეულ შემთხვევებში, კონკრეტული პრობლემის გადასაწყვეტად მიღებული გადაწყვეტილებების კომპლექსური ხასიათი;
- გადაწყვეტილებების მიღების იერარქიული პროცედურები და ამავე დროს გარკვეული დამოუკიდებლობა გადაწყვეტილებების მიღებისას ცალკეულ იერარქიულ დონეზე;
- კონფლიქტური, მაგრამ არა დამაბული პროცესი გადაწყვეტილებების მომზადების დროს, მიღებული გადაწყვეტილებების კომპრომისული ბუნება, გადაწყვეტილებების შემუშავების კოლევალური ხასიათი და მაღალი პასუხისმგებლობის დონე ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღების დროს;
- მართვის ფსიქოლოგიის მთავარ პრობლემას მენეჯერის პიროვნული თვისებების ანალიზი წარმოადგენს, მისი მნიშვნელოვანი პროფესიული უნარების გამოვლენა და ამ უნარების შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- არსებობს პიროვნული თვისებების სტრუქტურის სამი დონე:
- ფსიქოფიზიოლოგიური, რომელიც შედგება შემეცნებითი, ინფორმაციული პროცესების და მათი მახასიათებლებისგან;
- უშუალოდ ფსიქოლოგიური, რომელიც მოიცავს ტემპერამენტის თვისებურებებს და ადამიანის ხასიათს, მის ინტელექტუალურ მახასიათებლებს, საერთო-ემოციურ სფეროს, ისეთ სპეციფიურ პიროვნულ თვისებებს, როგორცაა პროფესიონალური, ორგანიზატორული და პედაგოგიურ-

8 შ. მაჭავარიანი “მენეჯმენტის საფუძვლები“, თბილისი 2014წ.

ფსიქოლოგიური მახასიათებლები;

- უმაღლესი სოციალური საფეხური, რომელიც მოიცავს სულიერ, პოლიტიკურ და მორალურ მახასიათებლებს;

ხელმძღვანელის, როგორც პიროვნების პროფესიული გამოცდილება, საქმიანი და კულტურული თავისებურებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორგანიზაციის მართვის დროს, მაგარამ მხოლოდ მენეჯერის პიროვნული თვისებების განხილვა არ უნდა მოხდეს, მისი საქმიანობის სფეროს გათვალისწინების გარეშე.⁹

ხელმძღვანელის პიროვნული თვისებები და მისი საქმიანობის ხასიათი განხილული უნდა იყოს უშუალოდ იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ მართვის პროცესი თავის მხრივ გავლენას ახდენს მასზე და ეს გავლენა აისახება მის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაზე, მართვის პროცესში იგი იძენს ახალ თვისებებს, რაც ცვლის მისი პიროვნულ თვისებებს და პროფესიულ უნარებს. რა თქმა უნდა, აღნიშნული არ გამორიცხავს იმას, რომ საჭიროა არსებობდეს ხელმძღვანელისთვის დამახასიათებელი ზოგადი, უფრო სწორედ, საბაზისო თვისებები, რომელიც უნდა გააჩნდეს სხვადასხვა იერარქიულ საფეხურზე მყოფ ხელმძღვანელს.

ხელმძღვანელზე დამოკიდებული არა მხოლოდ წარმატება და მომგებიანობა ორგანიზაციისა, არამედ ამ როგანიზაციაში არსებული ფსიქოლოგიური განწყობილებები, ხელმძღვანელსა და დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი.¹⁰ როდესაც ორგანიზაცია წარმატებულად და თანმიმდევრულად საქმიანობს, ხელმძღვანელისთვის და ნებისმიერი დამკვირვებლისათვის ადვილად დასაწახი ხდება, რომ გარდა დასახული მიზნების მიღწევისა, ორგანიზაციაში ყალიბდება სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები, ისეთი როგორცაა ურთიერთგაგება და ურთიერთპატივისცემა, ადამიანური ბედნიერება და ორგანიზაციის წარმატებით გამოწვეული კმაყოფილება, რაც ასევე მნიშვნელოვანი მახასიათებლებია მართველობითი საქმიანობის დახასიათების დროს.

გამოყენებული ლიტერატურა

ერიაშვილი ნ.; სტოლიარენკო ა.; „მენეჯმენტის ფსიქოლოგია“ თბილისი, 2014წ.;

მაჭავარიანი შ. „მენეჯმენტის საფუძვლები“, თბილისი 2014წ.;

პაიჭაძენ.; ხომერიკი თ.; შიხაშვილი გ.; „მენეჯმენტის საფუძვლები“, თბილისი, 2010წ.;

შუბლაძე გ.; მღებრიშვილი ბ.; წოწკოლაური ფ.; „მენეჯმენტის საფუძვლები“, თბილისი, 2008წ.;

ამსტრონგი მ.; „ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელო“ თბილისი, 2020წ.;

სტივენ პ.რობინსი.; ტიმოთი ა.ჯაჯი, „ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები“, თბილისი, 2008წ.;

<http://csb.gov.ge/uploads/civil-service-HR-practice-overview.pdf>;

<https://sputnik-georgia.com/society/20180406/239964398/batumis-portis-generaluridireqtori-tanamdebobidan-gadadga.html>;

https://moambe.atu.edu.ge/uploads/files/1527239772_43-48.pdf;

<http://akhalitaoba.ge/2019/06/aba-shens-tsolis-dzmas-khom-ar-davnishnavdi-vergavige-davnishne-diakh-video>;

<https://atsu.edu.ge/EJournal/BLSS/eJournal/Papers/TsetskhladzeLeila.pdf>;

<https://atsu.edu.ge/EJournal/BLSS/eJournal/Papers/TsetskhladzeLeila.pdf>;

<http://www.oecd.org/gov/pem/OECD%20HRM%20Profile%20-%20Turkey.pdf>;

Wikipedia https://en.wikipedia.org/wiki/W._Edwards_Deming;

<https://sangu.ge/images/2015/t.maisuradze.pdf>.

9 შ. მაჭავარიანი „მენეჯმენტის საფუძვლები“, თბილისი 2014წ.

10 მ. ამსტრონგი; „ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელო“ თბილისი, 2020წ.

კიბერუსაფრთხოების რისკები და სოციალური ინჟინერია - ერთ-ერთი ყველაზე გამოყენებადი ფსიქოლოგიური შეტევის ტიპი

გულნარა კოტრიკაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი,
ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი,
ასოცირებული პროფესორი,
ინჟინერიის აკადემიური დოქტორი ინფორმატიკაში

აბსტრაქტი

ციფრული ტრანსფორმაციის ერაში მნიშვნელოვნად გაიზარდა დამოკიდებულება ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისებზე და პროდუქტებზე. შესაბამისად გაიზარდა გამოწვევები ინფორმაციულ უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით.

სოციალური დისტანცია, მიუხედავად იმისა, რომ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს COVID-19-ის გავრცელების შეკავების პროცესში, ზრდის სამუშაო სადგურების დაინფიცირების, არასანქცირებული წვდომების, მონაცემთა გაჟონვის, მავნე კოდის გაშვებისა და ყველა იმ ტიპის რისკს, რომელიც თან ახლავს დაუცველ გარემოში მუშაობას.

კომპიუტერული უსაფრთხოება, კიბერუსაფრთხოება ან ინფორმაციული უსაფრთხოება - კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების მართვის წერტილების დაცულობა მისი ხელყოფისგან, არასანქცირებული გამოყენებისგან ან აპარატული უზრუნველყოფის, პროგრამული უზრუნველყოფისა და ელექტრონული მონაცემებისადმი ზიანის მიყენებისგან, აგრეთვე განადგურებისა და დარღვევისგან სერვისებისა, რომლებსაც ისინი მომხმარებელს აწვდიან.

ეს სფერო უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება კომპიუტერულ სისტემებზე, ინტერნეტზე და უკაბელო ქსელებზე, როგორცაა Bluetooth და wi-fi. მისი კომპლექსურობის გამო, პოლიტიკისა და ტექნოლოგიის კუთხით, კიბერუსაფრთხოება აგრეთვე არის ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა თანამედროვე ცხოვრებაში.

კიბერუსაფრთხოება დღევანდელ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი დარგია. სწორედ, ამ დარგს უკავშირდება ისეთი მოთხოვნადი პროფესიები და სპეციალობები როგორებიცაა: უსაფრთხოების ანალიტიკოსი, უსაფრთხოების ინჟინერი, უსაფრთხოების არქიტექტორი, უსაფრთხოების ადმინისტრატორი, უსაფრთხოების სპეციალისტი, კონსულტანტი და ა.შ.

- მავნე პროგრამების სახეობები:
- მალვეარი (Malware);
- კომპიუტერული ვირუსი;
- მოძრავი მედია საშუალებები;
- ტროიანი (Trojan Horse);
- რუტკიტი;
- ბექდორი (Backdoor)
- ვორმი (Computer worm);
- კილოგერი (Keylogger).

2003 წელს კომპიუტერულმა ვირუსმა Slammer-მა ელექტროგამანაწილებელი ქსელის მართვის სისტემაში შეაღწია და მისი მუშაობა შეანელა, რამაც მართვის სისტემის შენელებაც გამოიწვია. შედეგად, ისეთმა მცირე ინციდენტმაც კი, როგორცაა ელექტროგადამცემ ხაზზე ხის დაცემა, სერიოზული ჯაჭვური რეაქცია აღძრა. კერძოდ, აშშ-ს ოკაიოს შტატში ძაბვის ცვლილება დაიწყო, ხოლო აპარატურამ, რომელიც კასკადური ეფექტის თავიდან ასაცილებლად იყო დაყენებული, მაღალი ძაბვის რაიონის დროული იზოლირება ვერ მოახერხა. შედეგად, აშშ-ს 8 შტატი, კანადის 2 პროვინცია (სულ 50 მილიონი ადამიანი) ელექტროენერჯისა და მასზე დამოკიდებული სერვისების გარეშე დარჩა.

აღნიშნული მაგალითი მეტყველებს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მცირე დაუდევრობას, უსაფრთხოების საკითხების იგნორირებას, ციფრულ ინფორმაციულ სივრცეში.

დღეს კიბერუსაფრთხოება რისკის ქვეშ დგას ისე, როგორც არასდროს. კიბერდანაშაულს შეიძლება ნებისმიერი ჩვენგანი ემსხვერპლოს. ჰაკერების „ხაფანგებს“ ყოველდღიურად ვხვდებით და აუცილებელია სიფრთხილე გამოვიჩინოთ. საშიშროება ბევრი მიმართულებიდან მოდის - დავირუსებული ფაილების გადმოწერა, სპამების მიღება, ტროიანის რუტკიტის თუ ბექდორის ჩაწერა ჩვენს სისტემაში, ამ ყველაფრის შესაჩერებლად გჭირდება რომ მაქსიმალურად ვიყოთ კონცენტრირებული უსაფრთხოებაზე.

მალიან ბევრი ვირუსი დღემდე არ არის შესწავლილი ბოლომდე. თავად კომპანიები, რომლებიც ანტივირუსებს ქმნიან, აქვეყნებენ ვირუსული შეტევების წლიურ შეჯამებას, რომელიც თუნდაც მათსავე ანტივირუსს გამოეპარა. ისინი სწავლობენ ვირუსების ახალ სახეობებს და მუდმივად ანახლებენ ვირუსების

ამომცნობ ბაზას. დიახ, სწორედ მსგავსი ვირუსების ხარჯზე ვითარდება კიბერუსაფრთხოებაც. ის, რომ თქვენს კომპიუტერში დღეს არ მოხვედრილა რანსომვეირის ვირუსი (Ransomware) და ჰაკერებს თქვენთვის ფული არ გამოუძალავთ, არ ნიშნავს იმას, რომ თუნდაც ხვალ თქვენ ამისგან დაცულნი იქნებით.

კიბერუსაფრთხოება დიდ როლს თამაშობს დღევანდელ რეალობაში და დაცვის მექანიზმის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილი გახდა. ჩვენ ვართ იმ რეალობაში, სადაც კიბერუსაფრთხოების გარეშე ადამიანები დაუცველნი ხდებიან. დაუცველი ხდება ისეთი ინფორმაცია, როგორცაა პირადი ნომრები, საბანკო ანგარიშები და ა.შ.

სოციალური ინჟინერია ერთ-ერთი ყველაზე გამოყენებადი ფსიქოლოგიური შეტევის ტიპი გახლავთ, რომელსაც აქტიურად იყენებენ ჰაკერები და დიახ, მათი მსხვერპლი შეიძლება ერთ დღესაც ჩვენ გავხდეთ.

სოციალურ ინჟინერიის ერთ-ერთი ქვეგანხრა ფიშინგია, რომელსაც იყენებენ, პირადი ინფორმაციების შესაგროვებლად, როგორცაა: პირადი ნომერი, მიმოწერა, ფოტო-ვიდეო ფაილები, საბანკო რეკვიზიტები და სხვა.

კიბერუსაფრთხოების განვითარებამ ჰაკერები დიდი გამოწვევის წინაშე დააყენა, თუმცა ადამიანური სისუსტეები უცვლელი რჩება და ყოველდღიურად დიდი რაოდენობა ადამიანებისა ტყუვდება იმ გარემოებებით, რომლებსაც ჰაკერები ქმნიან.

ბოლო პერიოდში საბანკო რეკვიზიტების ფიშინგის მეშვეობით მოპარვის ფაქტები ქართულ რეალობაში ყოველდღიურობა გახდა და არაერთი ადამიანის საბანკო ანგარიში მოიპარეს ფიშინგის მეშვეობით.

არსებობს ფიშინგის რამდენიმე გავრცელებული სახეობა, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

საკვანძო სიტყვები:

კიბერუსაფრთხოება, ინფორმაციული უსაფრთხოება, რისკები, არასანქცინირებული გამოყენება, ჰაკერი, ფიშინგი, სოციალური ინჟინერია.

Security Risks and Social Engineering - One of the Most Applied Types of Psychological Attack

Gulnara Kotrikadze

Associate Professor,

Department of Information Technologies,

Faculty of Mathematics and Management Systems,

Georgian Technical University

PhD in Informatics Engineering

Abstract

In the era of digital transformation, the dependence on information technology services and products has increased significantly. Accordingly, the challenges in information security and cyber security have increased.

Social distancing, while playing an important role in containing the spread of COVID-19, increases the risk of infected workstations, unauthorized access, data leakage, malicious code execution, and all the types of risks that come with working in a vulnerable environment.

Computer security, cyber security or information security - protection of computer systems and control points of networks from its interference, unauthorized use or damage to hardware, software and electronic data, as well as from destruction and violation of the services they provide to users.

This area is becoming more and more important for computer systems, the Internet and wireless networks such as Bluetooth and Wi-Fi. Because of its complexity, in terms of politics and technology, cyber security is also one of the main challenges in modern life.

Cyber security is one of the most important fields in today's world. This branch is connected with such demanding professions and specialties as: security analyst, security engineer, security architect, security administrator, security specialist, consultant, etc.

Types of Malware:

- Malware (Malware);
- Computer Virus;
- Mobile Media Means;
- Trojan (Trojan Horse);
- Rootkit;
- Backdoor (Backdoor);
- Worm (Computer worm);
- Keylogger (Keylogger).

In 2003, the computer virus Slammer penetrated the management system of the electric distribution network and slowed down its operation, which also caused the speed of management to slow down. As a result, even a small incident like a tree falling on a power line can set off a serious chain reaction. In particular, in the US state of Ohio, the voltage began to change, and the equipment, which was installed to prevent the cascade effect, failed to isolate the high voltage area in time. As a result, 8 US states, 2 Canadian provinces (a total of 50 million people) were left without electricity and services dependent on it.

This example shows what can result from a little carelessness, ignoring security issues, in the digital information space.

Today, cyber security is at risk like never before.

Cybercrime can affect any of us. Hacker "traps" are encountered every day and it is necessary to be careful. Threats come from many directions - downloading infected files, receiving spam, entering a Trojan rootkit or backdoor into our system, to stop all this we need to focus on security as much as possible.

Many viruses have not been fully studied to date. The companies that make antiviruses themselves publish an annual summary of virus attacks that even their own antiviruses have missed. They study new types of viruses and constantly update their virus recognition database. Yes, cyber security is also developing at the expense of such viruses. The fact that your computer was not infected with ransomware today and hackers did not extort money from you, does not mean that you will be protected from it tomorrow.

Cyber security plays a big role in today's reality and has become one of the integral parts of the defense mechanism. We are in a reality where without cyber security, people become vulnerable. Information such as personal numbers, bank accounts, etc. becomes vulnerable.

Social engineering is one of the most common types of psychological attacks that hackers actively use, and yes, we can become their victims one day.

One of the subsections of social engineering is phishing, which is used to collect personal information, such

as personal numbers, correspondence, photo-video files, bank details and others.

The development of cyber security has presented hackers with a great challenge, but human frailties remain unchanged and every day a large number of people are deceived by the circumstances created by hackers.

Recently, the facts of stealing bank details through phishing have become a daily occurrence in Georgian reality, and many people's bank accounts have been stolen through phishing.

There are several common types of phishing, which we will discuss below.

Keywords:

Cyber Security, Information Security, Risks, Unauthorized Use, Hacking, Phishing, Social Engineering.

შესავალი

კიბერუსაფრთხოება თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ მთავარ პრობლემად იქცა. 21-ე საუკუნეში მკვეთრად განვითარდა ინფორმაციის დაგროვების საშუალებები, სწრაფად იმატა დაგროვილი ინფორმაციის მოცულობამ და დახვეწილია მისი ტრანსპორტირების საშუალებები. გლობალურ საინფორმაციო სივრცეში ხშირად ისეთი მონაცემები მოძრაობს, რომელიც მის მფლობელებს კერძო მოხმარებისთვის ჰქონდათ შექმნილი ან სახელმწიფო საიდუმლოს უნდა წარმოადგენდეს, თუმცა ეს მონაცემები ძალიან ხშირად ყველასთვის ღია ხდება. თუნდაც, ცნობილი WikiLeaks.com, რომელზეც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის (პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატების) სამთავრობო და სამხედრო საიდუმლოებების მარტივად გაგება შეიძლება. და მაინც, მომავლის უდიდესი საფრთხე არა ინფორმაციის გამჟღავნებაში, არამედ ლოჯისტიკური, ინფრასტრუქტურული და ენერგეტიკული სისტემების კომპიუტერული საშუალებებით მწყობრიდან გამოყვანაში მდგომარეობს, რომელსაც დედამიწაზე კატასტროფული მოვლენების განვითარება შეუძლია.

ამრიგად, არსებობს დიდი პრობლემა და შესაბამისად, მასთან ბრძოლა აუცილებელია. ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის ბრძოლის მთავარ სივრცეს ციფრული, იგივე კიბერ-სამყარო წარმოადგენს და ტერმინი „კიბერუსაფრთხოება“ აქედან მოდის.

ე.წ. ჰაკერები საინფორმაციო ტექნოლოგიებში კარგად გარკვეულ პიროვნებებს წარმოადგენენ, რომლებსაც ინფორმაციის მოპარვა და სხვა მავნე საქმეების კეთება ორგანიზაციაში ფიზიკურად მოხვედრის გარეშე შეუძლიათ.

ფიშინგი (Phishing) - მომხმარებელს ყალბ ვებგვერდებზე გადაიყვანს და მნიშვნელოვან ინფორმაციას (მაგალითად, საკრედიტო ბარათის ნომერი და CVC-კოდი, სახელი, პაროლი) გამოსტყუებს. შესაძლებელია, თუ facebook.com-ის ნაცვლად facebook.com არის აკრეფილი (ერთი "o" გამორჩენილი), არ არის გამორიცხული, გარეგნულად „ფეისბუქის“ მსგავს ვებგვერდზე მოხდეს შესვლა და მონაცემების შეყვანა, რომელიც მაშინვე ჰაკერის ხელში მოხვდება.

პირველ რიგში აქტიურად შეგვიძლია განვიხილოთ ფეიკვებ გვერდები, რომელსაც ისინი ქმნიან და შემდეგ მომხმარებლებს ატყუებენ, რომ ეს რომელიმე ცნობილი კომპანიის ნამდვილი ვებ საიტია, რადგან ფეიკი ვიზუალურად იდენტურია ოფიციალური ვებ გვერდის და რეალურისგან გარჩევა ერთი შეხედვით შეუძლებელია. ვიზუალურ მსგავსებას და იმას, რომ მომხმარებელს მუდმივად ეჩქარება და ყურადღებას არ ამახვილებს, ჰაკერები წარმატებით იყენებენ.

მოტყუების მრავალი გზიდან შეგვიძლია გამოვარჩიოთ ელ.ფოსტაზე ფეიკვებ გვერდის მისამართის მიწერა და რაიმეთი დაინტერესება, რომ ამ მისამართზე გადავიდეს. ასევე თუნდაც ფეისბუქზე რეკლამის ჩვენება, საიდანაც მომხმარებლები გადადიან ფეიკვებ გვერდზე, სადაც მათ დახვდებათ საავტორიზაციო გრაფა, რომელიც რეალურად ყალბია და მომხმარებელს სთხოვს მისი სახელი და პაროლი შეიყვანოს, მაგალითად ინტერნეტ ბანკის, რომელიც პირდაპირ ჰაკერებს მიუვით.

დაიხ, ეს ყველაფერი ისეთივე საშიშია, როგორი მარტივიც ჩანს, როდესაც გვეგონია რომ უბრალოდ ჩვენთვის ნაცნობი კომპანიის საიტზე გავდივართ ავტორიზაციას, შეიძლება სინამდვილეში სულაც არ იყოს ასე. გასათვალისწინებელია, რომ ნამდვილი ბმული ყოველთვის განსხვავდება ყალბი ბმულისაგან, რომელსაც მინიმუმ 1 სიმბოლო აქვს განსხვავებული ან საერთოდ სხვა ინიციალები აქვს. სანამ საკუთარ მონაცემებს რომელიმე საიტზე შევიყვანოთ ყოველთვის უნდა დავაკვირდეთ რომ ამ საიტის მისამართი ნამდვილად სწორია, არის SSL შიფრაციით დაცული და საიტის დიზაინში არ არის რაიმე ტიპის ხარვეზი, რომელიც შეიძლება ფეიკსაიტის ეჭვს აჩენდეს.

მეორე ძალიან საინტერესო და დამაფიქრებელი სიუჟეტი ხორციელდება იმეილის გამოყენებით, როდესაც რომელიმე კორპორაცია გწერთ და ითხოვს მათ საიტზე ავტორიზაციის გავლას ან პაროლის შეცვლას, მიზეზად შეიძლება საიტის განახლება ან ნებისმიერი სხვა დაასახელონ. ძალიან ბევრი ადამიანი არც კი უკვირდება ისე ასრულებს ამ მითითებებს და სწორეს ასე აღმოჩნდება ყალბ ვებ საიტზე. საავტორიზაციო გრაფის შევსების შემდეგ რეალურ ავტორიზაციას ვერ გაივლით და შეიძლება ვიზუალურად არაფერი შეიცვალოს, ან საიტზე უბრალოდ შეცდომა დაეწეროს და იფიქროთ, რომ საიტი დროებით არ მუშაობს, თუნდაც ამ დროს თქვენი პაროლი და მომხმარებლის სახელი ან ელექტრონული ფოსტის მისამართი, გაიგზავნა ჰაკერთან.

პირველ რიგში, ჩვენ ყოველთვის უნდა დავუკვირდეთ იმას, თუ რა ელ.ფოსტით გვწერენ (შესაძლოა მიმსგავსებული იყოს, მაგრამ არაზუსტი), მეორე: მოგვმართავენ თუ არა ჩვენი სახელით და არა მაგალითად ასე: „მვირფასო მომხმარებლო“, მესამე: ვინ გვწერს და რა მიზნით ამისათვის, ჩვენ უნდა გადავამოწმოთ წერილის ავტორი კომპანიის ოფიციალურ გვერდზე, მოხდა თუ არა მართლაც რაიმე განახლება და არის თუ არა ამაზე ინფორმაცია საჯაროდ განთავსებული.

შემდეგ - არის თუ არა ეს წერილი SPAM საქალაქო დედაში მოხვედრილი. ამის შემდეგ კარგად დავაკვირდეთ ვებ გვერდის ბმულს, შეესაბამება თუ არა ის მოცემული კომპანიის ვებ გვერდს.

სტატისტიკა საკმაოდ ცუდად გამოიყურება: ფიშინგ იმეილების 30% მომხმარებლებმა გახსნეს.

1. კიბერუსაფრთხოების გამოწვევები

2019 წლის 1 აპრილიდან ძალაში შევიდა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება, კომერციული ბანკების კიბერ უსაფრთხოების მენეჯმენტის ჩარჩოების დამტკიცების შესახებ. ახალი რეგულაციები ავალდებულებს საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს, როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ კომერციულ ბანკთა ფილიალებს, ჰქონდეთ კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოები, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს კომერციული ბანკების ზომასა და სირთულეს და შეესაბამებოდეს კომერციული ბანკის მომსახურებას. კიბერუსაფრთხოების მენეჯმენტის ჩარჩოები სრულად უნდა იყოს ინტეგრირებული კომერციული ბანკის რისკების მართვის მთლიან პროცესში.

დღეის მდგომარეობით, საქართველოში ბანკები ეფექტურად უმკლავდებიან კიბერუსაფრთხოების გამოწვევებს, მაგრამ ყოველი ახალი რეგულაცია ქმნის ახალ სივრცეებს, რაც მოითხოვს სრულ განაკვეთს, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს. იუჯითის დახმარებით, კომერციულ ბანკებს საშუალება აქვთ მოკლე დროში მიაღწიონ სრულ შესაბამისობას ინფორმაციის უსაფრთხოების, დოკუმენტაციის დამუშავების, კონტროლის ზოგიერთი მექანიზმის დანერგვის თვალსაზრისით და უზრუნველყონ ორგანიზაციის მომსახურების კიდევ უფრო მაღალი ხელმისაწვდომობა, უწყვეტობა და უსაფრთხოება.

ინფორმაციული უსაფრთხოება და კიბერუსაფრთხოება ის მიმართულებებია, რომლებშიც იუჯითი თქვენი სანდო და გამოცდილი პარტნიორია. მათთან ერთად შეძლებთ მინიმუმამდე დაიყვანოთ უსაფრთხოების რისკები და შეინარჩუნოთ დაცული და საიმედო ტექნოლოგიური გარემო.

ინფორმაციული უსაფრთხოება არის საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციისა და ინფორმაციული სისტემების წვდომის, ერთიანობის, ავთენტიფიკაციის, კონფიდენციალურობისა და განკარგვადი მუშაობის დაცვას.¹

ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა (იუმს) დაფუძნებულია ბიზნეს რისკებზე, რომლის ფარგლებში მინიმუმამდეა დაყვანილი დანაკარგები და უზრუნველყოფილია ორგანიზაციის მაღალი რეპუტაცია, იუმს ინერგება ISO/IEC 2701 სტანდარტის და „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

UGT გვთავაზობს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვას, რომელიც მოიცავს შემდეგი კომპონენტების დანერგვას:

- ინფორმაციული უსაფრთხოების მმართველობითი ჩარჩოს შემუშავება;
- რისკების მართვის პროცესის მოწყობა;
- კონტროლის მექანიზმების შემუშავება;
- მუდმივი გაუმჯობესების პროცესის მხარდაჭერა;
- თანამშრომელთა ტრენინგები ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

2. მოქმედების სფერო

კიბერუსაფრთხოების სფეროში რიგით მესამე ეროვნული სტრატეგია მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ მასში გაერთიანდა, როგორც კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების გარემოს გაუმჯობესების, ისე კიბერდანაშაულთან ბრძოლისა და კიბერთავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებისკენ მიმართული კონკრეტული კომპონენტები. ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ რთულია გამიჯვნა, რადგან საქართველოს კიბერსივრცის უსაფრთხოებისკენ გადადგმული ნაბიჯები, უმრავლეს შემთხვევაში, თანაბრად ემსახურება როგორც კიბერთავდაცვითი გარემოს განვითარებას, ისე კიბერდანაშაულთან ეფექტიან გამკლავებას.

2010 წლიდან დღემდე ქვეყნის მიერ ინსტიტუციური და შესაძლებლობების გაძლიერების, კრიტიკული ინფორმაციული სისტემების დაცულობის, საერთაშორისო ასპარეზზე კონტაქტების დამყარებისა და საერთაშორისო ინიციატივებში ჩართულობის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები იძლევა საფუძველს, რომ წინამდებარე სტრატეგიის ფარგლებში საქართველომ მიზნად დაისახოს მიღწეული შედეგების განმტკიცება და ახალი საფრთხეებისა და გამოწვევების საპასუხოდ კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების გარემოს მდგრადობის უზრუნველყოფა. ეს ყოველივე შესაძლებელია საჯარო და კერძო სექტორის, აკადემიური წრეების აქტიური ძალისხმევითა და კომპლექსური მიდგომების გამოყენებით.

ამდენად, კიბერსივრცეში საფრთხეებსა და ინციდენტებთან დროულად და ეფექტიანად გასამკლავებლად, წინამდებარე სტრატეგია მიზნად ისახავს კიბერუსაფრთხოების, კიბერთავდაცვისა და კიბერდანაშაულის სფეროებში კიბერკულტურისა და კიბერგანათლების განვითარებას, მმართველობითი სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფას, საჯარო-კერძო თანამშრომლობის გაძლიერებას, ძლიერი ადამიანური რესურსების შექმნასა და საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს, როგორც უსაფრთხო და დაცული ქვეყნის როლის გაძლიერებას.²

1 ა. დანელიანი, კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა ეროვნულ და რეგიონულ დონეზე, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მაგალითზე, სამაგისტრო ნაშრომი, 2019.

2 დ. გულუა, კიბერუსაფრთხოება, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, 2020წ.

3. არსებული მდგომარეობის მიმოხილვა

კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა 21-ე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა განვითარებული სამყაროსთვის.

ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც საკმაოდ გაიზარდა ინტერნეტით დაფარვის მასშტაბები. გაერო-ს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 70%-ზე მეტს აქვს წვდომა ინტერნეტთან. თუმცა, ქვეყნის სხვადასხვა შიდა გამოკითხვით (e-readiness survey) ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალ ნიშნულს აღწევს: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მონაცემებით, კომპანიებთან მიმართებით ის თითქმის 98%-ს შეადგენს.

კიბერუსაფრთხოება საქართველოს მთავრობის უსაფრთხოების პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებაა და მთავრობის მხრიდან დიდი ყურადღება ეთმობა მის განვითარებაზე ზრუნვას. კერძოდ, საქართველოს მთავრობა მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს პრეროგატივაა, ქვეყანაში შექმნას ინფორმაციული საზოგადოების, ციფრული ეკონომიკისა და ელექტრონული მმართველობის ხელსაყრელი გარემო, ჩამოაყალიბოს ისეთი სტრატეგიული, ინსტიტუციურ-ორგანიზაციული და სამართლებრივ-მარეგულირებელი ჩარჩოები, რაც ხელს შეუწყობს ელექტრონულ სივრცეში მოქალაქეების, კერძო და საჯარო სექტორების უსაფრთხო ფუნქციონირებასა და ონლაინ სივრცის დაცულად გამოყენებას.

საქართველოს მთავრობა აქტიურად ისწრაფვის ღია, უსაფრთხო და დაცული კიბერსივრცის უზრუნველყოფისკენ, რათა კიდევ უფრო მეტად განვითარდეს ინფორმაციული საზოგადოება, შეიქმნას საჯარო და კერძო სექტორში ელექტრონული კომერცის, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ტრანზაქციების, ასევე, ელექტრონული მმართველობის მომსახურებისთვის სანდო გარემო.

4. ძლიერი მხარეები

კიბერუსაფრთხოება სახელმწიფოს პრიორიტეტი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ გახდა, როდესაც ფართომასშტაბიანი კიბერშეტევების სამიზნედ იქცნენ როგორც სამთავრობო, ისე საბანკო და მედიასექტორები. შესაბამისად, კიბერუსაფრთხოების სფეროში სხვადასხვა აქტორი მოქმედებს, რომელთა მიზანი, სხვა საკითხებთან ერთად, სწორედ ამგვარ საფრთხეებთან გამკლავებაა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – ციფრული მმართველობის სააგენტოს საქმიანობის მიზანია საკუთარი კომპეტენციის შესაბამისად, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების განვითარება და უზრუნველყოფა. სააგენტო, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ზედამხედველობას უწევს მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების მიერ „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

სააგენტო ქმნის სამუშაო ჯგუფებს და წარმართავს მათ საქმიანობას აღნიშნულ სფეროში პოლიტიკის, სტანდარტების და მეთოდოლოგიის შესამუშავებლად. ის კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების კამპანიებს ეროვნულ დონეზე, ასევე, სფეროს სპეციალისტების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, ერთობლივი კიბერსავარჯიშოებისა და კიბერსწავლების ღონისძიებების ჩატარებას. სააგენტო ქმნის და ადმინისტრირებს უწევს კიბერინციდენტების რეესტრს.

საკუთარი კომპეტენციის შესაბამისად, სააგენტო, საქართველოს კიბერსივრცეში ინფორმაციული უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული ინციდენტების მართვას, აგრეთვე ინფორმაციული უსაფრთხოების კოორდინაციისკენ მიმართულ, მასთან დაკავშირებულ სხვა საქმიანობას, რომელიც კიბერუსაფრთხოების პრიორიტეტული საფრთხეების აღმოფხვრას ემსახურება, ახორციელებს მისი კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფის (CERT.DGA.GOV.GE) მეშვეობით.

სსიპ-კიბერუსაფრთხოების ბიუროს საქმიანობის სფერო მოიცავს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული / მოქმედი კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებასა და მისი განხორციელების ხელშეწყობას. თავდაცვის სფეროში კომპიუტერული უსაფრთხოების ინციდენტების, სისუსტეებისა და შესაბამისი მტკიცებულებების დამუშავებას, ანალიზს, რეაგირების მხარდაჭერასა და კოორდინაციას ახორციელებს ბიუროს ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფის, კერძოდ კიბერუსაფრთხოების ოპერაციების დეპარტამენტის ფარგლებში მოქმედი, კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების სამმართველო.

2021 წ. 10 ივნისს „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად, საკანონმდებლო დონეზე მკაფიოდ განისაზღვრა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფლებამოსილებები ქვეყნის კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში. შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე, კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების კატეგორიზაციის შემდეგ, პირველი და მეორე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების დაცვაზე პასუხისმგებლობა, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს დაეკისრება.

საკუთარი კომპეტენციის შესაბამისად, სააგენტო, საქართველოს კიბერსივრცეში ინფორმაციული უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული ინციდენტების მართვას, აგრეთვე ინფორმაციული უსაფრ-

თხოვბის კოორდინაციისკენ მიმართულ, მასთან დაკავშირებულ სხვა საქმიანობას, რომელიც კიბერუსაფრთხოების პრიორიტეტული საფრთხეების აღმოფხვრას ემსახურება, მისი კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფის (CERT.OTA.GOV.GE) მეშვეობით განახორციელებს.³

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ფარგლებში, ფუნქციონირებს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველო. ამასთან, კიბერდანაშაულთან ბრძოლაში, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ჩართულია საქართველოს პროკურატურა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ახორციელებს ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლს და პასუხისმგებელია მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესრულებაზე. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური კონტროლს უწევს კიბერსივრცეში ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების პროცესს.

საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, მისი ზედამხედველობის ქვეშ მოქმედ, მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტ კომერციულ ბანკს დაუდგინოს დამატებითი სტანდარტები და მოთხოვნები როგორც ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის, ისე ინფორმაციული აქტივების მართვისა და შინასამსახურებრივი გამოყენების წესების მიმართ. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტ კომერციულ ბანკს მოსთხოვოს ინფორმაციული უსაფრთხოების შინასამსახურებრივი გამოყენების წესების განსახილველად წარდგენა, აგრეთვე, მიიღოს ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის ან პენეტრაციის ტესტის დასრულების შედეგად მომზადებული სამოქმედო გეგმა და მისი შესრულების გრაფიკი და მათი შეფასების საფუძველზე, გასცეს რეკომენდაციები ან/და შესასრულებლად სავალდებულო მითითებები. მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტი კომერციული ბანკის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლებამოსილება ეროვნულ ბანკს გააჩნია.⁴

2019 წ. საქართველოში ეროვნული უსაფრთხოების საბჭო შეიქმნა, რომლის ფუნქციონირებასაც საბჭოს აპარატი უზრუნველყოფს. „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საბჭო ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის მაკოორდინირებელ უწყებას წარმოადგენს. ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი, საინფორმაციო-ანალიტიკურ საქმიანობასთან ერთად, ეროვნული უსაფრთხოების სფეროში, ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების პროცესის ორგანიზებასა და კოორდინაციას უზრუნველყოფს. საბჭოს აპარატი რეგულარულად იღებს და ამუშავებს ინფორმაციას ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული კიბერუსაფრთხოების შესახებ, რის შედეგადაც, საინფორმაციო-ანალიტიკური დოკუმენტების შემუშავების მეშვეობით, შესაბამისი ადრესატების მხარდაჭერას უზრუნველყოფს.

აღნიშნულთან ერთად, საბჭოს აპარატის ფუნქციების კონტექსტში, მნიშვნელოვანია ეროვნულ დონეზე კრიზისული ვითარების მართვის კომპონენტი. საბჭოს აპარატის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეული, კერძოდ კი, კრიზისული ვითარების მართვის ეროვნული ცენტრი (დეპარტამენტი), ეროვნული სიტუაციური ოთახის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. აღნიშნული ინფრასტრუქტურა, ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი კრიზისული ვითარების დროს აქტიურდება და მისი მეშვეობით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ, შესაბამისი ვითარების პოლიტიკურ / სტრატეგიულ დონეზე მართვა ხორციელდება.

ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველომ მიიღო და განახორციელა კიბერუსაფრთხოების ორი თანმდევი ეროვნული სტრატეგია შესაბამისი სამოქმედო გეგმებით; ჩამოყალიბდა ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების სამართლებრივი ბაზა – „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტები; განისაზღვრა კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტები და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოები; საფუძველი ჩაეყარა ქვეყნის შიგნით საჯარო-კერძო პარტნიორობას კიბერუსაფრთხოების ფორუმის სახით; საქართველომ მონაწილეობის მიღება დაიწყო საერთაშორისო და რეგიონულ დონეზე ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში (EU, NATO, OSCE, UN, EaP, CoE, EUROPOL & INTERPOL, CEPOL, ENISA) კიბერუსაფრთხოების საერთაშორისო პროექტებსა და შეხვედრებში; საქართველოს სამთავრობო უწყებების ორგანიზებით განხორციელდა ცნობიერების ამაღლების ფართომასშტაბიანი კამპანიები, რომელთა მიზანია მოსახლეობაში კიბერპოიენის დანერგვა; ასევე, დღემდე აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის სწავლება-გადამზადება ამ მიმართულებით. საქართველოს მთავრობასა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს შორის, 2018 წლის ნოემბერში გაფორმდა მემორანდუმი კიბერუსაფრთხოების სფეროში გრძელვადიანი და კომპლექსური თანამშრომლობის თაობაზე. ამას გარდა, საქართველოს ეროვნულ და სამთავრობო კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფს (CERT.GOV.GE) გაფორმებული აქვს ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების შესახებ თანამშრომლობითი მემორანდუმები ევროპულ და აღმოსავლეთ პარტნიორობის არაერთი ქვეყნის შესაბამის უწყებებთან (მაგ.: ლიეტუვა, რუმინეთი, მოლდოვა, უკრაინა). საქართველო აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო კიბერსავარჯიშოებსა და სწავლებებში და შედეგების თვალსაზ-

3 დადგენილება საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021 – 2024 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5263611?publication=0> [უ. გ. 05.03.2023];

4 იქვე

რისით, მოწინავე ადგილს იკავებს.

ამასთან, სსიპ – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ გააფორმა მემორანდუმი მსოფლიოში აღიარებულ კიბერუსაფრთხოებისა და ციფრული ექსპერტიზის საგანმანათლებლო დაწესებულებასთან – ირლანდიის ეროვნული უნივერსიტეტის კიბერუსაფრთხოებისა და კიბერდანაშაულის გამოძიების ცენტრთან, რომელიც მომავალ წლებში სააგენტოს მისცემს საშუალებას, გადაამზადოს საკუთარი თანამშრომლები ევროკავშირის სამართალდამცავი უწყებების მიერ აღიარებული სპეციალიზებული და ელიტური სასწავლო პროგრამების მიხედვით.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური კურსის ერთ-ერთ მდგრად ქვაკუთხედს საქართველოს NATO-სთან თანამშრომლობა წარმოადგენს. შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიურო თანამშრომლობის აქტიურ ფაზაშია NATO-ს წევრ სახელმწიფოებთან და მონაწილეობს როგორც ინდივიდუალურად, ისე NATO-ს ეგიდით გამართულ სხვადასხვა სახის პროექტებსა და სტრატეგიულ თუ ტექნიკურ სწავლებებში. გარდა ზემოთქმულისა, ბიურომ თანამშრომლობა გააძლიერა EU CSDP პლატფორმის ფარგლებშიც, რაც ეხმარება ორგანიზაციის საერთაშორისოდ განსაზღვრულ სტრატეგიულ მიზნებს და ჯაშში, საქართველოს თავდაცვის სფეროს კიბერუსაფრთხოების შესაძლებლობების განვითარებით ხელს უწყობს ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებას. საქართველოს მთავრობა აქტიურად ზრუნავს კიბერუსაფრთხოების სფეროში საჯარო სექტორში დასაქმებულ პროფესიონალებს კვალიფიკაციის ამაღლებაზე. შედეგად, თანამშრომელთა კვალიფიკაციის დონე მაღალია და დასაქმებულთაგან არაერთი ფლობს საერთაშორისოდ აღიარებულ და მაღალი რეპუტაციის მქონე სერტიფიკატებს (SANS, ISACA, ISO).⁵

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატს, კიბერუსაფრთხოების სფეროს განვითარებაში საკუთარი წვლილი შეაქვს. საბჭოს აპარატის ორგანიზებითა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, 2020 წლის სექტემბერში, „საქართველოს კიბერუსაფრთხოების ფორუმი“ იქნა ინიცირებული. ფორუმი მაღალი დონის ღონისძიებას წარმოადგენს და ის ყოველწლიურად ჩატარდება. აღნიშნულმა ღონისძიებამ, კიბერსივრცეში ქვეყნის (და შავი ზღვის რეგიონის) წინაშე არსებულ გამოწვევებსა და შესაძლებლობებთან დაკავშირებით, იდეების გაზიარებისთვის პლატფორმის ფუნქცია უნდა შეასრულოს. აქედან გამომდინარე, ის, ერთი მხრივ, საქართველოს ეროვნული კიბერუსაფრთხოების არქიტექტურის განმტკიცებას ემსახურება, მეორე მხრივ კი, შავი ზღვის რეგიონში ქვეყნის შესაბამის „სექტორულ პოზიციონირებას“ ამყარებს.

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატს, კიბერუსაფრთხოების სფეროში სტრატეგიული და ტექნიკური სავარჯიშოების ორგანიზების / კოორდინაციის კუთხით, მნიშვნელოვანი გამოცდილება დაუგროვდა. 2020 წ., ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის კოორდინაციით, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის მხარდაჭერით, „CyberEast“-ისა და „CyberSecurity EAST“-ის პროექტების ფარგლებში, არჩევნების (კიბერ) უსაფრთხოების თემატიკაზე ტექნიკური და სტრატეგიული სავარჯიშოები ჩატარდა. საბჭოს აპარატის მიერ, იგეგმება თანამშრომლობის აღნიშნული მიმართულების გაღრმავება და საარჩევნო კონტექსტს მიღმა, შესაბამის სფეროში სავარჯიშოების კომპონენტის გააქტიურება.

ამასთან, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი, ცალკეულ, მნიშვნელოვან საკითხებზე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ქართული მხარისთვის გაზიარებას უზრუნველყოფს (აღსანიშნავია, მაგ. საბჭოს აპარატისა და NATO-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის (PDP) ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ესტონურ მხარესთან თანამშრომლობით ორგანიზებული დისტანციური სემინარი კიბერუსაფრთხოების სფეროში საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის (PPP) აქტუალურ საკითხებზე).

საქართველოს მიერ კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ ბოლო ათწლეულში გადადგმული ნაბიჯები, განხორციელებული რეფორმები და მიმდინარე პროცესები პოზიტიურად არის შეფასებული საერთაშორისო ასპარეზზე. აღმოსავლეთ პარტნიორობისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის კიბერუსაფრთხოების განვითარების თვალსაზრისით, საქართველო მოწინავე პოზიციაზეა. ის ითვლება სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნებს შორის რეგიონის ლიდერ ქვეყნად, წინ უსწრებს აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის არაერთ სახელმწიფოს, რისი დასტურიცაა საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) კიბერუსაფრთხოების გლობალური ინდექსის (GCI – Global Cybersecurity Index) მაჩვენებლები. სამართლებრივი, ტექნიკური და ადამიანური რესურსების შესაძლებლობების, თანამშრომლობითი ფორმატებისა და ორგანიზაციული კომპონენტების შეფასებით, 2018 წლის შედეგებით, საქართველო მსოფლიოში – მე-18, ხოლო ევროპაში მე-9 ადგილზე იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ 2017 წელს საქართველო 0.81 ქულით ევროპაში საფრანგეთთან ერთად იყოფდა მე-2, ხოლო მსოფლიოში იკავებდა მე-8 ადგილს. კიბერუსაფრთხოების სფეროში საქართველოს შესაძლებლობები, ასევე, შეფასდა ოქსფორდის უნივერსიტეტის კიბერუსაფრთხოების გლობალური ცენტრის მიერ.⁶

5. საფრთხეები

⁵ კიბერუსაფრთხეების „ტრადიციულ“ ფორმებთან ერთად, შესაბამის სივრცეში საქართველოს მოწყვ-
5 დადგენილება საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021 – 2024 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო
გეგმის დამტკიცების შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5263611?publication=0> [უ. გ. 05.03.2023];

⁶ იქვე

ლადობას, აღნიშნული საფრთხეების თანამედროვე გამოვლინებები განაპირობებს. ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეულ, დისტანციური მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით ელ. სერვისებზე მზარდ დამოკიდებულებას, შესაბამისი ქსელების / სისტემების უსაფრთხოების კუთხით დამატებითი გამოწვევები მოაქვს.

კიბერსივრცის უსაფრთხოებაზე საკუთარი გავლენა აქვს ხელოვნური ინტელექტის განვითარებას. ამასთან, ყოველდღიურ ცხოვრებაზე, 5-G და ბლოკჩეინ ტექნოლოგიები უშუალო და სულ უფრო მზარდ ზეგავლენას ახდენს. შესაბამისად, კიბერუსაფრთხოების სფეროში, მათთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინებაც ხდება საჭირო. აღნიშნული ტექნოლოგიები, ინფორმაციის მიღების, ცოდნის გენერირებისა და მონაცემთა გაცვლის ახალ შესაძლებლობებს ქმნიან, თუმცა, შესაბამისი სისტემების „ახალი ფორმით“ მოწყვლადობასაც განაპირობებენ.

შესაბამის ინფრასტრუქტურაზე/ტექნოლოგიებზე მზარდი დამოკიდებულება, შესაძლებლობებთან ერთად, საფრთხის აქტორების მხრიდან აღნიშნული ინოვაციების ბოროტად გამოყენების რისკებსაც ზრდის. ახალი ტექნოლოგიების განვითარება იწვევს კიბერთავდასხმების მეთოდებისა და საშუალებების დივერსიფიცირებასა და შემდგომ დახვეწას. აღნიშნული სიტუაცია კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის კონტექსტში გარკვეული მიდგომების ცვლილებას / ადაპტაციას განაპირობებს და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან სათანადო რეაგირებას მოითხოვს.

მიუხედავად გარკვეული აღმავლობისა, მომდევნო ნაწილში აღწერილ საფრთხეებსა და რისკებთან გამკლავების მიზნით საქართველოს ჯერ კიდევ დიდი ძალისხმევა დასჭირდება კიბერუსაფრთხოების ეროვნულ-სტრატეგიულ დონეზე განვითარების თვალსაზრისით. თუკი წინა წლებში შეიქმნა მყარი საფუძველი კიბერუსაფრთხოებისთვის, დღეს და სამომავლოდ კრიტიკულია ამ ხელშემწყობი ჩარჩოების მდგრადი განვითარება, არსებული პროგრესის შენარჩუნება და მასზე დაშენებით კიბერუსაფრთხოების ეროვნული შესაძლებლობებისა და საქართველოს კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებების გაძლიერება.

კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ეროვნული და სამთავრობო ჯგუფის (CERT.GOV.GE) მიერ ინციდენტების აღმოჩენისა და მათზე რეაგირების სხვადასხვა ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით (ქსელისა და IP მონიტორინგის სისტემა, პორტალები, სენსორები და ა.შ.) მიღებული სტატისტიკა ცხადყოფს, რომ 2014 წლიდან 2019 წლამდე დარეგისტრირებული ინციდენტების რაოდენობა, სულ მცირე, ორჯერ გაიზარდა. ამასთან, იმატა დაინფიცირებული IP მისამართების რიცხვმა და პორტალებთან დაკავშირებულმა უსაფრთხოების მოვლენებმა.⁷

დასკვნა

- არ გასცეთ არანაირი პაროლი, მათ შორის არც ძალიან ახლობელ ადამიანებთან;
- პაროლი უნდა იყოს რაც შეიძლება საიმედო, რთული (სიმბოლოები, რიცხვები, პატარა და დიდი ასოები);
- არ შეხვიდეთ არასაიმედო საეჭვო გვერდებზე;
- არ გახსნათ ვითომდა ბანკი თუ გთავაზობთ რაიმეს, თუნდაც მესიჯის სახით, თუ არ დარწმუნდებით, რომ ინფორმაცია ჭეშმარიტია;
- არ გასცეთ პირადი ინფორმაცია;
- ნებისმიერ საიტზე რეგისტრაციის გავლის დროს, კარგად დაუკვირდით მისამართს და არასოდეს არ შეიტანოთ კონფიდენციალური ინფორმაცია;
- რეგისტრაციის დროს, დააფიქსირეთ შეტყობინების მიღება მობილურ მოწყობილობაზე;
- სისტემისა და ანტივირუსის ხშირი განახლება.

გამოყენებული ლიტერატურა

გულუა დ., კიბერუსაფრთხოება, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, 2020;
დანელიანი ა., კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა ეროვნულ და რეგიონულ დონეზე, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მაგალითზე, სამაგისტრო ნაშრომი, 2019;
დადგენილება საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021 – 2024 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5263611?publication=0>
[უკანასკნელად გადამოწმდა 05.03.2023].

⁷ დადგენილება საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021 – 2024 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5263611?publication=0> [უ. გ. 05.03.2023];

წარმატების ფორმულა (სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ერთი ჯგუფის მაგალითზე)

თათია მარდალეიშვილი

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი
ინგლისური ენის მენტორი მასწავლებელი/დოქტორანტი

ელენე კობრიძე

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი
ქართული ენის წამყვანი მასწავლებელი

აბსტრაქტი

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შეიქმნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში. ლიცეუმის მიზანია ხელი შეუწყოს ინოვაციური, თანამშრომლობითი, სამართლიანი კონკურენციისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის საჭირო ყველა პირობების შექმნას. ლიცეუმში მოქმედებს არაერთი სამოტივაციო პროგრამა, მათ შორის კი ერთ-ერთს საუკეთესო სასწავლო ჯგუფის გამოვლენა წარმოადგენს. საუკეთესო ჯგუფის გამოვლენა ხდება წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით. სტატიაში წარმოგიდგენთ სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მესამე სასწავლო კურსის მეორე სასწავლო ჯგუფს (დამრიგებელი ელენე კობრიძე – სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ქართული ენის წამყვანი მასწავლებელი), რომელიც სამი სასწავლო წლის მანძილზე ფლობს საუკეთესო სასწავლო ჯგუფის ტიტულს. განვიხილავთ იმ ფსიქოლოგების ნაშრომებს, რომლებიც მუშაობენ განათლების სფეროში და მოსწავლეებში დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას იკვლევენ, რაც ეხმარება მოსწავლეებს საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი თავის წარმოჩენის გაცნობიერებაში. განვიხილავთ მოტივაციისა და მოსწავლეების კოგნიტიურად, ემოციურად თუ ქცევით ჩართულობის როლს პროდუქტიულ საკლასო აქტივობებში წარმატების მისაღწევად. ხაზს გავუსვამთ მოტივაციის ფაქტორს ჰუმანიტური გადმოსახედიდან, სადაც მოტივირება წარმოდგენილია, როგორც ხელშეწყობა ადამიანის ყოველგვარი რესურსების, საკუთარი თავის შეფასების, კომპეტენციებისა და მათი თვითაქტუალიზაციისაკენ სწრაფვისაკენ. აღსანიშნავია, რომ წარმატების მისაღწევად, გარდა “თვითაქტუალიზაციისა”, დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარემო ფაქტორებს, სოციოკულტურული დამოკიდებულება მოტივაციის მიმართ კი თავის მხრივ, მოიცავს ერთობის წევრობას, სადაც ადამიანები განახორციელებენ ჯგუფის შიდა აქტივობებს, რათა თავის მხრივ გაამდიდრონ პიროვნული იდენტობა და ამავედროულად მათი პირადი ურთიერთობები ამ ჯგუფში.

ჩვენს ნაშრომში მიმოვიხილავთ განათლების ფსიქოლოგების მიერ დადგენილ ჰუმანიტურ წარმატების მიღწევის კუთხით. განათლების ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ წარმატების მისაღწევად, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება რწმენას საკუთარი ქმედითუნარიანობის შესახებ, თვითეფექტიანობა – ალბერტ ბანდურას სოციალური სწავლის თეორიის მიხედვით ესაა რწმენა ინდივიდის კომპეტენტურობისა და ეფექტიანობის შესახებ მოცემულ სფეროში. თვითეფექტიანობა წარმოადგენს საკუთარი ინდივიდუალური შეხედულებების რწმენას, რაც მიმართულია იმისკენ, რომ ადამიანმა განახორციელოს შესაბამისი ორგანიზება და ქმედებები დასახული მიზნის განსახორციელებლად. წარმოდგენილი თეორიული მიგნებების პრაქტიკულ ტრანსფერს წარმოგიდგენთ ჩვენს სტატიაში.

სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ იმ ფსიქოლოგიურ ასპექტებზე, რომლებმაც მიგვიყვანა წარმატებამდე და რომლებიც 21-ე საუკუნის მოქალაქეს მნიშვნელოვნად დაეხმარება წარმატებით დაძლიოს მის წინაშე არსებული ყველა გამოწვევა.

საკვანძო სიტყვები:

გუნდურობა, მოტივაცია, მოტივაციის სოციოკულტურული მიდგომა, თვითეფექტიანობა, თვითაქტუალიზაცია.

The Formula For Success

(On The Example of A Group of Cadets Military Lyceum Named After General Giorgi Kvinitadze)

Tatia Mardaleishvili

LEPL General Giorgi Kvinitadze Cadets Military Lyceum
English Language Mentor Teacher/PHD Student

Elene Kokhreidze

LEPL General Giorgi Kvinitadze Cadets Military Lyceum
Georgian Language Lead Teacher

Abstract

Cadets Military lyceum named after General Giorgi Kvinitadze is a Legal Entity of Public Law, which was established under the Ministry of Defence of Georgia. The goal of the Lyceum is to promote innovative, cooperative, fair competition and create all the necessary conditions for the educational process. “The best group of the year” is one of the various motivational programs in the Lyceum. Identifying the best study group is one of the motivational programs operating in the Lyceum. The best group is revealed according to pre-established criteria. In the article, we will present the second training group of the third training course of Cadets Military Lyceum named after General Giorgi Kvinitadze, which holds the title of the best training group for three academic years. We will consider the works of psychologists who work in the field of education and study the development of civic consciousness in students based on democratic values, which helps students to understand how to present themselves to society and the state. We will examine the role of motivation and engaging students cognitively, emotionally, and behaviorally in achieving success in productive classroom activities. We will emphasize the motivation factor according to the humanistic point of view, where motivation means stimulating people’s internal resources, their competence, self-esteem, autonomy and self-actualization. It is worth noting that in order to achieve success, in addition to “self-actualization”, a great importance is given to environmental factors, and the sociocultural view of motivation emphasizes the membership in a group, where people engage in activities in order to strengthen their identity and interpersonal relationships within this group.

We will review the truths established by educational psychologists about achieving success. In educational psychology, it is known that in order to achieve success, of course, great importance is given to belief in one’s own ability to act. Self-efficacy is a belief about an individual’s competence and effectiveness in a given field. What is self-efficacy? According to Albert Bandura’s social learning theory “These are beliefs about one’s abilities - to properly organize and perform the necessary actions to achieve a given goal.” The practical transfer of the presented theoretical findings will be presented in our article.

We will focus on the psychological aspects that led to success which will significantly help the 21-st century citizens to successfully overcome all the challenges facing them.

Keywords:

Team work, Motivation, Sociocultural approach to motivation, Self-efficacy, Self-realization.

შესავალი

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შეიქმნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში, იგი უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას საშუალო საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ლიცეუმი ახორციელებს სამხედრო მომზადებასა და საგანმანათლებლო საქმიანობას. სწავლება და სამხედრო მომზადება კადეტთა სამხედრო ლიცეუმში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმით და ამავდროულად დამატებითი სამხედრო პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს. ლიცეუმის მიზანს წარმოადგენს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე თავისუფალი პიროვნების აღზრდა, პიროვნებების, რომელთაც ჩამოყალიბებული ექნებათ ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული მოქალაქეობრივი ცნობიერება, პატივისცემა კულტურული ფასეულობების მიმართ და საკუთარი მოვალეობებისა და უფლებების გაცნობიერება როგორც საკუთარი ოჯახის, ასევე საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე. კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მიზანს წარმოადგენს ურთიერთთანამშრომლობითი, ინოვაციური, ჯანსაღი კონკურენციისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ყველა საჭირო პირობის შექმნა და რა თქმა უნდა კადეტთა ადაპტირება საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, რათა შექმნას საფუძველი კადეტთა მოსამზადებლად სამშობლოს სამსახურისათვის როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო ასპარეზზე.

როგორც ყველასათვის ცნობილია, თანამედროვე ეპოქა მეტწილად განსაზღვრავს ჩვენი ცხოვრების რიტმს. ეპოქის თანადროული ახალი გამოწვევები ჩვენს ყოველდღიურ რუტინაში მრავალფეროვნების შემომტანი უნდა იყოს. ამან თავიდან უნდა აგვაცილოს ყოველდღიურობისათვის დამახასიათებელი ერთფეროვნება. გასაკვირი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ სწავლების პროცესს თავისებური ერთფეროვნება ახლავს თან, მით უმეტეს, ისეთ სასწავლებელში, სადაც ყოველდღიური ცხოვრება სპეციალური დღის რეჟიმით არის გაწერილი. მაგრამ ეს სტერეოტიპი იმთავითვე დამსხვრეული იყო ჩვენს სასწავლებელში - კადეტთა სამხედრო ლიცეუმში. ხმამაღალი ნათქვამი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში ყველაფერი კეთდება, რომ კადეტებმა ფეხი აუწყონ თანამედროვეობას, იყვნენ ფსიქოლოგიურად მტკიცე და მზად მყოფნი ცხოვრების ახალ-ახალი გამოწვევებისათვის.

ძირითადი ნაწილი

სტატიაზე მუშაობის დროს შეძლებისდაგვარად ერთხელ კიდევ გადავხედეთ იმ ფსიქოლოგების ნაშრომებს, რომლებიც მუშაობენ განათლების სფეროში და მოსწავლეებში დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას იკვლევენ, რაც ეხმარება მოსწავლეებს საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი თავის წარმოჩენის გაცნობიერებაში. ფსიქოლოგთა ნაშრომებში ნათლად იკითხება, რომ წარმატების ერთი უნივერსალური ფორმულა არ არსებობს, იმიტომ, რომ ფსიქოლოგია ზოგადად მოიცავს ინდივიდუალიზმსაც. სწორედ ინდივიდების გათვალისწინებით შევძელით შეგვექმნა “ფორმულა“, რომელიც აუცილებლად მიიყვანს წარმატებამდე ინდივიდებისაგან შემდგარ მთელ ჯგუფს.

ყველა ჯარისკაცი გენერლობაზე ოცნებობს, შესაბამისად, ყველა ადამიანი ფიქრობს, რომ იყოს წარმატებული. რათა დასახულ მიზნებს წარმატებით მივაღწიოთ, ამისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას მოტივაცია წარმოადგენს. არაერთი პედაგოგი ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ მოსწავლეთა მოტივირება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და გადამწყვეტ საკითხს პედაგოგიკაში და თავის მხრივ განათლების ფსიქოლოგიაში.

მოტივაცია შინაგანი მდგომარეობაა, რომელიც აღძრავს, წარმართავს, უზრუნველყოფს ქცევას.¹ არაერთი ფაქტორი არსებობს, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მოტივაციასა და შესაბამისად სწავლის პროცესზე. როგორც ვიცით, სტიპენდიის შრომებიდან მოსწავლეთა შემდეგი პორტრეტები არსებობს : ე.წ. “პესიმისტი ჯერალდო”; “გაუბედავი სუმი”, “კმაყოფილი სპენსერი”, “დალიშა, რომელიც ყოველთვის თავს იცავს”, “შფოთიანი ემი”. გამომდინარე იქიდან, რომ კლასი შედგება ინდივიდებისაგან და თითოეულ მოსწავლეს სხვადასხვა მოტივაციური პრობლემა აქვს, უნდა ვეძებოთ როგორც შინაგანი პიროვნული ფაქტორები, როგორცაა მოთხოვნილებები, ინტერესები, ცნობისმოყვარეობა, ასევე ექსტერნალური – გარე ფაქტორები – ჯილდო, წახალისება და ა.შ. რათა მივაღწიოთ სასურველ შედეგს და მნიშვნელოვანწილად გაიზარდოს მოსწავლის მოტივაცია და სასწავლო პროცესში მისი ჩართულობა.

მოტივაციის ჰუმანისტური განმარტება კი აღნიშნავს მოტივაციის შემდეგ შინაგან წყაროებს: პიროვნების “თვითაქტუალიზაციის” მოთხოვნილება (Maslow , 1968), თანდაყოლილი “აქტუალიზაციის ტენდენცია”²(Rogers, Freiberg 1994) ან “თვითგანსაზღვრის” მოთხოვნილება³ (Deci, Vallerand, Pelletier & Ryan,

1 ა. ვულფოლკი განათლების ფსიქოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009. გვ.509

2 Rogers, C., Freiberg, H. Jerome, Freedom to Learn, Merrill, 1994

3 Deci, E. L., Vallerand, R. J., Pelletier, L. G., & Ryan, R. M. Motivation and education: The self-determination perspective, Educational Psychologist, 26(3-4), 325-346, Lawrence Erlbaum Associates, Inc. 1991.

1991). როგორც დავინახეთ, ჰუმანისტური გადმოსახედიდან, მოტივირება წარმოადგენს ადამიანთა ყოველგვარი რესურსების, თვითაქტუალიზაციის, თვითშეფასებისა და საკუთარი კომპეტენციების დადასტურების სწრაფვისაკენ ხელის შეწყობას.

აღსანიშნავია, რომ გარდა “თვითაქტუალიზაციისა”, წარმატების მისაღწევად გარემო ფაქტორებს ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სოციოკულტურული აღქმა მოტივაციისა კი წინა პლანზე წამოაწევს მნიშვნელობას ერთობის წევრობისას, სადაც ადამიანები ანხორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს, რათა განამტკიცონ როგორც პირადი იდენტობა, ასევე ინტერპერსონალური კავშირები ამ ჯგუფში. შესაბამისად, იმ ჯგუფში, სადაც სწავლა ფრიად ღირებულია, მოსწავლეები იჩენენ მაღალ მოტივაციასა და მზაობას თავადაც ისწავლონ. მსგავსად სოციალიზაციის მუდმივი პროცესისა, სადაც შედარებით უფრო გამოცდილი წევრებისაგან ვიძენთ ჩაცმის, ლაპარაკის, სუფრასთან მოქცევის უნარებს, ასევე იმათზე დაკვირვების შედეგად, ვინც წარმოადგენს ჩვენი სასკოლო ჯგუფის წევრებს, ეტაპობრივად ვსწავლობთ და ვაანალიზებთ თუ როგორი მოსწავლეები უნდა ვიყოთ.

სხვა სიტყვებით რომ გადმოვცეთ, ჩვენ ვსწავლობთ სწორედ იმ ჯგუფისაგან, რომლის წევრებსაც თავადაც განვასახიერებთ და წარმოვადგენთ.⁴ ასეთ შემთხვევაში, მოსწავლეები გაცილებით უფრო მოტივირებულნი არიან ისწავლონ და შეითვისონ ჯგუფის ღირებულებები და გამოცდილება, რათა ჯგუფის ნამდვილ წევრებად იგრძნონ თავი.⁵ მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ სტატია “სწავლასა და სწავლებასთან დაკავშირებული ისტორიები”, რომელიც აღწერს, თუ როგორი თანადგომა გაუწიეს კორეელ სტუდენტს მასწავლებლებმა და მეგობრებმა, რათა მას უკეთ ესწავლა.⁶

წარმატების მისაღწევად, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება რწმენას საკუთარი ქმედითუნარიანობის შესახებ და თვითეფექტიანობას, რომელიც წარმოადგენს რწმენას კონკრეტული ადამიანის კომპეტენციების შესახებ ამა თუ იმ სფეროში. ბანდურა ასე ხსნის თვითეფექტიანობას; “ესაა რწმენები საკუთარი შესაძლებლობების შესახებ – მოახდინო სათანადო ორგანიზება და შეასრულო საჭირო მოქმედებები მოცემული მიზნის მისაღწევად”.⁷ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კვლევები ცხადყოფს, რომ სასწავლო დაწესებულებებში მოსწრება და თვითეფექტიანობა იზრდება, როდესაც მოსწავლეები; ა. ხანმოკლე მიზნებს ისახავენ ისე, რათა ადვილი იყოს პროგრესის მონიტორინგი და შეფასება; ბ. სწავლობენ თუ როგორ გამოიყენონ სპეციფიკური სასწავლო სტრატეგიები. გ. მიღწევებისთვის იღებენ ჯილდოს და არა მხოლოდ მონაწილეობისათვის, რადგანაც მიღწევების დაჯილდოება ზრდის კომპეტენტურობას.⁸

ყოველივე ზემოთ წარმოდგენილი თეორიული მიგნებების პრაქტიკულ ტრანსფერს წარმოგიდგინებ ჩვენს სტატიაში. ჩვენს ნაშრომში საუბარი გვექნება სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მესამე სასწავლო კურსის მეორე ჯგუფზე, რომელმაც სამივე სასწავლო წლის განმავლობაში (2020-2023) ლიცეუმის ერთ-ერთი სამოტივაციო პროგრამის მიხედვით - “წლის საუკეთესო ჯგუფი” - არავის დაუთმო პირველობა.

ლიცეუმში სწავლის დაწყებისას პირველ სასწავლო კურსზე იყო გაუცხოების მომენტები, მცირე უთანხმოებები, დაბალი აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინური გადაცდომების შემთხვევები. ეს ყველაფერი არ დარჩენილა მყისიერი რეაგირების გარეშე. არსებობს პრობლემისადმი მიდგომის სხვადასხვა გზა, ისევე, როგორც მათი გადაწყვეტის სხვადასხვა საშუალება.⁹ ასე იყო ჩვენს შემთხვევაშიც. აღნიშნული ჯგუფის კადეტებთან აქტიურად თანამშრომლობდა ლიცეუმის მთელი კოლექტივი; დირექცია, სასწავლო დაგეგმარებისა და მონიტორინგის განყოფილება, კურსის ხელმძღვანელობა, სერჟანტ-ინსტრუქტორები, პედაგოგ-მასწავლებლები, ლიცეუმის ფსიქოლოგი. ყოველდღიურ სალიცეუმო ცხოვრებაში საჭიროებისამებრ მივმართავდით შემდეგ ღონისძიებებს:

- მიზნობრივი საუბრები,
- კონკრეტული და პირადი მაგალითების მოყვანა,
- მშობელთა ჩართულობა,
- მეგობრული ურთიერთობების გამყარება,
- ლიცეუმის ფსიქოლოგთან ინდივიდუალური შეხვედრები და შესაბამისი კონსულტაციები,
- საგნის მასწავლებლებისა და სერჟანტ-ინსტრუქტორების მიერ კადეტებთან ინდივიდუალური მიდგომები მათი უნარების წარმოსაჩენად და შესაძლებლობების გასაძლიერებლად ,
- სწავლების დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება .
- კეთილგანწყობილი, თბილი, კადეტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა.

შესაბამისად, კადეტები სათანადოდ ადაპტირდებოდნენ ლიცეუმის სპეციფიკურ სასწავლო-

4 Hickey, Daniel, T. A new perspective for evaluating innovative science programs, Wiley Periodicals, Inc 2003; / Rogoff, Turkianis & Bartlett, Learning together: Children and adults in a school community, Oxford University Press. 2001.

5 Lave & Wenger, Situated Learning: Legitimate Peripheral Participation. Cambridge: Cambridge University Press. 1991; / Wenger, E. Communities of practice: Learning, meaning, and identity. Cambridge University Press. 1998.

6 ა. ვულფოლკი განათლების ფსიქოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009. გვ.516

7 ა. ვულფოლკი განათლების ფსიქოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009.


8 Graham, S., & Weiner, B.. Theories and principles of motivation. In D. C. Berliner & R. C. Calfee (Eds.), Handbook of educational psychology (pp. 63-84). Macmillan Library Reference Usa; Prentice Hall International. 1996.

9 Pressley, M., & Afflerbach, P. Verbal protocols of reading: The nature of constructively responsive reading. Lawrence Erlbaum Associates, Inc.1995


საცხოვრებელ გარემოში. ცდილობდნენ, არ დაერღვიათ შინაგანაწესი, დახმარებოდნენ ერთმანეთს, დაეცვათ კლასის ინტერესები. რაც მთავარია, უკვე ნამდვილად გაანობიერეს სალიცეუმო ცხოვრების პირველ დღეებში თითქოს ბუნდოვანი სიტყვების ჭეშმარიტება; “ლიცეუმი ეს არის სახლი სახლიდან შორს”.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ მესამე სასწავლო კურსის მეორე სასწავლო ჯგუფის კადეტები ითვალისწინებენ ერთმანეთის შეხედულებებს, პატივს სცემენ სერჟანტებისა და მასწავლებლების აზრებს. კლასი არის შეკრული და მოტივირებული. აქტიურად მონაწილეობენ საკლასო და სალიცეუმო ღონისძიებებში, საქალაქო კონკურსებში, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, კულტურულ-შემეცნებით აქტივობებში, პროექტებში, სასწავლო შემოქმედებით კონფერენციებსა და ოლიმპიადებში. აღსანიშნავია, რომ კადეტები ინტერესდებიან არა მხოლოდ ლიცეუმისა და ქალაქის მიერ დაგეგმილი ღონისძიებებით, არამედ თავად არიან საინტერესო იდეების ინიციატორები, განმახორციელებლები და ბევრი საინტერესო პროექტის გამარჯვებულნი.

აკადემიური მოსწრების კუთხით თუ ვიმსჯელებთ, ჯგუფის საშუალო აკადემიური მოსწრება კურსების მიხედვით იყო შემდეგი;




დიაგრამა #1



დიაგრამა #2

მესამე სასწავლო კურსი პირველი სემესტრის მონაცემები (25 კადეტი)



დიაგრამა #3

ვფიქრობთ, საინტერესო იქნება წარმოგიდგინოთ თავად კადეტების მიერ დანახული წარმატებებისაკენ მიმავალი გზები, საკუთარი წარმატების ფორმულას თვითონ კადეტები გაგვიზიარებენ.

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მესამე სასწავლო კურსის მეორე სასწავლო ჯგუფის კადეტი ლილე ბუბუტიშვილი;

მესამე წელი სრულდება, რაც მეორე ჯგუფის დიდი ოჯახის წევრი ვარ. მიხარია და ვამაყობ იმ ფაქტით, რომ მეორე ჯგუფი ამ სამი წლის განმავლობაში ატარებს საუკეთესო ჯგუფის სტატუსს, რომელიც ყველა იმ კადეტის, პედაგოგიური და სამხედრო პერსონალის დამსახურებაა, რომლებსაც შეხება ჰქონდათ მეორე ჯგუფთან. ალბათ, გიჩნდებათ კითხვა, თუ რა არის ჩვენი წარმატების ელემსირი? ამ კითხვაზე პასუხი მარტივია. ლიცეუმში ყოფნის პირველივე დღიდან ჩვენი ჯგუფის სერჟანტისა და დამრიგებლის პოზიცია იყო, რომ უნდა ვყოფილიყავით საუკეთესონი და ამისათვის ყველას ერთად ყველაფერი გვეღონა.

ჩვენც, რა თქმა უნდა, ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმს ვაკეთებდით და ვაკეთებთ კიდევ, რამაც მიგვიყვანა ამ შედეგამდე. მარტივი არ ყოფილა სხვა ჯგუფებისთვის კონკურენციის გაწევა, რადგან საუკეთესო ჯგუფის წოდების მოსაპოვებელი კრიტერიუმების ჩამონათვალი არც ისე მცირე იყო. უნდა ვყოფილიყავით: სწავლაში საუკეთესო, საუკეთესო დისციპლინით, აქტიური მონაწილეობა უნდა მიგველო ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებსა და კონფერენციებში და უნდა ვყოფილიყავით საუკეთესო ფიზიკური მომზადების კადეტები, ანუ, როგორც ჩვენთან ეძახიან, “სამასიანი” - ფიზიკური მომზადების სხვადასხვა აქტივობაში უნდა აგველო 300 ქულა და ასეთი იცით, რამდენი ვიყავით ჩვენს ჯგუფში? რამდენიც მთელ კურსზე დანარჩენ სხვა ჯგუფებში.მათ შორის მეც.

ამ შედეგის მიღწევაში ყველაზე მეტად ალბათ გუნდურობა დაგვეხმარა, ჯგუფის წევრებს არასდროს მიგვიტოვებია ერთმანეთი გასაჭირში და ყოველთვის ვცდილობდით, თუ ვინმეს რაიმე უჭირდა, გვერდით დავდგომოდით და ეს პრობლემა აღმოგვეფხვრა. ყოველ წელს უფრო და უფრო ვვითარდებოდით, იზრდებოდა საუკეთესო ფიზიკური მომზადების, აკადემიური მოსწრების და საუკეთესო მსროლელი კადეტების რიცხვი, რამაც, თავის მხრივ, დიდი გავლენა იქონია საბოლოო შედეგის მიღწევაში. ასევე, აღსანიშნავია, პირველი და მეორე კურსის ბოლოს ჩვენს დიდ ოჯახს შემოუერთდა მეხუთე და მეოთხე ჯგუფის კადეტების ნაწილი, მათ კიდევ უფრო გაამდიერეს ჩვენი ჯგუფი და მათთან ერთად საბოლოოდ ჩამოვყალიბდით ერთ დიდ ძლიერ ოჯახად, როგორც დღეს ვართ.

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მესამე სასწავლო კურსის მეორე სასწავლო ჯგუფის კადეტი მარიამ დემეტრაძე;

იყო საუკეთესო არ არის მარტივი. საუკეთესო ჯგუფი რომ იყო, ამას ერთეულები შეძლებენ. ამაში ჩვენ გუნდურობა, მაღალი მოტივაცია და მონდომება დაგვეხმარა. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობდით, სხვადასხვა ღონისძიებაში მიგვეღწია წარმატებისთვის. იქნებოდა ეს საგანმანათლებლო თუ სპორტული აქტივობები. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ, ერთმანეთს დავეხმაროთ, სტიმული მივცეთ, რაც ვფიქრობ, რომ წარმატების გასაღებია. ჯგუფში შევქმენით ისეთი გარემო, რომ, თუ ერთმანეთს დავეხმარებით წარმატებაც არ დააყოვნებს. გუნდურობა, საერთო მიზნისათვის ბრძოლა, საერთო სულისკვეთება - აი, რა არის ჩვენი,როგორც საუკეთესო ჯგუფის, წარმატების გასაღები.

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მესამე სასწავლო კურსის მეორე სასწავლო ჯგუფის კადეტი მიხეილ გიგიაშვილი;

ძალიან სასიხარულოა ის, რომ თავიდანვე იმ ჯგუფში ვიყავი, რომელიც 3 წლის განმავლობაში სულ პირველ ადგილზე გადიოდა. მინდა გავიხსენო ის პერიოდი, როდესაც პირველად მოვედით კადეტთა სამხედრო ლიცეუმში. ჩვენ გვქონდა დისციპლინის დაბალი დონე, ასევე არ გვქონდა კარგი აკადემიური მოსწრებაც. ამის გამო პირველ ორ თვეში ბევრი იმასაც იმახდა, რომ წლის ბოლოს ჩვენ დავიშლებოდით, რაც ლოგიკაზე დაყრდნობილიც იყო. ზოგიერთ ჩემს ჯგუფელსაც იმედეები გადაეწურა. ყველაფერი ისე

მიდიოდა, რომ ჩვენ ყველაზე სუსტ ჯგუფად დავსახელდებოდით... თუმცა მოსვლიდან 2 თვის შემდეგ, ყველაფერი ჩვენდა საბედნიეროდ, პირიქით დატრიალდა. მახსოვს ჩვენი სერჟანტის სიტყვებიც: “ან იქნებით საუკეთესოები, ან საერთოდ არ იქნებით”. ეს ჰგავდა გამოთქმას: “ან ყველაფერი, ან არაფერი!” ჩვენ კი ყველაფერი ავირჩიეთ. ჰოდა, დავიწყეთ! კლასის ხელმძღვანელისა და პედაგოგების დახმარებით ყველა ბარიერი დავძლიეთ, ყველა სირთულეს გავუმკლავდით. მათ ჩვენი შესაძლებლობების სჯეროდათ. ამან მოტივაცია მოგვცა. ჯგუფში ყველა ერთმანეთს ვეხმარებოდით, ვსწავლობდით, ვვარჯიშობდით... ჩვენ ვგრძნობდით, რომ ერთი გუნდი ვიყავით - კადეტები, მასწავლებლები, სერჟანტ-ინსტრუქტორები და ერთ საქმეს ვაკეთებდით. წლის ბოლოს არათუ დავიშალეთ, არამედ საუკეთესო შედეგი დავდეთ. გვყავდა ბევრი მაღალი აკადემიური მოსწრების კადეტი და ოქროსა და ვერცხლის მედლის კანდიდატები, ყველაზე მეტი 300 ქულიანი ფიზოზე, გვქონდა ყველაზე ცოტა საშემოდგომო... ჩვენ, ჯგუფმა ეს ერთად შევძელით და გადავლახეთ ყველა დაბრკოლება, რომელიც მანამდე სასწაულად გვეჩვენებოდა. პირველი ორი თვე ყველაზე სუსტები ვიყავით, ბოლოს კი კურსზე ყველაზე საუკეთესონი. ეს ტიტული კი მესამე წელია ვერავინ წაგვართვა. ეს არის ერთ-ერთი მაგალითი იმისა, რომ, რაც არ უნდა მოხდეს ცხოვრებაში, არ უნდა დავნებდეთ, უნდა ვიბრძოლოთ! მე ვამაყობ რომ ამ ჯგუფის წევრი ვარ!

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მესამე სასწავლო კურსის მეორე სასწავლო ჯგუფის კადეტი ივანე კაპანაძე:

ლიცეუმის საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, არა მხოლოდ საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა გვევალება, არამედ ეროვნულ ოლიმპიადებსა და კონფერენციებში მონაწილეობა. მათემატიკისა და ინფორმატიკის საგნობრივ ოლიმპიადებში გამარჯვებას, მიზანდასახული შრომითა და საგნის სიყვარულით მივალწიე. ალბათ, ძალიან გამიჭირდებოდა, რომ არა ჩემი მასწავლებლების მზრუნველობა და საქმისადმი პასუხისმგებლობა.

სწორედ მათმა პროფესიონალიზმმა და მოტივაციამ მიმიყვანა წარმატებამდე. ამისთვის გულწრფელი მადლობა მათ. ჩემთვის დაუვიწყარია ის მომენტი, როცა გახარებულმა მასწავლებელმა კლასის კარები შემოაღო და გამარჯვება მომილოცა, რაც მოულოდნელი იყო ჩემთვის. ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ჩემს ცხოვრებაში. მოკლედ, გამარჯვება, სწავლის სიყვარულმა, ჩემი და ჩემი მასწავლებლების ერთობლივმა თავდაუზოგავმა შრომამ შემადგინა.

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მესამე სასწავლო კურსის მეორე სასწავლო ჯგუფის კადეტი გიორგი ბრუნჯაძე:

წარმატება არ არის უნივერსალური აზრი და იგი ყველა პიროვნების მიერ შინაგანი თვალსაწიერისა და მსოფლმხედველობის ინდივიდუალური თამასით იზომება. მაგალითად, ვიღაცისათვის წარმატება შეიძლება რომელიმე კონკრეტულ საგანში მიღებული მაღალი აკადემიური შეფასება ან რაიმე საქმის ხარისხიანად შესრულება იყოს, ჩემთვის კი წარმატება ჩემ ირგვლივ მყოფ ჩემს თანაჯგუფელებსა და მასწავლებლებში ჩემ მიმართ არსებული ნდობა და პატივისცემაა, რომელსაც შემდგომში ემყარება ურთიერთდახმარება და გვერდით დგომა, რომელიც გვეხმარება, დავძლიოთ ნებისმიერი გამოწვევა და სირთულე, როგორც აკადემიურ, ასევე პირად ცხოვრებაში. ბევრს ვკითხულობ, მათ შორის ფსიქოლოგიური ხასიათის ნაშრომებსაც, შემდეგ მასწავლებლებთან (ე. კობრიძე, თ.მარდალეიშვილი) ვსაუბრობ ამ საკითხებზე. უნდა ვთქვა, რომ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი - ინდივიდუალიზმის შენარჩუნება, აღიარება და ჩემი შესაძლებლობების მდგრადი განვითარება გუნდურობასთან შერწყმული უდიდესი მონაპოვარია, რაც ჩემს თავდაპირველ არჩევანს ჩამეზარებინა კადეტთა სამხედრო ლიცეუმში მყარად ადასტურებს.

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მესამე სასწავლო კურსის მეორე სასწავლო ჯგუფის კადეტები იური ხურციძე / თეიმურაზ თარგამაძე:

როგორ შევქმენით საუკეთესო ჯგუფი? თითოეულ ჩვენგანს გათვითცნობიერებული ჰქონდა, რომ ჯგუფის წარმატების გზა კადეტის ინდივიდუალურ განვითარებაზე გადიოდა. ჩვენი ჯგუფის ინსტრუქტორი, უფროსი სერჟანტი ლაშა ლორია, ჩვენთან საუბრისას ხშირად იყენებდა ფრაზას „როგორი ძლიერიცაა ჯგუფის ყველაზე სუსტი კადეტი, ისეთია მთლიანად ჯგუფი“. ამ სიტყვებმა შთაგვაგონა, რომ გაგვევითარებინა არა მარტო ჩვენი თავი, არამედ დავხმარებოდით ერთმანეთს.. მაგალითად, ისეთ კადეტს, რომელსაც უჭირდა მათემატიკური ამოცანების გააზრება, მათემატიკაში ძლიერები ეხმარებოდნენ, ხოლო, ვისთვისაც ისტორიული საკითხები იყო რთულად გასაგები და ბუნდოვანი, ისტორიის კარგად მცოდნე კადეტები ცდილობდნენ მარტივი ენით გაეხადათ გასაგები მისთვის. ასე ვცდილობდით ჯგუფის აკადემიური მოსწრების ამაღლებას. ჯგუფის წევრს, რომელსაც საკმარისი ენერჯია აღარ ჰქონდა ფიზიკური ნორმატივების ჩასაბარებლად, გვერდიგვერდ მივყვებოდით და სხვადასხვა შეძახილით ვამხნევებდით და არ ვაძლევდით დანებების საშუალებას. რაც შეეხება დისციპლინას, დღესაც ჩვენივე ინიციატივით ხშირად ვიკრიბებით და განვიხილავთ, თუ რა და როგორ იქნება უკეთესი ჯგუფისთვის, ვუზიარებთ აზრებს, რჩევებს ვაძლევთ ერთმანეთს და, რაც მთავარია, ამ რჩევებს ვითვალისწინებთ. გუნდურ მუშაობას და ურთიერთგაგებას ყოველთვის მოაქვს შედეგი, რაც გამოიხატა იმაში, რომ ჩვენს ჯგუფს აქვს კურსების მიხედვით სამი წლის განმავლობაში საუკეთესო ჯგუფის ტიტული, საუკეთესო აკადემიური მოსწრება და ლიცეუმის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფიზიკური მომზადება.

ჩვენ ვვითარდებით არა მარტო ფიზიკურად, არამედ, უპირველეს ყოვლისა, გონებრივად. ჩვენი ჯგუფი გახდა ინტელექტუალური თამაშის “რა? სად? როდის?” ლიცეუმის ჩემპიონი. ჩვენი მიზანია იყო საუკეთესო ოფიცერი გონებრივად, ფიზიკურად, ინტელექტუალურად ძლიერი - და ამ ყოველივეს ეთაში

ვსრულყოფთ. სულ მალე გვიხილეთ თქვენი გუნდის წევრებად.

დასკვნა

სისპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ერთი კონკრეტული ჯგუფის მაგალითზე დავინახეთ, რომ წარმატების მიღწევისათვის გადამწყვეტ როლს ასრულებს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: გუნდურობა, მაღალი მოტივაცია, მიზანდასახულობა, შრომისმოყვარეობა, თვითაქტუალიზაცია, საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, ლიცეუმის დირექციისა და კოლექტივის კოორდინირებული მუშაობა, შესაბამისი განყოფილებების, სერჟანტ-ინსტრუქტორებისა და პედაგოგების აქტიური ჩართულობა, მიზნობრივი პროგრამებისა და წამახალისებელი აქტივობების განხორციელება. გავერთიანდით რა ერთი საერთო მიზნისათვის, მაქსიმალურად გავითვალისწინეთ ჩვენი კადეტების შესაძლებლობანი და შევძელით შეგვექმნა “ფორმულა“, რომელმაც წარმატებამდე მიიყვანა ინდივიდებისაგან შემდგარი მთელი ჯგუფი. უფრო კონკრეტულად კი განათლების ფსიქოლოგების სხვადასხვა თეორიული მიგნებების პრაქტიკული ტრანსფერის შედეგად ჩვენს მიერ შემუშავებული ფორმულა წარმატების მისაღწევად შემდეგნაირად გამოიყურება:

საერთო მიზანი + ინდივიდთა მაქსიმალური შესაძლებლობანი = წარმატებას.

გამოყენებული ლიტერატურა

- ვულფოლკი, ა. განათლების ფსიქოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009;
- Bandura, A. Self-efficacy: The exercise of control. W H Freeman/Times Books/ Henry Holt & Co. 1997;
- Deci, E. L., Vallerand, R. J., Pelletier, L. G., & Ryan, R. M. Motivation and education: The self-determination perspective, Educational Psychologist, 26(3-4), 325-346, Lawrence Erlbaum Associates, Inc. 1991;
- Graham, S., & Weiner, B.. Theories and principles of motivation. In D. C. Berliner & R. C. Calfee (Eds.), Handbook of educational psychology (pp. 63-84). Macmillan Library Reference Usa; Prentice Hall International. 1996;
- Hickey, Daniel, T. A new perspective for evaluating innovative science programs, Wiley Periodicals, Inc 2003;
- Lave & Wenger, Situated Learning: Legitimate Peripheral Participation. Cambridge: Cambridge University Press. 1991;
- Maslow, A. H. (1968). Toward a psychology of being (2nd ed.). D. Van Nostrand;
- Pressley, M., & Afflerbach, P. Verbal protocols of reading: The nature of constructively responsive reading. Lawrence Erlbaum Associates, Inc. 1995;
- Rogers, C., Freiberg, H. Jerome, Freedom to Learn, Merrill, 1994;
- Rogoff, Turkianis & Bartlett, Learning together: Children and adults in a school community, Oxford University Press. 2001;
- Wenger, E. Communities of practice: Learning, meaning, and identity. Cambridge University Press. 1998;
- Winne, P. H. Feedback and self-regulated learning: A theoretical synthesis. Review of Educational Research, 65(3), 245-281, 1995.

დისტანციური განათლების განვითარება საქართველოში: სისტემური პოლიტიკისა და ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი ასპექტები

თათია კალანდაძე

არასამთავრობო საქველმოქმედო ორგანიზაცია “მაკ ჯორჯია”,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
განათლების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების და მასზე მისაწვდომობის სწრაფი ზრდის პარალელურად, უფრო და უფრო პოპულარული და პრიორიტეტული ხდება დისტანციური სწავლების მეთოდი. ამ ფონზე, უნდა ითქვას, რომ საქართველოში დისტანციური განათლების გრძელვადიან პერსპექტივაში, განვითარების საკითხი ჯერ კიდევ არ გამხდარა აქტიური ინტერესის საგანი და უმაღლესი განათლების პოლიტიკის პრიორიტეტი, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ არ გადადგმულა მნიშვნელოვანი ნაბიჯები მეთოდის პრაქტიკული დანერგვის თვალსაზრისით. რაც მთავარია, არ არსებობს დისტანციური განათლების განვითარების პოლიტიკის ერთიანი ხედვა და სტრატეგია. ამასთან, არსებული საკანონმდებლო რეგულაცია არ იძლევა შესაძლებლობას სწავლების ამ ფორმატის სათანადო განვითარებისთვის. ასევე, არ არის შემუშავებული დისტანციური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დისტანციური საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტები). შესაბამისად, მიუხედავად მზარდი საჭიროებისა, დისტანციური სწავლების მეთოდს ჯერ კიდევ უმნიშვნელო ადგილი უჭირავს უსდ-ების საგანმანათლებლო პროგრამებში. დასმული პრობლემის გათვალისწინებით, წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს: 1. შევსაფასოთ და გავანალიზოთ დღევანდელი ვითარება დისტანციური განათლების განვითარების თვალსაზრისით; სისტემური პოლიტიკის დონეზე არსებული პრობლემები და ხელისშემშლელი ფაქტორები, რაც აფერხებს დისტანციური სწავლების კომპონენტის დანერგვას; 2. ვიმსჯელოთ დისტანციური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამომავლო პერსპექტივებზე; დისტანციური საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტების დანერგვის ფორმებსა და შესაძლებლობებზე. შეგროვებული მონაცემების გაანალიზების შედეგად იკვეთება, რომ საქართველოში დისტანციური სწავლების კომპონენტი დღესდღეობით მართლაც ნაკლებად განვითარებულია და უმნიშვნელო ადგილი უჭირავს საუნივერსიტეტო სწავლების პროცესში. გლობალურ საგანმანათლებლო კონტექსტში დისტანციური სწავლების როლის გათვალისწინებით, არსებითი მნიშვნელობა აქვს სწორი პოლიტიკის შემუშავებას და ქმედითი ნაბიჯების გადადგმას სწავლების ამ ფორმის მეტად განვითარებისთვის. მოპოვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია ძირითადი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება სასარგებლო იქნება როგორც პოლიტიკისა და ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტის შემუშავებლებისთვის, ასევე უნივერსიტეტებისთვის.

საკვანძო სიტყვები:

დისტანციური განათლება, ელექტრონული სწავლება, ხარისხის უზრუნველყოფა, აკრედიტაციის სტანდარტი, უმაღლესი განათლება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (უსდ).

Development of Distance Education in Georgia: Key Aspects of Systemic Policy and Quality Assurance

Tatia Kalandadze

Non-Governmental Charitable Organization “Mac Georgia”,
Ilia State University,
Student of the PhD Program in Education

Abstract

In recent decades, along with the development of information technology and the rapid growth of access to it, distance learning has become more and more popular and prioritized. On the contrary, it should be said that interest in the long-term development of distance learning in Georgia is still insufficient and it is not a priority of higher education policy. This is confirmed by the fact that no significant steps have been taken in terms of practical implementation of the method. Most importantly, there is no unified vision and strategy for the development of distance education policy. Moreover, the current Georgian legal regulation does not provide an opportunity for the proper development of distance learning. Distance education quality assurance mechanisms (accreditation standards for distance education programs) have also not been developed. Therefore, despite the growing need, the distance learning method still has an insignificant role in the educational programs of higher education institutions. Considering the research problem, the goal of this research is: 1. To evaluate and analyze the current situation in terms of the development of distance education; existing problems and hindering factors at the level of systemic policy, which prevent the implementation of the distance learning component; 2. To discuss the future perspectives of distance education quality assurance; Forms and possibilities of introducing program accreditation standards for distance education programs. As a result of the analysis of the collected data, it is clear that the component of distance learning in Georgia today is really less developed and has an insignificant role in higher education programs. Considering the role of distance learning in the global educational context, it is essential to develop an effective policy and take efficient steps for its further development. Based on the analysis of the obtained data, the main recommendations have been developed, which will be useful for policy and quality assurance standard developers as well as for universities.

Keywords:

Distance education, E-learning, Quality assurance, Accreditation standard, Higher education, Higher educational institution (HEI).

შესავალი

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების და მასზე მისაწვდომობის სწრაფი ზრდის პარალელურად, უფრო და უფრო პოპულარული და პრიორიტეტული ხდება დისტანციური სწავლების მეთოდი. დისტანციური სწავლება განსაკუთრებით აქტუალური გახდა ყველასთვის COVID-19 პანდემიის პერიოდში, რადგან უკლებლივ ყველა სასწავლო დაწესებულებას იძულებით მოუხდა სწავლების დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა. ცხადია მნიშვნელოვანია ის გამოცდილება, რომელიც პანდემიის პერიოდში დაგროვდა, თუმცა განვითარებულმა ქვეყნებმა ბევრად ადრე დაიწყეს სწავლების ამ ფორმის განვითარებაზე ზრუნვა. რადგანაც, ამკარაა დისტანციური სწავლების საჭიროების, დღითიდღე მზარდი გავლენა უმაღლესი განათლების პოლიტიკაზე; დღესდღეობით მსოფლიოში არათუ დისტანციური სასწავლო კურსები და პროგრამები, არამედ უკვე სრულად დისტანციური უნივერსიტეტებიც კი არსებობს და მათ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ტრადიციული უნივერსიტეტების გვერდით, მაგალითად: დასავლეთის მმართველთა უნივერსიტეტი (Western Governors University), შვეიცარიის დისტანციური სწავლების უნივერსიტეტი (Swiss Distance Learning University), გაერთიანებული სამეფოს ღია უნივერსიტეტი (The Open University UK) და ა.შ. დისტანციურ უნივერსიტეტებში ჩვეულებრივ ფუნქციონირებს აკრედიტებული საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებიც კი და მათ მიერ გაცემული დიპლომების აღიარებაც ხდება.

დისტანციური სწავლების ფორმის ფართოდ გავრცელების პარალელურად, დღის წესრიგში დადგა დისტანციური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხი. რადგანაც სწავლების ეს ფორმა, ტრადიციული დასწრებულ ფორმისგან განსხვავებული სპეციფიკით ხასიათდება და შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებისა და სტანდარტების შემუშავება/დანერგვას საჭიროებს, რათა მისი მეშვეობით შესაძლებელი იყოს თანამედროვე უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემების მიერ დასახული მიზნების მიღწევა.

შესაბამისად, მსოფლიოს მასშტაბით უკვე არაერთი ასოციაცია არსებობს რომელთა საქმიანობაც მიმართულია დისტანციური განათლების განვითარებაზე და ხარისხის სტანდარტის გაუმჯობესებაზე. ისინი ახორციელებენ დისტანციური უნივერსიტეტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას. ასეთი ასოციაციებია, მაგალითად: დისტანციური განათლების აკრედიტაციის კომისია (Distance Education Accrediting Commission - DEAC), ონლაინ, დისტანციური და შერეული სწავლის აკრედიტაცია (Online, Distance and Blended Learning Accreditation - ASIC), დისტანციური სწავლის ევროპული ასოციაცია (European Association for Distance Learning - EADL) და ა.შ.

ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების სიმრავლისა და მრავალფეროვნების და უმაღლესი საგანმანათლებლო კონტექსტების განსხვავებების ფონზე, ასევე რამდენადმე მრავალფეროვანია, თუმცა დიდწილად ურთიერთგადამფარავია დისტანციური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები. სტანდარტები განსაზღვრულია სხვადასხვა განზომილებებზე დაყრდნობით, რომელთა მიხედვითაც ხდება საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება (აკრედიტაცია)¹ მაგალითად, ამერიკული სააკრედიტაციო სააგენტოს - DEAC აკრედიტაციის სტანდარტი, რომელიც მოიცავს 12 განზომილებას:

1. დაწესებულების მისია;
2. ინსტიტუციური ეფექტიანობა და სტრატეგიული დაგეგმვა;
3. პროგრამის შედეგები, სასწავლო პროგრამა და მატერიალური რესურსები;
4. საგანმანათლებლო და სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები;
5. სტუდენტთა მიღწევები და კმაყოფილება;
6. აკადემიური ხელმძღვანელობა და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია;
7. რეკლამა, პრომოუშენი და სტუდენტთა შერჩევაზე პასუხისმგებელი პერსონალი;
8. მიღებისა და ჩარიცხვის პროცედურები;
9. ფინანსური შედეგები და თანხის დაბრუნების პოლიტიკა;
10. ორგანიზაციული მართველობა;
11. ფინანსური ანგარიშვალდებულება;
12. საგანმანათლებლო შესაძლებლობები, აღჭურვილობა, მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფა და კონტროლი²

სხვადასხვა სტანდარტის შედარების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არ არსებობს დისტანციური საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ერთიანი სტანდარტი. ონლაინ საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის ინდიკატორები ვარიირებს აკრედიტაციის სააგენტოების მიხედვით. თუმცა, შესაძლოა განისაზღვროს ძირითადი საერთო განზომილებები, ამასთან, ზოგიერთი მათგანი მიჩნეულია უფრო მნიშვნელოვან ხარისხის ინდიკატორად, ვიდრე სხვა,³ თუმცა სპეციალისტები თანხმდებიან იმაზე, რომ დისტანციური სწავლების ხარისხის შეფასების სტანდარტი ვერ იქნება დასწრებული სწავლების ხარისხის სტანდარტის აბსოლუტურად იდენტური და გარკვეულ მოდიფიცირებას, დამატე-

1 Benson, 2003; Harroff and Valentine, 2006.

2 Distance Education Accrediting Commission - DEAC. (2018). ACCREDITATION HANDBOOK, POLICIES, PROCEDURES, STANDARDS AND GUIDES. <https://www.deac.org/Seeking-Accreditation/The-DEAC-Accrediting-Handbook.aspx>

3 Shelton, Kaye. A review of paradigms for evaluating the quality of online education programs. Online Journal of Distance Learning Administration 4, no. 1: 1-11. 2011 <https://ojdla.com/archive/spring141/shelton141.pdf>

ბითი კრიტერიუმების შემუშავებას საჭიროებს.⁴

საკვლევი პრობლემა და მისი აქტუალურობა. ამ ფონზე, უნდა ითქვას, რომ საქართველოში დისტანციური განათლების გრძელვადიან პერსპექტივაში განვითარების საკითხი ჯერ კიდევ არ გამხდარა აქტიური ინტერესის საგანი და უმაღლესი განათლების პოლიტიკის პრიორიტეტი, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ არ გადადგმულა მნიშვნელოვანი ნაბიჯები მეთოდის პრაქტიკული დანერგვის თვალსაზრისით (თუ არ ჩავთვლით COVID პანდემიით განპირობებულ იძულებით ღონისძიებებს, რომელიც არასაკმარისი და არამდგრადია, მისი საგანგებო ხასიათის და შემჭიდროებულ ვადებში განხორციელების გამო). რაც მთავარია, არ არსებობს დისტანციური განათლების განვითარების პოლიტიკის ერთიანი ხედვა და სტრატეგია. ამასთან, არსებული საკანონმდებლო რეგულაცია არ იძლევა შესაძლებლობას სწავლების ამ ფორმატის სათანადო განვითარებისთვის. ასევე არ არის შემუშავებული დისტანციური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დისტანციური საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტები).

შესაბამისად, მიუხედავად მზარდი საჭიროებისა სწავლების ეს ფორმა ჯერ კიდევ არ არის განვითარებული სათანადო დონეზე. დისტანციური სწავლების მეთოდს ჯერ კიდევ უმნიშვნელო ადგილი უჭირავს უსდ-ების საგანმანათლებლო პროგრამებში. სულ რამოდენიმე უნივერსიტეტში გვხვდება დისტანციური სასწავლო კურსები, რომლებიც ამა თუ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ტრადიციული სწავლების მეთოდის პარალელურად გამოიყენება, სრულად დისტანციური საგანმანათლებლო პროგრამები არცერთ ქართულ უნივერსიტეტს არ აქვს, ხოლო მათ უმრავლესობაში დისტანციური კურსებიც არ არის დანერგილი და ხშირ შემთხვევაში მათ სათანადო ცოდნაც კი არ აქვთ აღნიშნულ მეთოდთან დაკავშირებით. ასეთივე მდგომარეობაა საკითხის კვლევის თვალსაზრისითაც. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა სულ რამოდენიმე ე.წ. სამეცნიერო-პოპულარული სტატიით შემოიფარგლება, რომლებიც ზოგადად მიმოიხილავენ საკითხს.

დასმული პრობლემის გათვალისწინებით, წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს:

1. შევავსოთ და გავაანალიზოთ დღევანდელი ვითარება დისტანციური განათლების განვითარების თვალსაზრისით; სისტემური პოლიტიკის დონეზე არსებული პრობლემები და ხელისშემშლელი ფაქტორები, რაც აფერხებს დისტანციური სწავლების კომპონენტის დანერგვას;

2. ვიმსჯელოთ დისტანციური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამომავლო პერსპექტივებზე; დისტანციური საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტების დანერგვის ფორმებსა და შესაძლებლობებზე.

კვლევის დიზაინი

საკვლევი პრობლემის შესაბამისად მიზანშეწონილია შემუშავებული კვლევის დიზაინი მოიცავდეს ორ კომპონენტს (საკვლევ მეთოდს):

- სამაგიდე კვლევა. საკვლევ მასალად გამოიყენებულია საქართველოში არსებული საკანონმდებლო რეგულაციები და ასევე არსებული კვლევები საკითხის ირგვლივ;

- ჩაღრმავებული ინტერვიუ. განხორციელდა ინტერვიუ დარგის ექსპერტთან, არსებული ტენდენციების უკეთ გაანალიზების მიზნით, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრის დონეზე, ასევე უმაღლესი სასწავლებლების პერსპექტივიდან). გარდა ამისა, ექსპერტული ხედვის გათვალისწინება მნიშვნელოვანია რეკომენდაციების შემუშავების დროს.

მიღებული შედეგების ანალიზი

უკვე ითქვა, რომ საკითხის ირგვლივ არსებული კვლევები ძალიან მცირე რაოდენობითაა. შესაბამისად, არ არსებობს საფუძვლიანი მეცნიერული ცოდნა იმის შესახებ, თუ რა ვითარებაა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში დისტანციური განათლების დანერგვის კუთხით. ამ მოცემულობაში ძალზედ რთულია გავაკეთოთ საფუძვლიანი დასკვნები ამგვარი მცირე კვლევის ფარგლებში, თუმცა ნაცადია რამდენადმე მნიშვნელოვანი და სამომავლოდ გასათვალისწინებელი დასკვნების გაკეთება არსებული მონაცემების გაანალიზებით.

სახელმწიფო პოლიტიკა. დღესდღეობით არ გვაქვს შემუშავებული დისტანციური განათლების განვითარების ერთიანი სახელმწიფო სტრატეგია. განათლებისა და მეცნიერების 2022-2030 წლების სტრატეგიაში ზოგადად არის ნათქვამი, რომ “მთავრობა ხელს შეუწყობს დისტანციური და ჰიბრიდული სწავლების ინოვაციური მოდელების დანერგვას და განვითარებას. განვითარდება სწავლა-სწავლების ციფრული, ჰიბრიდული და სხვა მოქნილი მოდელები”. თუმცა რაიმე კონკრეტული ხედვა ან სამოქმედო გეგმა ამ მიმართულებით კვლავაც არ შემუშავებულია.

როგორც ექსპერტები ასევე გადაწყვეტილების მიმღები პირები თანხმდებიან რომ ერთიანი სახელ-

4 Esther Huertas, Ivan Biscan, Charlotte Ejsing, Lindsey Kerber, Liza Kozłowska, Sandra Marcos Ortega, Liia Lauri, Monika Risse, Kerstin Schörg, Georg Seppmann. Considerations for quality assurance of e-learning provision. Report from the ENQA Working Group VIII on quality assurance and e-learning. 2018 <https://www.enqa.eu/wp-content/uploads/Considerations-for-QA-of-e-learning-provision.pdf>

მწიფო სტრატეგიის და მკაფიო ხედვის არსებობა აუცილებელია იმისთვის რომ დისტანციური განათლების დანერგვის პროცესი ეფექტურად წარიმართოს და თავიდან აცილებულ ან მაქსიმალურად იქნეს შემცირებული ამასთან დაკავშირებული შესაძლო რისკები. გადაწყვეტილების მიმღებთა მოსაზრებით “დისტანციური სწავლების სპონტანური დანერგვა საქართველოში დიდ რისკებთან არის დაკავშირებული (არსებობს საფრთხე რომ ის იქცევა ყალბი დიპლომების კონვეიერად). ამდენად, ამ თვალსაზრისითაც, მნიშვნელოვანია დისტანციური სწავლების განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება, რომლის ფარგლებშიც ეტაპობრივად მოხდება დისტანციური სწავლების დანერგვა და მისი ხარისხის რეალური უზრუნველყოფა”⁵ საკითხის განხილვისას, ასევე მნიშვნელოვანია საკანონმდებლო რეგულაციები, რომელიც აწესრიგებს დისტანციური სწავლების კომპონენტის გამოყენებას უმაღლეს განათლებაში. ამ კუთხით, პირველ რიგში, საჭიროა ვიმსჯელოთ კანონმდებლობაში არსებულ ტერმინოლოგიისა და დეფინიციის ხარვეზებზე.

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, მე-2 მუხლის, უ1 ქვეპუნქტის მიხედვით:

“ელექტრონული სწავლება - საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი პირებისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე კვალიფიკაციის მისაღებად ორგანიზებული, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი ან მისი ნაწილი, რომელიც არ ითვალისწინებს განსაზღვრულ ადგილზე სტუდენტისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის ერთდროულად ყოფნას”.

ასევე, 2020 წლის ივნისში პანდემიით განპირობებული გამოწვევების საპასუხოდ, უმაღლესი განათლების შესახებ კანონში მე-2 მუხლს დაემატა 32 ქვეპუნქტი, დისტანციური სწავლების შესახებ, რომლის მიხედვითაც:

“დისტანციური სწავლება – საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უმაღლესი განათლების ნებისმიერ საფეხურზე უმაღლესი განათლების მისაღებად ორგანიზებული, დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით წარმართული, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი ან მისი ნაწილი, რომელიც არ ითვალისწინებს განსაზღვრულ ადგილას სტუდენტისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის ერთდროულად ყოფნას”.

კანონში არსებული ჩანაწერების მიხედვით, ორივე ტერმინით “ელექტრონული სწავლება” და “დისტანციური სწავლება” აღნიშნულია სწავლების ფორმა, რომელიც “არ ითვალისწინებს განსაზღვრულ ადგილზე სტუდენტისა და უსდ-ის პერსონალის ერთდროულად ყოფნას.” თუმცა სინამდვილეში ეს დეფინიცია შეესაბამება დისტანციურ სწავლებას. ხოლო ელექტრონული სწავლება არის სწავლება ტექნოლოგიების გამოყენებით, ამასთან ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლება შეიძლება ხორციელდებოდეს როგორც დისტანციურად, ასევე სასწავლო დაწესებულებაში ყოფნის შემთხვევაშიც. სხვა სიტყვებით, დისტანციური სწავლების ფორმის არსის განსაზღვრისას მთავარია არა ელექტრონული დამხმარე საშუალებების გამოყენების საკითხი, არამედ კომუნიკაციის ფორმის საკითხი ანუ ის, რომ კომუნიკაციის ფორმა არის დისტანციური და აუცილებლობით გულისხმობს, რომ სუბიექტები ერთ განსაზღვრულ ადგილას არ იმყოფებიან. ხოლო ელექტრონული სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესში ელექტრონული დამხმარე საშუალებების გამოყენებას, ეს შეიძლება იყოს სტუდენტის და მასწავლებლის განსაზღვრულ ადგილზე ერთდროულად ყოფნის შემთხვევაშიც და დისტანციური ფორმის შემთხვევაშიც.⁶

გარდა თავად ტერმინების დეფინიციის ხარვეზისა, მნიშვნელოვანია ვიმსჯელოთ კანონმდებლობაში განსაზღვრული რეგულაციების კუთხით არსებულ ხარვეზებზე. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (მუხლი 2, უ1 და მუხლი 47.4.4) მნიშვნელოვნად ზღუდავს დისტანციური სწავლების შესაძლებლობას. უფრო კონკრეტულად, შემზღუდველია კანონში არსებული შემდეგი ორი ჩანაწერი:

- რომელიც ადგენს, რომ ელექტრონული სწავლებით (არსებითად იგულისხმება დისტანციური სწავლება) სარგებლობის უფლება აქვთ მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ პირებს (მუხლი 2, უ1) ანუ გარდა იმისა, რომ ელექტრონული სწავლებით ვერ ისარგებლებენ საქართველოს ტერიტორიაზე არმყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეები, ასევე ვერ ისარგებლებენ ვერც ქართულ უსდ-ებში ჩარიცხული საქართველოს მოქალაქე სტუდენტები, ქვეყნის საზღვრებს გარეთ ყოფნის შემთხვევაში.

- რომელიც ადგენს, რომ ელექტრონული სწავლების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში (მუხლი 47.4.4) ანუ ელექტრონული სწავლების გამოყენება არ არის დაშვებული დოქტორანტურის საფეხურზე, რაც ცალსახად არაგონივრული შეზღუდვაა. პირიქით, შესაძლოა დოქტორანტურის საფეხურზე უფრო მეტად მიზანშეწონილიც კი იყოს დისტანციური სწავლების ფორმით სასწავლო პროცესის ან მისი ნაწილის

5 განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, 2018.

6 Esther Huertas, Ivan Biscan, Charlotte Ejsing, Lindsey Kerber, Liza Kozłowska, Sandra Marcos Ortega, Liia Lauri, Monika Risse, Kerstin Schörg, Georg Seppmann. Considerations for quality assurance of e-learning provision. Report from the ENQA Working Group VIII on quality assurance and e-learning. 2018 <https://www.enqa.eu/wp-content/uploads/Considerations-for-QA-of-e-learning-provision.pdf>

ლალი, ბაქრაძე. ახალი საგანმანათლებლო რეალობა. ტერმინები, გამოწვევები, რეკომენდაციები. Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი. 2020 <https://bit.ly/3NYYsWT>

წარმართვა.

ექსპერტთა მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც ჯერ კიდევ დაბალია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერესი დისტანციური სწავლების მიმართ, ამგვარი საკანონმდებლო შეზღუდვები უარყოფითად აისახება სწავლების ამ ფორმის განვითარებაზე. ამავე დროს, განვითარებული ქვეყნების პრაქტიკები აჩვენებს, რომ დისტანციური განათლება უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია და მისი განვითარება, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდის და ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ხარისხის უზრუნველყოფა. რაც შეეხება დისტანციური განათლების ხარისხის უზრუნველყოფას, აქ მნიშვნელოვანია ორი საკითხი: 1. ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების განსაზღვრა ქართული უსდ-ებისთვის და 2. უცხოეთში დისტანციური სწავლების ფორმით მოპოვებული კვალიფიკაციების აღიარება.

როგორც აღვნიშნეთ, ჯერჯერობით არ გვაქვს შემუშავებული დისტანციური განათლების ხარისხის შეფასების სტანდარტები, რაც უარყოფითად აისახება სწავლების ამ ფორმის განვითარებაზე. “საქართველოს კანონმდებლობა განათლების სფეროში არ კრძალავს სასწავლო პროცესში დისტანციური სწავლების მოდელებისა და ონლაინ კურსების გამოყენებას, თუმცა სტანდარტების არარსებობის პირობებში, დისტანციური სწავლების მოდელზე აგებული პროგრამები და კურსები აკრედიტაციას ვერ გაივლის. საქართველოს კანონმდებლობით უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში სტუდენტს დაფინანსება მხოლოდ აკრედიტირებულ პროგრამებზე მიყვება, ასევე სტუდენტს კრედიტებში არ ჩაეთვლება დისტანციური კურსი. შესაბამისად, უმაღლესი სასწავლებლები არ არიან დაინტერესებულნი ამგვარი მოდელების შემუშავებით”.⁷ COVID პანდემიის პერიოდში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მიერ განხორციელდა გარკვეული სამუშაო ამ მიმართულებით, რაც მაგალითად მოიცავდა რეკომენდაციების შემუშავებას ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ “რეკომენდაციების გათვალისწინება დაეხმარება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეინარჩუნონ უმაღლესი განათლების ხარისხი ელექტრონული სწავლების პირობებში, COVID-19-ის გავრცელების საფრთხის აღმოფხვრამდე”. შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტი არ წარმოადგენს დისტანციური სწავლების ხარისხის სტანდარტის განსაზღვრელ ჩარჩოს. დოკუმენტი ვერ უზრუნველყოფს დისტანციური სწავლების ხარისხის განვითარებას გრძელვადიან პერსპექტივაში რადგან: 1. ის არის სარეკომენდაციო ხასიათის (მოიცავს გარკვეულ იმ დროისთვის აქტუალურ საკითხებს და შემუშავებულია ე.წ. ხშირად დასმული შეკითხვების ფორმატით) და 2. დოკუმენტი არის ერთგვარი გზამკვლევი, დროებით საგანგებო სიტუაციის პირობებში, სწავლების დისტანციურ რეჟიმზე იძულებით გადასვლასთან დაკავშირებულ სირთულეებთან გამკლავებისთვის.

აგრეთვე, NCEQE-ის დაკვეთით 2020 წელს მომზადდა ანგარიში - ონლაინ და/ან შერეული სწავლისა და სწავლების შეფასების კრიტერიუმები და სახელმძღვანელო პრინციპები. ანგარიში შეიცავს დეტალურად გაწერილ რჩევებსა და რეკომენდაციებს ავტორიზაციის თითოეულ სტანდარტთან მიმართებით. ანგარიშში აღნიშნულია, რომ NCEQE-ს უსდ-ების ავტორიზაციის სტანდარტები შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მოთხოვნებთან და არ ექვემდებარება ცვლილებას ონლაინ და/ან შერეული სწავლებისთვის. ზოგადი კრიტერიუმები ძალაში რჩება და სრულად ვრცელდება ონლაინ და/ან შერეულ სწავლებაზე. ამასთან, დამატებით განსაზღვრულია სპეციალური კრიტერიუმები ონლაინ და/ან შერეული სწავლებისთვის. აღნიშნული სახელმძღვანელო მნიშვნელოვანი და სასარგებლო დოკუმენტია რადგან მოიცავს კონკრეტულად გაწერილ, სასარგებლო და გრძელვადიან პერსპექტივაში გასათვალისწინებელ რეკომენდაციებს ონლაინ სწავლების ხარისხის შეფასებასთან დაკავშირებით. თუმცა ის არის რეკომენდაციული ხასიათის და არ წარმოადგენს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტს. ამასთან ის მოიცავს რეკომენდაციებს მხოლოდ ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებაში და არ მოიცავს პროგრამული აკრედიტაციის ნაწილს.

ექსპერტთა მოსაზრებით მნიშვნელოვანია ხელი შევუწყოთ დისტანციური სწავლების ხარისხის შეფასების მექანიზმების შემუშავებას და დანერგვას, რადგან კონტროლის შესაბამისი მყარი სამართლებრივი მექანიზმების არსებობის შემთხვევაში, დისტანციური სწავლების განვითარება ხელს შეუწყობს ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ინტერნაციონალიზაციას და ნდობის გაზრდას საერთაშორისო მასშტაბით.

“ვფიქრობ, ხელი უნდა შევუწყოთ დისტანციური განათლების დანერგვას საქართველოში ანუ ქართული უმაღლესების მიერ დისტანციური პროგრამების განხორციელებას. თუ ჩვენ ხარისხის უზრუნველყოფის და კონტროლის კარგი მექანიზმები გვქვია, ეს პირიქით, ქვეყნისთვის ალბათ მეტი შემოსავლის მომტანი იქნება, რამდენადაც აქ ჩამოუსვლელად შეძლებენ რომ ჩვენი ქვეყნის დიპლომი მიიღონ” (ექსპერტი).

გარდა იმისა, რომ ქვეყნის შიგნით არ გვაქვს დისტანციური საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე არ ხდება უცხოეთში დისტანციური სწავლების ფორმით მოპოვებული კვალიფიკაციების აღიარება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის №98 ბრძანებაში “საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ”, არსებული ჩანაწერის მიხედვით: “უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება არ გულისხმობს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი 7 განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, 2018.

პირების მიერ უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დისტანციურად მიღებული განათლების აღიარებას, რა დროსაც სასწავლო პროცესი სრულად ან ნაწილობრივ მაინც არ ხორციელდება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე პროფესორ – მასწავლებლისა და სტუდენტის საკონტაქტო საათების ფარგლებში”.⁸

კანონში არსებული ჩანაწერის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დღესდღეობით არათუ არ გვაქვს უცხოური დისტანციური განათლების აღიარების რაიმე მექანიზმი, არამედ კანონმდებლობა პირიქით ზღუდავს ამგვარი განათლების აღიარების შესაძლებლობას, რაც ექსპერტთა მოსაზრებით თავის დროზე განპირობებული იყო უცხოური დისტანციური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული შესაძლო რისკების გადაჭარბებული შეფასებით და საჭიროა, რომ შეზღუდვის ნაცვლათ შევიმუშავოთ აღიარების ეფექტური პოლიტიკა, სწორედ ამგვარი რისკების კონტროლის მექანიზმების გათვალისწინებით.

“მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ 99 წლიდან ლისაბონის კონვენციის ხელმოწერი ქვეყანა ვართ, ეს (ლისაბონის კონვენცია) არის ევროპის რეგიონში უმაღლესი განათლების ფარგლებში მიღებული კვალიფიკაციების ცნობის კონვენცია, რომლის მიხედვითაც, განათლების აღიარების დროს არ შეიძლება განათლების ფორმა იყოს დამაბრკოლებელი, უცხოეთში დისტანციური გზით მიღებული კვალიფიკაციების აღიარება, ჩვენთან არ ხდება” (ექსპერტი).

როგორც ექსპერტები ფიქრობენ, პოლიტიკის შემუშავებელთა ეს გადაწყვეტილება, რომ არსებობდეს შეზღუდვა უცხოეთში დისტანციური ფორმით მიღებული განათლების აღიარების კუთხით, მყარად არგუმენტირებული და დასაბუთებული არ არის. მეტიც, თანამედროვე გლობალური გამოწვევების გათვალისწინებით ეს არამიზანშეწონილი და ქართული უსდ-ებისთვის ხელისშემშლელია, რადგან ეს ინტერნაციონალიზაციის და გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში პოზიციების გამყარების ერთი შესაძლებლობაა.

“უცხოეთში დისტანციურად მიღებული განათლების აღიარების ნაწილშიც შეიძლება რისკების დაბალანსება, თუ ძირითადი ყურადღება აღიარების დროს მიექცევა არა ფორმას, არამედ ხარისხის უზრუნველყოფას; კონკრეტული პროგრამის აკრედიტაციის მექანიზმებს. აქცენტი გაკეთდება პროგრამის შინაარსზე, პროგრამის შემადგენელ ცალკეულ მოდულებზე, მის მოცულობაზე და კვალიფიკაციის არაღიარების შემთხვევაში, ეს დასაბუთდება არა იმით, რომ პროგრამა დისტანციურად ხორციელდებოდა,, არამედ იმით, რომ ის უბრალოდ არ არის ადგილობრივი კვალიფიკაციის შესაბამისი, მისი შედეგებიდან გამომდინარე” (ექსპერტი).

უსდ-ებში არსებული ვითარება. ცხადია სისტემური პოლიტიკის ხარვეზები შესაბამის გავლენას ახდენს უნივერსიტეტებში არსებულ მდგომარეობაზე ამ კუთხით. როგორც აღინიშნა, სულ რამოდენიმე უნივერსიტეტს აქვს დისტანციური სასწავლო კურსები ხოლო დისტანციური პროგრამები არცერთ მათგანს.

მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს დისტანციური სწავლის ცენტრი რომლის მისიაა თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირებით სასწავლო პროცესში უზრუნველყოს სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება. ასევე, გაზარდოს ფართო საზოგადოების ხელმისაწვდომობა დისტანციურ კურსებზე. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს დისტანციური სასწავლო კურსები სხვადასხვა მიმართულებით, რომლებიც განთავსებულია ელექტრონული სწავლების პორტალზე.⁹ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტშიც აგრეთვე ფუნქციონირებს დისტანციური საგანმანათლებლო ვებგვერდი “ონლაინ ილიაუნი”,¹⁰ რომელიც ასევე სთავაზობს მომხმარებელს რამოდენიმე დისტანციურ სასწავლო კურსს. ონლაინ პორტალზე ნებისმიერ მსურველს შეუძლია გაიაროს ონლაინ კურსი მისთვის საინტერესო მიმართულებით. საგანმანათლებლო რესურსები გადანაწილებულია რამდენიმე სექციაში: კურსები, ლექციები, ტუტორიალები, ონლაინ ტელევიზია.

აგრეთვე, კოვიდ პანდემიის პერიოდში ზოგიერთმა უნივერსიტეტმა (თსუ, ალტე უნივერსიტეტი) თავის მხრივ შეიმუშავა ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი, თუმცა აღნიშნული დოკუმენტის მოქმედებას საგანგებო და დროებითი ხასიათი ჰქონდა და არეგულირებდა დისტანციურად სწავლების პროცესს პანდემიის პერიოდში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის დროს. შესაბამისად ისინი არასაკმარისია უნივერსიტეტის დონეზე დისტანციური სწავლების პოლიტიკის განსაზღვრისთვის და საჭიროა უნივერსიტეტებს ჰქონდეთ დისტანციური სწავლების კომპონენტის განვითარების გრძელვადიანი ხედვა და სტრატეგია.

საბოლოო ჯამში, უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ზოგიერთი უნივერსიტეტის მიერ დისტანციური სწავლების განვითარების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯებისა, ეს მაინც არასაკმარისია სფეროში რეალური ცვლილებების მისაღწევად. ექსპერტთა მოსაზრებით, უნივერსიტეტებმა თავის მხრივ, უნდა გააცნობიერონ თავიანთი მნიშვნელოვანი როლი და მეტი ჩართულობის საჭიროება ამ პროცესში.

“რა თქმა უნდა, მათი (უნივერსიტეტების) დაინტერესება უმთავრესია. ეს (ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების განვითარება და უნივერსიტეტების დაინტერესების ზრდა) ერთმანეთთან ბმაშია. მათი მოთხოვნის შესაბამისად განვითარდება ეს მექანიზმები. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს უნდა ჰქონდეთ უნივერსიტეტების მინისტრის ბრძანება #98. 2010 წლის 1 ოქტომბერი. საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1031772>

8 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #98. 2010 წლის 1 ოქტომბერი. საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1031772>

9 <http://e-learning.tsu.ge>

10 <http://online.iliauni.edu.ge>

სებულებებს უნდა ჰქონდეთ ინტერესი იმისა, რომ განახორციელონ დისტანციური პროგრამები, უცხოელი სტუდენტების უფრო მეტი მოზიდვისთვის. განსაკუთრებით კარგი იქნება თუ ეს საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით განხორციელდება და მათ გამოცდილებას გაიზიარებენ” (ექსპერტი).

დასკვნა

კვლევის პროცესში შეგროვებული მონაცემების გაანალიზების შედეგად იკვეთება, რომ საქართველოში დისტანციური სწავლების კომპონენტი დღესდღეობით მართლაც ნაკლებად განვითარებულია და უმნიშვნელო ადგილი უჭირავს საუნივერსიტეტო სწავლების პროცესში. გლობალურ საგანმანათლებლო კონტექსტში დისტანციური სწავლების როლის გათვალისწინებით, არსებითი მნიშვნელობა აქვს სწორი პოლიტიკის შემუშავებას და ქმედითი ნაბიჯების გადადგმას სწავლების ამ ფორმის მეტად განვითარებისთვის.

ჯერჯერობით არ მომხდარა დისტანციური სწავლების სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება, რომელშიც სფეროს განვითარების კონკრეტული მიმართულებები და ნაბიჯები იქნება ასახული. ცხადია, ეს დისტანციური სწავლების განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი შემაფერხებელი ფაქტორია. ასევე პრობლემაა ის, რომ კანონმდებლობაში არის რიგი ხარვეზები ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით და არამიზანშეწონილი შეზღუდვები. აგრეთვე, ერთ-ერთი უმთავრესია ხარისხის უზრუნველყოფის საკითხი. ამ მიმართულებით პრობლემაა ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის შესაბამისი სტანდარტის არარსებობა და უცხოეთში დისტანციურად მოპოვებული კვალიფიკაციების აღიარების მექანიზმის არარსებობა.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ არსებითი მნიშვნელობა აქვს მთელს ამ პროცესებში უსდ-ების სათანადო ჩართულობას რადგან უმაღლესი განათლების ხარისხის რეალური გაუმჯობესება, მხოლოდ უნივერსიტეტების რეალური ჩართულობითა და მათი პერსპექტივის გათვალისწინებით მიიღწევა.

რეკომენდაციები

მოპოვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია ძირითადი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება სასარგებლო იქნება როგორც პოლიტიკისა და ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტის შემუშავებისთვის, ასევე უნივერსიტეტებისთვის.

- საჭიროა შემუშავდეს დისტანციური სწავლების კომპონენტის განვითარების ერთიანი სახელმწიფო სტრატეგია, რომელშიც მკაფიოდ და კონკრეტულად იქნება გაწერილი დარგის განვითარების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები;
- აგრეთვე, გადაწყვეტილების მიმღებთა და უნივერსიტეტების ერთობლივი მუშაობით, ასევე უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით, უნდა განისაზღვროს რისკები რომელიც სწავლების ამ ფორმის დანერგვას შეიძლება ახლდეს თან და ასევე მათი პრევენციისა და დაძლევის ეფექტური მექანიზმები, რათა დისტანციური სწავლების მეთოდის დანერგვამ უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს უმაღლესი განათლების ხარისხზე;
- საჭიროა კანონმდებლობაში განხორციელდეს ცვლილებები, რაც გულისხმობს:

1. “დისტანციური სწავლების” შინაარსობრივ გამიჯვნას “ელექტრონული სწავლებისგან” და თითოეული ამ ტერმინის მნიშვნელობის მკაფიოდ განსაზღვრას: I. დისტანციური სწავლება - სწავლების ფორმა, როდესაც სტუდენტი და უსდ-ის აკადემიური პერსონალი არ იმყოფებიან ერთ სივრცეში, II. ელექტრონული სწავლება - სწავლება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.

2. ცვლილებების განხორციელებას შემდეგი მიმართულებებით: I. ელექტრონული სწავლებით სარგებლობის უფლება მიეცეთ საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ პირებსაც; II. ელექტრონული სწავლების გამოყენება დასაშვებია გახდეს უმაღლესი განათლების სამივე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) საფეხურზე;

- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა უნდა შეიმუშაოს შესაბამისი ავტორიზაციის სტანდარტი და დისტანციური სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტი იმისათვის, რომ:

1. შესაძლებელი გახდეს დისტანციურად განხორციელებული პროგრამების ხარისხის შეფასება და განვითარება,

2. ამ ფორმით განათლების მიღების შემთხვევაში სტუდენტებს არ შეექმნათ დაფინანსებისა თუ კრედიტების აღიარების პრობლემები,

3. გაიზარდოს უნივერსიტეტების დაინტერესება დისტანციური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების კუთხით;

- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, განათლების სამინისტროსთან ერთად, უნდა შეიმუშაოს უცხოეთში დისტანციურად მიღებული განათლების აღიარების ეფექტური პოლიტიკა და მექანიზმი;
- პარალელურად უნივერსიტეტებმა უნდა დაიწყონ მუშაობა დისტანციური სწავლების სტრატეგიისა და დისტანციური სასწავლო პროგრამების ხარისხის შეფასების ეფექტური შიდა მექანიზმის

შესამუშავებლად;

- იმისათვის, რომ თავიდან აცილებულ იქნეს დისტანციური სწავლების მეთოდის დანერგვასთან დაკავშირებული რისკები, თავდაპირველად უნივერსიტეტებმა დისტანციური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება შეიძლება დაიწყონ, ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც მეტად ეფექტური და შედეგიანი იქნება საწყის ეტაპზე. მაგალითად, დისტანციური სწავლების სინქრონული ფორმა, რაც გულისხმობს, რომ ინფორმაციის გამგზავნის და მიმღების კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს ხორციელდება; ან შერეული ფორმა, რომელიც ონლაინ სწავლებასთან აერთიანებს ტრადიციულ პირისპირ სწავლებას;
- მნიშვნელოვანია დაიწყოს მუშაობა დისტანციური სწავლების წამყვან ევროპულ ქსელებში გასაერთიანებლად. ეს დაეხმარება ჩვენს ქვეყანას წარმატებული გამოცდილებებისა და პრაქტიკების გაზიარებაში, უცხოელ ექსპერტებთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარებაში, აამაღლებს დისტანციური სწავლების ხარისხს და გაზრდის საერთაშორისო ნდობას;
- ასევე, სასარგებლო იქნება უსდ-ებმა გამოხატონ დაინტერესება და გადადგან ქმედითი ნაბიჯები უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობისთვის, ერთობლივი დისტანციური სასწავლო კურსების/პროგრამების განსახორციელებლად, რადგან უცხოური გამოცდილების გაზიარება დაეხმარება ქართულ უნივერსიტეტებს ამ მიმართულებით სწრაფი და ეფექტური ცვლილებების მიღწევაში.

გამოყენებული ლიტერატურა

- ალტე უნივერსიტეტი. 2022. ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი. (დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს 2022 წლის 10 მარტის კრების ოქმით). <https://alte.edu.ge/storage/files/18-eleqtronuli-stsavlebis-administrirebis-tsesi.pdf>;
- განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. 2018. დასაქმებული სტუდენტების ხელშეწყობის პოლიტიკა პრაქტიკა, გამოწვევები და რეკომენდაციები;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 2022. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030. <https://www.mes.gov.ge/content.php?id=7755&clang=eng>;
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2020. ბრძანება #67/01-01. 2020 წლის 25 მარტი. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ. <http://old.tsu.ge/ge/juridical/orders/pCSzRNgSDZU18ED/?p=2>;
- ირინე, დარჩია. 2013. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში IV - ხარისხის უზრუნველყოფა. განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი; https://www.tsu.ge/data/file_db/xarixsis_martvis_dep/ganatilebis-politika-4.pdf;
- ლალი, ბაქრაძე. 2020. ახალი საგანმანათლებლო რეალობა. ტერმინები, გამოწვევები, რეკომენდაციები. Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი. <https://bit.ly/3NYysWT>;
- საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. 2020. ონლაინ და/ან შერეული სწავლისა და სწავლების შეფასების კრიტერიუმები და სახელმძღვანელო პრინციპები. დოკუმენტი მოამზადეს: ფიონა კროზიერმა და ანკა გრეერმა. <https://bit.ly/3NHaxiX>;
- საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. 2020. რჩევები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. <https://eqe.ge/ka/page/static/903/rchevebi-institutsiebi-satvis-elektronuli-stsavlebis-khariskhis-uzrunvelqofastan-dakavshirebit>;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #98. 2010 წლის 1 ოქტომბერი. საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1031772>;
- საქართველოს პარლამენტი. 2010. საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/93064>;
- საქართველოს პარლამენტი. (2004). საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830>;
- Angela D. Benson. (2003). Dimensions of Quality in Online Degree Programs. *The American Journal of Distance Education*, 17:3, 145-159. https://doi.org/10.1207/S15389286AJDE1703_2;
- Distance Education Accrediting Commission - DEAC. 2018 ACCREDITATION HANDBOOK, POLICIES, PROCEDURES, STANDARDS AND GUIDES. <https://www.deac.org/Seeking-Accreditation/The-DEAC-Accrediting-Handbook.aspx>;
- Esther Huertas, Ivan Biscan, Charlotte Ejsing, Lindsey kerber, Liza Kozłowska, Sandra Marcos Ortega, Liia Lauri, Monika Risse, Kerstin Schörg, Georg Seppmann. 2018 Considerations for quality assurance of e-learning provision. Report from the ENQA Working Group VIII on quality assurance and e-learning. <https://www.enqa.eu/wp-content/uploads/Considerations-for-QA-of-e-learning-provision.pdf>;
- Pamela Harroff & Thomas Valentine. 2006. Dimensions of Program Quality in Web-Based Adult Education. *American Journal of Distance Education*, 20:1, 7-22, https://doi.org/10.1207/s15389286ajde2001_2;
- Shelton, Kaye. 2011. A review of paradigms for evaluating the quality of online education programs. *Online Journal of Distance Learning Administration* 4, no. 1: 1-11. <https://ojdla.com/archive/spring141/shelton141.pdf> ENQA. 2015. Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education; http://enqa.eu/wp-content/uploads/2015/11/ESG_2015.pdf.

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, როგორც პედაგოგიური კვლევის კომპონენტი, და მისი გამოყენების საშუალებები

თინათინ კროპაძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი,
ალტე უნივერსიტეტის პროფესორი,
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

ქეთევან კვესელავა

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი,
სტუ ინფორმატიკისა და მართვის სისტემების
ფაკულტეტის პროფესორი,
ინფორმატიკის ინჟინერიის აკადემიური დოქტორი

აბსტრაქტი

მოზარდებზე ეფექტური პედაგოგიური ზემოქმედების მისაღწევად, მნიშვნელოვანია მათთვის მეცნიერული ცოდნის მიწოდება პიროვნების გარკვეული ინდივიდუალური მახასიათებლების შესახებ. მახასიათებელთა ობიექტურობა კი, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მეცნიერული და ობიექტური მეთოდებით არის შედეგები მიღებული. ფსიქოლოგიური და პედაგოგიური შემოწმების სპეციფიკა მდგომარეობს მოზარდის განვითარების ფენომენის სისტემატურ ანალიზში.

როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი, თანამედროვე განათლების ზოგადი მიზანია განსხვავებული მახასიათებლების მქონე მოზარდებისათვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემა და მათი განვითარების შემდგომი ჰუმანური მიდგომის პირობების შექმნა.

ჩვენს კვლევაში ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე, რომ საზოგადოების განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე, ნებისმიერ სამეცნიერო სფეროში, პირდაპირ თუ ირიბად, გამოიყენება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევები. დღეისათვის შეუძლებელია უარყო საჭირო ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების განათლების სფეროში გამოყენება. თუმცა, მასწავლებლების ცოდნა თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში და მათი გამოყენება პრაქტიკაში, არასაკმარისია. ამ დრომდე განათლების ფსიქოლოგების ძირითადი იარაღი ქაღალდი და ფანქარია. მიზეზი არის არა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებების არასაკმარისი აღჭურვა კომპიუტერული ტექნიკით, ან მასწავლებელთა გადამზადებისთვის სახსრების ნაკლებობა, არამედ თავად აღმზრდელები, რომლებიც მიჩვეულნი არიან „მკვლევურად“ მუშაობას და არ აქვთ შედარებით თანამედროვე მეთოდების დაუფლების ინტერესი.

ნაშრომში ჩანს, რომ ამ მხრივ, თანამედროვე პირობებში პედაგოგებისთვის კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება განათლების სფეროში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული დიაგნოსტიკა და შესაბამისად, ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მეთოდების დაუფლება. ჩვენ შევეცადეთ თავალსაჩინოდ გვეჩვენებინა, თუ რამდენად აუცილებელია თანამედროვე კომპიუტერული მეთოდების დანერგვა, რაც განსაკუთრებით აადვილებს მიღწევების დონისა და სწავლის დინამიკის რუტინული კონტროლის ამოცანას.

საკვანძო სიტყვები:

განათლება, ფსიქოლოგია, პედაგოგი, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, დისტანციური სწავლება.

Information and Communication Technologies as a Component of Pedagogical Research and Means of Their Application

Tinatin Kropadze

Chief Scientist of the Scientific Research Center
LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Professor at Alte University
PhD in Social Science

Ketevan Kveselava

Chief Scientist of the Scientific Research Center
LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Professor of Department of Informatics and Management Systems,
Georgian Technical University
PhD in Computer Science and Engineering

Abstract

In order to achieve an effective pedagogical impact on the adults, it is necessary to provide them with scientific knowledge about the certain individual characteristics of a person. The objectivity of these characteristics depends on how objective and scientific methods are used to obtain this knowledge. The specificity of psychological and pedagogical testing lies in the systematic analysis of the phenomena of adult development.

It is a common knowledge that the general goal of modern education is to give equal opportunities to adults with different characteristics and to set conditions for finding a humane approach to their further development.

Our study focuses on the fact that the achievements of information and communication technologies are used directly or indirectly in any scientific field, at the current stage of the development of society. Today, it is impossible to neglect the presence of necessary hardware and software tools in the field of education. However, the knowledge of teachers accumulated in modern information and communication technologies as well as its use in practice is insufficient. Paper and pencil are the basic instruments of educational psychologists up to the present day. The reason is not only the insufficient supply of educational institutions with computer equipment or the lack of funds for the training of teachers but also the educators themselves who are used to working in an “old way” and have no interest in mastering relatively modern methods.

The paper demonstrates that, in the contemporary context, diagnosis based on information and communication technologies and therefore, mastering psychological and pedagogical methods is a pressing challenge for teachers in the field of education. We tried to demonstrate clearly how necessary it is to introduce modern computer methods, which specifically facilitates the task of routine control of achievement level and learning dynamics.

Keywords:

ცხრილი 2 - ტ-ტესტი ტიპიური ინტროვერტი - ძლიერად გამოხატული ექსტრავერტი

აღნიშნულ t-test-ში ტიპიურ ინტროვერტსა და ძლიერად გამოხატულ ექსტრავერტს შორის სანდო სტატისტიკურ განსხვავებებს ვხვდებით შემდეგი პარამეტრების მიხედვით: სოციალური განწყობა, თვითშეფასება და სხვათა შეფასება. აღნიშნული შედეგები ადასტურებს ჩვენს ჰიპოთეზებს: ექსტრავერსიისთვის უფრო მაღალი თვითშეფასებაა დამახასიათებელი, ვიდრე ინტროვერსიისთვის, ხოლო

სოციალური განწყობის თვალსაზრისით, ექსტრავერსიისთვის უფრო პოზიტიური ატიტუდია ნიშნობლივი ინტროვერსიასთან შედარებით. ყველა შიდა ჯგუფის t-test-ით კვლევამ არ მოგვცა ერთმნიშვნელოვანი სხვაობები აღნიშნული პარამეტრების მიხედვით, თუმცა ტ-ტესტების ნაწილმა ეს მაჩვენებლები დაადასტურა. ასევე დისპერსიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ექსტრავერსია-ინტროვერსიის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გვაქვს სოციალური განწყობის პარამეტრის მიხედვით. იგივეს ადასტურებს კორელაციური ანალიზიც.

ტიპები	დადებითი კორელაცია	უარყოფითი კორელაცია
ექსტრავერსია- ინტროვერსია	სოციალური განწყობა თვითშეფასება	-

ცხრილი 3 - კორელაციური ანალიზი ექსტრავერსია-ინტროვერსიის მიხედვით

ექსტრავერსია დადებით კორელაციაშია სოციალურ განწყობასთან და თვითშეფასებასთან, ანუ რაც უფრო იზრდება ექსტრავერსიის დონე, მით უფრო იზრდება მათი თვითშეფასება და პოზიტიური დამოკიდებულება სპორტისა და სპორტსმენების მიმართ.

გენდერის ფაქტორის მიხედვით, t-test-ით სანდო მნიშვნელობის განსხვავებები მივიღეთ თვითშეფასების შემდეგი პარამეტრების მიხედვით: პრეტენზიის დონე, სხვათა შეფასება, განსვლა თვითშეფასება-სხვათა შეფასება.

პარამეტრი \ სქესი	მამრობითი	მდედრობითი
სოციალური განწყობა	0.8	0.9
თვითშეფასება	6.1	6.2
პრეტენზიის დონე	7.3	7.6
სხვათა შეფასება	6.3	6.6
განსვლა თვითშეფასება- პრეტენზიის დონე	1.2	1.4
განსვლა თვითშეფასება- სხვები	0.2	0.4

ცხრილი 4 - საშუალოთა გადანაწილება სქესის მიხედვით - T-test

აღმოჩნდა, რომ ქალებისათვის უფრო მაღალი პრეტენზიის დონეა დამახასიათებელი, ასევე სხვათა შეფასების დონე და თვითშეფასებასა და სხვათა შეფასებას შორის განსვლის ხარისხი ქალებთან უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცებთან. ეს შედეგი შესაძლოა იმით იყოს განპირობებული, რომ ქალებისთვის სტერეოტიპულად უფრო მნიშვნელოვანია ვიზუალური, გარეგნობასთან დაკავშირებული მახასიათებლები, ისინი უფრო ზრუნავენ საკუთარ თავზე და მეტ ყურადღებას აქცევენ სხვათა აზრს, სხვათა შეფასებას. გენდერული სტერეოტიპებით თუ ვიმსჯელებთ, თუ ქალები მეტად მზრუნველები და კონტაქტურები არიან, ანუ მეტად არიან ორიენტირებულნი ურთიერთობებზე, ისინი შესაძლოა მეტად იყვნენ დამოკიდებულნი სხვა ადამიანთა აზრზე, რომელსაც სხვებთან კომუნიკაციით მოისმენენ და უფრო მეტად ამყვანებენ კომუნიკაციის პროცესში თვითშეფასების ტენდენციას. ხოლო მამაკაცებში თუ მეტად არის გამოხატული დამოუკიდებლობა და გაბედულება, ისინი უფრო საკუთარ თავზე არიან ორიენტირებულნი და მეტ თვითდაჯერებას ავლენენ, მათთვის ლოგიკურად ნაკლებად აქტუალურია სხვათა შეფასება და მათგან პოზიტიური შეფასების მიღებაზე ზრუნვა. იგივე ტენდენციას გვიჩვენებს კორელაციური ანალიზიც.

ასაკობრივი ფაქტორის მიხედვით, რომელშიც გამოყოფილი გვქონდა სამი ჯგუფი: I – 18-24წწ.; II – 25-50წწ.; III – 51წ. და მეტი, t-test-ით სანდო სტატისტიკური განსხვავება მივიღეთ სოციალური განწყობის

პარამეტრში I და III ჯგუფებს შორის: I – 1,03, II – 0,5. ასევე კორელაციური ანალიზით ასაკი უარყოფით კორელაციაშია სოციალური განწყობასთან, ანუ რა უფრო იზრდება ასაკობრივი კატეგორია, მით უფრო მცირდება პოზიტიური ატიტუდი სპორტისა და სპორტსმენების თემატიკის მიმართ. ეს იმით უნდა იყოს განპირობებული, რომ რაც უფრო დიდი ასაკისაა ადამიანი, მით მეტი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს და უფრო კრიტიკულად აფასებს სოციალურ მოვლენებს, უფრო ფრთხილობს შეფასების პროცესში.

განათლების პარამეტრის მიხედვით გამოყოფილი გვაქვს 3 ჯგუფი: I - საშუალო, II - არასრული უმაღლესი და III - უმაღლესი განათლება. განათლების პირველი და მეორე, ასევე პირველი და მესამე ჯგუფების მიხედვით t-test-ით სანდო სტატისტიკური განსხვავებები მივიღეთ თვითშეფასებისა და სხვათა შეფასების პარამეტრების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ სტუდენტობა და უმაღლესი განათლება მეტ პერსპექტივას სთავაზობს ადამიანს, მას მეტი მოლოდინი აქვს და ალბათობა მაღალია, რომ პროფესიის შესაბამისად დასაქმდება და ანაზღაურებაც მაღალი ექნება. საკუთარი პროფესიისა და საქმიანობის არსებობა ადამიანში თვითკმაყოფილებასა და თავდაჯერებულობას იწვევს. რაც უფრო მაღალია განათლების დონე, მით მეტი შესაძლებლობა აქვს პიროვნებას, გაზარდოს თავისი სტატუსი სოციუმში. განათლებული ადამიანი მეტად დაფასებულია საზოგადოებაში.

დასაქმების პარამეტრში გამოყოფილი გვაქვს ორი ჯგუფი: I - დასაქმებული და II - დაუსაქმებელი ადამიანები. ამ ორ ჯგუფს შორის t-test გვიჩვენებს სანდო სტატისტიკურ განსხვავებას თვითშეფასების პარამეტრის თვალსაზრისით დასაქმებული ადამიანების სასარგებლოდ. აღსანიშნავია, რომ დასაქმება, განათლების მსგავსად, მეტ თავდაჯერებულობასა და თვითკმაყოფილებას იწვევს ადამიანში. დასაქმებული ადამიანი მეტად მოტივირებული და დაფასებულია, მეტი სტიმულითა და ოპტიმიზმით უყურებს ცხოვრებას. საკუთარი საქმიანობის არსებობა უფრო პოზიტიურად აისახება პიროვნების გუნება-განწყობაზე, ცხოვრების ხარისხსა და დამოკიდებულებებზე (განწყობებზე). რაც უფრო დაკავებულია ადამიანი, მით მეტად უჩნდება საკუთარი პიროვნული საჭიროებისა და მნიშვნელოვნების განცდები, რომ მის ცხოვრებას ნამდვილად აქვს აზრი, საზრისი და მიზანი, ის საჭირო და ღირსეული ადამიანია. ლოგიკურ მიმართებასა და ტენდენციას გვიჩვენებს დასაქმების პარამეტრი კორელაციური ანალიზის თვალსაზრისითაც. დასაქმება დადებით კორელაციაშია თვითშეფასებასთან. რა თქმა უნდა, რაც უფრო იზრდება დასაქმების დონე ცდისპირებში, მით უფრო მეტად იზრდება მათი თვითშეფასების დონე. ასევე უარყოფით კორელაციურ კავშირშია შემდეგ კატეგორიებთან: განსვლა თვითშეფასებასა და პრეტენზიის დონეს შორის და განსვლის ხარისხი თვითშეფასებასა და სხვათა შეფასებას შორის. მამასადამე, დასაქმების დონე ამცირებს ნევროტიზმის დონეს და თვითშეფასება-პრეტენზიის დონე-სხვათა შეფასების დონე განსვლის ხარისხს. ამ პარამეტრების განსვლის მაღალი დონე ნევროტიზმთან არის დაკავშირებული და პიროვნების თვითშეფასებისათვის ნეგატიურ როლს ასრულებს, დასაქმება კი, მიღებული მონაცემებით, ამაღლებს თვითშეფასებასა და ამცირებს განსვლის ხარისხს.

აღსანიშნავია, რომ კორელაციური ანალიზით სოციალური განწყობა დადებით კორელაციაშია თვითშეფასებასთან. რაც უფრო პოზიტიურია ატიტუდი სპორტისა და სპორტსმენების მიმართ, მით უფრო იზრდება თვითშეფასების დონე რესპოდენტებში. ეს ტენდენცია დაკავშირებულია იმასთან, რომ რაც უფრო უარყოფითად აფასებენ ადამიანები კონკრეტულ სოციალურ თემატიკას, ე.ი. მეტი კრიტიკულობითა და პრეტენზიულობით გამოირჩევიან გარემოს მიმართ. შესაბამისად, ისინი მეტი თვითკრიტიკულობითა და თვითპრეტენზიითაც უყურებენ საკუთარ თავს, რადგან როგორც თვითშეფასების განმარტებიდან ვიცით, ადამიანი როგორც აფასებს საკუთარ თავს, დაახლოებით ისევე აღიქვამს სხვებს, მათ დამოკიდებულებებს და გარემოს. ეს ზოგადად კრიტიკული და თვითკრიტიკული ადამიანები კი უფრო მეტად ინტროვერტები არიან. თან როგორც ჩვენი კვლევის მონაცემებმა გვიჩვენა, ექსტრავერტებისთვის უფრო მაღალი თვითშეფასებაა დამახასიათებელი, ვიდრე ინტროვერტებისთვის. მამასადამე, სოციალური განწყობის დონის ზრდის შესაბამისად თვითშეფასების დონის ზრდა ექსტრავერსიის პარამეტრთან არის დაკავშირებული. როგორც ექსტრავერსიის სასარგებლოდ იზრდება თვითშეფასება, იგივე ხდება სოციალური განწყობის შემთხვევაშიც.

რაც შეეხება ნევროტიზმის პარამეტრს, ლოგიკურად, t-test-ით სანდო სტატისტიკურ განსხვავებებს ვხვდებით თვითშეფასების, პრეტენზიის დონის და სხვათა შეფასების პარამეტრების თვალსაზრისით.

პარამეტრი	დაბალი	საშუალოზე დაბალი	საშუალო	საშუალოზე მაღალი	მაღალი
თვითშეფასება	6.6	6.4	6.2	6	5.6
პრეტენზიის დონე	7.8	7.7	7.5	7.3	7.6
სხვათა შეფასება	6.6	6.7	6.6	6.3	6.2
განსვლა თვითშეფასება-პრეტენზიის დონე	1.2	1.2	1.3	1.3	1.9
განსვლა თვითშეფასება-სხვათა შეფასება	0.1	0.3	0.4	0.3	0.5

ცხრილი 5 - საშუალოთა გადანაწილება ნევროტიზმის მიხედვით; t-test

აღნიშნული მონაცემები სიმპტომურია, რადგან პირები, მაღალი ნევროტიზმის დონით, ხასიათდებიან ისეთი განცდებით, როგორცაა შფოთვა, შიში, ურთიერთობებში დაუცველობა, დეპრესიული განწყობა და მარტოობა. ისინი ხშირად უფრო მორცხვები და თვითდაურწმუნებლები არიან და გამოირჩევიან დაბალი თვითკონტროლის უნარით. როდესაც ნევროტიზმზე, ნევროტულ სიმპტომატიკაზე თუ აშლილობის ფორმებზე ვსაუბრობთ, აქ ყოველთვის მოიაზრება თვითშეფასების პრობლემატიკა. მონაცემებიდან ჩანს, რომ ნევროტიზმის დონის ზრდა ამცირებს თვითშეფასებას, საკუთარი თავის მიმართ სტაბილურ დამოკიდებულებას, თვითდარწმუნებულობას, თვითეფექტურობას და თვითკონტროლს, ასევე მიღწევის მოტივაციას და სხვათა შეფასების დონეს. კორელაციური ანალიზიც იგივე ლოგიკურ ტენდენციას გვიჩვენებს. ნევროტიზმი დადებით კორელაციაშია თვითშეფასების ნევროტული სტატუსის პარამეტრებთან. ნევროტიზმის დონის ზრდასთან ერთად იზრდება თვითშეფასების პარამეტრებს შორის განსვლის ხარისხები. თვითშეფასების კვლევის მეთოდოლოგიიდან ცნობილია, რომ რაც უფრო მაღალია თვითშეფასება-პრეტენზიის დონესა და თვითშეფასება-სხვათა შეფასების დონეს შორის განსვლის ხარისხი, მით ნაკლები სტაბილურობით გამოირჩევა ადამიანი და მით მეტად შეგვიძლია სურვილებს „ოცნებების ინფლაცია“ ვუწოდოთ. აქვე ვხედავთ, რომ ნევროტიზმი უარყოფითად კორელირებს ისეთ პარამეტრებთან, როგორცაა: თვითშეფასება და სხვათა შეფასება.

დასკვნა

მამასადამე, თვითშეფასებისა და სოციალური განწყობის კვლევა ტიპოლოგიასთან მიმართებაში ადასტურებს ჩვენს ჰიპოთეზებს. ექსტრავერტებისთვის ტენდენციურია უფრო მაღალი თვითშეფასება და პოზიტიური სოციალური ატიტუდი სპორტისა და სპორტსმენების თემატიკის მიმართ.

რაც შეეხება დემოგრაფიულ მონაცემებს, გენდერის ფაქტორის მიხედვით, ქალებში თვითშეფასების უფრო მაღალი პრეტენზიის დონე და სხვათა შეფასების დონეა გამოხატული, რაც გენდერული სტერეოტიპებით შეიძლება აიხსნას. ასაკობრივი პარამეტრი გვაძლევს სხვაობას სოციალური განწყობის თვალსაზრისით. რაც უფრო იზრდება ასაკობრივი კატეგორია, მით უფრო მცირდება პოზიტიური განწყობა სოციალური თემატიკის მიმართ. განათლებისა და დასაქმების პარამეტრების მიხედვით, უმაღლესი განათლება და დასაქმებულობის სტატუსი უფრო მაღალ თვითშეფასებასა და სხვათა შეფასების დონეს გვა-

ძლევს.

ნევროტიზმი კი ლოგიკურად დადებით კორელაციაშია თვითშეფასების ნევროტული სტატუსის პარამეტრებთან: თვითშეფასება-პრეტენზიის დონესა და თვითშეფასება-სხვათა შეფასებას შორის განსვლის ხარისხთან. ხოლო უარყოფითად კორელირებს თვითშეფასებისა და სხვათა შეფასების პარამეტრებთან.

გამოყენებული ლიტერატურა

- ლ. არუთინოვი, ა. გ. 1999 აიზენკის პიროვნების საკვლევი ფსიქომეტრული მეთოდის ადაპტაცია.
დ. უზნაძის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციის თეზისები (გვ. 9-10). თბილისი: “მეცნიერება”;
ბალიაშვილი, მ. 2010 სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი: გამომცემლობა “მწიგნობარი”;
მერაბიშვილი, გ. 1998 ზოგადი და იურიდიული ფსიქოლოგია. თბილისი;
Rogers, C. 2004 On becoming a person. London: Constable&Robinson;
Я. Стюарт, В. Д. 1996 Современный транзактный анализ. Санкт-Петербург.

პრობლემები საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროების უზრუნველყოფაში

ჰენრი კუპრაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

აბსტრაქტი

სტატია ეძღვნება საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროების უზრუნველყოფაში არსებულ პრობლემებს. ნაჩვენებია საკითხის მნიშვნელობა, სირთულე და მისადმი ხელისუფლების მიერ გამოვლენილი გარკვეული უყურადღებობა.

კვლევის მიზანია გაანალიზოს ინფორმაციისა და ფსიქოლოგიური უშიშროების დიალექტიკა, განსაზღვროს საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროების უზრუნველყოფის სისტემის ფორმირების ძირითადი მიმართულებები, ამოცანები, შინაარსი და სტრუქტურა, როგორც ეროვნული უშიშროების ერთიან სისტემაში მისი ქვესისტემის - საინფორმაციო უშიშროების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროება გააზრებულია, როგორც პიროვნების, სხვადასხვა სოციალური ჯგუფისა და ადამიანთა გაერთიანებების დაცვა იმ გავლენისგან, რომელსაც შეუძლია მათი ნებისა და სურვილის საწინააღმდეგოდ შეცვალოს მათი ფსიქიკური მდგომარეობა და ფსიქოლოგიური მახასიათებლები, ქცევა და, შესაბამისად, შეუზღუდოს მათ თავისუფალი არჩევანის უფლება. ინფორმაცია და ფსიქოლოგიური უშიშროება განხილულია, როგორც განუყოფელი სოციალურ-პოლიტიკური ფენომენი, ხოლო ფსიქოლოგიური დაცვის სისტემა - როგორც საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროების უზრუნველყოფის საფუძველი; გაანალიზებულია საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროების ძირითადი საფრთხეები, მათი წყაროები, ინფორმაციისა და ფსიქოლოგიური ზემოქმედების სისტემა; თანამედროვე პირობებში ინფორმაციის მიწოდებისა და ფსიქოლოგიური ზემოქმედების ორგანიზაციული ფორმები, ადამიანებზე მანიპულირების ძირითადი ხერხები და ტექნოლოგიები. საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროება ნიშნავს - სახელმწიფოს უნარს, წინააღმდეგობა გაუწიოს საზოგადოების ცნობიერებაზე მტრული სახელმწიფოს უარყოფით გავლენას.

სტატიაში არგუმენტირებულად დასაბუთებულია, რომ ინდივიდის საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროება არის ეროვნული უშიშროების ერთიან სისტემაში შემავალი საინფორმაციო უშიშროების ქვესისტემის ნაწილი. საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროების მეცნიერული დეფინიცია შესწავლილია, როგორც ინფორმაციულისა და ფსიქოლოგიური უშიშროების გადაკვეთის კრიტიკული სივრცე. აქტუალიზებულია სამეცნიერო წარმოდგენები ინფორმაციული უშიშროებისა და ფსიქოლოგიური საფრთხეების შესახებ. გაანალიზებულია პიროვნების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროების პრობლემისადმი სხვადასხვა მიდგომა: უშიშროება, როგორც პიროვნების პირადი უსაფრთხოების განცდა; მუქარის არარსებობა; საკუთარი თავის მართვის უნარი; სოციალური გამოცდილების ქონა. განსაზღვრული და შედარებულია ფსიქოლოგიური და ინფორმაციული უშიშროების ობიექტები. მიგვაჩნია, რომ საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროების ერთ-ერთი მთავარი საფრთხე არის ფსიქოლოგიური მანიპულაციებით ფარული ფსიქოლოგიური იძულება. მანიპულაციური ხასიათის ინფორმაციულმა და ფსიქოლოგიურმა ზემოქმედებამ ჩვენს საზოგადოებაში მასობრივი ხასიათი მიიღო. საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომის პირობებში პიროვნების ფარული იძულება, როგორც მართვისა და კონტროლის მეთოდი, გამოიყენება ადამიანებს შორის სოციალური ურთიერთქმედების ყველა დონეზე - პიროვნებათშორისი ურთიერთობიდან, ინტერპერსონალური კომუნიკაციიდან - მასობრივ კომუნიკაციამდე და დამახასიათებელია სხვადასხვა კულტურასა და ისტორიულ პირობებში.

ამ მხრივ უაღრესად აქტუალურია ინფორმაციის ფორმირების პროცესისა და საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროების შესწავლა, საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროების არსებითი თავისებურებების გამოვლენა. მიზნის მისაღწევად საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა: საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროების ცნების გარკვევა სოციალური მეცნიერებების პოზიციიდან; პრინციპების, ორგანიზაციული და ფსიქოლოგიური ფაქტორების განსაზღვრა საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროების ფორმირებაში. ფსიქოლოგიური უშიშროების თანამედროვე გაგება ინდივიდის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების ოპტიმალური ბალანსის გათვალისწინების კონტექსტში აყენებს ამ პრობლემის ახალ ასპექტში წარმოჩენას. საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროების, როგორც დამოუკიდებელი მიმართულების გამოყოფა ასევე განპირობებულია იმით, რომ სულიერ სფეროზე ინფორმაციული გარემოს ზეგავლენის პროცესებსა და ტექნოლოგიას აქვს თვისობრივი სპეციფიკა, რაც აუცილებელია ამ საკითხის მეთოდური, მეთოდოლოგიური და კონცეპტუალური განხილვისათვის.

საკვანძო სიტყვები:

ეროვნული უშიშროება, საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროება, მანიპულაცია, საინფორმაციო ომი, საინფორმაციო უშიშროება.

Problems in Ensuring Informational and Psychological Security

Henri Kuprashvili

Professor of the Department of Law and International Relations,
Georgian Technical University
PhD in Political Science

Abstract

The article deals with the existing problems in ensuring informational and psychological security. It also emphasizes the importance and difficulties of the issue as well as the certain government indifference to these difficulties.

The study aims to analyze the dialectics of information and psychological security, to determine the main directions, tasks, content and structure of the formation of the informational-psychological security system as the most important component of its subsystem - information security in the unified system of national security. Information-psychological security is perceived as a protection of individuals, different social groups and associations of people from the influence that can change their mental state, psychological characteristics and behaviour against their will and desire, and therefore, limit their right to free choice. The article discusses information and psychological security as an inseparable socio-political phenomenon, and the system of psychological protection is considered as the basis for ensuring informational-psychological security. The article analyzes the main threats and sources of information-psychological security as well as the system of information and psychological influence. We have discussed organizational forms of information delivery and psychological influence in modern environment and basic ways and technologies of manipulating people. We think that information-psychological security involves the state's ability to resist the negative influence of a hostile state on public consciousness.

The article argues that the informational-psychological security of an individual is a part of the subsystem of informational security included in the unified system of national security. We have studied the scientific definition of informational-psychological security as a critical space of intersection of informational and psychological security. The article updates scientific ideas about information security and psychological threats. We also analyzed different approaches to the problem of informational and psychological security of a person, including security as a person's sense of personal safety; absence of threats; ability to manage oneself and having social experience. In the article, we defined and compared the objects of psychological and informational security. In our opinion, one of the main threats of information-psychological security - hidden by psychological manipulations - is psychological coercion. Informational and psychological influence of a manipulative nature has taken a mass character in our society. In the conditions of information-psychological war, hidden coercion of the person that is a method of managing and controlling people is used at all levels of social interaction between people - from interpersonal relationships, interpersonal communication to mass communication. All of the above mentioned aspects are characteristic of different cultures and historical conditions.

In this regard, it is extremely relevant to study the information formation process and information-psychological security revealing the essential features of information-psychological security. In order to achieve the goal, it is necessary to solve the following tasks: to clarify the concept of informational-psychological security from the standpoint of social sciences and to determine the certain principles as well as organizational and psychological factors in the formation of information-psychological security. The modern understanding of psychological security in the context of optimal balance of the interests of the individual, society and the state leads to presenting this problem in a new aspect. The separation of information-psychological security as an independent direction is also due to the reason that the processes of the impact of the informational environment and technology on the spiritual sphere have qualitative specificity, which is necessary for a methodical, methodological and conceptual discussion of this issue.

Keywords:

National security, Information-psychological security, Manipulation, Information warfare, Information security.

შესავალი

საინფორმაციო ეპოქაში ადამიანები ცხოვრობენ პოსტინდუსტრიული, ინფორმაციული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ახალ, სპეციფიკურ კიბერგარემოში, რომელსაც აქვს საკუთარი კანონები, განვითარებისა და ფუნქციონირების თავისებურებები. დღეს მუდმივი საინფორმაციო კონტაქტის გარეშე შეუძლებელია პიროვნებისა და საზოგადოების ნორმალური განვითარება.

ინფორმაციის ტრანსფორმაცია, მისი სხვადასხვა სახით მოდიფიცირება აქტიურად გამოიყენება პიროვნების ფსიქოლოგიური მანიპულირებისათვის, მისი ქცევის შესაცვლელად. ინფორმაციისა და ფსიქოლოგიური გავლენის სხვადასხვა საშუალებისა და ტექნოლოგიის გამოყენებამ ფართო გავრცელება პოვა ეკონომიკურ კონკურენციასა და პოლიტიკურ ბრძოლაში. საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროების საკითხის გაგება, მისი მოქმედების მექანიზმები და ფსიქოლოგიური დაცვის შესაძლებლობები სცდება თეორიული პრობლემის ფარგლებს და გადადის სოციალურ პრაქტიკაში. ეს ყველაზე აქტიურად და მკაფიოდ ვლინდება არა მხოლოდ ქვეყნის გარე მტრული ძალების ქმედებებში, არამედ პოლიტიკურ ბრძოლაშიც, რომელიც ტრანსფორმირებულია საინფორმაციო-ფსიქოლოგიური დაპირისპირების სხვადასხვა ფორმად.

ინფორმაციულ სფეროში უშიშროების საკითხის აქტუალობა განისაზღვრება მრავალი გარემოებით. თანამედროვე ინფორმაციული და ტექნოლოგიური განვითარების პროცესები ხასიათდება მათი მჭიდრო ინტეგრირებით ყოველდღიურ ცხოვრებაში. განუზომლად იზრდება ადამიანის ფსიქიკისა და ინფორმაციული პროცესების ურთიერთკავშირის ხარისხი. ეს კი განაპირობებს თანამედროვე საზოგადოებაში ურთიერთობების, კომუნიკაციის, ინფორმაციული ურთიერთქმედების როლისადმი, ასევე სხვა სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესებისა და მოვლენებისადმი მიდგომების გადაფასებას არა მარტო ხელისუფლების, არამედ სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლების მხრიდანაც.

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების ფუნქციონირების, ურთიერთობის, ინფორმაციული ურთიერთქმედების განხილვის დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს არა მხოლოდ ახალი მეთოდებისა და ფორმების შემუშავებაზე, სოციალური ურთიერთქმედების, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე, მათ აუცილებლობაზე და, ზოგადად, პოზიტიურ მნიშვნელობასა და გავლენაზე, ერთობლივი საქმიანობის ორგანიზებაზე, სოციალურ მენეჯმენტზე, საზოგადოებისა და ინდივიდის განვითარებაზე, არამედ, პოზიტიურთან ერთად, გათვალისწინებული უნდა იყოს ის გარემოება, რომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო პროცესები შეიძლება იყოს სავსე უშიშროებებით, რომლებიც რეალურ საფრთხეს უქმნის ინდივიდისა და მთლიანად საზოგადოების განვითარებას.

ახალმა გარემოებებმა თვისობრივად შეცვალა ადამიანებს შორის ურთიერთობა, რაც აისახება სოციალური ურთიერთქმედების ყველა დონეზე – პერსონალური კომუნიკაციიდან მასობრივ კომუნიკაციამდე. საკონკურენციო ურთიერთობამ, პოზიტიურ ზეგავლენასთან ერთად, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ინიციატივისა და აქტივობის ზრდამ განაპირობა ფსიქოლოგიური ზემოქმედების მეთოდებისა და ტექნიკის მასობრივი გამოყენება.

საინფორმაციო ეპოქაში ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფა განუყოფლად არის დაკავშირებული საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროების უზრუნველყოფასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამოქმედდება ისეთი საფრთხეების ფორმირების მექანიზმები, რომლებსაც შეუძლია მიიღოს უკონტროლო და შეუქცევადი ხასიათი - საზოგადოების დეგრადაცია და თვით განადგურებაც კი. უშიშროების თანამედროვე გაგებამ, საქართველოს ეროვნული ინტერესების განსაზღვრამ, როგორც ინდივიდის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს დაბალანსებული ინტერესების ერთობლიობამ, ინფორმაციულ სფეროში მათი ოპტიმალური ბალანსის პოვნამ შექმნა საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროების პრობლემის აქტუალიზაციის წინაპირობები. ამ პროცესების მასშტაბის, მოცულობისა და ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფაზე გავლენის ხარისხის გათვალისწინებით, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროების კვლევის მეცნიერული შესწავლა.

სტატის მიზანია სოციალური მეცნიერებების კვლევის ფარგლებში საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემების ანალიზი. კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს შემეცნების დიალექტიკურ თეორიას; პროცესსა და შედეგს შორის ურთიერთკავშირის ზოგად დიალექტიკურ პრინციპებს; მთლიანობის, როგორც მრავალფეროვნების, ერთიანობის ინტერპრეტაციას.

საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ფაქტორის როლის ზრდა ინფორმაციულ ეპოქაში

საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომი არის მოსახლეობაზე ზემოქმედების სხვადასხვა ფორმის, მეთოდისა და საშუალების ერთობლიობა, რათა შეცვალოს ადამიანების ფსიქოლოგიური მახასიათებლები (ხედვები, მოსაზრებები, ღირებულებითი ორიენტაციები, განწყობები, მოტივები, დამოკიდებულებები, ქცევის სტერეოტიპები) სასურველი მიმართულებით, აგრეთვე - ჯგუფური ნორმები, მასობრივი განწყობები, მთლიანად საზოგადოებრივი ცნობიერება.

საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ომში ინფორმაციული იარაღის ზემოქმედების მთავარ ობიექტია ადამიანი, მისი მსოფლმხედველობა. იგი ქვეყნის მოსახლეობის ინდივიდუალურ, ჯგუფურ და მასობრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების გზით არღვევს სულიერ ფასეულობებს. ინფორმაციული იარაღით ზიანის

მიყენებაში მთავარი ფაქტორია ცნობიერებით მანიპულაცია. მანიპულირებაში მოიაზრება, წინასწარ დაგეგმილი შედეგების მისაღწევად, ვინმეზე მიზანმიმართული ზემოქმედება. ეს არის ადამიანების ქცევის მართვის ტექნოლოგია: საზოგადოებრივი აზრის, მასების მისწრაფებებისა და განწყობების (ფსიქიკური მდგომარეობისაც კი) იმდაგვარად დაპროგრამება, რომლის შედეგად მიიღწევა, მათი ისეთი ქცევა, როგორც სჭირდება მანიპულირების საშუალებების მფლობელს.

გამოყოფენ მანიპულირების რამდენიმე ძირითად ნიშან-თვისებას: 1. მანიპულაცია არის სულიერი, ფსიქოლოგიური ზემოქმედების სახე (და არა ფიზიკური ძალადობა ან ძალადობის მუქარა). მანიპულატორის მოქმედების სამიზნეა ადამიანის სულიერი, ფსიქოლოგიური სტრუქტურები; 2. მანიპულაცია არის, ფარული ზემოქმედება, ფაქტი, რომელიც შეუმჩნეველი უნდა იყოს მანიპულაციის ობიექტის მიერ. თუ მანიპულაციის ცდა გამოაშკარავდა და მის შესახებ ცნობა ფართოდ გავრცელდა, მაშინ აქცია სწრაფად წყდება, რადგან ამ ცდის გამოაშკარავების ფაქტს მნიშვნელოვანი ზიანი მოაქვს მანიპულატორისთვის. მთავარი მიზანი კიდევ უფრო მეტად იზიდავება, ისე, რომ თვით მანიპულაციის ცდის გამოაშკარავების ფაქტმა არ გაამჟღავნოს შორსგამიზნული განზრახვა. ამიტომაც ინფორმაციის მიჩუმათება, დამალვა აუცილებელი ნიშან-თვისებაა, თუმცა მანიპულაციის ზოგიერთი ხერხი თავისთავში გულისხმობს გულწრფელობაში თამაშს; 3. მანიპულაცია არის ზემოქმედება, რომელიც მოითხოვს დიდ ცოდნასა და ოსტატობას. რადგანაც საზოგადოებრივი ცნობიერებით მანიპულირება გახდა ტექნოლოგია, გაჩნდნენ ამ ტექნოლოგიებს დაუფლებული პროფესიონალი მუშაკებიც. რიგ ქვეყნებში (რუსეთი, აშშ და სხვ.) არსებობს კადრების მომზადების აწყობილი სისტემა, სამეცნიერო დაწესებულებები, სამეცნიერო ლიტერატურა; 4. ცნობიერებით ყოველგვარი მანიპულაცია ურთიერთქმედებაა. ადამიანი მანიპულაციის მსხვერპლი იმ შემთხვევაში ხდება, თუ იგი მისი თანაავტორი, მისი თანამონაწილეა, ანუ მანიპულაცია განხორციელებულად ჩაითვლება მაშინ, როდესაც ადამიანი მიღებული სიგნალების ზემოქმედებით გარდაქმნის თავის თვალსაზრისს, აზრს, განწყობილებას, მიზნებს და იწყებს მოქმედებას ახალი პროგრამით.

მანიპულირების წარმატებულობის მთავარი პირობა ის არის, რომ უმეტეს შემთხვევაში მოქალაქეთა დიდ უმრავლესობას არავითარი სურვილი არ გააჩნია დაკარგოს დრო, დამაბოს სულიერი და გონებრივი ძალები, რათა ეჭვი შეიტანოს საინფორმაციო გადაცემების ობიექტურობაში. ამას განაპირობებს ის, რომ ბევრად უფრო ადვილია ინფორმაციის აურაცხელ ნაკადში პასიურად ჩაეფლო, ვიდრე დაიწყო ტვინის ჭყლეტა და დრო დაკარგო თითოეული მიღებული სიგნალის კრიტიკულად გადამუშავებისთვის.

ყოველგვარ მანიპულირებას ახასიათებს და მის შინაარსის შემცველია ერთგვარი ფარულობა, ილუზია, უჩინარი მექანიზმი, ცნობიერებაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება, რომლის მიზანია ამა თუ იმ მრწამსის ან შეხედულებების ფორმირება. დასახული ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად და მიზნების მისაღწევად გამოიყენება პოლიტიკური ტექნოლოგიები (მათი ბირთვია - საარჩევნო მეთოდები, რომლებსაც წინასაარჩევნო კამპანიის დროს იყენებენ).

უცხოეთის სპეცსამსახურების მიერ საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომი აქტიურად გამოიყენება საქართველოს შიდაპოლიტიკურ საქმიანობაშიც, როგორც პოლიტიკური ოპონენტების მიერ პროპაგანდისა და სხვა საშუალებების მიზანმიმართული და სისტემატური ზემოქმედება შეხედულებებზე, განწყობებზე, გრძნობებსა და შედეგად - მოწინააღმდეგის ქცევაზე. როგორც პოლიტიკური ურთიერთობების სისტემის კომპონენტი, საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომი წარმოდგენილია ამ სისტემის სხვადასხვა განზომილებაში, ხორციელდება ფსიქოლოგიური ოპერაციებისა და მათი ყველაზე დინამიკური ნაწილის - პოლიტიკური ოპონენტების ერთმანეთზე საინფორმაციო-პროპაგანდისტული დატაკების სახით. ფსიქოლოგიური ომისა და ფსიქოლოგიური ოპერაციების ცნებები, მეთოდები და ტექნოლოგიები აღებულია საგარეო პოლიტიკის, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობებისა და სამხედრო ხელოვნების სფეროდან და გამოყენებულია ქვეყნის შიგნით პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლის სფეროში. აქ ფსიქოლოგიური ომი არ შემოიფარგლება მხოლოდ პოლიტიკურ ოპონენტებს შორის პროპაგანდისტული დაპირისპირებით და ატარებს რთულ და კომპლექსურ ხასიათს. ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიური ომის მიზანია არასასურველი პოლიტიკური ძალების მორალური სულისკვთების შესუსტება, მათი ლიდერების ავტორიტეტის შელახვა, მათი ქმედებების დისკრედიტაცია, საბოლოო ჯამში, ზეწოლა ინდივიდების შეხედულებებსა და, ზოგადად, საზოგადოებრივ აზრზე კონკრეტული მიზნების მისაღწევად.

პროფესიულად ორგანიზებული ფსიქოლოგიური ომის არსი გამოხატულია ჩინელი ფილოსოფოსისა და სამხედრო სტრატეგის, ტრაქტატ „სამხედრო ხელოვნების“ ავტორის **სუნ ძის** (Sun Tzu; ძვ. წ. 544-496) სწავლებებში: გახრწენით ყველაფერი კარგი, რაც შენი მტრის ქვეყანაშია. ჩართეთ დანაშაულებრივ საქმიანობაში მტრის გამოჩენილი ფიგურები. შეარყიეთ მტრის ხელმძღვანელობის პრესტიჟი და შესაფერის მომენტში გამოამჟღავნეთ და წარადგინეთ იგი საზოგადოების გასაკიცხად. ამ მიზნით ითანამშრომლეთ ყველაზე ბილწ, საზიზღარ და უნამუსო ადამიანებთან. გააჩაღეთ ჩხუბი და შეტაკებები თქვენ მიმართ მტრულად განწყობილი ქვეყნის მოქალაქეებს შორის. წააქეხეთ ახალგაზრდობა მოხუცების წინააღმდეგ. ყველა საშუალებით შეუშალეთ ხელი ხელისუფალთ მუშაობაში. ყველანაირად შეუშალეთ ხელი მტრის ჯარების ნორმალურ მომარაგებას და მათში წესრიგის შენარჩუნებას. შებორკეთ მტრის მეომრების ნება სიმღერებითა და მუსიკით. გააკეთეთ ყველაფერი, რომ გაუფასურდეს თქვენი მტრების ტრადიციები და შეირყეს მათი რწმენა საკუთარი ღმერთების მიმართ. გაგზავნეთ ცუდი ყოფაქცევის ქალები, რათა ბოლომდე მიიყვანონ გახრწნის საქმე. იყავით გულუხვი შეთავაზებებსა და საჩუქრებში ინფორმაციისა და თანამზრახველების შესამენად. ზოგადად, ნუ იძუნწებთ ფულსა და დაპირებებში, რადგან მათ შესა-

ნიშნავი შედეგი მოაქვთ.¹

ზოგიერთი ავტორი გვთავაზობს განხილულ იქნას პიროვნების ფსიქოლოგიური უშიშროება, როგორც რთული პიროვნული წარმონაქმნი, რომელიც აერთიანებს მოტივაციურ, შემეცნებით, ემოციურ და ქცევით კომპონენტებს, რომლებიც უზრუნველყოფს ინდივიდის სტაბილურობას გარემო ფაქტორების მიმართ, მათი ფუნქციონირების ოპტიმალურ დონეს და ინტეგრირებული სახით ურთიერთქმედებას სამყაროსთან, სხვა ინდივიდებთან, საკუთარ თავთან.²

ასევე ფართო განხილვის საგანია ფსიქოლოგიურ უშიშროებაში ფსიქიკური ჯანმრთელობის გადამწყვეტი ფაქტორის პრობლემები. **აბრაჰამ მასლოუ**³ (Abraham Maslow) განსაზღვრა ფსიქოლოგიური უშიშროება, როგორც „თვითდაჯერებულობის, უშიშროებისა და თავისუფლების განცდა, რომელიც განასხვავებს შიშსა და შფოთვისა და განსაკუთრებით ახლა (და მომავალში) საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გრძნობას.“⁴

ზოგადად საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომი არის სოციალური, პოლიტიკური, ეთნიკური და სხვა სისტემების ღია და ფარული მიზანმიმართული ინფორმაციული ზეგავლენა გარკვეული უპირატესობის მისაღწევად, რომელიც მიზნად ისახავს მტერზე ინფორმაციული წარმატების მოპოვებას, მისთვის მატერიალური, იდეოლოგიური ან სხვა ზიანის მიყენებას. რისთვისაც ტარდება სხვადასხვა ფსიქოლოგიური ოპერაციები, რომელთა მიზანია: - მოწინააღმდეგის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ინფორმაციის დამახინჯება, ყალბ და უაზრო ცნობად ქცევა და ამით მისთვის მოვლენების ან არსებული სიტუაციის სწორად აღქმისა და სწორი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის წართმევა; - მოსახლეობის ფსიქოლოგიური დამუშავება; - იდეოლოგიური დივერსია და დეზინფორმაცია; - ხელსაყრელი საზოგადოებრივი აზრის შენარჩუნება; - ჭორების პროპაგანდა და გავრცელება და სხვ.

საინფორმაციო-ფსიქოლოგიური სივრცის ნებისმიერი სეგმენტი შეიძლება გახდეს ინფორმაციული დაპირისპირების ობიექტი, მათ შორის: 1. მოქალაქეთა მასობრივი და ინდივიდუალური ცნობიერება; 2. სოციალურ-პოლიტიკური სისტემები და პროცესები; 3. საინფორმაციო ინფრასტრუქტურა; 4. საინფორმაციო და ფსიქოლოგიური რესურსები.

ინფორმაციულ ეპოქაში, სადაც ინფორმაცია იქცა კაცობრიობის განვითარების სტრატეგიულ რესურსად, ამ ფაქტორის მთელი სიგრძე-სიგანით და სიღრმისეულად გაცნობიერების გარეშე წარმოუდგენელია წარმატებით იმართოს თანამედროვე სახელმწიფო. ინფორმაციული ეპოქის საწყის ეტაპზე გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომ, რაც უფრო მეტია ინფორმაციული შესაძლებლობები, მით მეტია ქვეყნის სტრატეგიული უპირატესობების მიღწევის ალბათობა, სახელმწიფოს სიმცირის მიუხედავად. არსებული რეალობა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს პრინციპულად სხვაგვარი მიდგომის აუცილებლობას საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემებისადმი, გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული სპექტრის შინაარსისა და ევოლუციის ანალიზისადმი, რაშიც განუზომლად დიდი როლი აკისრია ინფორმაციულ ფაქტორს. **სამწუხაროდ, საქართველოს სახელისუფლებო და პოლიტიკურ ელიტაში ამ თვალსაზრისით აშკარად დეფიციტია.** ეს მაშინ, როცა სახელმწიფოთა დიდი ნაწილის გავლენების მუდმივი ყურადღების ობიექტებია საზოგადოების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური გარემო, ხელისუფლების პოლიტიკური გადაწყვეტილებების, საზოგადოებრივი ცნობიერებისა და აზრის ფორმირება და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ დასავლური გაგებით ტერმინში „ინფორმაციული ომი“ იგულისხმება „საბრძოლო მოქმედებების დროს ჩატარებული შეზღუდული, ტაქტიკური ინფორმაციული ოპერაციები“. რუსები სხვა შინაარს დებენ ამ ტერმინში და ინფორმაციულ ომს განიხილავენ მთლიანობაში, როგორც მუდმივ პროცესს დამოუკიდებლად იმისა თუ რა მდგომარეობაშია მოწინააღმდეგესთან ურთიერთობა. ინფორმაცია არის ერთდროულად სუბიექტიც და ბრძოლის საშუალებაც. ვინაიდან რუსეთს აქვს ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიები და ის არის საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის ავანგარდში, შესაბამისად განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს სწორედ რუსეთის მიერ წარმოებული ომის ფორმებისა და მეთოდების შესწავლა. სამწუხაროდ, ამ ნაწილში ნაკლები ყურადღება ექცევა რუსული სპეციფიკისა და დოკუმენტების შესწავლას (რუსული ენის მცოდნენიც კატასტროფულად მცირდება). ცხადია, რომ შეუფასებელია თავდაცვის სფეროში ინგლისურენოვანი სპეციალისტების მომრავლება, მაგრამ მტრის ენის ცოდნაც მხოლოდ წაადგება საქმეს.

ამერიკის შეერთებული შტატები წამყვანი სახელმწიფოა, იგი დომინირებს მსოფლიოს საინფორმაციო სივრცეში, მაგრამ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საინფორმაციო ომში რუსეთის მიერ გამოყენებული ინფორმაციული იარაღი და ბრძოლის მეთოდები პირდაპირ ქართულ სპეციფიკაზეა მორგებული. საქართველოში რუსეთის ბატონობისა და რუსული სპეცსამსახურების საქმიანობის ორასწლოვანი გამოცდილების შედეგად, დღეს მსოფლიოში რუსებზე უკეთ - მეცნიერულად, ზედმიწევნით ნიუანსურადაც კი, არავინაა მცოდნე ქართველების ფსიქიკის, ქცევის, ტრადიციების, კულტურული და

1 სუნ დი. ომის ხელოვნება. მთარგმნელი: ირინა აბულაშვილი, ბათუმი, გამომცემელი: წიგნები ბათუმში, 230 გვ. ISBN - 13:978-9941-474-88-0, 2019; <https://saba.com.ge/reader/book/16384#chapters>

2 Savchenko O., Svyryda M., The model of personal psychological security as a complex phenomenon. Psychological journal, Vol 6 No 12., 2020 <https://doi.org/10.31108/1.2020.6.12.7> [22.07.2022]

3 Maslow, A. H. 1954. Motivation and Personality. N. Y.: Harpaer and Row.

4 Wang, J., Long, R., Chen, H., Li, Q., Measuring the Psychological Security of Urban Residents: Construction and Validation of a New Scale. Front. Psychol. 2019 <https://doi:10.3389/>

სულიერი ღირებულებებისა, ანუ რუსეთს ძალზე ეფექტურად შეუძლია გამოიყენოს ინფორმაციული იარაღით ზიანის მიყენების მთავარი ფაქტორი, ცნობიერებით მანიპულაცია; საქართველოს მოსახლეობის ინდივიდუალურ, ჯგუფურ და მასობრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების გზით მიაღწიოს სასურველ შედეგს (თუ როგორ წარმატებებს აღწევნის ისინი, კარგად გამოჩნდა ქართველების მიერ დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის ორივე მცდელობის დროს, როგორც 1918–1921 წლებში, ისე ჩვენი ისტორიის ბოლო 32 წლის განმავლობაში).⁵

ამერიკელებმა ეტაპობრივად გაიარეს განვითარების გრძელი გზა და ახლა ისინი განვითარების სულ სხვა, მაღალ საფეხურზე იმყოფებიან, შესაბამისად, მათ წინაშე მდგარი მიზნები და ამოცანები შინაარსობრივად, თვისობრივად, ხარისხობრივად და ტექნოლოგიურად სრულიად განსხვავდება საქართველოსაგან, ამიტომ ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებლად ამერიკული ნორმატიული დოკუმენტების გაუზარებლად კალკირება ყოველთვის ვერ მოიტანს სასურველ შედეგს. მაგალითად, საქართველოში იღებენ კანონებს ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ და საერთოდ იგნორირებულია საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროება.⁶ რუსეთისგან თავდასაცავად, საქართველოსათვის ინფორმაციული გაგების „საინფორმაციო უსაფრთხოება“ ნამდვილად მნიშვნელოვანია და აუცილებლად მოითხოვს ყურადღების მოდუნების გარეშე დიდ აქტიურობას, * მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს კომპლექსში. დოკუმენტში ყურადღების გარეშე არის დატოვებული მტრის მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოყენებული, ქართულ სპეციფიკაზე ვირტუოზულად მორგებული, უმნიშვნელოვანესი, უკანონო საინფორმაციო-ფსიქოლოგიური იარაღის ფაქტორი.

პატარა ანალიზია საჭირო იმის გასარკვევად, რომ „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული უარყოფითი შედეგები და მტრის მიერ ქვეყნისათვის მიყენებული პირდაპირი ზარალი (მაგალითად, ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ფიზიკური დაზიანების გამოსწორება და ინფორმაციული რესურსების აღდგენა) მაინც შედარებით იოლი შესაფასებელი და მოსავარაუდებელია.

ამ დროს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე, გაცილებით ძნელი შესაფასებელია კრემლის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ **საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ომში** წაგების შედეგად მიღებული პოლიტიკური თუ იდეოლოგიური ზარალი, აუნაზღაურებელი კოლოსალური დანაკარგებით. ერთი რამ ფაქტია, ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის პოლიტიკაში ვიწრო სფეროს სპეციალისტების (თუნდაც მაღალი დონის) მიერ გაკეთებული არასწორი აქცენტების გამო მოსახლეობის დიდი ნაწილი მუდმივად მოქცეულია საქართველოს წინააღმდეგ გამოყენებული რუსეთის ამ მთავარი იარაღის მოქმედების არეალში. ამის ცოდნას და გააზრებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

ჯერ კიდევ 2000 წლის სექტემბერში **ვლადიმერ პუტინის** ** ხელმოწერილ რუსეთის საინფორმაციო უშიშროების დოქტრინაში⁹ წამყვანი ადგილი **სწორედ საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ომს ეკავა**. იგი რუსეთის სახელმწიფოს მართვის პროცესში მუდამ უდიდეს ყურადღებას უთმობდა და უთმობს ინფორმაციული ომის პრობლემებს. შემდგომშიც კიდევ ერთხელ დააყენა დღის წესრიგში რუსეთის ინფორმაციული უშიშროების სრულყოფისა და ამ მიმართულებით დაფინანსების გაზრდის აუცილებლობის საკითხი. სხვათა შორის, საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული შეფარული თუ დაუფარავი ინფორმაციული იარაღის არსენალი, მათ შორის, როგორც ელექტრონულ ისე ბეჭდვით მასმედიაში, საკმაოდ შთამბეჭდავია, რაზედაც სოლიდური თანხები იხარჯება.

აქედან გამომდინარე, **ვინაიდან უშუალოდ სწორედ პუტინის რუსეთისაგან უწევს საქართველოს თავდაცვა, პირველ რიგში, უნდა იქნას შესწავლილი და გათვალისწინებული მის მიერ პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან წარმოებული ბრძოლის ფორმები და მეთოდები, ზრახვები და, ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, შესაბამისად შემუშავდეს თავდაცვის პოლიტიკა, არ მოხდეს კალკირება, თუნდაც სუპერსახელმწიფოების დოკუმენტებისა, რომლებიც მათ თავისებურებებზეა აგებული.**

სამწუხაროდ, 2021 წელს მიღებულ საქართველოს მთავრობის დადგენილებაშიც „საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021 – 2024 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“¹⁰ კვლავ შინაარსობრივ და ტერმინოლოგიურ აღრევასთან გვაქვს საქმე.

ამ ეტაპზე საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის მიმდინარე ამოცანებიდან, ინფორმაციული უშიშროების სტრატეგიაში უმთავრესი უნდა იყოს (ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან

5 ჰენრი კუპრაშვილი. ეროვნული უსაფრთხოება თუ ეროვნული უშიშროება?! თბილისი: უნივერსალი. 61 გვ. ISBN 978-9941-22-407-2, 2014.

6 საქართველოს კანონი. 2012. ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ. 6391-ლს; საქართველოს კანონი. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ. 3126-IIIს, 2015.

* ავტორმა ამ პრობლემის შესახებ ჯერ კიდევ 2002 წელს გააკეთა მოხსენება ჯორჯ მარშალის უშიშროებისა და საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი ევროპული ცენტრის კონფერენციაზე „კიბერგანზომილება, როგორც ეროვნული უშიშროებისათვის მუქარების ჩანასახი.“ მიუნხენი, გერმანია. 2002 წლის 02-05 დეკემბერი. www.marshallcenter.org/

** ვლადიმერ პუტინი - რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი (2000-2008), პრემიერ-მინისტრი (2008-2012) და კვლავ პრეზიდენტი 2012 წლიდან.

9 Доктрина информационной безопасности российской федерации. 09.09.2000 г. N Пр-1895. <http://www.scrf.gov.ru/documents/5.html>; Доктрина Информационной безопасности Российской Федерации. Указ Президента РФ от 5 декабря 2016 г. № 646 <https://www.garant.ru/products/ipo/prime/doc/71456224/>

10 საქართველოს მთავრობის დადგენილება. 2021. საქართველოს

ერთად) სწორედ **საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის** ამოცანები, ანუ მოსახლეობის ფსიქიკის, სოციალური ჯგუფების, მოქალაქეების დაცვა დესტრუქციული საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედებისაგან; ქვეყნის თავდაცვითუნარიანობის შესუსტების მიზნით, საქართველოს სახელმწიფოსადმი მტრულად განწყობილი პოლიტიკური ძალების მხრიდან, მოსახლეობის მიერ ინფორმაციის აღქმის პროცესებით მანიპულირების მცდელობებისათვის წინააღმდეგობის გაწევა; საინფორმაციო სივრცეში (გლობალურ, რეგიონულ, სუბრეგიონულ, ეროვნულ და სხვ.) საქართველოს ეროვნული ინტერესების, მიზნებისა და ღირებულებების დაცვა; ეროვნული უშიშროების უმნიშვნელოვანესი პრობლემებისადმი საქართველოს საზოგადოებრიობის დამოკიდებულების მუდმივი მონიტორინგი (საქართველოს მოსახლეობის ფსიქიკური მდგომარეობის, საზოგადოებრივი აზრის დიაგნოსტიკა).

გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს **საქართველოს ეროვნული უშიშროების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის ობიექტები**: - საზოგადოების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური გარემო, რომელიც საზოგადოების ინფორმაციული გარემოს ნაწილია და გამოიყენება ინფორმაციის, საინფორმაციო რესურსების, საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ადამიანების ფსიქიკასა და ქცევაზე ზემოქმედებისათვის (გავლენისათვის); - საინფორმაციო რესურსები (კულტურული, ისტორიული, ეროვნული ღირებულებების, ტრადიციების შესახებ); - საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირების სისტემა (მსოფლმხედველობა, პოლიტიკური შეხედულებები, კულტურული და სულიერი ღირებულებები); - საზოგადოებრივი აზრის ფორმირების სისტემა; - პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების სისტემა; - ადამიანის ფსიქიკა და ქცევა.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის მიმართულებები უნდა იყოს: - საქართველოს მოსახლეობის ფსიქიკისათვის, საზოგადოების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური გარემოსათვის ზიანის მისაყენებლად მოწინააღმდეგის (რეალური ან პოტენციური) მიერ გამოყენებული ფორმებისა და მეთოდების თეორიულ-მეთოდოლოგიური შესწავლა; - სხვადასხვა მეთოდიკური და საინფორმაციო მასალის ორგანიზაციულ-მეთოდური მომზადება, მათ შორის, იმ სტრუქტურების შექმნა, რომლებიც საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ უზრუნველყოფას ეწევიან; - ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობა, მიმართული საზოგადოების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური გარემოს, მოსახლეობის ფსიქოლოგიური უშიშროების უზრუნველსაყოფად.¹¹

დასკვნა

ინფორმაციული ეპოქა თანდათან აყალიბებს თანამედროვე და დინამიურად განვითარებადი საზოგადოების სპეციფიკურ სისტემას, რომელშიაც საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ფაქტორი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და იდეოლოგიურ ცხოვრებაზე და სახელმწიფოების, ერებისა და ინდივიდების უშიშროების მდგომარეობაზე. რაც ხაზს უსვამს საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროების მნიშვნელობას ეროვნული უშიშროების ერთიან სისტემაში. საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროების წინაშე არსებული გამოწვევები და საფრთხეები განსაზღვრავს მთლიანად ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფისათვის გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯებისა და ღონისძიებების სპეციფიკურ შინაარსს.

საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომიდან გამომდინარე უშიშროების მასშტაბურობამ განსაზღვრა, რომ საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროების უზრუნველყოფის სფერო გამოეყო ინფორმაციული უშიშროების სფეროდან, რაც განპირობებულია სხვადასხვა სახის ინფორმაციული ზემოქმედების ქვეშ მყოფი პიროვნებების ფუნდამენტური თვისებების, ეთნოსების, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის, სრულად საზოგადოების სოციალური ხასიათისა და ინტელექტის დაცვის განსაკუთრებული მნიშვნელობითა და სპეციფიკით.

საქართველოს განვითარების დონიდან და ეროვნული უშიშროებისათვის მომდინარე საფრთხეების თავისებურებებიდან გამომდინარე, ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა მოითხოვს საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომისგან თავდაცვის სისტემის სრულყოფას, რაც გულისხმობს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, მთავრობის, სამინისტროების (უწყებების), დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიებისა და მოქალაქეების საქმიანობის კოორდინაციას საქართველოს მოსახლეობის ფსიქოლოგიური და საზოგადოების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური გარემოს უშიშროების უზრუნველსაყოფად.

სრულყოფილი სახელმწიფოს აშენების პრეტენზიულობიდან გამომდინარე, საქართველოში ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემა პრიორიტეტული უნდა გახდეს და სახელმწიფოებრივი სივრცის ყველა დონეზე უნდა გამოირიცხოს მისი იგნორირება.

11 ჰენრი კუპრაშვილი. საქართველოს ეროვნული უშიშროება. მონოგრაფია, მთ. რედ. ი. გაბისონია. რედ.: ჯ. გაბელია, ჯ. გახოკიძე, ა. გეგეშიძე, ა. გვენეტაძე, ი. კვესელავა, თ. კიკნაძე, თ. ლომინაძე, ნ. ოდიშელიძე, ა. სიჭინავა, გ. სოფაძე, ი. ქართველიშვილი, ნ. ჩიტაძე, მ. ჯიქია. თბილისი: უნივერსალი, 702 გვ. ISBN 978-9941-33-339-2, 2022.

გამოყენებული ლიტერატურა

- კუპრაშვილი, ჰენრი. 2022. საქართველოს ეროვნული უშიშროება. მონოგრაფია, მთ. რედ. ი. გაბისონია. რედ.: ჯ. გაბელია, ჯ. გახოკიძე, ა. გეგეშიძე, ა. გვენეტაძე, ი. კვესელავა, თ. კიკნაძე, თ. ლომინაძე, ნ. ოდიშელიძე, ა. სიჭინავა, გ. სოფაძე, ი. ქართველიშვილი, ნ. ჩიტაძე, მ. ჯიქია. თბილისი: უნივერსალი, 702 გვ. ISBN 978-9941-33-339-2;
- კუპრაშვილი, ჰენრი. 2014. ეროვნული უსაფრთხოება თუ ეროვნული უშიშროება?! თბილისი: უნივერსალი. 61 გვ. ISBN 978-9941-22-407-2;
- სუნ ძი. 2019. ომის ხელოვნება. თარგმანი ირინა აბულაშვილისა, ბათუმი, გამომცემელი: წიგნები ბათუმში, 230 გვ. ISBN - 13:978-9941-474-88-0; <https://saba.com.ge/reader/book/16384#chapters>;
- საქართველოს კანონი. 2012. ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ. 6391-Is;
- საქართველოს კანონი. 2015. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ. 3126-III;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება. 2021. საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021 – 2024 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. №482, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5263611?publication=0>;
- Maslow, A. H. (1954). *Motivation and Personality*. N. Y.: Harpaer and Row;
- Savchenko O., Svyryda M., The model of personal psychological security as a complex phenomenon. *Psychological journal*, Vol 6 No 12., 2020 <https://doi.org/10.31108/1.2020.6.12.7>;
- Wang, J., Long, R., Chen, H., Li, Q., Measuring the Psychological Security of Urban Residents: Construction and Validation of a New Scale. *Front. Psychol.* 2019 <https://doi:10.3389/fpsyg.2019.02423> [22.07.2022];
- Доктрина информационной безопасности российской федерации. Утв. Президентом РФ от 9 сентября 2000 г. N Пп-1895. <http://www.scrf.gov.ru/documents/5.html>;
- Доктрина Информационной безопасности Российской Федерации. Указ Президента РФ от 5 декабря 2016 г. № 646 <https://www.garant.ru/products/ipo/prime/doc/71456224/>.

მოზარდის განვითარების ასაკობრივი თავისებურებანი

თინათინ ჭარხალაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ასისტენტ პროფესორი,
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

აბსტრაქტი

ცნობილია, რომ ჩვილობის ასაკიდან ადამიანი სოციალური და ემოციური განვითარების რამდენიმე ფაზას გადის. ფიზიკური, კოგნიტური და პიროვნული განვითარების კვალდაკვალ ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივად განვითარებაც. სოციალური განვითარება ეხმარება მოზარდს მოპოვოს უნარი, რომელიც შემდგომ მას ადამიანებთან და გარემოსთან ურთიერთობის სწორად წარმართვაში ეხმარება.

ფსიქო-სოციალური თეორიის ავტორები მიიჩნევენ, რომ ნებისმიერი სახის ფსიქოლოგიური ფენომენი შეიძლება გააზრებული იყოს, როგორც სხვადასხვა სოციალური ფაქტორების ურთიერთქმედება. აღნიშნულ თეორიებში ყურადღება გამახვილებულია ისეთ მნიშვნელოვან ცვლილებებზე, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში ადამიანის განვითარების პროცესში მიმდინარეობს; ყოველმხრივ ნორმალურზე/ჯანმრთელზე და არა პათოლოგიაზე; საკუთარი იდენტობის ჩამოყალიბებაზე; პიროვნების მთლიან იდენტიფიკაციაზე.

მოზარდის განვითარების ასაკობრივი თავისებურებები თავს განსაკუთრებით 11-12 წლიდან იჩენს, როცა მოზარდი, ბიოლოგიური და ფსიქიკური მომწიფებასთან დაკავშირებული მთელ რიგი ფაქტორების გავლენით, სინამდვილის ისეთ მხარეებთან მოდის ურთიერთობაში, რომლებიც აქამდე მისთვის ან სრულიად შეუმჩნეველად იყო, ან მის ცხოვრებაში არსებით როლს არ თამაშობდა. ეს ნიშნავს, რომ მოზარდის ასაკობრივი გარემო კიდევ ერთხელ არსებითად შეიცვალა.

სტატიაში განხილულია მოზარდის განვითარების ასაკობრივი თავისებურებანი, მათ შორის მოზარდობის ფიზიკური, ფსიქიკური, ემოციური პიროვნული და კოგნიტური განვითარების ასპექტები.

საკვანძო სიტყვები:

მოზარდობის ასაკი, პიროვნული განვითარება, ფიზიკური განვითარება, ფსიქიკური განვითარება, კოგნიტური განვითარება.

Age Characteristics of Adolescent Development

Tinatin Tcharkhalashvili
Georgian Technical University
Assistant Professor
PhD in Social Sciences

Abstract

It is known that from infancy, a person goes through several phases of social and emotional development. In the footsteps of physical, cognitive and personal development, social skills are gradually developed. Social development helps the adolescent to acquire the skills that later help him/her to properly manage his/her relationship with people and environment.

Authors of psychosocial theory believe that any kind of psychological phenomenon can be understood as the interaction of various social factors. In these theories, attention is focused on such important changes that take place in the process of human development throughout life; on normal/healthy in every way and not on pathology; on the formation of one's own identity; on the total identification of the person.

The age-specific features of adolescent development manifest themselves especially from 11-12 years of age, when the adolescent, under the influence of a number of factors related to biological and mental maturation, comes into contact with those aspects of reality that were either completely imperceptible to him/her or did not play an essential role in his/her life. This means that the adolescent's age environment has changed significantly once again.

Fundamental principles of strategic communications are as follows. First of all, we need to develop a message intentionally. To be more specific, we need to determine what our communication plan conveys and all our messages should have a clear purpose. Secondly, a proper platform needs to be selected. Then, comes appropriate timing. In other words, when to do it and selecting a proper period for it. The next step is choosing the audience and analyzing it in order to find the right message to the right audience. This requires understanding what the audience's thinking about the message and then make sure that it is developed so that it is fine-tuned to it. Another significant point is that we must be clear about the goal and set realistic expectations. These help to achieve aims faster, be motivated and plan future accordingly.

To begin with, being clear and straightforward leads us to the understanding that we should not always expect and assume that another person will equally understand everything. We need to be very clear in communicating what we mean and double check if it has been digested. In this process we need to be careful about our pitch and tone. Being polite and convincing helps us to make a clear point and make a desired impact.

Then, we should remember that every individual has the right to express his/her views and listening to them carefully is essential. So, listening carefully is a must and we need to control our emotions to make sure communication is impressive and relevant. This will help to manage the conflict effectively.

Addressing the issues immediately and openly, setting clear expectations, listening actively, using open

¹ <https://www.mastersincommunications.com/faqs/what-is-strategic-communication>

body language and recognizing and respecting personal differences strongly assist in settling the conflict. We should never leave any problem unattended and address them openly involving all parties. Also, we should be careful with adopting the casual attitude.

Keeping control of our emotions leads to success since being hyper or over-reactive leads us nowhere. One specific observation here is that other individuals whom we deal with may not have the same background or be equally educated and getting angry will only hurt you.

Of course, being a patient listener and listening carefully is the strategy that helps you advance. In other words, even when you do not agree, do not become hostile and aggressive. Use the strategy of a dialogue and instead discuss the issue to the point where both of you should compromise and get to the win-win solution.

A flexible approach strategy enables to adjust the communication style so that to reach a desired outcome. To do so, we need to listen actively and give the person our full attention, ask open questions, clarify and summarize to show that we are listening. In this process it is essential to be flexible and trying our best to find the alternative. Cross-checking with the speaker if key points were understood is another strategy to be instrumental and making sure that the speaker is aware of what is expected of him/her. Interestingly, if you see that the situation is tense and deteriorating, a small sorry will mediate it and prevent unnecessary tension.

Research was conducted in high educational institutions, private companies and state organizations. More specifically, I selected high educational institution since it is an educational organization and dealing with students as clients is a very interesting thing. Another place was a private insurance company, a bank and one of the Georgian ministries. I intentionally selected the private and state organizations since working practices are different and, therefore, conflicting situations there differ. In other words, state organizations are very bureaucratic and adherence to strict rules and hierarchy of authority prevails which affects the work flow and every-day practices.

Personal interviews and strategic story-telling were used as research instruments since I intended to explore the responses to get deeper information and have face-to-face contact to gather more extensive and deeper information. Besides, it gave me a good possibility to clarify points on the spot and notice the behavior of respondents. Combining interview and story-telling was an effective tool to explore the issues that were under the surface. "It allows to investigate elements of human psyche, discover the meaning of human existence and appraise our own individual purpose within it. Besides, narrative understanding is an inborn capacity of a human as we live, think and dream in a story form".²

Story telling embodies several methods. Namely, personification, third person storytelling and metaphors which allow content to be enlivened and emotions to be spread out. Stories offer a holistic view of what experiences participants lived through and allow insight into the natural and social worlds. Stories can reveal otherwise hidden truths. They allow to clearly describe ideas, beliefs and personal experiences. Besides, narratives evoke powerful emotions and insights and narrative enquiry allows for deeper insight.

Stories were told for a period of four weeks, with each weekly story focused on a different emotion flowing from a particular conflict. With their permission I allowed for recording those oral narratives so that we analyzed them later looking for joint solutions. Stories were told in an interesting manner, with respective detail and focus on emotions. After the story participants were asked to make comments or share similar experiences.

Summary

Thus, it was revealed that strategic communication and use of story telling in it allowed participants to turn the conflict around and empowered them to think critically, use narrative conflict mediation to examine possibilities for more creative and nuanced understandings of stories which allowed for new possibilities for conflict resolution to occur. The number of conflicts decreased when they were allowed to tell stories. Therefore, story-telling promoted independence in thoughts and ideas, created a sense of community, developed social cohesion, and promoted a new way of communication. I highly recommend this method as an additional tool to help better achieve goals and get to the positive outcome.

გამოყენებული ლიტერატურა

- Blumenfeld-Jones, D. (1995). "Fidelity as a criterion for practicing and evaluating narrative inquiry", *International Journal of Qualitative Studies in Education*, Vol. 8, No. 1, pp. 25-35;
- Gabriel, Y. (2000). *Storytelling in Organizations: Facts, Fictions, and Fantasies: Facts, Fictions, and Fantasies*, Oxford University Press;
- Montessori, M. (1949). *The absorbent mind*. Thiruvanniyur, India: Kalaksherta Publications;
- <https://www.mastersincommunications.com/faqs/what-is-strategic-communication>.

² Brooker, C. *The Seven Basic Plots: Why We Tell Stories*. Bloomsbury Publishing, 2004.

თანამედროვე გამოწვევები განათლების სისტემაში და წარმატებისთვის საჭირო უნარები 21-ე საუკუნეში

ნანა გოგიჩაშვილი

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი,
ასოც. პროფესორი,
ფსიქოლოგიის დოქტორი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია თანამედროვე ინფორმაციულ ეპოქაში განათლების სისტემის გამოწვევები, რაც გულისხმობს იმას, რომ ფაქტობრივ ცოდნასთან ერთად, მოსწავლეებისათვის და სტუდენტებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა ე.წ. „რბილი უნარების“ სწავლა / დაუფლება, რომლებიც განსაზღვრავენ ეფექტური თვითრეალიზაციის და წარმატების ხარისხს. აღნიშნულ უნარებში მოიაზრება ეფექტური კომუნიკაციის, გუნდში მუშაობის, პრობლემების ეფექტურად გადაჭრის, დროის და ემოციის მართვის, თვითმოტივაციის და სხვათა მოტივაციის და ა.შ. უნარები. შესაბამისად, განათლების სისტემაში მნიშვნელოვანია აქცენტების გაკეთება ისეთ სასწავლო აქტივობებზე, როგორცაა სასწავლო პროცესის მნიშვნელოვნების გაცნობიერება, მაღალი და დაბალი დონის სააზროვნო უნარების გამომუშავება ერთდროულად, ცოდნის გადაცემის „გადატანა“ (ტრანსფერი) ერთი სფეროდან მეორეში, სწავლის სწავლა, გუნდური მუშაობის ხელშეწყობა, შემოქმედებითობის წახალისება და ა.შ.

მაღალმა ტექნოლოგიებმა და ინფორმაციულმა ეპოქამ ახალი და აქტუალური გამოწვევების წინაშე დააყენა თანამედროვე განათლების სისტემა, რაშიც იგულისხმება ის, რომ თუკი წინა საუკუნეში განათლების სისტემა ფაქტობრივი ცოდნის დაგროვებაზე იყო მიმართული, ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა ფოკუსირება ისეთი უნარების განვითარებაზე, როგორცაა კრიტიკული აზროვნება, კომუნიკატორული და გუნდური მუშაობის უნარები და სხვა, რომლებიც, თავის მხრივ, განათლების სისტემის გრძელვადიან მიზნებად ფორმირდებიან და გავლენას ახდენენ მომდევნო რამდენიმე თაობის პროფესიულ და ადამიანურ კეთილდღეობაზე. აქამდე თუკი სხვადასხვა საწარმოები / ქარხნები / ფაბრიკები და ა.შ. ქირაობდნენ ადამიანებს შედარებით მარტივი განმეორებითი მოქმედებების შესასრულებლად, დღეს ამ რუტინულ ოპერაციებს რობოტი ასრულებს ციფრული ტექნოლოგიების წყალობით. ყოველივე ეს კი ნიშნავს იმას, რომ დღეს, სკოლებსა და უნივერსიტეტებში უნდა ვასწავლოთ არა ის, რასად ადრე ვასწავლიდით, არამედ უნდა ვასწავლოთ ის, რაც მათ კონკურენტუნარიანს, წარმატებულს და ბედნიერს გახდის თანამედროვე შრომის ბაზარზე ინოვაციური ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად.

სწორედ ამ მიზნით, ნაშრომში განხილულია 21-ე საუკუნეში წარმატების წინაპირობის განმსაზღვრელი კონკრეტული უნარები, რომელშიც შედის კრიტიკული აზროვნება, კრეატიულობა, სოციალური და ემოციური ინტელექტი, ინფორმაციული, ციფრული და მედიაწიგნიერება და სხვ.

საკვანძო სიტყვები:

ინფორმაციული ეპოქა, თვითრეალიზაცია, წარმატება, რბილი / მოქნილი უნარები, მყარი უნარები, კრიტიკული აზროვნება, ინფორმაციული წიგნიერება.

Contemporary Challenges Facing the Education System and Skills for Success in the 21st Century

Nana Gogichashvili

Associate Professor,

Guram Tavartkiladze Teaching University

PhD in Psychology

Abstract

The paper deals with the challenges of education system in the modern information age, revealing that along with factual knowledge, students and trainees find it vital to learn / master the so-called 'soft skills' that determine the degree of effective self-realization and success. These skills include the abilities of effective communication, team work, effective problem solving, time and emotional management, self-motivation and motivation of others, etc. Accordingly, it is important for the education system to emphasize learning activities such as understanding the importance of the learning process, developing high and low level thinking skills relatedly, transferring knowledge from one field to another, learning how to learn, promoting teamwork, encouraging creativity, etc.

High technologies and information age have posed new and urgent challenges to modern education system implying that the education system of the previous century was focused on the accumulation of factual knowledge while in the era of digital technologies it has become vital to focus on the development of skills such as critical thinking, communication, teamwork, etc., which in turn become the long-term goals of the education system and affect the professional and human well-being of the next few generations. Until now, if various enterprises / factories / companies used to hire people to perform relatively simple repetitive tasks, today these routine operations are performed by robots thanks to digital technologies. All this comes to say that schools and universities today should teach not what we taught before but what will make students competitive, successful and happy in the modern labor market considering the demands of the innovative economy and information society.

For this purpose, the paper discusses the specific skills that determine the prerequisites for success in the 21st century. These skills involve critical thinking, creativity, social and emotional intelligence, informational, digital and media literacy, etc.

Keywords:

Information age, Self-realization, Success, Soft/flexible skills, Hard skills, Critical thinking, Information literacy.

შესავალი

მაღალი ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული ეპოქის შესაბამისად, იცვლება სწავლებისადმი მიდგომები - დღეს, ინტერნეტისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების წყალობით, სკოლებსა და უნივერსიტეტებში მოსწავლეებს და სტუდენტებს, ხშირ შემთხვევებში, გაცილებით მეტი ცოდნა აქვთ ზოგიერთ სფეროში, ვიდრე ჩვენ, მათ პედაგოგებს.

სამყაროში იცვლება ყველაფერი, მაგალითად, თუნდაც ისეთი რამ, როგორცაა პროფესიონალი სამართალდამცავების როლი იურისპრუდენციაში. მაგ. ამერიკის შეერთებულ შტატებში პირადი სამართალწარმოების დაახლოებით 80%-ს ადამიანები აწარმოებენ თვითონ ადვოკატებისა და იურისტების დაქირავების გარეშე, რაც გულისხმობს იმას, რომ ადამიანებს შეუძლიათ საკუთარი ძალებით დაიცვან ან აღიდგინონ შელახული უფლებები - ისინი უბრალოდ ეძებენ მსგავს სასამართლო საქმეებს ინტერნეტში, თავად აგროვებენ საჭირო ინფორმაციებს და აღარ სჭირდებათ ადვოკატის მომსახურება ან მეორე მაგალითი, სადაც ზრიტანული ტელევიზიის ერთ-ერთ გადაცემაში მოთხრობილია ახალგაზრდა კაცის შესახებ, რომელმაც გადაწყვიტა, ცხოველების სადგომი გადაექცია ოჯახის აგარაკად და მან ეს გააკეთა დამოუკიდებლად, ინტერნეტ-სივრცეში საჭირო ინფორმაციის მოძიებით.¹

შესაბამისად, ყველაფერ იმას, რისი სწავლაც და რისი დაუფლებაც შესაძლებელია ინტერნეტის საშუალებით, შეუძლია შეცვალოს მრავალი არსებული პროფესია. ზოგადი გონიერება(წერა, კითხვა, ანგარიში, გამრავლების ტაბულა და ა.შ. ანუ მყარი ცოდნა სამყაროს შესახებ), რა თქმა უნდა, აუცილებელი და სავალდებულო რჩება, თუმცა, ფაქტია, რომ თანამედროვე სამყაროში აღნიშნული ტიპის ცოდნა ცალსახად აღარ არის საკმარისი, რაც გულისხმობს იმას, რომ სასწავლო პროგრამების შედგენისას საჭირო და აუცილებელი გახდება აქცენტების გაკეთება ისეთ ფართო პროფესიულ და პიროვნულ კომპეტენციებზე, როგორცაა ამოცანებისა და პრობლემების არასტანდარტული გადაწყვეტილებების პოვნის უნარი, გუნდური მუშაობის უნარი, ეფექტური კომუნიკაციის უნარი და ა.შ. თუმცა აქვე ვიტყვი, რომ ჩვენ ისევ გვყავს გეოგრაფიის, ისტორიის, ფიზიკის, ქიმიის და ა.შ. მასწავლებლები და მათი არსებობა სასკოლო და საგანმანათლებლო სივრცეში აუცილებელია, თუმცა არ გვყავს კრიტიკული და კრეატიული აზროვნების, ემოციური ინტელექტის, ეფექტური კომუნიკაციის, ცნობისმოყვარეობის ზრდის და ა.შ. მასწავლებლები.

ძირითადი ნაწილი

როგორც თომას ფრიდმანი (ამერიკელი ჟურნალისტი, პულიცერის პრემიის სამგზის მფლობელი (1983, 1988, 2002)) აღნიშნავს The New York Times-ის ბოლო სტატიაში,² გლობალიზაცია დღევანდელ მოსწავლეებსა და სტუდენტებს ავალდებულებს იმ უნარების განვითარებას, რაც არსებითი იქნება 21-ე საუკუნეში ეკონომიკური და სოციალური წარმატებისთვის. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ყველა - მშობლები, პედაგოგები, დამსაქმებლები, კანონმდებლები - ერთხმად თანხმდებიან, რომ მოსწავლეები და სტუდენტები უნდა იყვნენ კრიტიკულად და კრეატიულად მოაზროვნეები, დამოუკიდებლები, პრობლემების სწრაფად და ეფექტურად გადაჭრელები და იცოდნენ გუნდში მუშაობა, ეს ის უნარებია, რომელთა სწავლება და სწავლა ძალიან რთულია. თუმცა, ათწლეულების განმავლობაში ემპირიული მონაცემების შეგროვებამ ადამიანის სწავლა-სწავლების ეფექტურ სტრატეგიებზე, შეგვიქმნა ღირებული წარმოდგენები იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია პედაგოგიკამ დააკმაყოფილოს 21-ე საუკუნის მოთხოვნები. აღნიშნული კვლევა გვთავაზობს ახალი საგანმანათლებლო მოდელის ცხრა ძირითად პრინციპს საჭირო უნარების შესაძენად. ესენია:

1. მნიშვნელოვნება - სასწავლო პროცესისა და მიღებული ცოდნის მნიშვნელობა უფრო აშკარა ხდება მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის (ამავე დროს, იძენს მოტივაციურ ფუნქციასაც), თუკი ისინი გაიგებენ და გააცნობიერებენ, თუ როგორ ჯდება შესასწავლი საკითხი თუ თემა სამყაროს აღქმისა და შემეცნების იმ „დიდ სურათში“, რომელიც ხელს უწყობს ასათვისებელი ინფორმაციის „ჩასმას“ აღქმა/გაცნობიერების ფართო სემანტიკურ კონტექსტში.

2. ცოდნის სფეროების სწავლება - მოსწავლეები და სტუდენტები შედარებით ადვილად და მარტივად იძენენ აუცილებელ ცოდნას და უნარებს, თუ ესმით, რატომ არის თითოეული აკადემიური დისციპლინა მნიშვნელოვანი და რა კავშირშია თითოეული მათგანი უფრო დიდ და მყარ ცოდნასთან, რომელიც თავისთავად დაეხმარება მათ, როგორც პროფესიული არჩევანის გაკეთებაში, ისე არჩეული სპეციალობის დაუფლებაში;

3. მაღალი და დაბალი დონის სააზროვნო უნარების გამომუშავება ერთდროულად - მოსწავლეებმა და სტუდენტებმა უნდა დაინახონ და გაიგონ კავშირები მიღებული ინფორმაციის ცალკეულ ელემენტებს შორის და შეძლონ ამ ცოდნის ეფექტური გამოყენება სხვადასხვა სიტუაციებში.

4. ცოდნის გადაცემის „გადატანა“/ტრანსფერი ერთი სფეროდან მეორეში - მოსწავლეებს და სტუდენტებს უნდა განუვითარდეთ უნარი გამოიყენონ ათვისებული ცოდნა ახალ სიტუაციებში გარკვეული ამოცანების, პრობლემებისა და გამოწვევების ეფექტური გადაჭრისათვის, იქნება ეს მექანიკურად

1 <https://www.rand.org/blog/2012/10/nine-lessons-on-how-to-teach-21st-century-skills-and.html> Nine Lessons on How to Teach 21st Century Skills and Knowledge

2 <http://freedu.ru/modx/kakie-navyiki-i-znaniya-nuzhnyi-v-21-veke>

(დაბალი დონის ტრანსფერი) თუ რეფლექსიისა და ანალიზის შედეგად (უმაღლესი დონის ტრანსფერი).

5. სწავლის სწავლა - ვასწავლოთ ბავშვებს სწავლა (მეტაკოგნიცია), რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლემ თუ სტუდენტმა დამოუკიდებლად შეძლოს საკუთარი სწავლის პროცესის მართვა, რაც მოიცავს სწავლის დაგეგმვას, შეფასებას, მუდმივ თვითმონიტორინგს და საკუთარი სასწავლო გამოცდილებების რეგულაციას;

6. გაურკვევლობების აღმოფხვრა დროულად - ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ მცდარი წარმოდგენები რეალობის ფენომენებზე, თუ მათ არ ექნებათ შესაძლებლობა მოისმინონ ალტერნატიული ახსნა.

7. გუნდური მუშაობის ხელშეწყობა - თანამშრომლობის უნარი, რომელიც მოიაზრებს მოსწავლეთა თუ სტუდენტთა ჯგუფის ინტეგრირებულ ძალისხმევას საერთო მიზნების მისაღწევად, რომელიც ასევე არსებითი პირობაა სხვა მნიშვნელოვანი უნარების ეფექტური დაუფლებისთვის.

8. ტექნოლოგიების გამოყენება - ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებთან მუშაობის უნარი 21-ე საუკუნის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უნარია, რომელიც აუცილებელია ზემოთ აღნიშნული თვისებების განვითარებისთვის.

9. შემოქმედებითობის წახალისება - კრეატიულობის განვითარება მოითხოვს როგორც პედაგოგების, ასევე მოსწავლეების და სტუდენტების მხრიდან სტრუქტურულ და მიზანმიმართულ აქტივობას - ისეთი იდეების გენერირებისა და პროდუქტის შექმნის უნარს, რომელიც ახალი, ღირებული და აქტუალური იქნება მოცემულ პირობებში.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო მასშტაბით ნამდვილად შეინიშნება სწავლების „გადამცემი“ მოდელიდან ახალ მეთოდებზე გადასვლა, ბუნებრივია, ეს არ არის საკმარისი, რადგან საგანმანათლებლო მიზნებთან შესაბამისობაში აუცილებლად უნდა შეიცვალოს სასწავლო პროგრამები, სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები, რაც თავის მხრივ, შეცვლის საგანმანათლებლო სივრცეში ჩართული ყველა ადამიანის - პედაგოგების და ასევე განათლების³ სისტემაში ჩართული ადამიანების პროფესიონალიზმსა და პედაგოგიურ და კულტურულ კომპეტენციებს ანუ ეს ადამიანები თავად უნდა აღიჭურვონ იმავე უნარებით, რომელთა გადაცემა მოხდება მათივე მოსწავლეებისა თუ სტუდენტებისათვის.

ასევე უაღრესად საინტერესო მოსაზრებებზე საუბრობს მეღბურნის უნივერსიტეტის პროფესორი პატრიკ გრიფინი, რომელიც არის უმსხვილესი საერთაშორისო კვლევითი პროექტის ლიდერი და რომელიც იკვლევს თანამედროვე განათლების სისტემის შესაბამისობას ციფრულ ეპოქაში არსებულ მოთხოვნებთან მიმართებაში.⁴ კერძოდ, 21-ე საუკუნის უნარებისა და კომპეტენციების შეფასებისა და სწავლების ექსპერტი საუბრობს ორ რევილუციურ ცვლილებაზე, რომელთაგან პირველი იყო მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებში, როდესაც გამოიგონეს კომპიუტერი და გაჩნდა ციფრული გამოთვლითი მოწყობილობების იდეა და მეორე, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ჩასახვის საწინააღმდეგო აზრების გამოგონება. ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, რომ ეს არის ორი რამ, რაც ერთმანეთთან ნამდვილად არანაირ კავშირშია, თუმცა, ეს ასე არ არის. კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამ სამუდამოდ შეცვალა ჩვენი მუშაობის ფორმა. ამის წყალობით შეიცვალა შრომის საშუალება, სწავლის საშუალება და ზოგადად, ადამიანის აზროვნების სტილი. კერძოდ, აზრების განვითარებამ შეცვალა სამუშაო ძალის ბუნება და სტრუქტურა: არასასურველი ორსულობის თავიდან აცილების უნარის გაჩენამ განაპირობა ის, რომ ქალების წილი დასაქმებული მოსახლეობის მთლიან მასაში 50%-ს მიუახლოვდა, მაშინ როცა ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში ეს იყო ძალიან მცირე რაოდენობა.⁵ ამრიგად, ორი პროცესი ერთდროულად მიმდინარეობს: საქმიანობების რაოდენობა, რომელიც მოითხოვს ადამიანის ხელით შრომას მცირდება წარმოების ავტომატიზაციის გამო, ხოლო წარმოებაში ჩართული ადამიანების რაოდენობა თითქმის გაორმაგდება, რადგან ქალი და მამაკაცი უკვე თითქმის თანაბარია მათი დასაქმების შესაძლებლობების თვალსაზრისით. სწორედ აქედან გამომდინარე განსაზღვრავს ექსპერტი იმ რეალობას, რომელიც ასევე გულისხმობს ისეთი კომპანიების გაკოტრებას, რომლებიც დროულად ვერ შეძლებენ წარმოების გაციფრულებას. აღნიშნული კი პირდაპირ კავშირშია საგანმანათლებლო პრობლემებთან - რა ვუყოთ იმ ადამიანებს, რომლებიც დაუფლებული არიან ფიზიკურ შრომას ან რომლებიც არიან იმ პროფესიების ე.წ „პროფესია-დინოზავრების“ წარმომადგენლები, რომლებიც მალე საერთოდ გაქრება.

ერთ-ერთ ინტერვიუში, იგივე მკვლევარი აღნიშნავს, რომ აბუ დაბიში მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე, ექსპერტებმა ისაუბრეს ბიზნესისადმი შემოქმედებით უნარებზე, რაც ზემოხსენებულ პრობლემას დააბალანსებს და ხელს შეუწყობს სამეწარმეო შესაძლებლობების განვითარებას. გარდა ამისა, იმავე ფორუმზე შემუშავდა უნარ-ჩვევების სამი ჯგუფი, რომლებიც აუცილებელია განვითარდეს თანამედროვე მსოფლიოში. ესენია: წიგნიერება(საბაზისო წიგნიერება, მათემატიკური უნარები და კულტურული წიგნიერება), კომპეტენციების სია(ამოცანებისა და პრობლემების ეფექტურად გადაჭრის უნარი, კრეატიულობა) და პიროვნული მახასიათებლები(ცნობისმოყვარეობა, სამეწარმეო უნარები, გუნდური მუშაობის უნარები და სხვ).

საინტერესოა, ისიც რომ გასული წლის დასაწყისში The Economist-მა გამოაქვეყნა 19 ბიზნეს სექტორის კვლევის შედეგები მსოფლიოს 26 ქვეყანაში და სამეწარმეო აზროვნება დასახელდა თანამედროვე

3 <http://hr-inspire.ru/?p=3520> «НАВЫКИ XXI ВЕКА»: НОВАЯ РЕАЛЬНОСТЬ В ОБРАЗОВАНИИ Home«Навыки XXI века»: новая реальность в образовании

4 <http://hr-inspire.ru/?p=3520> «НАВЫКИ XXI ВЕКА»: НОВАЯ РЕАЛЬНОСТЬ В ОБРАЗОВАНИИ Home«Навыки XXI века»: новая реальность в образовании

5 <http://erazvitie.org>

ადამიანის ყველაზე მნიშვნელოვან უნარებს შორის. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ უნარებთან ერთად ასევე მნიშვნელოვანი გახდა სამეწარმეო უნარი და გარკვეული მზაობა სხვადასხვა სახის რისკებისადმი, რომელიც თავის მხრივ, გულისხმობს ახალი იდეების პოვნის და მათი ბიზნესად გადაქცევის უნარს, რაც ასევე უმნიშვნელოვანესია თანამედროვე ინფორმაციულ და ციფრულ სამყაროში.

და მაინც, რა არის ეს ე.წ. 21-ე საუკუნის უნარები, რომლებსაც მსოფლიო მასშტაბით აღნიშნული საკითხების მკვლევარები ცალსახად აღიარებენ და მათ ფაქტიურად სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებენ?

ზოგადად, პროფესიულ გარემოში უნარები იყოფა ორ დიდ კატეგორიად: **მიმიე უნარები (hard skills) და რბილი/მოქნილი (soft skills) უნარები.** მიმიე უნარები არის ის უნარები, რომელთა დაკვირვება, გაზომვა და დემონსტრირება ადვილია. მაგალითად, მათემატიკური ამოცანების ამოხსნის უნარი, კითხვის უნარი, სხვადასხვა ენების ცოდნა, ველოსიპედის თუ ავტომობილის ტარების უნარი. მაგ. ბუღალტერი კარგად უნდა ფლობდეს ბიუჯეტის შედგენის უნარებს, ავტომექანიკოსი ახორციელებდეს მანქანის შეკეთებას საჭირო ხარისხით და ა.შ. აღნიშნული პროფესიული ქმედებებისათვის საჭიროა ე.წ. მყარი უნარები, რომ ამა თუ იმ სპეციალისტის მიერ განხორციელებული აქტივობა იყოს ეფექტური კონკრეტულ საქმიანობაში.

რბილი უნარები კი არის სოციალური უნარები, რომლებიც არ არიან ისეთი მკაფიოდ გაზომვადი, როგორც მყარი უნარები და მათი გამოვლენის, ტესტირების და გაზომვის დემონსტრირება საკმაოდ რთულია. რბილ/მოქნილ უნარებს მიეკუთვნება კომუნიკაციის, გუნდში მუშაობის, პრობლემების ეფექტურად გადაჭრის, დროის და ემოციის მართვის, თვითმოტივაციის და სხვათა მოტივაციის და ა.შ. უნარები.

რაც შეეხება იმას, თუ რომელი უნარებია უფრო მნიშვნელოვანი პიროვნულ და პროფესიულ ურთიერთობებში, ამაზე რამდენიმე სერიოზული კვლევის მონაცემები მეტყველებს.⁶ კერძოდ: ჰარვარდის და სტენფორდის უნივერსიტეტებში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, მიმიე უნარების წვლილი პროფესიულ წარმატებაში არის მხოლოდ 15 %, ხოლო დანარჩენი 85% არის სწორედ რბილი ანუ მოქნილი უნარები. სტენფორდის კვლევითი ინსტიტუტის კიდევ ერთი კვლევა, რომელიც ჩატარდა კარნეგი მელონის ფონდთან ერთად (Carnegie Mellon Foundation) და რომელშიც მონაწილეობდნენ „ფორტუნა 500“ - სიიდან კომპანიების აღმასრულებელი და გენერალური დირექტორები, ადასტურებს იმას, რომ ლიდერების გრძელვადიანი და სტაბილური წარმატება 75%-ით განსაზღვრულია რბილი უნარებით და მხოლოდ 25% - მყარი უნარებით.

ასევე ძალიან საინტერესოა ამერიკის კოლეჯებისა და დამსაქმებლების ნაციონალური ასოციაციის კვლევა, რომელმაც შეისწავლა 260 ორგანიზაცია (მათ შორის ბრენდული ორგანიზაციები) და რომლის მონაცემების დამუშავების შედეგად გამოვლინდა ხუთი რბილი უნარი/მოქნილი უნარი, რომლებიც ითვლება ყველაზე ღირებულ უნარებად. ესენია:

1. გუნდში მუშაობის უნარი;
2. გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების გადაჭრის უნარი;
3. ორგანიზაციაში და მის გარეთ ადამიანებთან კომუნიკაციის უნარი;
4. დაგეგმვის, ორგანიზებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის უნარი;
5. ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების უნარი.

რაც შეეხება რბილი/მოქნილი უნარების ერთიან ჩამონათვალს, თითოეული კვლევითი ჯგუფი განსაზღვრავს საკუთარ კლასიფიკაციას. თუმცა, ყველაზე სრული სია და კატეგორიები ჩამოყალიბდა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის სამუშაოთა მომავლის ანგარიშში (World Economic Forum в Future of Jobs report).⁷ კვლევაში მონაწილეობდნენ მსოფლიოს მასშტაბით გლობალური დამსაქმებლები სხვადასხვა ინდუსტრიებში და მათ გამოავლინეს დაახლოებით 35 რბილი უნარი და ამავდროულად, ისინი დაიყო 3 ძირითად ჯგუფად: უნარები, საბაზისო უნარები, კროს-ფუნქციონალური უნარები. ესენია:

უნარები

1. კოგნიტური უნარები

- კოგნიტური მოქნილობა
- კრეატიულობა
- ლოგიკური არგუმენტაცია
- პრობლემებისადმი მგრძობილობა
- მათემატიკური მსჯელობა
- ვიზუალიზაცია

2. ფიზიკური უნარები

- ფიზიკური ჯანმრთელობა
- ნატიფი მოტორიკა

საბაზისო უნარები

6 Слестникова Н.Г., “Мягкие” навыки для жизни и карьеры, Руководство для старшекласников, Американский университет в Центральной Азии

7 <https://perm.hse.ru/news/243254110.html> Soft skills — навыки XXI века

3. კონტენტ-უნარები

- აქტიური სწავლება
- ზეპირი კომუნიკაცია
- აქტიური კითხვა წერითი კომუნიკაცია
- ინფორმაციული წიგნიერება

4. პროცესუალური უნარები

- აქტიური მოსმენა
- კრიტიკული აზროვნება
- თვითანალიზი და სხვების ანალიზი

კროს-ფუნქციონალური უნარები

5. სოციალური უნარები

- კოორდინაცია
- ემოციური ინტელექტი
- მოლაპარაკების უნარი
- დარწმუნების უნარი
- კლიენტზე ფოკუსირების უნარი
- სხვების სწავლების უნარი

6. რთული პრობლემების გადაჭრის უნარები

7. სისტემური უნარები

- გადაწყვეტილებების მიღება
- სისტემის ანალიზი

8. რესურსების მართვის უნარები

- ფინანსური
- მატერიალური
- ადამიანური
- დროის მენეჯმენტი

9. ტექნიკური უნარები

- ტექნოლოგიური წიგნიერება
- ოპერატიული წიგნიერება
- პროგრამირება
- ხარისხის კონტროლი
- კლიენტზე ტექნოლოგიური ორიენტირება
- ტექნიკური პრობლემების დიაგნოსტიკა.

ზემოხსენებულ უნარებთან მიმართებაში, ასევე საკმაოდ საინტერესო ტოპ-ათეულს გვთავაზობს უკრაინის ერთ-ერთი გამოცემა⁸. ეს უნარებია:

1. კომუნიკაციის უნარი;
2. ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება;
3. მოსმენის უნარი;
4. გუნდური მუშაობის უნარი;
5. მიზნების დასახვისა და მათი მიღწევის უნარები;
6. აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია და პოზიტიური განწყობები;
7. კონფლიქტების გადაჭრის უნარი
8. ახალი იდეებით შთაგონების უნარი;
9. პასუხისმგებლობის აღების უნარი;
10. თვითორგანიზაცია და თვითდისციპლინა.

ასევე საკმაოდ საინტერესო ჩამონათვალს გვთავაზობს ჰუმანიტარული ტექნოლოგიების განვითარებისა და ტესტირების ცენტრი(მოსკოვის მ.ლომონოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი), რომელიც რბილი/მოქნილი უნარების განვითარების წინაპირობად ოთხი უნივერსალური კომპეტენციის განვითარებას⁹. ესენია: სოციალური, ინტელექტუალური, ძლიერი ნებისყოფა და ლიდერობა. კერძოდ:

1. სოციალური კომპეტენციები, რომლებიც პასუხისმგებელია ადამიანებთან წარმატებულ ურთიერთობაზე:

- ✓ კომუნიკაციის უნარი;
- ✓ ზეპირი და წერითი მეტყველების კომპეტენცია;
- ✓ საჯარო გამოსვლის უნარი;
- ✓ ემოციური ინტელექტი (სხვა ადამიანების ემოციებისა და მოტივების ამოცნობის უნარი);
- ✓ მოქნილობა და კრიტიკის მიღება.

2. ინტელექტუალური კომპეტენციები, რომლებიც გულისხმობენ უწყვეტ პროფესიულ განვითარებას:

- ✓ ანალიტიკური აზროვნება;

8 <https://www.work.ua/ru/articles/career/1109/>

9 <https://proforientator.ru/publications/articles/20-soft-skills-dlya-budushchey-karery-kak-i-kogda-razvivat.html>

- ✓ პრობლემების დანახვის და გადაჭრის უნარი;
- ✓ კარგი მეხსიერება;
- ✓ სწავლა/სწავლება;
- ✓ კრეატიულობა.

3. ნებელობითი კომპეტენციები, რომლებიც პასუხისმგებელია დასახული მიზნების მიღწევაზე:

- ✓ შედეგზე ორიენტირებულობა;
- ✓ დროის მენეჯმენტი;
- ✓ შეუპოვრობა;
- ✓ სტრესგამძლეობა;
- ✓ რუტინული სამუშაოს შესრულების მზაობა.

4. ლიდერობის კომპეტენციები, რომლებიც პასუხისმგებელია რესურსების წარმატებით გამოყენებაზე საერთო მიზნების მისაღწევად.

- ✓ გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- ✓ პასუხისმგებლობა;
- ✓ გუნდის შექმნის უნარი;
- ✓ მენტორობა;
- ✓ კონფლიქტების გადაჭრის უნარი.

და ბოლოს, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, უკვე ნამდვილად შეგვიძლია რომ დავასახელოთ ის ე.წ. რბილი/მოქნილი (soft skills) უნარები, რომლებიც როგორც კვლევების, ისე პრაქტიკული გამოცდილებისა და დაკვირვების საფუძველზე,¹⁰ განსაზღვრავს 21 -ე საუკუნეში წარმატების წინაპირობას. ესენია:

1. კრიტიკული აზროვნება - უნარი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენო მიღებული ინფორმაცია, შეამოწმო წყაროს სანდოობა, დასვა კითხვები და პასუხები შეადარო უკვე ცნობილ მონაცემებს;

2. სოციალური ინტელექტი - უნარი, ამოიცნო და გააცნობიერო სხვა ადამიანების ემოციები, ქცევის წინაპირობები, განწყობები და სხვ. რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად გაზრდის კომუნიკაციის პროდუქტიულობას. კარგად განვითარებული კომუნიკაციის უნარები კი არის იმის გარანტია, რომ ადამიანი შეძლებს არა მხოლოდ შექმნას ყველაზე შესაფერისი გარემო მის გარშემო, არამედ ეფექტურად იმოქმედოს გარშემომყოფებთან.

3. კრეატიულობა - უნარი, როდესაც ადამიანმა იცის როგორ იფიქროს არასტანდარტულად, ის ასევე ეფექტურად შეძლებს მოერგოს ცვალებად პირობებს, შეძლებს მაქსიმალურად პროდუქტიულად გადაჭრას აბსოლუტურად ნებისმიერი სირთულის საკითხი, მოახდინოს ახალი იდეების გენერირება და პოზიტიური ასპექტები აღმოაჩინოს ყველაზე, ერთი შეხედვით უიმედო სიტუაციებშიც კი.

4. ინფორმაციული წიგნიერება - ინფორმაციასთან ეფექტური მუშაობის უნარი. მნიშვნელოვანია ვისწავლოთ როგორ გავფილტროთ ინფორმაცია, ამოიღოთ მისი უზარმაზარი ნაკადიდან მხოლოდ ის, რაც ნამდვილად მნიშვნელოვანია და გაფილტროთ ყველაფერი, რაც მეორეხარისხოვანი და საეჭვოა.

5. ციფრული წიგნიერება - უნარი, რომელიც ვლინდება ციფრული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტ-რესურსების უსაფრთხო და ეფექტურ გამოყენებაში და მოიცავს მულტიმედიაური კონტენტის შექმნას, ინფორმაციის მოძიებას და გაცვლას, ვირტუალურ სივრცეში თანამშრომლობას და სოციალური ქსელების ფუნქციონალურობის გამოყენებას.

6. მედიაწიგნიერება - მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ როგორ მუშაობს მედია, იფიქროთ იმაზე, რასაც ისმენთ, კითხულობთ, უყურებთ, რათა შეძლოთ მედიის მანიპულაციის ამოცნობა. თანამედროვე მედიის დაუფლება ადამიანს ფართო შესაძლებლობებს აძლევს: ახალი ადამიანების გაცნობიდან და ინფორმაციის მოძიებიდან დაწყებული, პოტენციურ მომხმარებლებთან გარიგებითა(ყიდვა/გაყიდვა) და ეფექტურ კომუნიკაციამდე.

7. მოქნილობა, ცვლილების სურვილი - უნარი, სწრაფად ადაპტირდე ცვალებად გარემოსთან. იმის ცოდნა, თუ როდის უნდა შეიცვალო, როგორ შეიცვალო და როგორ უპასუხო ცვლილებას, ეს არის უნარი, რომელიც გადაიხდის დივიდენდებს მთელი ცხოვრების განმავლობაში.

8. ინიციატივა - უნარი, დაისახო მიზანი, დაგეგმო მისი მიღწევა საწყისიდან ბოლო ეტაპამდე. იყო დაჟინებული, შეუპოვარი, გქონდეს პასუხისმგებლობა და დამოუკიდებელი მუშაობის მზაობა. 21-ე საუკუნეში აფასებენ თანამშრომლებს, რომლებიც მზად არიან არა მხოლოდ შეასრულონ თავიანთი მოვალეობები, არამედ შესთავაზონ ახალი არასტანდარტული იდეები.

9. პროდუქტიულობა - უნარი, სწორად განსაზღვრო სამუშაო პრიორიტეტები და ეფექტურად მოახდინო დროის მართვა.

10. კულტურული კომპეტენცია - უნარი, დაამყარო სხვა კულტურის ადამიანებთან პროდუქტიული და ეფექტური ურთიერთობა, ერკვეოდეთ მათ ტრადიციებში, ადატ-წესებში და ეთიკურ სტანდარტებში.

და ბოლოს, ევროპისა და ამერიკის მასშტაბით, დაახლოებით 213 კვლევის ანალიზმა¹¹ აჩვენა, რომ სტუდენტები, რომლებმაც გაიარეს სოციალურ-ემოციური სწავლების კურსები (SEA) საშუალოდ 11%-ით უკეთესი შედეგების დემონსტრირებას ახდენდნენ, ვიდრე ის სტუდენტები, რომლებსაც არ გაუვლიათ

¹⁰ <http://rcpp.by/article/navyki-cheloveka-xxi-veka/> На основе «21 century skills. Learning for life in our times» B. Trilling, Ch. Fadel

¹¹ <https://daniloff15.livejournal.com/528748.html>

აღნიშნული ტრენინგი. პოტენციურად, სოციალურ-ემოციურ უნარებს აქვს გრძელვადიანი სარგებელი, რაც გულისხმობს მომავალ ეფექტურ კარიერულ წინსვლას და წარმატებას. რაც შეეხება სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებას, ამისათვის საჭიროა შემდეგი აქტივობების განხორციელება:

- სწავლის წახალისება თამაშის საშუალებით;
- სასწავლო პროცესის ნაწილებად დაყოფა;
- სწავლისათვის უსაფრთხო სივრცის შექმნა;
- კონსტრუქციული აზროვნების განვითარება;
- პროდუქტიული ურთიერთობების შენარჩუნება;
- ყურადღების კონცენტრაციის წახალისება/გავარჯიშება;
- მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ძიება და სიტუაციისა და თვითანალიზზე მუშაობა;
- დამსახურებული ქება და წახალისება;
- კვლევითი უნარების მოტივირება;
- მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების განსაზღვრაში დახმარება;
- მათთვის დასაძლევ ანოცანების და გამოწვევების დასახვა;
- კონკრეტული უნარების განვითარებისთვის მკაფიო მიზნების დასახვა;
- პრაქტიკული მიდგომების გამოყენება;

დასკვნა

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვხედავთ რომ ე.წ. რბილ/მოქნილ უნარებთან მიმართებაში, როგორც საგანამანათლებლო, ისე ბიზნეს-სექტორებშიც სერიოზული მიდიგომებია და ამაზე არაერთი სერიოზული კვლევა მეტყველებს. ეს კი, თავისთავად კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და აუცილებელია იმ უნარების პრიორიტეტებად ქცევა, რომლებიც ხელს შეუწყობს 21 საუკუნეში ადამიანების პიროვნულ და პროფესიულ წარმატებებს, რაც თავისთავად გაზრდის ინფორმაციულ ეპოქაში თანამედროვე ადამიანების ფსიქოლოგიური კეთილდღეობის ხარისხს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Сластникова Н.Г., “Мягкие” навыки для жизни и карьеры, Руководство для старшеклассников, Американский университет в Центральной Азии;
<http://hr-inspire.ru/?p=3520>;
<https://www.rand.org/blog/2012/10/nine-lessons-on-how-to-teach-21st-century-skills-and.html> Nine Lessons on How to Teach 21st Century Skills and Knowledge;
<http://freeedu.ru/modx/kakie-navyiki-i-znaniya-nuzhnyi-v-21-veke>;
<http://hr-inspire.ru/?p=3520> «НАВЫКИ XXI ВЕКА»: НОВАЯ РЕАЛЬНОСТЬ В ОБРАЗОВАНИИ;
Home «Навыки XXI века»: новая реальность в образовании;
<https://www.work.ua/ru/articles/career/1109/>;
<https://proforientator.ru/publications/articles/20-soft-skills-dlya-budushchey-karery-kak-i-kogda-razvivat.html>;
<https://daniloff15.livejournal.com/528748.html>;
<http://rcpp.by/article/navyki-cheloveka-xxi-veka/> На основе «21 century skills. Learning for life in our times» B. Trilling, Ch. Fadel.

ფერთა ფსიქოლოგიის გამოყენების ასპექტები ბრენდის განვითარების პროცესში (ლიტერატურული ანალიზი)

ნინო რუხაია-მოსემლველიშვილი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია,
ასისტენტ-პროფესორი,
ეკონომიკის დოქტორი

აბსტრაქტი

ფსიქოლოგია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბრენდინგში, რადგან ის შესაძლებლობას აძლევს მარკეტერებს მოახდინოს გავლენა მომხმარებელთა ქცევაზე და გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე. ფსიქოლოგიური პრინციპების გამოყენებით, მარკეტოლოგებს და ბრენდის სტრატეგებს შეუძლიათ შექმნან ძლიერი და ეფექტური კამპანიები, რამდენადაც ფსიქოლოგია პასუხობს ისეთ კითხვებს, რომელიც უმნიშვნელოვანესია მომხმარებელთა ქცევის მართვისათვის.

ნაშრომში განვიხილეთ ისეთი მნიშვნელოვანი სტატიები, როგორცაა სატიენდრა სინგის “ფერების გავლენა მარკეტინგზე”, რომელიც იკვლევს ფერის როლს მარკეტინგში და მის გავლენას მომხმარებელთა ქცევაზე, და ენდრიუ ჯ. ელიოტის და მარკუს ა. მაიერის “ფერების ინტერაქტიული ეფექტები”, რომელიც იკვლევს ფერების კომბინაციების გავლენას მომხმარებელთა რეაქციებზე და სხვა..

მიმდინარე კვლევა დაფუძნებულია ლიტერატურის ანალიზზე. ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია მეორეული ინფორმაციის კვლევის ისეთი ტექნიკები, როგორცაა: მონაცემთა ანალიზი, ლიტერატურის კვლევა, შედარება და სხვა.

ნაშრომის ძირითადი ჰიპოთეზა: ფსიქოლოგია თანამედროვე ბრენდინგის განუყოფელი და აუცილებელი ნაწილია. მომხმარებელთა ქცევის შესწავლა და მათში სასურველი ემოციების, მიჯაჭვულობისა და ლოიალობის აღძვრა შეუძლებელია მომხმარებელთა ფსიქოლოგიის გაანალიზების გარეშე.

კვლევებმა აჩვენა, რომ ფსიქოლოგიამ ნათელი მოჰფინა ემოციების როლს მომხმარებელთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ბრენდები ახლა ფოკუსირებულია მომხმარებლებთან ლოიალური კავშირების შექმნაზე ამბების, ისტორიების, კონკრეტული ემოციების გამოწვევისა და ფსიქოლოგიური ტრიგერების გამოყენებით. ემოციური ბრენდინგი ხელს უწყობს ბრენდის უფრო დაახლოებას მიზნობრივ აუდიტორიასთან და აძლიერებს მომხმარებელთა ლოიალობას. დღეს ბრენდ-მენეჯერები ითვალისწინებენ კოგნიტური ფსიქოლოგიის პრინციპებს, როგორცაა ყურადღება, აღქმა და მეხსიერება, ვებსაიტების, ინტერფეისების და ფიზიკური სივრცის დიზაინის დროს. ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე დაფუძნებული მომხმარებლის გამოცდილების ოპტიმიზაციის გზით, ბრენდებს შეუძლიათ გააძლიერონ ჩართულობა, კმაყოფილება და ბრენდის აღქმა. მოკლედ, ფსიქოლოგიის ჩართვამ ბრენდინგში გადააქცია ის უფრო მეცნიერულ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ დისციპლინად. ბრენდები ახლა იყენებენ ფსიქოლოგიურ კვლევას, პერსონალიზებენ თავიანთ სტრატეგიებს, ფოკუსირდებიან ემოციურ კავშირებზე, ახდენენ მომხმარებლის გამოცდილების ოპტიმიზაციას და მონაცემთა ანალიტიკას გავლენიანი და წარმატებული ბრენდინგის კამპანიების შესაქმნელად.

ფერთა ფსიქოლოგია მნიშვნელოვანი კატეგორიაა ბრენდინგში, რომელსაც სულ უფრო ხშირად და საფუძვლიანად შეისწავლიან მეცნიერები. საქართველოში მსგავსი ტიპის კვლევები ჯერჯერობით არ არის ხელმისაწვდომი და მხოლოდ არასამეცნიერო წყაროებში გვხვდება მათზე ინფორმაცია, თუმცა მარკეტერები იყენებენ მსოფლიო გამოცდილებას და ცდილობენ ფეხი აუწყონ ბრენდირების პროცესში მომხმარებელთა ფსიქოლოგიური განწყობებისა და აღქმების პროცესებს.

ფერთა ფსიქოლოგია იმდენად მრავალმხრივი და განსხვავებულია სხვადასხვა საზოგადოებებში, რომ ერთგვაროვანი რეკომენდაციების ჩამოყალიბება რთული იქნებოდა. მარკეტერები, რომლებიც სწავლობენ მომხმარებელთა ქცევაზე ფსიქოლოგიურ გავლენებს, მხოლოდ ერთი საერთო რჩევით შემოიფარგლებიან: შეისწავლეთ თქვენი მომხმარებლების აღქმები, განწყობები, მათი კულტურული და ფსიქო-ემოციური თავისებურებები და გამოიყენეთ ეს ფასდაუდებელი ინფორმაცია ბრენდის ისტორიის, განვითარების სტრატეგიისა და იმიჯის კომპონენტების დანერგვისას.

ზოგადად, ფსიქოლოგია იძლევა ღირებულ შეხედულებებს მომხმარებელთა ქცევის შესახებ, და ბრენდები, რომლებსაც ესმით და იყენებენ ფსიქოლოგიურ პრინციპებს თავიანთი ბრენდის სტრატეგიებში, ბევრად უფრო გავლენიანი კამპანიების შექმნას ახერხებენ.

საკვანძო სიტყვები:

ფერის ფსიქოლოგია, ბრენდინგი, მომხმარებელთა ქცევა, ემოციები ყიდვის გადაწყვეტილებისას.

Aspects of the Use of Color's Psychology in the Process of Brand Development (Literature Review)

Nino Rukhaia-Mosemgwdlishvili

Assistant Professor

LEPL - Davit Agmashenebeli National Defense Academy of Georgia,
Doctor of Economics

Abstract

Psychology plays an important role in branding because it enables marketers to influence consumer behavior and decision-making processes. By applying psychological principles, marketers and brand strategists can create powerful and effective campaigns, as psychology answers questions that are critical to driving consumer behavior.

The paper discusses important articles such as Satyendra Singh's "Impact of Color on Marketing", which examines the role of color in marketing and its influence on consumer behavior, and "Interactive Effects of Color" by Andrew J. Eliot and Marcus A. Mayer, who investigate the effect of color combinations on consumer reactions, etc.

The current study is based on literary analysis. While working on the paper, techniques of secondary information research such as data analysis, literature survey, comparison, and others are used.

The main hypothesis of the paper: psychology is an integral and necessary part of modern branding. Studying consumer behavior and inducing desired emotions, attachment, and loyalty in them is impossible without analyzing consumer psychology.

Studies have shown that psychology has shed light on the role of emotions in consumer decision-making. Brands now focus on creating loyal connections with consumers using news and stories, evoking specific emotions and psychological triggers. Emotional branding helps bring the brand closer to the target audience and strengthens customer loyalty. When designing websites, interfaces, and physical spaces, brand managers today consider principles of cognitive psychology, such as attention, perception, and memory. By optimizing the customer experience based on psychological factors, brands can enhance engagement, satisfaction, and brand perception. In short, including psychology in branding has transformed it into a more scientific and evidence-based discipline. Brands are now using psychological research, personalizing their strategies, focusing on emotional connections, optimizing user experience, and data analytics to create influential and successful branding campaigns.

Color psychology is a very important category in branding that is more and more often and thoroughly examined by the scientists. Similar types of studies are not yet available in Georgia and information about them can only be found in non-scientific sources; however, marketers use world experience and try to follow the processes of consumers' psychological moods and perceptions in the branding process.

Color psychology is so diverse and different in different societies that it would be difficult to formulate uniform recommendations. Marketers who study psychological influences on consumer behavior are limited to only one general piece of advice: study your consumers' perceptions, moods, and cultural and psycho-emotional characteristics and use this invaluable information when introducing brand history, development strategy, and image components.

In general, psychology provides valuable insights into consumer behavior, and brands that understand and apply psychological principles to their brand strategies are able to create far more impactful campaigns.

Keywords:

Color psychology, Branding, Consumer behavior, Emotions in purchase decisions.

შესავალი

ფსიქოლოგიის ინტეგრაციამ ბრენდინგში მნიშვნელოვნად გარდაქმნა ეს სფერო, გადააქცია ის უფრო მეცნიერულ და მონაცემებზე ორიენტირებულ დისციპლინად. ფსიქოლოგიის გამოყენებამ ბრენდინგში გააღრმავა მომხმარებელთა შეხედულებების და ინტერესების კვლევა. ბრენდები ახლა ატარებენ ფართო კვლევებს, გამოკითხვებს და ექსპერიმენტებს მომხმარებლის ქცევის, ინტერესებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესების გასაგებად. ეს სამეცნიერო მიდგომა საშუალებას აძლევს ბრენდებს მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები და განავითარონ მიზნობრივი სტრატეგიები ემპირიულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით. მომხმარებელთა მრავალფეროვანი ფსიქოლოგიური პროფილისა და მოტივაციის გააზრებით, ბრენდებს შეუძლიათ თავიანთი შეტყობინებების, ვიზუალური ელემენტების და გამოცდილების მორგება კონკრეტულ სამიზნე აუდიტორიაზე. ეს პერსონალიზაცია იწვევს უფრო მყარ კავშირებს, ზრდის შესაბამისობას და აუმჯობესებს ბრენდის ლოიალობას.¹

გარდა ამისა, ფსიქოლოგიამ ნათელი მოპვინა ემოციების როლს მომხმარებელთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ბრენდები ახლა ფოკუსირებულია მომხმარებელთან ლოიალური კავშირების შექმნაზე ამბების, ისტორიების, კონკრეტული ემოციების გამოწვევისა და ფსიქოლოგიური ტრიგერების გამოყენებით. ემოციური ბრენდინგი ხელს უწყობს ბრენდის უფრო დაახლოებას მიზნობრივ აუდიტორიასთან და აძლიერებს მომხმარებელთა ლოიალობას. დღეს ბრენდ-მენეჯერები ითვალისწინებენ კონკრეტული ფსიქოლოგიის პრინციპებს, როგორცაა ყურადღება, აღქმა და მეხსიერება, ვებსაიტების, ინტერფეისების და ფიზიკური სივრცის დიზაინის დროს. ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე დაფუძნებული მომხმარებლის გამოცდილების ოპტიმიზაციის გზით, ბრენდებს შეუძლიათ გააძლიერონ ჩართულობა, კმაყოფილება და ბრენდის აღქმა. მოკლედ, ფსიქოლოგიის ჩართვამ ბრენდინგში გადააქცია ის უფრო მეცნიერულ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ დისციპლინად. ბრენდები ახლა იყენებენ ფსიქოლოგიურ კვლევას, პერსონალიზებენ თავიანთ სტრატეგიებს, ფოკუსირდებიან ემოციურ კავშირებზე, ახდენენ მომხმარებლის გამოცდილების ოპტიმიზაციას და მონაცემთა ანალიტიკას გავლენიანი და წარმატებული ბრენდინგის კამპანიების შესაქმნელად.

მიმდინარე კვლევა დაფუძნებულია ლიტერატურის ანალიზზე. ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია მეორეული ინფორმაციის კვლევის ისეთი ტექნიკები, როგორცაა: მონაცემთა ანალიზი, ლიტერატურის კვლევა, შედარება და სხვა.

ნაშრომის ძირითადი ჰიპოთეზა: ფსიქოლოგია თანამედროვე ბრენდინგის განუყოფელი და აუცილებელი ნაწილია. მომხმარებელთა ქცევის შესწავლა და მათში სასურველი ემოციების, მიჯაჭვულობისა და ლოიალობის აღძვრა შეუძლებელია მომხმარებელთა ფსიქოლოგიის გაანალიზების გარეშე.

მიმდინარე სტატიაში წარმოგიდგენთ ბრენდინგის სხვადასხვა ფსიქოლოგიური ასპექტის შესახებ ავტორიტეტულ მკვლევართა ნაშრომების ანალიზს.

ძირითადი ნაწილი

ფერთა ფსიქოლოგიის გავლენა ბრენდინგზე ოცდამეერთე საუკუნეში

ფსიქოლოგია გვთავაზობს ღირებულ შეხედულებებს მომხმარებელთა ქცევისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესების შესახებ: ბრენდის იდენტობის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია იმის ცოდნა, თუ როგორ აღიქვამენ მომხმარებლები და რასთან აკავშირებენ ბრენდებს. ბრენდის იდენტობას, ღირებულებებსა და თვისებებს შეუძლია გავლენა მოახდინოს მომხმარებლის ემოციებსა და ყიდვის ქცევაზე. ფერები იწვევს სხვადასხვა ემოციურ პასუხებს და ბრენდები ამ ცოდნას იყენებენ კონკრეტული მესიჯების გადასაცემად. ფერები შეიძლება სტრატეგიულად შეირჩეს მათი ასოციაციებისა და კულტურული მნიშვნელობების საფუძველზე. ფსიქოლოგია და თხრობის ტექნიკა ეხმარება ბრენდებს ემოციურად ჩართონ მომხმარებლები და შექმნან უფრო ღრმა კავშირები თანაგრძნობისა და იდენტიფიკაციის გამოწვევით.

ბრენდები იყენებენ სოციალური მიკუთვნებულობის ისეთ ელემენტებს, როგორცაა: ჩვენებები, მიმოხილვები და ცნობილი ადამიანების რეკომენდაცია, რათა აჩვენონ მომხმარებლებს, რომ ის სწორედ მათთვისაა. ბრენდის თანმიმდევრული ასოცირება პოზიტიურ გამოცდილებასთან და ღირებულებებთან ერთად, ხელს უწყობს პოზიტიური ბრენდის ასოციაციების დამყარებას მომხმარებელთა გონებაში.

ფერის ფსიქოლოგია არის კვლევის სფერო, რომელიც სწავლობს, თუ როგორ შეიძლება ფერებმა გავლენა მოახდინოს ადამიანის ქცევაზე, ემოციებზე და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. არსებობს მრავალი სტატია და კვლევითი ნაშრომი ფერის ფსიქოლოგიის შესახებ. მათ შორის, ერთ-ერთი საინტერესოა “ფერების გავლენა მარკეტინგზე: ყოვლისმომცველი მიმოხილვა” ანა პაპადოპულუს და ჯორჯ ა. ალექსოპულუსის (2020): სტატია, რომელიც გამოქვეყნებულია ეკონომიკის, კომერციის და მენეჯმენტის საერთაშორისო ჟურნალში, იძლევა ყოვლისმომცველ მიმოხილვას ფერების ფსიქოლოგიის შესახებ არსებული ლიტერატურის შესახებ. მარკეტინგში. ის იკვლევს ფერის გავლენას მომხმარებელთა ქცევაზე, ბრენდის აღქმაზე და რეკლამის ეფექტურობაზე, ხაზს უსვამს ამ სფეროში სხვადასხვა კვლევების

1 Ítalo José de Medeiros Dantas, Fabiano Eloy Atílio Batista, and others. “The psychological dimension of colors: a systematic literature review on color.” Research, Society and Development, 2022.

ძირითად მიგნებებს.

ამავე თემას ეძღვნება ენდრიუ ჯ. ელიოტის და მარკუს ა. მაიერის “ფერების ინტერაქტიული ეფექტები” (2014): ეს სტატია იკვლევს ფერების ინტერაქტიულ ეფექტებს და გვაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია ფერების კომბინაციებმა გავლენა მოახდინოს მომხმარებელთა რეაქციებზე. იგი განიხილავს, თუ როგორ შეიძლება ფერებმა გამოიწვიოს კონკრეტული ემოციები და ასოციაციები, და როგორ შეუძლიათ მარკეტერებს თავიანთი ფერის არჩევანის ოპტიმიზაცია ბრენდინგისა და რეკლამისთვის.

კიდევ ერთი საინტერესო ნაშრომია, რავი მეჰტას და რუი (ჯულიეტა) ჟუ (2009) “ფერების გავლენა მახსოვრობაზე”. ის იკვლევს ურთიერთობას ფერსა და ყურადღების პროცესებს შორის და როგორ შეუძლია სხვადასხვა ფერებს გააძლიეროს ან შეაფერხოს გახსენება. მიგნებები გავლენას ახდენს ბრენდინგისა და დიზაინზე, რაც ხაზს უსვამს ფერის არჩევანის მნიშვნელობას ინფორმაციის შენარჩუნების გასაადვილებლად.²

და ბოლოს, სატიენდრა სინგჰის “ფერების გავლენა მარკეტინგზე” (2006): ეს სტატია, რომელიც გამოქვეყნებულია მენეჯმენტისა და მარკეტინგული კვლევის ჟურნალში, შეისწავლის ფერების გავლენას მომხმარებელთა აღქმაზე და შესყიდვის ქცევაზე. მასში განხილულია სხვადასხვა ფერის ფსიქოლოგიური და კულტურული ასოციაციები და როგორ შეიძლება მათი სტრატეგიული გამოყენება მარკეტინგსა და ბრენდინგში. ეს სტატიები გვთავაზობენ ღირებულ შეხედულებებს ფერის გავლენის შესახებ მომხმარებელთა ქცევაზე და ეხმარებიან მარკეტოლოგებსა და ბრენდის სტრატეგებს ფერის ფსიქოლოგიის ეფექტურად გამოყენებაში ბრენდინგის პროცესში.³

ზემოაღნიშნულ ნაშრომებში განხილულია, თუ როგორ აქვთ ფერებს ფსიქოლოგიური და კულტურული ასოციაციები, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა აღქმაზე და ქცევაზე. სხვადასხვა ფერები იწვევს კონკრეტულ ემოციებსა და განწყობებს და ეს ასოციაციები შეიძლება განსხვავდებოდეს კულტურაში. მაგალითად, დასავლურ კულტურებში წითელი ხშირად ასოცირდება მღელვარებასთან და ვნებასთან, ხოლო ზოგიერთ აზიურ კულტურაში წითლის სიმბოლო შეიძლება იყოს იღბალი ან კეთილდღეობა.

ნაშრომებში ხაზგასმულია, თუ როგორ შეუძლია ფერს ხელი შეუწყოს ბრენდის მთლიან პიროვნებასა და იმიჯს. ბრენდები ხშირად ირჩევენ კონკრეტულ ფერებს, რომლებიც შეესაბამება მათ დანიშნულ ბრენდის პიროვნებას და სამიზნე აუდიტორიას. მაგალითად, ბრენდმა, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდულ და ენერგიულ დემოგრაფიულ სფეროს, შეიძლება გამოიყენოს ცოცხალი და თამამი ფერები, ხოლო ბრენდი, რომელიც მიზნად ისახავს უფრო დახვეწილი და მაღალი დონის იმიჯს, შეიძლება აირჩიოს მოკრძალებული და ელეგანტური ფერები.

საუბარია ასევე ფერის გავლენაზე მომხმარებელთა მიერ შესყიდვის გადაწყვეტილებებზე: ინდივიდებს აქვთ პირადი პრეფერენციები გარკვეულ ფერებზე, მათი გამოცდილების, კულტურული ფონის და ინდივიდუალური მახასიათებლების საფუძველზე. ამ პრეფერენციების გაგება შეიძლება დაეხმაროს მარკეტოლოგებს, მოარგონ თავიანთი ბრენდინგი და მარკეტინგული ძალისხმევა, რათა რეზონანსი მოახდინონ სამიზნე აუდიტორიაზე.

მნიშვნელოვანია აგრეთვე, მარკეტინგულ მასალებში ფერების კომბინაციების გათვალისწინება. იგი განიხილავს ფერთა ჰარმონიის კონცეფციას და დამატებითი ან კონტრასტული ფერების გამოყენებას ვიზუალური მიმზიდველობისა და ბალანსის შესაქმნელად. სათანადო ფერთა კომბინაციებმა შეიძლება გააძლიეროს ბრენდის აღიარება და განასხვავოს ბრენდი მისი კონკურენტებისგან. ხაზგასმულია მარკეტინგში ფერის არჩევანის კონტექსტის და შესაბამისობის გათვალისწინების მნიშვნელობა. ფერები უნდა შეესაბამებოდეს პროდუქტს ან სერვისს, რომელიც ბაზარზე იყიდება და შეესაბამებოდეს ბრენდის პოზიციონირებას და დანიშნულ გზავნილს. ფერის შეუსაბამო არჩევანმა შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებლების დაბნეულობა ან არასწორი ინტერპრეტაცია. მთლიანობაში, სტატია „ფერის გავლენა მარკეტინგზე“ გთავაზობთ ყოვლისმომცველ მიმოხილვას ფერის გავლენის შესახებ მარკეტინგსა და ბრენდინგში. იგი ხაზს უსვამს ფერების ფსიქოლოგიური და კულტურული ასოციაციების გაგების მნიშვნელობას და იმაზე, თუ როგორ შეიძლება მათი სტრატეგიული გამოყენება მომხმარებელთა აღქმაზე, პრეფერენციებზე და შესყიდვის გადაწყვეტილებებზე ზემოქმედებისთვის.

ზოგიერთი სტატია ხაზს უსვამს მარკეტინგსა და ბრენდინგში ფერთა კომბინაციების ნაცვლად ერთი ფერის გათვალისწინების მნიშვნელობას. ავტორები ვარაუდობენ, რომ ფერების კომბინაციას შეიძლება ჰქონდეს სინერგიული ეფექტი, წარმოქმნას პასუხი, რომელიც აღემატება მისი ნაწილების ჯამს. სტატია გვთავაზობს ფერების ჰარმონიის კონცეპტუალურ მოდელს, რომელიც მოიცავს სამ განზომილებას: ფერის მსგავსებას, ფერის კონტრასტს და სიკაშკაშის კონტრასტს. გარდა ამისა, საინტერესოა ფერების კომბინაციების გავლენა მომხმარებელთა პასუხებზე, მათ შორის აფექტურ პასუხებზე (მაგ., ემოციებსა და გრძნობებზე) და კოგნიტურ პასუხებზე (მაგ., განსჯა და შეფასებები). კვლევამ აჩვენა, რომ ფერების კომბინაციებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ როგორც ემოციურ, ისე შემეცნებით პასუხებზე, ტონის კონტრასტსა და სიკაშკაშის კონტრასტს აქვს ყველაზე ძლიერი ეფექტი.⁴

საინტერესოა ფსიქოლოგიური კვლევები პროდუქტის ტიპის, ბრენდის ცნობადობის და ინდივიდუალური განსხვავებების ზომიერ ეფექტებზე ფერების კომბინაციებსა და მომხმარებელთა პასუხებს

2 hu, Ravi Mehta and Rui (Juliet). “The Influence of Color on Memory Performance.” Journal of Experimental Psychology, 2009.

3 Singh, Satyendra. “Impact of color on marketing.” Management Decision, 2006.

4 Maier, Andrew J. Elliot and Markus A. “The Interactive Effects of Colors.” Journal of Marketing, 2014.

შორის ურთიერთობაზე. კვლევამ აჩვენა, რომ ფერის კომბინაციების ეფექტი განსხვავდება პროდუქტის ტიპის მიხედვით, ზოგიერთი ფერის კომბინაცია უფრო ეფექტურია ჰედონურ პროდუქტებზე (ანუ ის, რომლებიც უზრუნველყოფენ სენსორულ სიამოვნებას), ვიდრე უტილიტარულ პროდუქტებზე (ანუ ის, ვინც აკმაყოფილებს პრაქტიკულ მოთხოვნილებას). კვლევამ ასევე აღმოაჩინა, რომ ფერების კომბინაციები უფრო ეფექტურია უცნობი ბრენდებისთვის, ვიდრე ნაცნობი ბრენდებისთვის და რომ ფერების კომბინაციების ეფექტები განსხვავდება მახასიათებლების შფოთვის ინდივიდუალური განსხვავებების მიხედვით.

მნიშვნელოვანია ფერის გავლენა ბრენდინგსა და დიზაინზე. მარკეტერებმა უნდა გაითვალისწინონ ფერების კომბინაციების სინერგიული ეფექტები და გამოიყენონ ისინი სტრატეგიულად მომხმარებლებში სასურველი პასუხის შესაქმნელად. სტატიაში ასევე ვარაუდობენ, რომ მარკეტერებმა უნდა გაითვალისწინონ პროდუქტის ტიპი, ბრენდის ცნობადობა და მათი სამიზნე აუდიტორიის ინდივიდუალური განსხვავებები ბრენდინგისა და რეკლამისთვის ფერების კომბინაციების არჩევას.⁵

დასკვნა

ფერთა ფსიქოლოგია და არა მარტო ძალიან მნიშვნელოვანი კატეგორიაა ბრენდინგში, რომელსაც სულ უფრო ხშირად და საფუძვლიანად შეისწავლიან მეცნიერები. საქართველოში მსგავსი ტიპის კვლევები ჯერ-ჯერობით არ არის ხელმისაწვდომი და მხოლოდ არასამეცნიერო წყაროებში გვხვდება მათზე ინფორმაცია, თუმცა მარკეტერები იყენებენ მსოფლიო გამოცდილებას და ცდილობენ ფეხი აუწყონ ბრენდირების პროცესში მომხმარებელთა ფსიქოლოგიური განწყობებისა და აღქმების პროცესებს.

ფერთა ფსიქოლოგია იმდენად მრავალმხრივი და განსხვავებულია სხვადასხვა საზოგადოებებში, რომ ერთგვაროვანი რეკომენდაციების ჩამოყალიბება რთული იქნებოდა. მარკეტერები, რომლებიც სწავლობენ მომხმარებელთა ქცევაზე ფსიქოლოგიურ გავლენებს, მხოლოდ ერთი საერთო რჩევით შემოიფარგლებიან: შეისწავლეთ თქვენი მომხმარებლების აღქმები, განწყობები, მათი კულტურული და ფსიქო-ემოციური თავისებურებები და გამოიყენეთ ეს ფასდაუდებელი ინფორმაცია ბრენდის ისტორიის, განვითარების სტრატეგიისა და იმიჯის კომპონენტების დანერგვისას.

ზოგადად, ფსიქოლოგია იძლევა ღირებულ შეხედულებებს მომხმარებელთა ქცევის შესახებ, და ბრენდები, რომლებსაც ესმით და იყენებენ ფსიქოლოგიურ პრინციპებს თავიანთი ბრენდის სტრატეგიებში, ბევრად უფრო გავლენიანი კამპანიების შექმნას ახერხებენ.

გამოყენებული ლიტერატურა

- Review.” *International Journal of Economics, Commerce and Management*;
Ítalo José de Medeiros Dantas, Fabiano Eloy Atilio Batista, and others. 2022. “The psychological dimension of colors: a systematic literature review on color.” *Research, Society and Development*;
Maier, Andrew J. Elliot and Markus A. 2014. “The Interactive Effects of Colors.” *Journal of Marketing*;
Singh, Satyendra. 2006. “Impact of color on marketing.” *Management Decision*;
Zhu, Ravi Mehta and Rui (Juliet). 2009. “The Influence of Color on Memory Performance.” *Journal of Experimental Psychology*.

5 Alexopoulos, Anna Papadopoulou and George A. “*Impact of Color on Marketing: A Comprehensive Review*.” *International Journal of Economics, Commerce and Management*, 2020.

თავდაცვის სისტემა გენდერულ ჭრილში

ოლღა ცისკარიშვილი-სოსელია

მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი
ალტერბრიჯი ასოცირებული პროფესორი,
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის, ალტე უნივერსიტეტის
მიწვეული ლექტორი,
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

აბსტრაქტი

საქართველოს გეზი აქვს აღებული ევროპული ღირებულებებისკენ, ამიტომ სულ უფრო მწვავედ და ხშირად დგება საკითხი გენდერული თანასწორობისა ყველა დარგში, მათ შორის თავდაცვის სფეროშიც. მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, სულ უფრო მეტი ქალი ერთვება თავდაცვის სისტემაში. საქართველოში, ახალგაზრდა მამაკაცების უმრავლესობა, წლების განმავლობაში სავალდებულო სამხედრო სამსახურს თავს არიდებდა. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ბიჭები რიგი მიზეზების გამო, თავს არიდებენ სამხედრო სამსახურს, გოგონები პირიქით, ფიქრობენ სამხედრო სამსახურში მსახურებას. ეს კი ოფიციალურ დონეზე სავსებით შესაძლებელიცაა. გენდერზე მსჯელობა სულ ბოლო დრომდე ნიშნავდა ქალთა ინტეგრაციას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯერ კიდევ პრიორიტეტად რჩება. 2000 წელს გაეროს უშიშროების საბჭოს გარდამტეხი რეზოლუციით №1325 აღიარებულია, რომ ქალებს და კაცებს განსხვავებული გამოცდილება აქვთ კონფლიქტის დროს, განსხვავებული საჭიროებები კონფლიქტის შემდეგ, განსხვავებული დამოკიდებულებები კონფლიქტის მიზეზებსა და შედეგებზე და განსხვავებული წვლილის შეტანა შეუძლიათ სამშვიდობო პროცესში. იმისთვის, რომ შეიარაღებულ ძალებში წარმოდგენილი იყოს მომსახურე პერსონალის და ქვეყანაში არსებული ყველა ხელმისაწვდომი უნარი და ტალანტი, საჭიროა ქალების და კაცების სრული ინტეგრაცია. ქალებსაც შეუძლიათ გარკვეული წვლილის შეტანა სამხედრო ოპერაციებში. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ქალებით და კაცებით დაკომპლექტებული ჯგუფები აძლიერებენ თავდაცვას. ავღანეთში მაგალითად, ქალი პერსონალის ჩართულობამ ადგილობრივ ქალებთან შეიარაღებულ ძალებს მისცა საშუალება შეეფასებინა ინფორმაცია, რომელიც სხვა მხრივ არ იქნებოდა ხელმისაწვდომი. ასევე, ქალების დასაქმებამ ადგილობრივ ქალებთან ურთიერთობის და კონტაქტის დამყარების მიზნით შექმნა ნაკლებად მტრული დამოკიდებულება მისიის მიმართ. ჯერ კიდევ არსებობს ბარიერები ქალების შეიარაღებულ ძალებში და თავდაცვის სისტემაში მონაწილეობისთვის. ზოგიერთი ამ ბარიერის იდენტიფიცირება შესაძლებელია მარტივად: სექსუალური ძალადობა, სექსუალური შევიწროება, კონკრეტულ დანაყოფში ქალის დისლოკაციაზე უარი, არაადეკვატური ინფრასტრუქტურა ანდა ლოჯისტიკის სხვა პრობლემები და ა.შ. ასევე, პრობლემაა სამუშაო პირობებიც, რომელიც შეუძლებელს ხდის ოჯახის ძირითადი მარჩენალისთვის პროფესიული განათლების მიღებას, ქალებისათვის შესაფერისი მენტორების ნაკლებობა, დაწინაურების მიკერძოებული პროცედურები, დანაყოფებში გენდერულად ბრმა განაწილების პროცედურები, საჩივრის და შევიწროების, მათ შორის, სექსუალური შევიწროების და ძალადობის სხვა ფორმის შეტყობინების არაეფექტური სისტემა. ბევრ შემთხვევაში ქალთა სამხედრო ძალებში დაწინაურების ბარიერები ასევე წარმოადგენს შეიარაღებულ ძალებში მრავალფეროვნების მიღწევის ბარიერს.

საკვანძო სიტყვები:

თავდაცვა, ჯარი, ქალი, გენდერი, სამხედრო.

Defence System in Terms of Gender

Olgha Tsiskarishvili-Soselia

Associate Professor, Alterbridge -
International University of Management and Communication,
Invited Lecturer, Black Sea International University and Alte University,
PhD in Social Science

Abstract

Georgia has taken the path towards European values, and therefore, the question of gender equality in all fields is becoming increasingly acute and frequent, including in the field of defence as well. Based on world practice, more and more women are joining the defence system. In Georgia, most of young men have been avoiding compulsory military service for years. While boys are often avoiding military service for a number of reasons, girls are thinking of serving in the military and it is quite possible at the official level. Until recently, discussing gender has meant the integration of women, although it still remains a priority. In 2000s, the UN Security Council Resolution #1325, as a landmark resolution, recognized that women and men have different experiences during conflict, different needs after conflict, different attitudes about the causes and consequences of conflict, and different contributions to the peace process. For full integration of women and men it is necessary to ensure that the Armed Forces represent all the available skills and talents of service personnel and the country. Women can make certain contribution to military operations as well. Experience has shown that groups staffed by women and men strengthen the defence system. For example in Afghanistan, the involvement of female staff with local women allowed the armed forces to assess information that would not have been available otherwise. Also, the employment of women to establish relationships and contacts with local women created a less hostile attitude towards the mission.

There are still barriers to women's participation in the armed forces and defence system. Some of these barriers can be easily identified, like sexual assault, sexual harassment, refusal to dislocate women in a specific unit, inadequate infrastructure or other logistics problems, etc. The problems is include working conditions, which makes impossible for the main breadwinner of the family to get professional education; there is also lack of suitable mentors for women, biased promotion procedures, gender-blind allocation procedures in units, complaint and harassment, including an ineffective reporting system for sexual harassment and other forms of violence. In many cases, barriers to promotion for women in the military are also barriers to achieving diversity in the armed forces.

Keywords:

Defence, Army, Woman, Gender, Military.

შესავალი

სულ უფრო მწვავედ და ხშირად დგება საკითხი გენდერული თანასწორობის ყველა დარგში, მათ შორის თავდაცვის სფეროშიც. სტატიაში განხილულია რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში. სტატიაში გამოყენებულია ინტერნეტრესურსი. თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევა.

კვლევის შედეგებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულ თავდაცვის სისტემაში გენდერული დისბალანსია. თუმცა სასურველი იქნებოდა თავდაცვის უწყებაში, უფრო მეტი ქალი ყოფილიყო ჩართული, ასევე სასურველი იქნებოდა ჟურნალისტები, მათ შორის ქალები, რომლებიც მუშაობენ ცხელ წერტილებში, გადიოდნენ სპეციალურ სამხედრო მომზადებას.

კვლევებიდან ასევე გამოიკვეთა ის, რომ საჭიროა სისტემის რესტრუქტურის რეორგანიზაცია, და სასურველია სამხედრო სავალდებულო სამსახურში ნაბაყოფილობით ჩართვა, და მხოლოდ კონტრაქტით.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს თავდაცვის სისტემაში პრობლემები

თანამედროვე ეპოქაში, როცა საქართველოს გეზი აქვს აღებული ევროპული ღირებულებებისკენ, სულ უფრო მწვავედ და ხშირად დგება საკითხი გენდერული თანასწორობის ყველა დარგში, მათ შორის თავდაცვის სფეროშიც. მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, სულ უფრო მეტი ქალი ერთვება თავდაცვის სისტემაში. უახლოესი ისტორიიდან მაგალითებისთვის კმარა ისრაელის თავდაცვის შემადგენლობა და უკრაინის ომის დროს ქალების ჩართულობა საბრძოლო მოქმედებებში.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს, რამდენად სურთ საქართველოს მოქალაქეებს შეიარაღებულ ძალებში მსახურება და რამდენად სურთ ქალებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბიჭი უფრო მეტი იბადება, ვიდრე გოგო, ბიჭები მაინც ცდლობენ თავი აარიდონ სამხედრო სავალდებულო სამსახურს. ბიჭების რიცხოვნების ზრდის ერთ-ერთი მიზეზი სელექციური აბორტებია, თუმცა მიგრაციაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამგვარ დემოგრაფიულ მდგომარეობაზე. წლების განმავლობაში, ახალშობილი ბიჭების წილი 52%-ს შეადგენს. 30 წლამდე ასაკში, მამაკაცების რიცხვი აღემატება ქალების რაოდენობას.¹

საქართველოში, ახალგაზრდა მამაკაცების უმრავლესობა, წლების განმავლობაში სავალდებულო სამხედრო სამსახურს თავს არიდებდა, ზოგი „გირჩის“ პარტიაში წევრიანდებოდა, ზოგი საკუთარი რწმენიდან, რელიგიიდან გამომდინარე, ფიქრობდა, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან თავს დაიხსნიდა. ზოგიც უმაღლეს სასწავლებელში მხოლოდ იმიტომ აბარებდა, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან თავი დაეხსნა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ომების გამოცდილება მრავლად აქვს, ახალგაზრდები დღესაც ფიქრობენ, რომ თავი აარიდონ სავალდებულო სამხედრო სამსახურს.

მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ბიჭები რიგი მიზეზების გამო, თავს არიდებენ სამხედრო სამსახურს, გოგონები პირიქით, ფიქრობენ სამხედრო სამსახურში მსახურებას. ეს კი ოფიციალურ დონეზე სავსებით შესაძლებელია.

თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგიის მიხედვით, „მუხლი 1. რეგულირების სფერო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დოკუმენტი (შემდგომში - „გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დოკუმენტი“), ადგენს საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის ძირითად გარანტიებს, ითვალისწინებს საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს და ვრცელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროზე, საქართველოს შეიარაღებულ ძალებზე, მათ სტრუქტურულ ერთეულებზე და თავდაცვის სისტემაში არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე“.²

ზემოთ დასმულ საკითხებზე ვესაუბრეთ სოციალურ მეცნიერებათა დოქტორს ლაშა ზარგინავას, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა კონფლიქტების თემზე. „ეს არის კომპლექსური საკითხი და აბსოლუტურად გასაგებია, რომ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს და ყოველთვის იარსებებს, რაც არ უნდა დაახლოვდეს პოზიციები ამ სფეროს სპეციალისტებს შორის. ჩემი პრაქტიკული გამოცდილებით და ამ მიმართულებით აკადემიური საქმიანობის კვალობაზე გეტყვით, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახური უნდა იყოს ნებაყოფლობითი. ვერ გახდება ადამიანი მეომარი, თუ მასში ეს სულისკვეთება არ დევს. ზოგადად, ადამიანის სოციალური მოწყობა ასეთი, რომ ვერც ერთ პროფესიას საფუძვლიანად ვერ დაეუფლები, რაც არ უნდა დაგაძალოს და რა თქმა უნდა, ეს ყველაზე მეტად წარმოუდგენლად მეჩვენება, პროფესია ჯარისკაცთან მიმართებით. როცა ვამბობ, რომ სამხედრო სამსახური უნდა იყოს ნებაყოფლობითი, არ ვგულისხმობ იმას, რომ ქვეყანას ჯარი არ სჭირდება, პირიქით, ძალიანაც სჭირდება, იმ გამოწვევების ფონზე, რომელიც საქართველოს და რეგიონის სხვა ქვეყნებს აქვთ. ჩვენ გარემოცული ვართ

1 <https://www.geostat.ge/media/38262/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%2C-2020.pdf>

2 https://mod.gov.ge/uploads/public/strtegiebi_koefciebi/%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98/gebderulistrategiisdokumenti.pdf

კონფლიქტებით, რომლებიც ხან პასიურ ფაზაშია, ხანაც აქტიურდება. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა უნდა იყოს მდგრადი, მაგრამ არა იძულების ფონზე. მეორე საკითხია, რამდენად სამართლიანი მიდგომა ექნება სახელმწიფოს ამ ინსტიტუციასთან დაკავშირებით, გაწვევის ნაწილში. დღეს, ვერც ერთი ჩინოვნიკის შვილს ან მდიდარი დედა-მამის შვილს ჯარში ვერ ნახავთ. აქვთ გადავადების თანხის საშუალება და იხდიან. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გარანტიად თუ მოვიაზრებთ ჯარს, ეს არ უნდა გადადიოდეს მხოლოდ იმ ფენაზე, ვინც თანხას ვერ იხდის და გადავადებას ვერ ახერხებს. ეს არის მახინჯი ფორმა. თავდაცვის ახალი კოდექსი, რომელიც ამჟამად მუშავდება პარლამენტში, ამ დაშვებებს, მეტნაკლებად ამცირებს, თუმცა ბევრი რამ დარჩა მასში ისეთი, რაც მიუღებელია. ეს საუბრის სხვა თემაა და ბევრ დროს მოითხოვს. რაც შეეხება ქალთა ჯარში გაწვევის საკითხს, ესეც ინდივიდუალურია. ჩემი ქალიშვილი, როცა გაიზრდება და სრულწლოვანების ასაკს მიაღწევს, თუ ჯარში სამსახურის სურვილი ექნება, მე ამას არ დავუშლი, პირიქით, დავეხმარები. მაგრამ, ეს არ უნდა იყოს გადაუდებელი ვალდებულება სახელმწიფოს მხრიდან. მიმსახურია ორი წელი ქართულ ჯარში და ვიცი, ფსიქოლოგიურად როგორ ინგრეოდნენ ამ ვალდებულებით ჩემს ირგვლივ ადამიანები. თუ ჩვენ ვსაუბრობთ გენდერულ თანასწორობაზე და ეს აუცილებელიც არის, მაშინ ეს ზღვარი არ უნდა არსებობდეს ქალსა და კაცს შორის, მაგრამ აირჩევის საშუალება უნდა დავუტოვოთ, ერთსაც და მეორესაც. მაგალითად, სომხეთში ახლა მუშავდება კანონი, რომლის მიხედვითაც, ქალების ჯარში გაწვევა იქნება ნებაყოფლობითი და ანაზღაურებადი. რაღაც ანალოგიურის გაკეთება ჩვენც შეგვიძლია, რადგან ჩვენი ტერიტორიების 20% ისევ ოკუპირებულია, ისევე ღია და პოტენციურად მოსალოდნელია, რუსეთის, აგრესორი ქვეყნის მხრიდან ომი და პროვოკაციები, შესაბამისად, ყველა ადამიანს უნდა გააჩნდეს, თავდაცვის გარკვეული უნარი. აქ, სქესს მნიშვნელობა არ აქვს,“ - გვეუბნება სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ლაშა ზარგინავა.

„გენდერზე მსჯელობა სულ ბოლო დრომდე ნიშნავდა ქალთა ინტეგრაციას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯერ კიდევ პრიორიტეტად რჩება“.³

„შეიარაღებულ ძალებში და თავდაცვის სხვა დაწესებულებებში გენდერული თანასწორობისადმი მისწრაფება მოითხოვს ცვლილებებს ინსტიტუციურ კულტურაში და თავდაცვის როლის მიმართულების შეცვლას გენდერული თანასწორობის პოპულარიზაციის პროცესში და საზოგადოებაში მის განხილვას. საჭიროებს საფრთხეების შესწავლას და გადახედვას, როგორ არის თავდაცვის სექტორი სახელმწიფოს და ინდივიდუალური პირების გენდერულ საფრთხეებზე რეაგირების კუთხით აღჭურვილი. საჭიროა მსჯელობაც იმაზე, თუ რა სახის ადამიანები, უნარები და ღირებულებებია საჭირო თანამედროვე თავდაცვის ძალებისთვის. ასეთი აქტივობებიც კი წარმოუდგენელი იყო ათი ან ოცი წლის წინ“.⁴ დღეს კი სულ სხვა რეალობის წინაშე ვდგავართ.

კონფლიქტის გენდერულ ანალიზს და მათ ზეგავლენას ცხოვრების გარკვეულ სფეროებზე, გრძელი ისტორია აქვს. 1995 წელს ქალთა საკითხების შესახებ მეოთხე მსოფლიო კონფერენცია გაიმართა. კონფერენციის შედეგად დაიდო „პეკინის მოქმედების პლატფორმა“, მოიცავს თავს - ქალები შეიარაღებული კონფლიქტების დროს.⁵ ის იმის აღიარებას მოითხოვს, რომ კონფლიქტი ქალებსა და კაცებზე განსხვავებულად ზემოქმედებს და რომ შეიარაღებული კონფლიქტების მართვა და პოსტ კონფლიქტური აღმშენებლობის პროცესი ქალთა უფლებების დაცვას, გენდერული და სექსუალური ძალადობის პრევენციას და სამშვიდობო მოლაპარაკებებში ქალთა მონაწილეობის გაზრდას უნდა ითვალისწინებდეს. 2000 წელს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია №1325, რომლის შემუშავებაში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა შეასრულეს დიდი როლი. ამ რეზოლუციის მიღება გარდამტეხი იყო, რადგან აღნიშნულმა დოკუმენტმა გენდერსა და უსაფრთხოებას შორის კავშირი დაადგინა და კონფლიქტის ყველა ციკლში ქალის როლის მნიშვნელობა განამტკიცა. 2008 წელს მიღებულმა უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1820-მა სექსუალური ძალადობა, როგორც ომის ტაქტიკა, დაგმო. ეს რეზოლუციები ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოებისთვის დღის წესრიგს დაედო საფუძვლად.

2000 წელს გაეროს უშიშროების საბჭოს გარდამტეხი რეზოლუციით №1325 აღიარებულია, რომ „ქალებს და კაცებს განსხვავებული გამოცდილება აქვთ კონფლიქტის დროს. ამის შემდგომ, გაეროს უშიშროების საბჭომ დამატებით ცხრა რეზოლუცია მიიღო, რომელიც ქალებს და კონფლიქტს შეეხება და რომელიც ერთიანობაში ქალები, მშვიდობის და უსაფრთხოების დღის წესრიგს შეადგენს. ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოების დღის წესრიგის მიზნებია: გენდერული თანასწორობის მხარდაჭერა და ქალთა მონაწილეობის გაძლიერება კონფლიქტის პრევენციის, სამშვიდობო პროცესის, სამშვიდობო ოპერაციების და მშვიდობის მშენებლობის ყველა ასპექტში ქალთა დაცვის გაუმჯობესება კონფლიქტურ გარემოში და კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობისთვის დაუსჯელობის აღმოფხვრა საერთაშორისო ჩართულობა კონფლიქტურ სიტუაციებში ვრცელდება ქალთა კონკრეტულ საჭიროებებზე და ქალთა უფლებების დაცვას აუმჯობესებს.

იმისთვის, რომ თავდაცვის ძალებში წარმოდგენილი იყოს მომსახურე პერსონალის და ქვეყანაში არსებული ყველა ხელმისაწვდომი უნარი და შესაძლებლობა, საჭიროა ქალების და კაცების სრული ინტეგრაცია. ქალებსაც შეუძლიათ გარკვეული წვლილის შეტანა სამხედრო ოპერაციებში. პრაქტიკამ აჩვენა, რომ კაცებით და ქალებით შემდგარი ჯგუფები თავდაცვას აძლიერებენ.

3 https://www.dcaf.ch/sites/default/files/publications/documents/GSToolkit_Tool-3%20GEO.pdf

4 ვაისონი კ., გენდერი და უსაფრთხოება - პრაქტიკული მითითებების კრებული „თავდაცვა და გენდერი“, 2019.გვ.90; https://www.dcaf.ch/sites/default/files/publications/documents/GSToolkit_Tool-3%20GEO.pdf

5 იქვე

ბარიერები

ჯერ კიდევ არსებობს ბარიერები ქალების შეიარაღებულ ძალებში და თავდაცვის სისტემაში მონაწილეობისთვის. ზოგიერთი ამ ბარიერის იდენტიფიცირება მარტივად არის შესაძლებელი. ესენია: სექსუალური ძალადობა, სექსუალური შევიწროება, კონკრეტულ დანაყოფში ქალის დისლოკაციაზე უარი, არაადეკვატური ინფრასტრუქტურა ანდა ლოჯისტიკის სხვა პრობლემები და ა.შ. ასევე პრობლემა სამუშაო პირობებიც, რომელიც შეუძლებელს ხდის ოჯახის ძირითადი მარჩენალისთვის პროფესიული განათლების მიღებას, ქალებისათვის შესაფერისი მენტორების ნაკლებობა, დაწინაურების მიკერძოებული პროცედურები, დანაყოფებში გენდერულად ბრმა განაწილების პროცედურები, საჩივრის და შევიწროების, მათ შორის, სექსუალური შევიწროების და ძალადობის სხვა ფორმის შეტყობინების არაეფექტური სისტემა. ბევრ შემთხვევაში, ქალთა სამხედრო ძალებში დაწინაურების ბარიერები ასევე წარმოადგენს შეიარაღებულ ძალებში მრავალფეროვნების მიღწევის ბარიერს.

„თავდაცვის სექტორში გენდერის ინტეგრირება ეროვნული თავდაცვის პოლიტიკის და სტრუქტურების შექმნის პროცესში გამოცდილებას, ცოდნას და ქალთა და მამაკაცთა ინტერესებს, ამ პოლიტიკის განხორციელებასა (ეროვნული და საერთაშორისო ოპერაციების გათვალისწინებით) და შედეგების შეფასებას აერთიანებს.“⁶

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი (ცვლილებები დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წელს) და კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ (დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2010 წელს), უზრუნველყოფს ქალებისთვის და კაცებისთვის თანაბარ უფლებებს და შესაძლებლობებს, ასევე აღიარებს განსაკუთრებული ზომების მიღების აუცილებლობას ქალებსა და კაცებს შორის არსებითი თანასწორობის მისაღწევად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. 2006 წლის საქართველოს გენდერული თანასწორობის კონცეფციის მიხედვით, გენდერული თანასწორობა ადამიანის უფლებათა განუყოფელი ნაწილია. და გულისხმობს ქალთა და კაცთა თანაბარ წარმოჩენას, უფლებამოსილებასა და თანასწორ მონაწილეობას საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველა სფეროში.⁷

ომი და ქალი ჟურნალისტები

ქალების როლი მნიშვნელოვანია ჟურნალისტიკაშიც, და მით უმეტეს, მაშინ, როცა შეიარაღებული კონფლიქტების გაშუქების ეპიცენტრში ქალები ხვდებიან. მსოფლიოში განვითარებული პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, მასშტაბური ომების მიმდინარეობას ჟურნალისტთა კორპუსი სხვადასხვა ქვეყნებიდან აშუქებენ ხოლმე. ხშირია მსხვერპლი ჟურნალისტების მხრიდან. ისინი კონფლიქტის ზონიდან, ცხელი წერტილებიდან გადასცემენ აუდიტორიას ახალ ამბებს და ამას აკეთებენ თავიანთი სიცოცხლის ფასად. ხშირ შემთხვევაში, ჟურნალისტებმა, უბრალოდ არ იციან საომარი მოქმედებების დროს როგორ უნდა მოიქცნენ და იმუშაონ. ეს განსაკუთრებით ეხებათ განვითარებადი ქვეყნების მასმედიის წარმომადგენლებს. სხვადასხვა მედიის ცნობით, უკრაინაში უკვე მხოლოდ ოთხ თვეში, პროფესიული მოვალეობის დროს, დაიღუპა 33 ჟურნალისტი.⁸

„უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ სამხედრო მოქმედებების შედეგად დაიღუპა 17 ჟურნალისტი და 14 დაიჭრა. გაეროს ცნობით, ოთხმა დაზარალებულმა ჟურნალისტმა განაცხადა, რომ მათ დევნიან თავიანთი პროფესიული საქმიანობის გამო. მინიმუმ შვიდი ჟურნალისტი დაიღუპა დაბომბვისას, ხუთი მათგანი - დიდი ალბათობით რუსეთის ჯარების იერიშებისას. კიდევ ხუთი ჟურნალისტი დაიღუპა აქტიური სამხედრო მოქმედებების რაიონებში. თავდამსხმელთა ვინაობა ყველა შემთხვევაში არ არის დადგენილი. ერთი ჟურნალისტი რუსეთის სამხედროებმა გაიტაცეს და აწამეს. ის გათავისუფლების შემდეგ მალე გარდაიცვალა. გაერო აღნიშნავს, რომ დაღუპულ და დაჭრილ ჟურნალისტთა შორის მინიმუმ ხუთი ქალია. მათ შორისაა რადიო თავისუფლების უკრაინული სამსახურის თანამშრომელი ვერა ჰირიჩი და რუსი ჟურნალისტი ოქსანა ბაულინა.“⁹

მხოლოდ 2022 წლის 30 მაისი მონაცემებით, „მას შემდეგ, რაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, სულ მცირე 23 ჟურნალისტი მოკლეს.“¹⁰

„ვფიქრობ, არ არის საკმარისი საომარ სიტუაციებში მომუშავე ჟურნალისტებისთვის ტრენინგების გავლა მხოლოდ თუ როგორ უნდა აშუქებდეს ამგვარ საკითხებს, არ აქვს მნიშვნელობა ასეთი ჟურნალისტი ქალია თუ კაცია, აუცილებელად უნდა ჰქონდეს სამხედრო მომზადება, საიმისოდ, რომ უფრო კომპეტენტური იყოს ასეთი საკითხების გაშუქებისას და უზრუნველყოს როგორც საკუთარი, ისე მის

6 <https://www.osce.org/files/f/documents/b/5/30675.pdf>

7 გაეროს ქალთა ორგანიზაცია, გენდერული მენსტრიმიინგი - ცნებები და განმარტებები. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.un.org/womenwatch/osagi/conceptsanddefinitions.htm>; <https://www.geostat.ge/media/38262/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%2C-2020.pdf>

8 <https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/tendenciebi/article/92244-ukrainis-tsinaaghmddeg-omis-4-thve-daighupa-33-zhurnalisti>

9 <https://www.radiotavisupleba.ge/a/31931463.html>

10 <https://netgazeti.ge/news/613199/>


ირგვლივ მყოფი პირების უსაფრთხოებაც ...“ - ამბობს დალი ოსეფაშვილი იბსუ-ს ჟურნალიტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების პროფესორი, ჟურნალისტიკის დოქტორი

როგორ უნდა მოიქცნენ საომარი მოქმედებებისას ჟურნალისტები და მათ შორის ქალი ჟურნალისტები, და როგორ იქცევიან, ან რამდენად მომზადებულნი არიან ისინი ასეთ პირობებში მუშაობისთვის, ეს უფრო ფართო საკვლევი თემაა, თუმცა ჩვენს კვლევაში შევცადეთ ც პატარა ადგილის დათმობა.


მიუხედავად რიგი მიღებული კანონებისა და რეზოლუციებისა, გენდერის პრობლემა თავდაცვის სისტემაში დღესაც მწვავედ დგას. ჩვენი კვლევა, ზემოთ ნახსენები პრობლემების გარდა, ამ პრობლემებსაც მოიცავს.

გთავაზობთ ჩვენს მიერ სოციალური ქსელებით ჩატარებულ კვლევას, რომლის შედეგების სიზუსტის ალბათობა +/- 5 პროცენტია. კვლევაში მონაწილეობა მიიღო - 153 რესპონდენტმა. მათ შორის 18-დან 25 წლამდე იყო 34,2 %, 26-დან 35 წლამდე 20,4 %, 36-დან ზევით 45,4%. რესპონდენტთა ასაკი კი შემდეგნაირად გადანაწილდა - მდედრობითი სქესის წარმომადგენელი - 78.3 %, ხოლო მამრობითი -21,7%. რესპონდენტთა უმეტესობა 46,7% ბაკალავრია, 6.6% კოლეჯში სწავლობს, 32.2% მაგისტრია, ხოლო გამოკითხულთა 6,6% - დოქტორი.


კითხვაზე - „სავალდებულო უნდა იყოს სამხედრო სამსახურში გაწვევა?“ - დადებითად უპასუხა 31.6 %-მა, უარყოფითად - 59,9 %-მა. თავი შეიკავა ან არ იცის 8,6%-მა.



კითხვაზე - „გენდერულ ჭრილში თუ განვიხილავთ, სასურველი იქნება თუ არა ქალების/გოგონების სამხედრო სამსახურში გაწვევა?“ - არ იქნება სასურველი - უპასუხა 18,3%-მა, სასურველი იქნება უპასუხა - 25.5%-მა; არ ვიცი უპასუხა - 10,5%-მა, უნდა იყოს მხოლოდ კონტრაქტით უპასუხა რესპონდენტთა 45.8%-მა.




კითხვაზე - „უნდა იყოს თუ არა ნებაყოფილობითი სამხედრო სამსახურში მსახურება?“ - დადებითად უპასუხა 64.1%-მა, არა უპასუხა - 16.3%-მა. უნდა იყოს მხოლოდ კონტრაქტით უპასუხა - 17%, დანარჩენმა პასუხისგან ან თავი შეიკავა, ან არ იცის.




კითხვაზე - „უნდა ჰქონდეს სამხედრო წვრთვნა გავლილი ჟურნალისტს, თუკი ის ამუქებს შეიარაღებულ კონფლიქტებს?“ (Should journalists who fuel armed conflicts receive military training?),

აუცილებლად უპასუხა - 72.7%-მა, უარყოფითად უპასუხა 2,6%-მა და რა საჭიროა წვრთნა, ჟურნალისტმა ისედაც უნდა იცოდეს, როგორ იმუშაოს კონფლიქტის ზონაში უპასუხა 24,7%-მა.




კითხვაზე - „თქვენი აზრით, იკავებენ თუ არა ქალები თავს თავდაცვის სისტემაში, სამხედრო პოზიციაზე მუშაობაზე?“

- დადებითად უპასუხა 57.8 %-მა, უარყოფითად უპასუხა - 12.3%-მა, არ იცის 29.9%-მა.




კითხვაზე - „თუ იკავებენ თავს, თქვენი აზრით, რა არის მიზეზი?“

5,5%-მა უპასუხა, რომ ხელფასია დაბალი. გენდერული დისბალანსი - 27,9%. დაწინაურების შეფერხება - 6,1%-მა, რა უნდა ქალს ჯარში, ქალის ადგილი „კუხნაშია“ - 4,1 %-მა, ემინიათ სექსუალური შევიწროების - 3,4 %. ფიზიკურად არ შეუძლიათ თავდაცვის ჯარებში მსახურება - 6.1%; სუსტი სქესია -1,4%-მა, არაფერი არ უშლით ხელს რომ თავდაცვის სისტემაში იმსახურონ - 9,5%-მა, მხოლოდ მათ ნებაზეა დამოკიდებული იმსახურებენ თუ არა - 36,1%-მა.



კითხვაზე: „თქვენი აზრით, კაცები რატომ იკავებენ თავს სამხედრო სავალდებულო სამსახურში მსახურებაზე?“, 17,1%-მა უპასუხა დაბალი ანაზღაურების გამო, არ არის უსაფრთხო - 6,6%-მა, არ უნდათ იძულებით მსახურება - 20,4 %, ეზინიათ ძალადობის - 2%, ერიდებიან დისკომფორტს - 6,6%, არ სურთ რეჟიმში ცხოვრება - 17.1 %, თვლიან, რომ დროის ფუჭად ხარჯვაა - 27.6%.



დასკვნა

ჩვენი კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ თავდაცვის სისტემაში გენდერული დისბალანსი დღესაც არის. სამხედრო სამსახურში მსახურება რესპონდენტთა უმრავლესობისთვის უპრიანი იქნებოდა მხოლოდ კონტრაქტით.

ჟურნალისტები, რომლებიც მუშაობენ ცხელ წერტილებში, კარგი იქნებოდა გაეცლიათ სპეციალური სამხედრო მომზადება.

სასურველია, სახელმწიფომ და თავდაცვის სისტემამ შეიმუშაოს ის რეგულაციები, რომლებიც მისაღები იქნება ქვეყნის მოქალაქეებისთვის, რაც ხელს შეუწყობს თავდაცვის უნარიანობის ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რეზოლუცია №1325 (2000), https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2017/1325_GEO.pdf;

ვათსონი კ., გენდერი და უსაფრთხოება - პრაქტიკული მითითებების კრებული „თავდაცვა და გენდერი“, 2019.გვ.90; https://www.dcaf.ch/sites/default/files/publications/documents/GSToolkit_Tool-3%20GEO.pdf;

<https://www.geostat.ge/media/38262/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%2C-2020.pdf>;

https://mod.gov.ge/uploads/public/strategiebi_koefciebi/%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98/gebderulistrategiisdokumenti.pdf;

https://www.dcaf.ch/sites/default/files/publications/documents/GSToolkit_Tool-3%20GEO.pdf;

<https://www.osce.org/files/f/documents/b/5/30675.pdf>;

<http://www.un.org/womenwatch/osagi/conceptsanddefinitions.htm>;

<https://www.radiotavisupleba.ge/a/31931463.html>;

<https://formulanews.ge/News/68842>;

<https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/tendenciebi/article/92244-ukrainis-tsinaaghamdeg-omis-4-thve-daighupa-33-zhurnalisti>;

<https://netgazeti.ge/news/613199/>.

ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მხარდაჭერა დისტანციური სწავლების ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში

რამაზ ჩიჩუა

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების
ასისტენტ პროფესორი,
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

აბსტრაქტი

სტატიაში ასახულია განათლების ინფორმატიზაციის პროცესის ფსიქოლოგიური საფუძვლები და გაანალიზებულია სტუდენტების ინფორმაციისა და კომპიუტერული აქტივობის პრობლემა. მოსწავლეთა საინფორმაციო-კომპიუტერული აქტივობა გაგებულია, როგორც თვისობრივად განსაკუთრებული ტიპის საქმიანობა. ავტორს ყურადღება გამახვილებული აქვს იმ ფაქტზე, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებთან ურთიერთობისას იცვლება და ვითარდება სტუდენტების საქმიანობის ორიენტირებული და ოპერატიულ-ტექნიკური კომპონენტები.

საინფორმაციო-კომპიუტერული გარემო, როგორც სუბიექტის აქტივობის კონტექსტი, ხდება ფსიქიკური ნეოპლაზმების ახალი წყარო. სტატიაში განხილულია სტუდენტების მიერ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ფსიქოლოგიური შედეგები, ხაზგასმულია სტუდენტების საინფორმაციო და კომპიუტერული აქტივობების უზრუნველყოფის პირობები. სტუდენტების მხარდაჭერა ხელს უწყობს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების შესახებ ცოდნის გაფართოებას, სოციალურად ღირებული მოტივაციის ფორმირებას და ინფორმატიზაციის უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების უნარების განვითარებას. მუშაობის პროცესში ტარდება მონიტორინგი, ხდება სტუდენტების ინდივიდუალური ტიპოლოგიური მახასიათებლების შესწავლა ტექნოლოგიებთან ურთიერთობისას, ხდება არსებული გადახრების გამოსწორება და იქმნება სუბიექტის განწყობა ინფორმაციული და კომპიუტერული ტექნოლოგიების პროდუქტიული გამოყენებისთვის.

ნაშრომში ასევე აღნიშნულია, რომ, დღესდღეობით, ინფორმაციული ტექნოლოგია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს განათლების სისტემის ხარისხზე. მთავარი პრივილეგია არის სტუდენტების მომზადების ხარისხი და დონე უნივერსიტეტებში, რაც განათლების სისტემის წარმატებული ფუნქციონირების საწინდარს წარმოადგენს. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში ავლენს მოსწავლეთა შემოქმედებით შესაძლებლობებს.

სტატიაში წარმოდგენილია განსხვავებული მოსაზრებები ელექტრონული სწავლების სხვადასხვა ასპექტების შესახებ. აღნიშნულია, რომ განათლებაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების მხარდმა პოპულარულობამ და პრაქტიკაში მათი გამოყენების აქტიურობამ დააფიქრა უმაღლესი და საჯარო საგანმანათლებლო სასწავლებლები სწავლების შესაბამისი ფორმებისა და მეთოდების გაუმჯობესებაზე.

ნაშრომში აგრეთვე წარმოჩენილია ის პრობლემები, რომლებიც იქმნება დისტანციური სწავლების დროს, სტუდენტსა და პედაგოგს შორის პირისპირი კომუნიკაციის ნაკლებობისას. სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე, სტატიის ავტორი ყურადღებას ამახვილებს ელექტრონული სწავლების განხორციელების ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ პრობლემებზე. ავტორი აღნიშნავს, რომ ცოდნა ელექტრონული სწავლების გამოყენების უარყოფითი შედეგების შესახებ აუცილებელია, რათა დროულად მოხდეს ისეთი უარყოფითი ეფექტების კომპენსირება, როგორებიცაა: ეროვნული იდენტობის და ცნობიერების შესუსტება, სხეულის სხვადასხვა სისტემის გადატვირთვა, პედაგოგის როლის შესუსტება, მოსწავლის საქმიანობის კონტროლი და სხვა.

განათლების პრობლემის აქტუალობა განპირობებულია მისი შეღწევით თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. სტატიის საგანია ავტორის მიერ პრაქტიკული საქმიანობის პროცესში გამოვლენილი ფსიქოლოგიური და პედაგოგიური განათლების მთელი რიგი პრობლემების კრიტიკული ანალიზი.

ამ პრობლემების ანალიზის საფუძველზე ვლინდება განათლების ორგანიზებისა და განხორციელების აქტუალური პრინციპები, ასევე ინფორმაციის წარდგენის თანამედროვე მოთხოვნები.

საკვანძო სიტყვები:

დისტანციური სწავლება, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია, განათლება.

Psychological and Pedagogical Support in the General Educational System of Distance Learning

Ramaz Chichua

Assistant Professor of Defence and Security Program
LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
PhD in Social Science

Abstract

The article deals with the psychological foundations of the process of informatization of education and analyzes the problem of student information and computer activity. Student information and computer activity is defined as a qualitatively special type of activity. The author has drawn attention to the fact that the oriented and operational-technical components of student activities change and develop when interacting with modern technologies.

Information and computer environment as the context of the person's activity becomes the new source of mental neoplasms. The article discusses the psychological consequences of the use of information technologies and emphasizes the conditions to provide students with information and computer activities. Student support contributes to the expansion of knowledge about the socio-psychological aspects of the use of information technologies, the formation of socially valuable motivation and the development of skills to avoid the negative consequences of informatization. In the work process monitoring is performed, the individual typological characteristics of the students are examined when interacting with technologies, the existing deviations are corrected, and the subject's attitude is formed to productively use information and computer technologies.

The paper also mentions that information technology is one of the significant factors for the present that impacts the quality of education system. The principal privilege is the quality and level of training of students at the universities that is the key to successful functioning of the education system. Using information technologies in the educational process demonstrates the creative abilities of students.

The article presents different standpoints about various aspects of e-learning. One must note that the increasing popularity of using information technologies both in education and practice have prompted higher and public education institutions to think about improving the appropriate forms and methods of teaching.

The paper also highlights the problems that evolve during the distance learning if there is a lack of face-to-face communication between student and teacher. Based on the analysis of scientific and methodological literature, the author of the article draws attention to the psychological and pedagogical problems of the implementation of e-learning. It is pointed out that having knowledge about the negative consequences of the use of e-learning is necessary in order to timely compensate for the negative effects such as weakening of national identity and consciousness, overloading of various body systems, decreasing of the teacher's role, controlling student's activity, etc.

The relevance of the educational issue is due to its penetration into almost all spheres of the life of modern society. The object of the article is to critically analyze a number of problems of psychological and pedagogical education revealed by the author in the process of practical activity.

Based on the analysis of these problems, the current principles of education regulation and implementation as well as the current needs for presenting information are identified.

Keywords:

Distance learning, Pedagogy, Psychology, Education.

შესავალი

დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესში ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მხარდაჭერის ორგანიზების აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ დისტანციური სწავლების ყველა სუბიექტი: სტუდენტები, ლექტორები, საგანმანათლებლო და მეთოდოლოგიური მასალების შემქმნელები, მშობლები, რომლებიც იწყებენ ინტერნეტში მუშაობას (ურთიერთქმედება), ხშირად აწყდებიან ფსიქოლოგიურ სირთულეებს.

ნაშრომში გამოკვეთილია, რომ დისტანციური სწავლების შეწყვეტის სურვილის გაჩენაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ლექტორთან არასაკმარისი კომუნიკაცია, ასევე თანაკურსელებთან კომუნიკაციის უნარის მნიშვნელოვანი შეზღუდვა. სტუდენტებს არ აქვთ შესაძლებლობა პირდაპირ დაუკავშირდნენ სხვებს, რის შედეგადაც ისინი არ გრძნობენ ჩართულობას თავიანთ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დისტანციური სწავლების პროცესში სასწავლო პროცესის სუბიექტებს შორის შეიმჩნევა სოციალური და ემოციური კონტაქტის დიდი დეფიციტი. თანამედროვე პირობებში, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები ხელს უწყობენ დისტანციური სწავლების დროს კომუნიკაციური აქტივობის რაოდენობრივი მხარის ზრდას, მაგრამ ამავე დროს, ზარალდება სუდენტსა და ლექტორს შორის, ასევე თავად სტუდენტებს შორის ურთიერთქმედების ხარისხობრივი მხარე. პედაგოგი-სტუდენტი და სტუდენტი-სტუდენტის სისტემაში ურთიერთქმედების პროცესით სოციალური და ემოციური უკმაყოფილების კომპენსირების სხვადასხვა მექანიზმების შემუშავებამ და დანერგვამ შეიძლება მნიშვნელოვნად გაამჯობესოს დისტანციური სწავლების ეფექტურობა. ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ მხარდაჭერაში ვგულისხმობთ ინფორმაციულ საგანმანათლებლო გარემოში დისტანციური სწავლების სუბიექტებს შორის ურთიერთქმედების შეგნებულ სისტემურ პროცესს, რომელიც მიზნად ისახავს ფსიქოლოგიური და პედაგოგიური დახმარების გაწევას დისტანციური სწავლების პროცესის სუბიექტებისთვის (სასწავლო კურსის შემქმნელი, ქსელის პედაგოგები და ქსელის სტუდენტები) დისტანციური სწავლების პროცესის შემუშავებასა და განხორციელებაში.¹

ძირითადი ნაწილი

1. დისტანციური სწავლების პროცესში წარმოშობილი პრობლემები

დისტანციური სწავლების პროცესის გაანალიზებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესის სუბიექტებს შორის ურთიერთქმედების პროცესში წარმოქმნილ პრობლემებს შორის შეიძლება გამოიყოს ორი კატეგორია: დისტანციური სწავლების პროცესის ყველა კატეგორიის სუბიექტებისათვის საერთო პრობლემები და სასწავლო პროცესის ცალკეული კატეგორიების სუბიექტებისათვის დამახასიათებელი პრობლემები.

საერთო პრობლემები

დისტანციური სწავლების მთავარი ფსიქოლოგიური პრობლემა დღეს არის უშუალო კონტაქტის არარსებობა სასწავლო პროცესის სუბიექტებს შორის: პედაგოგისა და სტუდენტებს, ასევე თავად სტუდენტებს შორის. ტრადიციული პირისპირ კომუნიკაცია საკმაოდ განსხვავდება თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისაგან.

დისტანციური სწავლების სისტემის ძირითადი შეზღუდვებია:

- კომუნიკაციის არავერბალური კომპონენტების ნაკლებობა;
- კომუნიკაციის უჩვეულო ფორმა და შეტყობინებების სიჩქარე;
- კონტაქტების ემოციური გადატაკება და სხვა თავისებურებები.

ინფორმაციული და საგანმანათლებლო გარემოს შუამავლობით არსებული კომუნიკაცია ხშირად უარყოფით გავლენას ახდენს დისტანციური სწავლების შედეგებზე.

დისტანციური სწავლების კიდევ ერთი პრობლემაა დიალოგის ორგანიზების პროცესში კითხვა-პასუხს შორის დროის გაზრდა, ასევე ორგანიზაციის რესურსების შეზღუდვა. დისტანციური სწავლების სისტემაში დიალოგი გახანგრძლივებულ ხასიათს ატარებს: დიალოგის სტრიქონები ერთმანეთისგან დროში არის გამიჯნული, არ ხდება თანამოსაუბრეთა პირდაპირი (მყისიერი) რეაქცია დიალოგის რეპლიკებზე. კომუნიკაციის მონაწილეები შემოიფარგლებიან მხოლოდ ვერბალური საშუალებებით, მათ არ აქვთ შესაძლებლობა, რომ გამოიყენონ კომუნიკაციის სხვა საშუალებები (ჟესტები, სახის გამომეტყველება, ინტონაცია) და ამიტომ იძულებულნი არიან მიმართონ გრაფიკულ სიმბოლოებს („სმაილიკები“, სასვენი ნიშნები, დიდი ასოებით გამოყოფა, პირობითი ნიშნები, მაგალითად, :-)) და ა.შ.). თუმცა, უნდა აღინიშნოს,

1 Z. Yusopova, „PSYCHOLOGICAL APPROACH TO TEACHING INFORMATION TECHNOLOGIES“, EPRA International Journal of Research and Development (IJRD), Volume: 5 | Issue: 2 | February 2020, ISSN: 2455-7838(Online), DOI: 10.36713/epra2016.

რომ დისტანციური სწავლების პროცესში კომუნიკაციას ამ მხრივ აქვს დადებითი მხარე: პასუხის დაგვიანება შესაძლებელს ხდის შენიშვნაზე დაფიქრებას, ემოციებთან გამკლავებას, სტილის შეცვლას და ა.შ. და ა.შ.) და ამით მისცეს შესაძლებლობა თანამოსაუბრეს, რომელიც არ არის დარწმუნებული თავის შესაძლებლობებში, უპასუხოს კითხვას ან დაასრულოს დავალება ბოლომდე.²

დისტანციური სწავლების განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ქსელური ეტიკეტის ნორმების ცოდნა და დაცვა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სასწავლო გარემოში ფსიქოლოგიური კომფორტის ატმოსფეროს შექმნაზე. დისტანციური სწავლების პროცესში ყველა მონაწილეს მუდმივად უნდა ახსოვდეს ქსელური ეტიკეტის ცნებები, რათა არ აწყენინოს „თანამოსაუბრეს“ შემთხვევითი ან დაუფიქრებელი სიტყვით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ონლაინ ქსელის სტუდენტსა და ონლაინ ქსელის პედაგოგს შორის კომუნიკაციის თვალსაზრისით, როდესაც ლექტორმა უნდა შეინარჩუნოს სწავლისადმი ინტერესი სწავლაში შესამჩნევი პროგრესის არარსებობის შემთხვევაშიც კი. მაგალითად, პედაგოგის მეგობრული კომენტარები დასრულებულ დავალებაზე („შენ კარგად გააკეთე, თუმცა ...“, „სწორად ჩამოაყალიბე ..., თუმცა ...“), რაც ასახავს მის ნამდვილ სურვილს დაეხმაროს სტუდენტს სირთულეებთან გამკლავებაში. სტუდენტებს დისკუსიაში საკუთარი პოზიციის სწორად გამოხატვის მოტივაცია დიდწილად დაეხმარებათ სწავლის მოტივაციისა და პროდუქტიულობის ამაღლებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ დისტანციური სწავლების გარემოში ეფექტური ურთიერთქმედების ორგანიზებისთვის, ვირტუალური გუნდის ნებისმიერ წევრს უნდა შეეძლოს:

- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინსტრუმენტების გამოყენება;
- ვირტუალურ გარემოში კომუნიკაცია;
- ინფორმაციის მოძიება და დამუშავება;
- გუნდში ეფექტური ურთიერთობების დამყარება, რაც ვირტუალური კონტაქტის არარსებობის შემთხვევაში გულისხმობს უნარების ჩამოყალიბებას;
- შეუერთდნენ გუნდს, საკუთარი თავი წარმოაჩინონ და აჩვენებენ საუკეთესო თვისებები მხოლოდ სიტყვიერი საშუალებების გამოყენებით;
- ინტერესის გამოჩენა გუნდის სხვა წევრების მიმართ;
- გუნდის სხვა წევრების მუშაობის სტილის სწრაფად გარკვევა და შესაბამისად საკუთარი სტილის შეცვლა;
- წარმოქმნილი უთანხმოების და კონფლიქტური სიტუაციების მოგვარება;
- პროდუქტიული მონაწილეობა პრობლემის გადაჭრაში.

ამრიგად, დისტანციური სწავლების სუბიექტების აქტივობების გაანალიზებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დისტანციური სწავლების გარემოში ურთიერთქმედების საერთო პრობლემებია:

- ვირტუალური კონტაქტის არარსებობის პირობებში სასწავლო პროცესში მონაწილეებს შორის ინტერპერსონალური კონტაქტების დამყარების სირთულეები;
- ინტერნეტში მოქმედი სატელეკომუნიკაციო ეტიკეტის ნორმებისა და წესების დაცვა;
- სირთულეები, რომლებიც დაკავშირებულია საკუთარი აზრის გამოხატვასთან ხანგრძლივი დიალოგისა და მისი ორგანიზების შეზღუდული საშუალებების გამო.

დისტანციური სწავლების სუბიექტებისათვის სხვადასხვა კატეგორიის საგნებისთვის სპეციფიკური პრობლემები

ონლაინ ქსელის სტუდენტები. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემებისა, რომლებიც დამახასიათებელია მთლიანობაში დისტანციური სწავლების პროცესისთვის, ონლაინ სტუდენტები აწყდებიან შემდეგ პრობლემებს:

- ვირტუალური კონტაქტის არარსებობის შემთხვევაში სასწავლო პროცესის სხვა სუბიექტებთან კონტაქტის დამყარების შეუძლებლობა;
- ონლაინ დისკუსიაში ქცევის შეუძლებლობა (დუმილი, აგრესიული ქცევა, აზრის დაცვის უუნარობა, ლაპარაკი ლაკონურად და თავდაჯერებულად და ა.შ.);
- პედაგოგებთან პირადი კომუნიკაციის სირთულეები ელექტრონული ფოსტით;
- სირთულეები სასწავლო კურსის შინაარსის აღქმაში;
- საგანმანათლებლო მასალებით დამოუკიდებელი მუშაობის თვითორგანიზების და რაციონალურად დაგეგმვის შეუძლებლობა და ა.შ.

ონლაინ ქსელის პედაგოგები. ონლაინ ქსელის პედაგოგი ბევრ სირთულეს აწყდება, კერძოდ:

1. ონლაინ სტუდენტების საქმიანობის ორგანიზების სირთულეები;
2. სირთულეები ცალკეულ სტუდენტებთან კომუნიკაციის სტილის არჩევასა;
3. სირთულეები სტუდენტთა ინდივიდუალური მახასიათებლების განსაზღვრაში;
4. ეფექტურად მომუშავე მცირე სასწავლო ჯგუფების ფორმირების პრობლემები;
5. სწავლის მოტივაციის ამაღლების პრობლემები;
6. ტრენინგის დროს ხელსაყრელი ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნა;

2 О. Б. Симатова, „Анализ актуальных проблем психолого-педагогического просвещения“, ВЕСТНИК Педагогическое образование, 2020, УДК 159.99, DOI 10.25688/2076-9121.2020.54.4.01

7. თავად ლექტორის ქცევის ადეკვატურობა დისტანციური სწავლებისთვის არჩეულ მეთოდოლოგიასა და პედაგოგიურ ტექნოლოგიასთან.

იმისათვის, რომ გადაჭრას ზემოთ აღწერილი პრობლემები და წარმატებით დაამყაროს კონტაქტი ყველა სტუდენტთან და ნაყოფიერად ითანამშრომლოს მათთან სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში, ქსელის პედაგოგს სჭირდება ინფორმაცია სტუდენტთა პიროვნული ინდივიდუალური მახასიათებლების შესახებ (შფოთვის დონე, თვითშეფასება, მოტივაციის ბუნება და ა.შ.), რომლებიც შეუძლია მისცეს მხოლოდ ფსიქოლოგმა. ამ სახის ინფორმაციის მქონე ლექტორს შეეძლება განსაზღვროს თითოეულ სტუდენტთან კომუნიკაციის სტილი, ასევე შეიმუშაოს სწავლის პროცესში შესაძლო კონფლიქტური სიტუაციების გადაჭრის საუკეთესო გზები, სასწავლო პროცესში ასეთის არსებობის შემთხვევაში, ნებისმიერი სირთულის შემთხვევაში მსმენელებისთვის მხარდაჭერისა და დახმარების გაწევის მეთოდები.

საგანმანათლებლო მასალების შემქმნელები. დისტანციური კურსების ავტორებმა და შემქმნელებმა ასევე უნდა ითანამშრომლონ ფსიქოლოგებთან კურსის შემუშავების ყველა ეტაპზე მისი ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

დისტანციური კურსების შემქმნელების წინაშე მდგარი პრობლემები:

- სტუდენტთა ინდივიდუალური ასაკისა და ფსიქოლოგიური მახასიათებლების გათვალისწინების აუცილებლობა;
- ინფორმაციის წარმოდგენის საუკეთესო გზების არჩევა საგნის სპეციფიკისა და გარკვეული ასაკის სტუდენტთა ფსიქოლოგიური მახასიათებლების შესაბამისად;
- კონტროლის ოპტიმალური საშუალებებისა და ფორმების არჩევანი.

დისტანციური სწავლების პროცესში ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მხარდაჭერის მიზნები და ამოცანები

ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მხარდაჭერის ობიექტია სასწავლო პროცესი.

უმაღლეს განათლების სისტემაში დისტანციური სწავლების ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მხარდაჭერის ძირითადი მიზნებია:

- სტუდენტთა დახმარება დისტანციური სწავლების პროცესში ინდივიდუალური საგანმანათლებლო ტრეკტორიის შემუშავებასა და განხორციელებაში;
- დისტანციური სწავლების ყველა საგნის ფსიქოლოგიური კომფორტის უზრუნველყოფა.

დისტანციური სწავლების პროცესში სტუდენტების ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მხარდაჭერის ორგანიზებაში დასახული მიზნების მისაღწევად, აუცილებელია შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- დისტანციური სწავლების მონაწილეთა ინტერპერსონალური ურთიერთობების მახასიათებლების: ინდივიდუალური, გონებრივი განვითარების და ფსიქოლოგიური თვისებების განვითარების, შესწავლა, რაც მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად;
- გარემოს (კომუნიკაციური და გარემო, როგორც მონაწილეთა ინდივიდუალური მახასიათებლების ერთობლიობა), დისტანციური სწავლების რეალური რესურსების (ფსიქოლოგიური) შესწავლა;
- ფსიქოლოგიურ თემებზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის პოპულარიზაცია და შემდგომი გადაცემა დისტანციური სწავლების მონაწილეებისთვის;
- ყველაზე ხელსაყრელი პირობების შექმნა მოსწავლისა და პედაგოგის აუცილებელი თვისებების განვითარებისთვის და კონკრეტული ინდივიდის სასწავლო პირობებთან სრული ადაპტაციისთვის;
- სწავლისადმი ინდივიდუალურად დიფერენცირებული მიდგომის უზრუნველყოფა, კონკრეტული პიროვნების ინდივიდუალურად
- ფსიქოლოგიურ მახასიათებლებზე დაყრდნობით.

ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მხარდაჭერა

გამომდინარე იქიდან, რომ ფსიქოლოგიური და პედაგოგიური დახმარება გულისხმობს დისტანციური სწავლების ყველა სუბიექტისათვის ყოვლისმომცველი დახმარების გაწევას, ფსიქოლოგიური და პედაგოგიური დახმარების სამსახურის ორგანიზებისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს რამდენიმე ჯგუფის ამოცანების გადაწყვეტას.

1. სისტემებში ურთიერთქმედების პროცესის კონსტრუქციის მახასიათებლები: **ონლაინ ქსელის პედაგოგი - ონლაინ ქსელის სტუდენტი, ონლაინ ქსელის პედაგოგი - ვირტუალური ჯგუფი, ონლაინ ქსელის სტუდენტი - ონლაინ ქსელის სტუდენტი, ონლაინ ქსელის სტუდენტი - ვირტუალური ჯგუფი.** ამოცანების ამ ჯგუფში არის შემდეგი ქვედავალუბები:

- დისტანციური სწავლების პროცესის სუბიექტებს შორის ურთიერთქმედების ყველაზე ეფექტური ფორმების განსაზღვრა;
- შერჩეულ სისტემებში ურთიერთქმედების კონკრეტული ფორმის ეფექტური განხორციელების პირობების განსაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მხარდაჭერა ასევე შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთობების მხარდაჭერად. მათი განვითარება, გამოსწორება, აღდგენა, ამ ჯგუფისთვის დავალებების განაწილება განპირობებულია დისტანციური სწავლების მახასიათებლებით, რომლებიც დაკავშირებულია საგანმანათლებლო სპეციფიკასთან.

2. დისტანციური სწავლების შემეცნებითი პროცესების თავისებურებები და სწავლების ამ ფორმის გავლენა მონაწილეთა შემეცნებით აქტივობაზე.

ამ ჯგუფის დავალებების განაწილება განპირობებულია:

- დისტანციური სწავლების პირობებში ინფორმაციის წარმოდგენის სპეციფიკით, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია ვიზუალურ აღქმაზე და, შედეგად, სწავლის კომფორტის დაქვეითებაზე სმენითი და კინესთეტიკის მქონე სტუდენტებისთვის;
- სტუდენტთა საქმიანობის ორგანიზების თავისებურებებით, რომლებიც უპირატესად დამოუკიდებელი ხასიათისაა, ან აქტივობები ლექტორის მინიმალური ხელმძღვანელობით.

ამავდროულად, სტუდენტის სამუშაო გრაფიკს, რომელიც უფრო თავისუფალია ტრადიციულ განათლებასთან შედარებით, შეუძლია ხელი შეუწყოს სტუდენტისათვის მუშაობის ოპტიმალური რეჟიმის არჩევას, რაც დადებითად აისახება მის შემეცნებით აქტივობაზე. სტუდენტსა და ლექტორს შორის ვიზუალური კონტაქტის ნაკლებობა დადებითად მოქმედებს, როდესაც სტუდენტი არ არის დარწმუნებული თავის პასუხებში და მიღებული შედეგებით.

3. დისტანციური სწავლების ან მისი ელემენტების გამოყენების მიზანშეწონილობისა და ეფექტურობის განსაზღვრა სხვადასხვა ასაკის მოსწავლეთა ჯგუფებისთვის:

- სტუდენტების ფსიქოლოგიური მახასიათებლების განსაზღვრა, რომლებიც გავლენას ახდენენ დისტანციური სწავლების ეფექტურობაზე;
- სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის სტუდენტთა ფსიქოლოგიური მახასიათებლების დადგენა, რაც დადებითად და უარყოფითად მოქმედებს დისტანციური სწავლების ეფექტურობაზე;
- სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის სტუდენტებისათვის დისტანციური სწავლების ეფექტურობის პირობების განსაზღვრა.

ამ ჯგუფისათვის დავალებების განაწილება განპირობებულია იმით, რომ რიგი მკვლევარების აზრით, ამჟამად განხორციელებული დისტანციური სწავლების ფორმები უფრო შესაფერისია დამატებითი განათლების მიმღები ან გადამზადების მქონე სტუდენტებისთვის. ამ მხრივ, დისტანციური სწავლების განხორციელება საშუალო განათლების დონეზე მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას ფსიქოლოგების მხრიდან.

დისტანციური სწავლების პროცესის ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მხარდაჭერის შინაარსი მოიცავს მუშაობის რამდენიმე სფეროს:

- ანალიტიკურ-დიაგნოსტიკური, რაც გულისხმობს: სტუდენტთა ინდივიდუალური მახასიათებლების შესწავლას, შემეცნებითი ინტერესების გამოვლენას, შემეცნებითი საქმიანობის ინდივიდუალური სტილის განსაზღვრას და ა.შ.; დისტანციური კურსების მონიტორინგის და სასწავლო პროცესის საგნების ურთიერთქმედების მონიტორინგის განხორციელებას;
- საგანმანათლებლო, რომელიც მოიცავს სხვადასხვა აქტივობებს, რომლებიც მიმართულია ინტერნეტში მომუშავე მონაწილეთა საერთო ფსიქოლოგიური წიგნიერების გაუმჯობესებაზე;
- საკონსულტაციო, რომელიც მიზნად ისახავს ფსიქოლოგების ურთიერთქმედებას დისტანციური სწავლების მონაწილეთა სხვადასხვა ჯგუფთან;
- მეთოდური, რომელიც მოიცავს ფსიქოლოგის ურთიერთქმედებას დისტანციური კურსის ავტორთან და ონლაინ ქსელის პედაგოგებთან, რომელიც მიმართულია კურსის ფსიქოლოგიური კომპონენტის კონსტრუქციაზე. საუბარია გარკვეულ ფსიქოლოგიურ მექანიზმებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მოტივაციის მაღალ დონეს და სწავლისადმი ინდივიდუალურად დიფერენცირებულ მიდგომას.

ამრიგად, ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მხარდაჭერის სისტემის შინაარსია:

- დისტანციური სწავლების საგნებს შორის ურთიერთქმედების გზებისა და ფორმების შესახებ ცოდნის სისტემა;
- ქსელური ეტიკეტის ნორმების შესახებ ცოდნის სისტემა;
- მოსწავლეთა ფსიქოლოგიური მახასიათებლების შესახებ ცოდნის სისტემა;
- ცოდნის სისტემა აღქმის გზების შესახებ, სხვადასხვა ფორმით, სპეციალიზებულ საინფორმაციო და საგანმანათლებლო გარემოში წარმოდგენილი ინფორმაციის დამუშავება და ათვისება;
- დისტანციურ სწავლაში მოსწავლეთა დადებითი მოტივაციის ფორმირების გზებისა და მეთოდების სისტემა, მათ შორის წახალისების მეთოდების სისტემა.

4. დისტანციური სწავლების პროცესის ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მხარდაჭერის საშუალებები, მეთოდები და ფორმები:

- საინფორმაციო-საგანმანათლებლო გარემოს საშუალებები;
- რეკომენდაციები დისტანციური სწავლების სხვადასხვა კატეგორიის სუბიექტებზე.

რეკომენდაციებს შორის, რომლებიც აუცილებელი ინსტრუმენტია ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მხარდაჭერის სისტემაში, შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

1. მონაწილეთათვის:

- ონლაინ ქსელის პედაგოგებთან, ვირტუალური აუდიტორიის სტუდენტებთან ურთიერთობის

ორგანიზება (კომუნიკაციის სტილის არჩევა, გაკვეთილების დროს რეალურ დროში ქცევა, ონლაინ ქსელური ეტიკეტის ნორმების დაცვა და ა.შ.);

- ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავება (კურსების, მოდულების, კონტროლის ფორმების არჩევა და ა.შ.), მათ შორის ინდივიდუალური გეგმის შემუშავება კონკრეტული სასწავლო კურსების შინაარსის დასაუფლებლად;
- თვითორგანიზება (ოპერაციის ოპტიმალური რეჟიმის შერჩევა, დროის განაწილება და ა.შ.);
- კომპიუტერულ სასწავლო გარემოში საგანმანათლებლო შინაარსის აღქმასთან დაკავშირებული სირთულეების გადალახვა.

2. ონლაინ ქსელის პედაგოგებისათვის:

- ონლაინ ქსელის სტუდენტებთან ურთიერთობის ორგანიზება - ინდივიდუალურად და ჯგუფურად, კოლეგებთან, პედაგოგებთან, სასწავლო კურსების შემქმნელებთან, მეთოდოლოგებთან (კომუნიკაციის სტილის არჩევა, ურთიერთქმედების სიხშირის განსაზღვრა, ურთიერთქმედების ოპტიმალური ფორმების არჩევა და ა.შ.);
- დისტანციური კურსის ფარგლებში სწავლების მეთოდების შემუშავება, ვირტუალურ სასწავლო ჯგუფში სტუდენტების ინდივიდუალურ მახასიათებლებზე დაყრდნობით;
- რეალურ დროში ჩატარებული გაკვეთილების ფორმებისა და რაოდენობის შერჩევა, კონტროლის ფორმების არჩევა, კვლევისა და საპროექტო აქტივობების ორგანიზების მიზანშეწონილობა, სწავლების მეთოდების არჩევანი და ა.შ.;
- ცალკეული მოსწავლეების მიერ სასწავლო საგნის შინაარსის ათვისების ინდივიდუალური გეგმის შემუშავება;
- ონლაინ ქსელის სტუდენტებთან და ლექტორებთან ურთიერთობის ორგანიზება;
- სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნა.

3. ტუტორებისათვის:

- ონლაინ ქსელში სტუდენტებთან, პედაგოგებთან და მშობლებთან ურთიერთობის ორგანიზება;
- ინდივიდუალური სასწავლო გზების შემუშავება მონაწილეთათვის;

4. მეთოდისტებისთვის:

- ონლაინ ქსელში პედაგოგებთან ურთიერთობის ორგანიზება (მეთოდური დახმარების საშუალებების არჩევა, ურთიერთქმედების ოპტიმალური რეჟიმის განსაზღვრა და ა.შ.);

5. სასწავლო კურსების შემქმნელებისათვის:

- ონლაინ ქსელის პედაგოგებთან, მეთოდოლოგებთან და დამრიგებლებთან ურთიერთობის ორგანიზება;

ფსიქოლოგიური და პედაგოგიური დახმარების სისტემის ძირითადი მეთოდები:

- ფსიქოლოგიური ინტერნეტ ტესტირება;
- ფსიქოლოგიური ტრენინგები (ფსიქოლოგი - ონლაინ ქსელის პედაგოგი, ფსიქოლოგი);
- ონლაინ ქსელის სტუდენტი, ფსიქოლოგი - მეთოდოლოგი;
- (კურატორი), ფსიქოლოგი - შერეული ჯგუფი- ონლაინ და ოფლაინ;
- ონლაინ და ოფლაინ კონსულტაცია და ა.შ.

ავდნიშნავთ, რომ ასევე მიზანშეწონილია კონსულტაციის ორგანიზება გარკვეული სფეროების შესაბამისად, კერძოდ:

1. ფსიქოლოგის საქმიანობა ონლაინ ქსელის სტუდენტებთან დაკავშირებით მიმართულია:

- სტუდენტის პიროვნული, ინტელექტუალური და მოტივაციური სფეროების დიაგნოსტიკისაკენ კონკრეტული საგნის მახასიათებლებზე დაფუძნებული სწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომის უზრუნველსაყოფად;
- მოსწავლეთა/სტუდენტთა ინდივიდუალური კონსულტაციის (მოტივაციის, თვითშეფასების, შემეცნებითი სფეროს თავისებურებების, თვითორგანიზაციის, პროფესიული ორიენტაციის და ა.შ.) ინდივიდუალური სასწავლო გზის განსაზღვრის საკითხებზე;
- დახმარებისკენ სპეციფიკური სირთულეების დამლევაში, რომელიც დაკავშირებულია კომუნიკაციის კომპიუტერულ ფორმასთან დამოკიდებულებასთან, ინფორმაციის წარდგენის თავისებურებებთან და ა.შ.;
- დახმარებისკენ ვირტუალური კომუნიკაციის უნარების დაუფლებაში (ინდივიდუალური და ჯგუფური ტრენინგი და კონსულტაცია);
- დახმარებისკენ სასწავლო პროცესში კომუნიკაციასთან დაკავშირებული კონფლიქტური სიტუაციების გადაჭრაში.

2. ფსიქოლოგის საქმიანობა ონლაინ ქსელის პედაგოგებთან მიმართებაში მიზნად ისახავს:

- რეკომენდაციების შემუშავებას დისტანციური სწავლების მონაწილეთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის საკითხებზე (საჭირო თეორიული ინფორმაციის მიწოდება, კვლევის შედეგები და ა.შ.);
- დისტანციური სწავლების მონაწილეთა ინდივიდუალური პრობლემების გადაჭრაში დახმარებას;
- ონლაინ ქსელის პედაგოგთა საკუთარი საქმიანობის მოტივაციის ხელშეწყობას;

- დისტანციური სწავლების მონაწილეთა ურთიერთქმედების ორგანიზებასა და მონიტორინგში დახმარებას (კითხვები, ტესტები, დაკვირვება და ა.შ.);
- დახმარებას სასწავლო ჯგუფების ფორმირებაში - იძლევა თავსებადობისა და ეფექტურობის პროგნოზს;
- დახმარებას ჯგუფის დინამიკის თვალყურის დევნებაში;
- დახმარებას პირდაპირი და უკუკავშირის ორგანიზებასა და განხორციელებაში.
- 3. კურსების ავტორებთან მიმართებაში ფსიქოლოგის საქმიანობა მიმართულია:
 - დახმარება შინაარსის მოდულების ფორმირებაში (სტუდენტების ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით);
 - კონსულტაცია ინფორმაციის წარდგენისა და გადაცემის მეთოდებსა და ფორმაზე;
 - კონსულტაცია საგანმანათლებლო შინაარსის ათვისების კონტროლის ღონისძიებების ორგანიზებისა და გატარების შესახებ.
 - ფსიქოლოგის საქმიანობა მშობლებთან მიმართებაში მიზნად ისახავს:
 - ვირტუალური კომუნიკაციის უნარების დაუფლებაში დახმარება;
 - ეხმარება მოსწავლეთა/სტუდენტთა სწავლის მოტივაციის თვალყურის დევნებაში და მხარდაჭერას;
 - რეკომენდაციების შემუშავება მოსწავლეთა/სტუდენტთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის საკითხებზე დისტანციური სწავლების პროცესში, სირთულეების შემთხვევაში ინტერნეტში კონსულტაცია ძირითადად ინტერაქტიულია (მაგრამ არ გამოირიცხავს უშუალო ურთიერთობას ფსიქოლოგებთან!) და შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე ვარიანტი პრობლემის მიხედვით. პედაგოგის ან მოსწავლის/სტუდენტის მიერ დასმული;
 - ინდივიდუალური კონსულტაცია მიმოწერით და ონლაინ (საჭიროების შემთხვევაში ჩატი ან პირდაპირი კონტაქტი);
 - ჯგუფური დისკუსიის რეჟიმში („დისკუსიის კლუბი“) კონსულტაცია ტარდება აღნიშნულ პრობლემაზე დისტანციური სწავლების ნებისმიერი ფორმით: ტელეკონფერენცია, ჩეთები მინიჯგუფებისთვის, რეალურ დროში კონფერენციები;
 - ჯგუფური მუშაობის ტრენინგის ფორმები, რომლებიც ადაპტირებულია ინტერნეტში ურთიერთქმედების პირობებზე (დახმარება თვითგამოხატვაში, თვითპრეზენტაციაში, კომუნიკაციის უნარების განვითარებაში) და ეფუძნება თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების შესაძლებლობებს.
 - როგორც ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მხარდაჭერის სისტემაში გამოყენებული ძირითადი ფორმები, მიზანშეწონილია გამოვიყენოთ როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური მუშაობის ფორმები;
 - ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები, ტრენინგები, ონლაინ და ოფლაინ დისკუსიები;
 - მასტერკლასები;
 - ღია გაკვეთილები რეალურ დროში;
 - სემინარები, კონფერენციები და ტელეკონფერენციები გამოცდილების გაცვლის მიზნით და ა.შ.

დასკვნა

როგორც რეკომენდაციებიდან ჩანს, დისტანციური სწავლების ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ მხარდაჭერას აქვს მთელი რიგი განსხვავებები, რომლებიც პირველ რიგში განისაზღვრება ამ ტიპის განათლების სპეციფიკით. განსხვავებების შედეგი არის დამატებითი სირთულეების გაჩენა ორგანიზაციასა და სასწავლო პროცესის განხორციელებაში, რომლის გადაწყვეტა მიმართული უნდა იყოს ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მხარდაჭერით. ასე რომ, სირთულეებს შორის შეიძლება განვასხვავოთ არა მხოლოდ ის, რაც საერთოა პროცესის ყველა მონაწილესთვის, არამედ სპეციფიკურია თითოეული ჯგუფისთვის.

ფსიქოლოგი, უნდა იყოს ადეკვატური პროცესის თითოეული კონკრეტული მონაწილის მხარდაჭერის მიზნების მიმართ. შემუშავებულ რეკომენდაციებზე ფოკუსირებით ფსიქოლოგს შეეძლება განავითაროს და განახორციელოს ეფექტური ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მხარდაჭერა სასწავლო პროცესის ყველა მონაწილისთვის.

თანამედროვე პედაგოგი უნდა დაეუფლოს ფსიქოლოგიური და პედაგოგიური დიაგნოსტიკის მეთოდებს, რაც განაპირობებს სასწავლო ახალი ტექნოლოგიების ძიებას და განვითარებას, რაც მიმართული უნდა იყოს სწავლებისადმი მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვაზე. ამ მიდგომის არსი არის პედაგოგიური პროცესის ჰუმანიზაცია, ინდივიდის პატივისცემა, მისი ინდივიდუალური შესაძლებლობების.

განათლების ინფორმატიზაცია - ეს არის განათლების სექტორში თეორიული და პრაქტიკული განვითარების პროცესის უზრუნველყოფა თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით, რომელიც ორიენტირებულია სწავლების ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მიზნების განხორციელებაზე - თანამედროვე საზოგადოების ინფორმატიზაციის პროცესი ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა.³

3 MARY WEBB & MARGARET COX, „A Review of Pedagogy Related to Information and Communications Technology“,

გამოყენებული ლიტერატურა

- კროპაძე, თ., კვესელავა, ქ., „მოზარდებზე საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გავლენის ასპექტები“, „Aspects of the impact of information communication technologies on adolescents“
ელ. ჟურნალი „ქართველი მეცნიერებისათვის“ ტომ. 5 No. 1 (2023) orcid.org/0000-0002-1318-2750,
doi.org/10.52340/gs.2023.05.01.23;
- კვესელავა, ქ., ჩიჩუა, რ., ბიძინაშვილი, თ., „თანამედროვე დისტანციური განათლება 21 -ე საუკუნეში“
ყოველ კვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი
„განათლება“ №3(34) 2021 წ.;
- კვესელავა ქ., ბოჭორიშვილი, ი., თედეშვილი, ლ., ჩიჩუა, რ., „დისტანციური სწავლების
საგანმანათლებლო რესურსების შემუშავება და განვითარება, ISBN 978-9941-8-4954-1, უაკ
37.018.432 3-453, გამომ. თბილისი 223. გვ. 2022 წ.;
- Z. Yusopova, „PSYCHOLOGICAL APPROACH TO TEACHING INFORMATION TECHNOLOGIES“, EPRA
International Journal of Research and Development (IJRD), Volume: 5 | Issue: 2 | February 2020, ISSN:
2455-7838(Online), DOI: 10.36713/epra2016.;
- О. Б. Симатова, „Анализ актуальных проблем психолого-педагогического просвещения“, ВЕСТНИК
Педагогическое образование, 2020, УДК 159.99, DOI 10.25688/2076-9121.2020.54.4.01;
- MARY WEBB & MARGARET COX, „A Review of Pedagogy Related to Information and Communications
Technology“, Technology, Pedagogy and Education, Vol. 13, No. 3, 2004.

არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევა მაპროვოცირებელი ფაქტორები ქართულ კულტურაში

სოფიო მამესწარაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი,
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

აბსტრაქტი

მოზარდებში დანაშაულებრივი ქცევა ძალიან აქტუალური საკითხია ჩვენს რეალობაში, რაც დიდი გამოწვევაა თითქმის ყველა დონის საზოგადოებრივი ინსტიტუტისათვის - მათ შორის აღსანიშნავია: მოზარდის ოჯახი, სკოლა, დანაშაულის პრევენციისა თუ პრობაციის სააგენტოები.

განსაკუთრებულად საყურადღებოა და მნიშვნელოვანი მოზარდებში ჩვენი კულტურის პერსპექტივიდან ანტი-სოციალური ქცევის მიზეზების შესწავლა და იდენტიფიცირება და შემდგომი ეფექტური პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება.

ნაშრომის ძირითადი მიზანი არასრულწლოვანთა დელიქვენტური ქცევის აღმძვრელი ფაქტორების შესწავლაა და იმ მექანიზმების შემუშავება, რაც პრევენციულად და კორექციულად იმუშავებს.

წინამდებარე ნაშრომში საუბარია მოზარდის განვითარების თავისებურებებზე და განვითარების ტიპურ და ატიპურ გამოვლინებებზე. განვიხილავთ კოგნიტური განვითარების სპეციფიურობას - კონკრეტულად კი, რა მიღწევები აქვს არასრულწლოვანს კოგნიტური განვითარებისა და აზროვნების პროცესების კუთხით; როგორ იხვეწება და იცვლება მსჯელობის უმაღლესი ფსიქიკური პროცესები აზროვნების და გადაწყვეტილების მიღების კუთხით. ასევე, განვიხილავთ მოზარდის ფსიქოსოციალური განვითარების თავისებურებს და იმას, თუ როგორ აისახება მოზარდის ემოციურ მდგომარეობაზე სოციალური ფაქტორები, რაც, ცხადია, მოზარდის პიროვნების ჩამოყალიბებას უკავშირდება.

ნაშრომის ფარგლებში განვიხილავთ არასრულწლოვანთა ნორმიდან გადახრილ ქცევებს და ინფორმაციას არსებულ პრევენციულ ღონისძიებების შესახებ. გავანალიზებთ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიას და მის მნიშვნელოვნებას. აქვე განხილულია არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის სამართლებრივი ასპექტები. მოცემული ნაშრომის ფარგლებში, ასევე ვისაუბრებთ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის შედეგებზე.

ნაშრომში განვიხილავთ არასრულწლოვანთა დელიქვენტური ქცევის ფსიქო-სოციალურ რისკ-ფაქტორებს.

კვლევის შედეგებიდან აბსოლუტური უმრავლესობა - 525 (93.6%) ასაკისთვის შესაბამისია, განვითარების შეფერხება აღენიშნება 12 მათგანს (2.1%), ხოლო განვითარების დარღვევა - მხოლოდ 2 არასრულწლოვანს (0.4%).

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებიდან ასევე საყურადღებო ფაქტია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა უმრავლესობა - 212 (37.8%) არასრული, ხოლო უმცირესობა - 154 (27.5%) გაფართოებული ოჯახიდანაა.

მოცემული კვლევის საფუძველზე გამოვლინდა, რომ არასრულწლოვნები ყველაზე ხშირად საკუთარების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს სჩადიან - 428 (76.3%), საკუთრივ კი, ქურდობას, შემდეგ მოდის დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ - 66 (11.8%), საგზაო უსაფრთხოების წესების დარღვევა - 19 (3.4%) და ნარკოდანაშაული - 14 (2.4%). ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ გაცილებით იშვიათად ვხვდებით კიბერდანაშაულის, დანაშაულის შეუტყობინებლობის, პოლიციისადმი დაუმორჩილებლობის, ტერორიზმის ცრუ შეტყობინებისა და საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ფაქტებს არასრულწლოვნებში.

განსაკუთრებულად საინტერესო და საყურადღებოა თანატოლთა შორის დელიქვენტური ქცევის გამოვლენის სიხშირე. მონაცემების მიხედვით, 299 (53.3%) შემთხვევაში გვხვდება თანატოლებში დელიქვენტური ქცევის გავრცელება, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

მიუხედავად საკითხის აქტუალობის და სხვადასხვა ინსტიტუციების მაღალი ინტერესისა, დღემდე დეფიციტურია საქართველოში მოზარდთა დელიქვენტური ქცევის ფსიქო-სოციალური ფაქტორების კვლევები და სტატიები. აღნიშნული ნაშრომი კვლევის მიზნების და შედეგების გათვალისწინებით მაღალი ღირებულებით გამოირჩევა.

კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების მიხედვით, შესაძლებელი იქნება კოორდინირებული მუშაობით ქმედითი ნაბიჯების გადადგმა არასრულწლოვანთა დელიქვენტური ქცევის როგორც პრევენციული, ისე კორექციული ღონისძიებების გასატარებლად.

საკვანძო სიტყვები:

მოზარდი, არასრულწლოვანი, ქცევა, ფსიქო-სოციალური ფაქტორები, დანაშაული.

Juvenile Delinquency Provocative Factors in Georgian Culture

Sopio Mamestasarashvili

Georgian National University Guest Lecturer,
Doctor of Social Sciences

Abstract

Criminal behavior among adults is a very relevant issue in our reality. It poses a big challenge to public institutions of almost all levels - among them we should identify the teenager's family, school, crime prevention or probation agencies.

It is particularly noteworthy and important to study and identify the causes of antisocial behavior among adolescents from the perspective of our culture, and to plan and implement effective preventive measures.

The present paper essentially aims to study the factors that provoke the delinquent behavior of minors and to develop the mechanisms that will work preventively and correctively.

The paper talks about the peculiarities of adolescent development as well as typical and atypical manifestations of this development. We will consider the specificity of cognitive development – especially, the achievements of the minor in terms of cognitive development and thinking processes. We will also be focused on how the higher mental processes of reasoning improve and change in terms of thinking and decision-making. Moreover, we will consider the peculiarities of psychosocial development of adolescents and how social factors affect the emotional state of a teenager, which is obviously related to the formation of his/her personality.

Within the framework of the paper, we will discuss the deviant behavior of minors and the information about existing preventive measures. We will analyze the juvenile crime prevention strategy and its importance as well as the legal aspects of juvenile delinquency. Within the scope of this paper, we will also talk about the results of the juvenile crime prevention strategy.

The paper also discusses the psycho-social risk factors of delinquent behavior of minors.

The absolute majority of the results of the study - 525 (93.6%) are appropriate for age, 12 of them (2.1%) have developmental delays, and only 2 minors (0.4%) have developmental disorders.

From the data obtained as a result of the research, we should also emphasize the fact that the majority of minors - 212 (37.8%) having conflict with the law are from a single-parent family, while the minority of them - 154 (27.5%) are from extended families.

Based on this research, it was revealed that minors most often commit crimes against property (428 = 76.3%) - namely theft, followed by crimes against health (66 = 11.8%), violation of road safety rules (19 = 3.4%) and drug crime (14 = 2.4%). It is noteworthy that we rarely see cases of cybercrime, failure to report crime, disobedience to the police, false reporting of terrorism, and illegal border crossing among them.

The frequency of delinquent behavior among the adults of the same age is particularly interesting and noteworthy. According to the data, there is a prevalence of delinquent behavior among the adults of the same age in 299 (53.3%) cases that is quite a high rate.

Despite the relevance of the issue and the high interest of various institutions, there is still a shortage of both studies and articles on the psycho-social factors of juvenile delinquent behavior in Georgia. Taking into account the goals and results of the research, the present paper is of high value.

Based on the results obtained from the research, it will be possible to take effective steps with coordinated work to carry out both preventive and corrective measures of delinquent behavior of minors.

Keywords:

Adolescent, Minor, Behavior, Psycho-social factors, Crime.

შესავალი

მოზარდობა არის ბავშვობიდან ზრდასრულობისაკენ გარდამავალი პერიოდი. აღნიშნული პერიოდი 12 წლიდან იწყება და 18-21 წლამდე გრძელდება. ინდივიდიდან ინდივიდამდე იცვლება მოზარდობის პერიოდის დასაწყისი და დასასრული. ხშირად მკვეთრად განსხვავებულად არის. ზოგადი მეცნიერული შეხედულების მიხედვით, მოზარდობის პერიოდი გოგონებისათვის უფრო ადრე იწყება, ვიდრე ბიჭებისათვის.

აღსანიშნავია, რომ მოზარდობა ხასიათდება როგორც ფიზიკური, ასევე კოგნიტური და სოციალური სფეროს განვითარების მკვეთრი, თვალსაჩინო ცვლილებებით.

ნაშრომის აქტუალობა: კვლევის აქტუალობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ჩვენს რეალობაში დეფიციტურია არასრულწლოვანთა დელიქვენტურ ქცევასთან დაკავშირებული მეცნიერული კვლევითი ნაშრომები, რომლებიც ძირითადად, შემოიფარგლება კონკრეტული ინსტიტუტისა თუ ორგანიზაციის სასწავლო და კვლევითი მიზნებით და შესაბამისად, არ იძლევა გენერალიზაციის საშუალებას.

არასრულწლოვანთა დელიქვენტური ქცევის რისკ-ფაქტორების შესწავლის მნიშვნელოვნებას განაპირობებს მათი პრევენციული ღონისძიებები. კერძოდ, რისკების ცოდნა და დროული იდენტიფიცირება, გვეხმარება ბავშვთა იმ წრის განსაზღვრაში, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებენ პრევენციულ ღონისძიებებში ჩართვას და ქმედითი ნაბიჯების გადადგმას.

ამ პერიოდში ინდივიდი უკვე აღარ არის ბავშვი, თუმცა ის ჯერ არც ზრდასრულისთვის შესაბამისი უნარებით და ცოდნებით არის აღჭურვილი. აღსანიშნავია, რომ ფიზიკურ განვითარებაში, ყველაზე მნიშვნელოვანია სქესობრივი მომწიფების პერიოდი, რომელიც დიდ გავლენას ახდენს მოზარდის ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე.

კვლევის ჰიპოთეზები:

- დელიქვენტურ ქცევასთან დადებით კორელაციაში იქნება ფორმალური განათლების ნაკლებობა,
- დელიქვენტ არასრულწლოვანთა ოჯახებში, ოჯახში ძალადობის ეპიზოდების მაჩვენებელი მაღალი იქნება.
- დელიქვენტური ქცევის მქონე არასრულწლოვნებს, ხშირად ჰყავთ დელიქვენტური ქცევის მქონე მეგობრები და დიდ დროს ატარებენ მათთან.

მეცნიერულად ნაშრომის ღირებულება საკმაოდ მაღალია, რადგან მოზარდობა ქცევითი პრობლემების გამოვლენის თვალსაზრისით, პროცესების განვითარებაში ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური ეტაპია. ვინაიდან, თავად ასაკი წარმოადგენს პრობლემური ქცევის რისკ-ფაქტორს, რთულია მოზარდისთვის ტიპური პრობლემური და კანონსაწინააღმდეგო ქცევის ერთმანეთისაგან გამოიჯიშოს. ფაქტორთა ერთობლიობას გარკვეული წვლილი შეაქვს დელიქვენტური ქცევის განხორციელების რისკის გაზრდაში და ამასთანავე, ერთსა და იმავე სარისკო გარემოში მხოლოდ ზოგიერთნი ახორციელებენ დელიქვენტურ ქცევას, რაც განაპირობებს საკითხის კომპლექსურად შესწავლის საჭიროებას.

15-დან 19 წლამდე პირები უფრო ხშირად ხვდებიან სამართალდამცავ სისტემებში, ვიდრე პოპულაციის სხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები (Richards, K., 2011; Moffitt, 1993). სამეცნიერო საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, არასრულწლოვნები საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია, სამართალდარღვევათა რაოდენობის მიხედვით. გარდა ამისა, საყურადღებო ფაქტია, რომ რაც უფრო ადრეულ ასაკში ვლინდება დელიქვენტური ქცევა, მით უფრო იზრდება შანსი იმისა, რომ იგი შენარჩუნდება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, რაც კიდევ ერთხელ ასაბუთებს ადრეულ ასაკში პრევენციის მნიშვნელობას (Moffitt, 1993).

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები: ქართულ რეალობაში არასრულწლოვანთა დელიქვენტური ქცევის მაპროვოცირებელი ფაქტორების შესწავლის მიზნით გამოვიყენე ინდივიდუალური ანგარიშის ფორმები. არასრულწლოვნის ინდივიდუალური ანგარიშის მომზადებისას ინტერვიუ ჩავატარეთ ბავშვებთან, მშობლებთან, პედაგოგებთან. კვლევის პროცესში მონაწილეობა მიიღო 561-მა რესპონდენტმა. რომელთაგან - 295 განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში, ხოლო 266 პირობითი მსჯავრის მქონე კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანია. 467 ეკუთვნის ბიჭს, ხოლო 40 გოგოს. 54 მათგანში არასრულწლოვნის სქესი არ არის მითითებული. არასრულწლოვანთა ასაკი განისაზღვრება 14 - დან 20 წლამდე. მოზარდების აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს მოქალაქეა (87.9%).

როდესაც მოზარდის კანონსაწინააღმდეგო ქცევაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში დავიწყეთ ცნების განმარტებით: ქცევას, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, ეწოდება დელიქვენტობა. დელიქვენტური ქცევის დიაპაზონი, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, საკმაოდ ფართოა. ამ კატეგორიაში შედის: ყაჩაღობა, ვანდალიზმი, გაუპატიურება და მკვლელობა. 16-დან 18 წლამდე მოზარდს, რომელიც სჩადის კრიმინალურ ქცევას, ეწოდება დელიქვენტი, თუმცა ამ სტატუსის მინიჭების ასაკობრივი დიაპაზონი დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის საკანონმდებლო სისტემაზე. დელიქვენტობა უფრო ფსიქოლოგიური ტერმინია, ვიდრე სამართლებრივი. მოცემული ტერმინის ნაცვლად, ლეგალურ სისტემებში გამოიყენება ტერმინი - კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი. ამ ტერმინით აღნიშნულია თითოეული ის ბავშვი, რომელმაც, როგორც თვლიან დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა ან აღიარებულია მის დამრღვევად.¹ ბავშვთა უფლებების კომიტეტის განცხადებით, ყველა პირს, რომელსაც სავარაუდო დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის არ შესრულებია

1 გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013

18 წელი, უნდა მოეყრონ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების წესების შესაბამისად, განურჩევლად იმისა, თუ რა ასაკი ითვლება სრულწლოვანების მიღწევის ასაკად ამა თუ იმ სახელმწიფოში.²

ზავშვის პრობლემურ ქცევასთან დაკავშირებით კონკრეტული განსაზღვრების პოვნა რთულია, რაც ლოგიკურიცაა, რადგან ქცევის პრობლემურობა განისაზღვრება სოციალური და კულტურული კონტექსტით, რომელიც, თავის მხრივ, არ არის უნივერსალური. გავრცელებული განმარტების მიხედვით, რომელიც კოლორადოს უნივერსიტეტის ქცევითი მეცნიერებების ინსტიტუტის პროფესორს, რიჩარდ ჯესორს ეკუთვნის, „პრობლემური ქცევა არის ქცევა, რომელიც სოციალურად განსაზღვრულია, როგორც პრობლემური, რადგან შემაწუხებელია სხვებისათვის ან კონვენციური საზოგადოების სოციალური ან/და ლეგალური ნორმებისაგან გადახვევას გულისხმობს. ეს არის ქცევა, რომელსაც ყოველთვის მოჰყვება სოციალური კონტროლით გათვალისწინებული რაიმე ტიპის პასუხი, იქნება ეს სხვების მხრიდან იგნორირება, არმოწონება, გაკიცხვა, ადმინისტრაციული სასჯელი თუ, უკიდურეს შემთხვევაში, დაპატიმრება“.³ პრობლემური ქცევა ხელს უშლის ამ ქცევის განმახორციელებელ ინდივიდს ან/და სხვა ადამიანებს ნორმალურ სოციალურ ფუნქციონირებაში. პრობლემური ქცევა ზოგადი მნიშვნელობის ტერმინია და მოიცავს დევიაციურ აქტივობათა საკმაოდ ფართო სპექტრს, დაწყებული საზოგადოებრივი ნორმების უგულვებელყოფიდან, დელიკვენტობით დამთავრებული.

დიურკჰემის საინტერესო მოსაზრების მიუხედავად, რომ დანაშაული „ნორმალური საზოგადოების ნორმალური ფენომენია“, ის სულაც არ თვლიდა, რომ დანაშაუვ ბიოლოგიური ან ფსიქოლოგიური თვალსაზრისით აბსოლუტურად ნორმალური პიროვნება იყო. ის, აგრეთვე, მიიჩნევდა, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში შევხვდებით ინდივიდს, რომელიც გამოირჩევა და განსხვავდება კოლექტივისგან, მას შეიძლება ითქვას, რომ აქვს კრიმინალური მახასიათებლები“. თუმცა, დიურკჰემმა ამ მახასიათებლების განსაზღვრა მეცნიერების სხვა წარმომადგენლებს დაუტოვა.

დამაბულობის თეორია და მისი ავტორი რობერტ მერტონი განავრცობს ანომიის თეორიას და აქცენტს აკეთებს საზოგადოების მიერ მიღებულ კულტურულ მიზნებსა და ამ მიზნების მიღწევის სოციალურად მისაღებ საშუალებებს შორის განსვლაზე. რაც შესაძლებელია გახდეს დელიქვენტური ქცევის აღმძვრელი. როგორც მერტონი აღნიშნავს, ნეგატიური პროცესები საზოგადოებაში ინტერპრეტირდებოდა, როგორც არასაკმარისი სოციალური კონტროლით პროვოცირებული. ამ თვალსაზრისის თანახმად, დასაწყისში არსებობენ ადამიანის ბიოლოგიური იმპულსები, რომლებიც სრული გამოხატვისკენ ისწრაფვიან. შემდეგ ჩნდება სოციალური წესი ამ იმპულსების მართვის აპარატის სახით, რათა გააუვნებელყოს სოციალური დამაბულობები. მერტონს არც დევიაციის ფსიქოლოგიური ანალიზი აკმაყოფილებს, რომლის თანახმადც დევიანტური ქცევის საფუძველი ფსიქიკური ანომალიაა. გადახრითი ქცევის ზოგიერთი ფორმა ფსიქოლოგიურად ისეთივე ნორმალურია, როგორც რეგულაციების შესაბამისი ქცევის ფორმები. მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რათა გავიგოთ, თუ როგორ უზიძვებს სოციალური სტრუქტურა საზოგადოების ზოგიერთ წევრს რეგულაციების შეუსაბამო ქცევისკენ.

სოციალური და კულტურული სტრუქტურების მრავალ ელემენტს შორის მერტონი გამოყოფს ორ – განსაკუთრებით მნიშვნელოვან – ელემენტს. პირველი ელემენტია განსაზღვრული კულტურული მიზნები – როგორც კანონიერი მიზნები მთელი საზოგადოებისთვის, ან მისი ცალკეული ფენისთვის. ამდენად, არსებობს სწრაფვა მათ მისაღწევად. კულტურული სტრუქტურის მეორე ელემენტია კულტურაში აქცენტირებული მიზნების მიღწევის სოციალურად მისაღები, ანუ ინსტიტუციური ნორმები. საზოგადოების აღნიშნული ორი ელემენტის ურთიერთმიმართების გათვალისწინებით, მერტონი იძლევა დევიაციის (გადახრითი ქცევის) განმარტებას: „გადახრითი ქცევა, სოციოლოგიური თვალსაზრისით, შეიძლება განხილულ იქნეს როგორც უთანხმოება კულტურით განსაზღვრულ მიზნებსა და მათი რეალიზაციის სოციალურად დაშვებულ, ინსტიტუციურ საშუალებებს შორის“.⁴

პრობლემური ქცევის ამხსნელ თეორიის მიხედვით – ქცევითი პრობლემები ჩნდება მაშინ, როდესაც პიროვნების სისტემა და აღქმული გარემო ერთმანეთს ეწინააღმდეგება (Jessor, 1987). მოზარდის პიროვნების ძირითადი მახასიათებლებია – რისკისკენ მისწრაფება, აღქმული არამოწყველადობა, იმპულსურობა, თანატოლთა ნორმატიული კულტურის მიერ აზროვნების ბლოკირება, აჯანყება ავტორიტეტების წინააღმდეგ, არსებულ კულტურულ და სოციალურ მოლოდინებთან დაპირისპირება. აღნიშნული პიროვნული მახასიათებლების შედეგი კი მოზარდებში არის პრობლემური ქცევა, ალკოჰოლის და სხვა ნივთიერებების მოხმარება, ქურდობა, ვანდალიზმი და ა.შ..

პრობლემური ქცევის თეორიის საფუძველზე განხორციელებული კვლევის (Jessor, 1998) შედეგად გამოიკვეთა ფაქტორები, რომლებსაც გარკვეული წვლილი მიუძღვით პრობლემური ქცევის ფორმირებაში, ეს რისკ-ფაქტორებია: არადეკვატურად დაბალი თვით შეფასება, სოციულისგან გაუცხოება, უიმედობა წარმატების მიღწევასთან დაკავშირებით, დელიქვენტ თანატოლებთან დაახლოება, პრობლემები სასკოლო ცხოვრებაში. როგორც შედეგებიდან ჩანს, პრობლემური ქცევის თეორია ყურადღებას ამახვილებს, ქცევის წარმოქმნელ კომპლექსურ მექანიზმზე. პრობლემური ქცევა არის შეფარდებითად სხვადასხვა – პიროვნული, გარემოსა და ქცევის- სისტემის კომბინირების შედეგი.

შესწავლის საფუძველზე, გამოვლინდა, რომ საქართველოში არასრულწლოვანთა შორის, ყველაზე გავრცელებულია დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (ყველაზე ხშირად ქურდობა და ძარცვა), მას

2 გაეროს ზავშვის უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი № 10, 2007.

3 Jessor R. Risk Behavior in Adolescence - A Psychological Framework for understanding and Action. 1989, გვ. 10

4 ი. კაჭკაჭიშვილი, *სოციალური თეორია*. 2008, გვ. 228

მოპყვება დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ, საგზაო უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებული დანაშაული და ა.შ. (იხ. ცხრილი).

დანაშაული საკუთრები წინააღმდეგ	76.3%
დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ	11.8%
საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დანაშაული	3.4 %
ნარკოდანაშაული	2.4 %
კიბერდანაშაული	0.8%
დანაშაულის შეუტყობინებლობა	0.8%
პოლიციისადმი დაუმორჩილებლობა	0.5%
ტერორიზმის ცრუ შეტყობინება	0.4%
საზღვრის უკანონოდ კვეთა	0.2 %

არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი მიზეზების გაგება მნიშვნელოვანია მის მიმართ სწორი დამოკიდებულებების ჩამოყალიბების, ადეკვატური ქცევის სტრატეგიის შერჩევის, დანაშაულებრივი ქცევის პრევენციისა და კორექციისათვის. ქცევის საფუძვლების გაგება, მოზარდის მიმართ თანაგრძნობის განცდის ჩამოყალიბებაში გვეხმარება, თანაგრძნობა კი - მისი ნდობის მოპოვებაში. პრობლემური ქცევის მიზეზები რამდენიმე კატეგორიად შეგვიძლია დავყოთ, ესენია: ინდივიდუალური დონის (მაგ; კოგნიტიური განვითარება), ოჯახის(მაგ; ოჯახური ძალადობა) და სოციალური დონის (მაგ; თანატოლტა ზეგავლენა) ფაქტორები.

კველვამ აჩვენა, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდები ხასიათებიან შემდეგი ტენდენციებით:

- ✓ უფრო ხშირად არიან არასრული ოჯახებიდან (სადაც ბავშვი იზრდება მხოლოდ ერთი მშობლის მიერ ან ოჯახის, სადაც ბავშვის აღზრდაში ჩართულია სხვა რამდენიმე ადამიანი, მაგრამ არა მეორე ბიოლოგიური მშობელიც);
- ✓ მათი ოჯახების მატერიალური მდგომარეობა უფრო ხშირად არ არის საკმარისი პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ან საკმარისია მხოლოდ პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად;
- ✓ მათ ოჯახში უფრო ხშირად დაფიქსირდა ძალადობის ან/და უგულვებელყოფის ფაქტი;
- ✓ არასრულწლოვნების ოჯახის რომელიმე წევრი უფრო ხშირად ხასიათდება მავნე ჩვევ(ებ)ით (აზარტული თამაშები, ალკოჰოლი, ნარკომანია);
- ✓ მათ უფრო ხშირად ჰყავთ ნასამართლეობის ისტორიის მქონე ოჯახის წევრი.

ასევე, მნიშვნელოვანია ის რომ, მზრუნველებს, რომლებსაც უფრო ხშირად აქვთ დადებითი დამოკიდებულება შვილის მიერ ჩადენილი ქმედების მიმართ, უფრო ხშირად ჰყავთ ნასამართლეობის მქონე ოჯახის წევრი.

თანატოლები. მოზარდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია თანატოლებთან ურთიერთობა. ისინი დიდი სიხარულით ერთიანდებიან თანატოლთა სხვადასხვა ჯგუფში და ეს ჯგუფები ძალიან დიდ გავლენას ახდენს მათზე. მოზარდები ცდილობენ რომ ყველაფერი გააკეთონ იმისათვის რომ თანატოლებისთვის იყვნენ მისაღები და ჯგუფიდან არ გარიყონ. კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებს:

- ✓ უფრო ხშირად ჰყავთ მეგობრები, რომლებიც იმყოფებიან კანონთან კონფლიქტში;
- ✓ არასრულწლოვნები, რომელთაც სამეგობრო წრეში ჰყავთ კანონსაწინააღმდეგო ქცევის მქონე მეგობრები, უფრო მეტ დროს ატარებენ მეგობრებთან ერთად, ვიდრე ისინი, რომელთა სამეგობროშიც სამართალდამრღვევი ქცევა არ ფიქსირდება.

სკოლისა და საზოგადოების ფაქტორები - სკოლაში ვერ ამყარებს ახლო ურთიერთობებს კლასელებთან და მასწავლებლებთან, სკოლის ხშირი გაცდენა, სკოლიდან გარიცხვა, დაბალი აკადემიური მოსწრება, სწავლის დაბალი მოტივაცია და მისწრაფებები. სკოლა და უბანი სადაც არ ხდება ბავშვის კონტროლი და ადეკვატური რეაგირება დანაშაულებრივ ქმედებაზე.

გარემო ფაქტორები - სიღარიბე, ძალადობის მედიით გაშუქება, ზოგადად, „ღარიბი“ სამოქალაქო გარემო

დასკვნა

ჩემი ნაშრომის მიზნის შესაბამისად, განგვესაზღვრა არასრულწლოვანთა დელიქვენტური ქცევის რისკ-ფაქტორები ქართული კულტურის ფარგლებში, კვლევის შედეგების ანალიზმა საშუალება მოგვცა შეგვემოწმებინა ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზები, საკვლევი ამოცანები და დასკვნის სახით განგვესაზღვრა:

1. კვლევის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ფორმალური განათლების მიღების საკმაოდ დაბალი მოტივაცია იკვეთება დელიქვენტური ქცევის მქონე არასრულწლოვნებში. ხშირია სკოლის გაცდენის, გარიცხვის და მთლიანობაში დაბალი აკადემიური მოსწრების ეპიზოდები.

2. როგორც კვლევის მონაცემები გვიჩვენებს, დელიქვენტური ქცევის მქონე მოზარდებში ხშირად ვხვდებით არასრულ ოჯახებს, სადაც არასრულწლოვანს ზრდის ერთი მშობელი ან სხვა ოჯახის წევრი, მაგრამ არა მეორე მშობელი.

3. მონაცემების ანალიზით გაირკვა, რომ მათ ოჯახებში უფრო ხშირად ფიქსირდება ძალადობის ეპიზოდები ან უგულვებელყოფის ფაქტები.

4. კვლევის შედეგების თანახმად, დელიქვენტური ქცევის მქონე მოზარდები საკმაოდ დიდ დროს ატარებენ თავის თანატოლებთან და მათ ხშირად ჰყავთ კანონთან კონფლიქტში მყოფი სამეგობრი წრე.

ამგვარად, ჩვენი რელობის გათვალისწინებით ნათელია კვლევის პრაქტიკული მნიშვნელოვნება და ღირებულება. კვლევის საფუძველზე მიღებული მონაცემების გამოყენება შესაძლებელია მოზარდთა დანაშაულის პრევენციის მიმართულებით სახელმწიფო სტრატეგიის განსაზღვრისას, სამეცნიერო დაწესებულებებში. ასევე, კვლევის შედეგები, შეიძლება, საინტერესო იყოს, როგორც საჯარო სკოლებსა და სამართალდამცავ სისტემებში მომუშავე სპეციალისტებისათვის, ასევე იმ ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის, რომლებიც არასრულწლოვანთა დელიქვენტური ქცევითი პატერნების მიმართულებით პრევენციულ თუ კორექციულ ღონისძიებებს გეგმავენ და ახორციელებენ. ვფიქრობ კვლევის მონაცემები გათვალისწინება არასრულწლოვნებთან ურთიერთობის პროცესში, აღზრდის დროს და ყოველდღიური აქტივობების დაგეგმვის პროცესში ძალიან მნიშვნელოვანი და ეფექტური იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა

- ქეროლინ ჰ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები. თბილისი. 2011, 144 გვ.;
- ტურავა მ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი - დანაშაულის მოძღვრება. თბილისი. 2011, 447 გვ.;
- გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №10, 2007;
- მელიქიშვილი მ. სწავლის სოციალურ-კოგნიტური თეორია, თბილისი: გამომცემლობა „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი“ 2012, 67 გვ.;
- კაჭკაჭიშვილი ი. სოციალური მოქმედების თეორია. თბილისი. 2008, 228 გვ.;
- უზნაძე დ. განწყობის ფსიქოლოგია. თბილისი: გამომცემლობა „მაცნე“ 2009, 318 გვ. გერიგი რ, ზიმბარდო ფ. ფსიქოლოგია და ცხოვრება. თბილისი. 2009, 821 გვ.;
- Jessor R. Risk Behavior in Adolescence - A Psychological Framework for understanding and Action. 1989, 10 გვ.;
- Jessor R. Risk Behavior in Adolescence - A Psychological Framework for understanding and Action. 1999, 605 p.;
- Еникеев, М. Юридическая психология. москва: издательство норма. 2018, 512 ст.;
- Collins W. A., Madsen S.D., Susman- Stillman A. Handbook of Parenting. London. 2002, 101 p.;
- Gottfredson M.R., Hirschi T. A General Theory of Crime. 2003, 290 p.;
- Oerlemans K, Jenkins H. There are aliens in our school. 1998, 129 P.;
- Hartmann H. Ego Psychology and the Problem of Adaptation. 2010, 362p.;
- Alexander T, Vazsonyi - Jeffrey R. Blake Snider J. Adolescent Reports of Family and Parenting Processes From Youth in Four Countries. Auburn. 2003, 32 p.;
- Steinberg L, Morris A. S. Adolescent development. USA. 2001, 133 p.;
- Хилл Дж, Моэн Б. Расстройства поведения детского и подросткового возраста. Киев. 2006, 540 ст.;
- Agnew R. Encyclopedia of Criminological Theory. Thousand Oaks. 2010, 320 p.;
- Finkenauer C, Rutger C.M.E, Engels & Roy F. Baumeister. Behavioral Development. 2005, 25 p.;
- Rogers C. Growth As Self-Actualization. The Norwegian University of Science and Technology. 2003, 12 p.;
- Rosenberg. M, Schooler. S, Schoenbach. C, Rosenberg. F. GLOBAL SELF-ESTEEM AND SPECIFIC SELF-ESTEEM: DIFFERENT CONCEPTS, DIFFERENT OUTCOMES. American Sociological Association. 2005, 28p.

იდეოლოგია და პროპაგანდა მედიაზემოქმედების პროცესში

შორენა გაბოშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის
განათლების მიმართულების უფროსი სპეციალისტი,
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი მასობრივ კომუნიკაციაში

აბსტრაქტი

სტატიაში გაანალიზებულია იდეოლოგიისა და პროპაგანდის როლი მედიაზემოქმედების პროცესში.

უკანასკნელ დროს, აქტიურად მიმდინარე გლობალურ-სოციალური ცლილებების უმთავრეს ფასილიტატორად კომუნიკაცია, ინოვაციური ინფორმაციულ-ტექნოლოგიური პროგრესი და ინფორმაციის წვდომის ჰიპერშესაძლებლობები მიიჩნევა. ყოველივე ამის წყალობით, სიახლის მიღება, შეფასება და უკუკავშირი, როგორც სოციუმის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აუცილებელი ელემენტი, დემოკრატიზაციისა და სამოქალაქო საზოგადოების შექმნის წინაპირობად მოიაზრება. ცნობილია, რომ სწორედ ინფორმაცია ახდენს უდიდეს ზეგავლენას ჩვენს ცნობიერებაზე, გარდაქმნის მას და გარკვეული მიმართულებით წარმართავს. მრავალი სოციოლოგიური თეორიის თანახმად, მასმედია საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედებისა თუ მანიპულაციის საუკეთესო საშუალებაა ადვილად აღიარებული, რასაც სხვადასხვა მეთოდებითა და ხერხით ახორციელებს. ეს კი გარკვეული იდეოლოგიური დამოკიდებულებაა. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ მედიაზემოქმედების იდეოლოგიურ-პროპაგანდისტულ კონტექსტში განხილვა, კვლევის თვალსაზრისით, მრავალმხრივ საინტერესოა.

სიტყვები: აგიტაცია, პროპაგანდა და იდეოლოგია დიდი ხნის მანძილზე ანაქრონიზმებად იქნა მიჩნეული. საბჭოთა პერიოდში სწორედ ეს ტერმინები უკავშირდებოდა, იმდროინდელი ხელისუფლების მხრიდან, მასების ცნობიერების მიზანმიმართულ განვითარებას. კომუნისტური იდეოლოგია და „რეჟიმის“ პროპაგანდა წარმოადგენდა ძალაუფლებისა და საზოგადოებრივი ერთიანობის შენარჩუნების ბერკეტს, რაც არაკეთილსინდისიერი მეთოდებით ხორციელდებოდა. შემდეგ კი, პოსტ-კომუნისტურმა ცივილიზაციამ მთლიანად გადააფასა ძველი შეხედულებები და შესაბამისად, ეს ტერმინებიც ლექსიკონიდან განიდევენა. ამჯერად კი თანამედროვე მასკომუნიკაციურ მეცნიერებაში, მედიაზემოქმედების შესწავლისას, კვლავ დადგა იდეოლოგია-პროპაგანდის ახალ ტრანსფორმაციულ ჭრილში დანახვის აუცილებლობა.

იდეოლოგიის შესწავლა მჭიდროდაა დაკავშირებული მასმედიის როგორც სოციალ-პოლიტიკური, ისე კულტურული როლის განსაზღვრასთან. თანამედროვე მასკომუნიკაციის ცნობილი მკვლევარების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ჟურნალისტიკა ვეღარ წყვეტს, რა მიაწოდოს აუდიტორიას და რა დაუმალოს, ახალი ამბების ძირითადი კონცეფცია – შეეცადო და გაიგო, რა აინტერესებს ხალხს და რა სჭირდება თვითმმართველობისათვის - სულაც არაა მოძველებული. პირიქით, ტექნოლოგიური წინსვლა მის საჭიროებას კიდევ მეტად ზრდის. ეს კი აშკარად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ საკითხის კვლევის საჭიროება თავად დემოკრატიული, მაღალგანვითარებული ქვეყნების მედიაინდუსტრიებსაც აყენებს ფაქტის წინაშე. მათთვის მნიშვნელოვანია, შეიმუშაონ კონკრეტული გეგმები, რის მიხედვითაც განისაზღვრება საზოგადოების ინტერესი, და შესაბამისად, საზოგადოების ინფორმირება მოხდება ოპერატიული, დაბალანსებული და ობიექტური ინფორმაციით. აქ კი, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მედიაიდეოლოგიაა, რომლის მთავარი მიზანი მასებში საზოგადოებრივი აზრის შექმნა და იმის დაადგენაა, როგორ მიიპყროს აუდიტორიის ყურადღება. მასების იდეოლოგიზების ერთ ერთი საშუალებად კი პროპაგანდა მოიაზრება. პროპაგანდა ფართოდ, მთელი თავისი შესაძლებლობებით, პირველად პირველი მსოფლიო ომის დროს იქნა გამოყენებული, და ამ დროიდან მოყოლებული, დაიხვეწა მისი ზემოქმედების მეთოდები, და ამასთანავე, არაკეთილსინდისიერი მიზნებისათვისაც არაერთხელ მოხდა მათი გამოყენება.

საკვანძო სიტყვები:

მედიაზემოქმედება, აგიტაცია, პროპაგანდა, ინფორმაციული წვდომა, მასების ცნობიერება.

Ideology and Propaganda in the Process of Media Influence

Shorena Gaboshvili

Senior Specialist of the Department of Education of Akhaltsikhe Municipality,
Doctor of Social Sciences in Mass Communication

Abstract

The article analyzes the role of ideology and propaganda in the process of media influence.

Communication, innovative informational-technological progress and boundless possibilities of information access are considered to be the main facilitators of global-social changes that have been actively taking place recently. Thanks to all this, the acceptance, assessment and feedback of news, as a necessary element of the life and work of society, is considered as a prerequisite for democratization and the creation of a civil society. It is known that it is information that has the greatest impact on our consciousness, transforms it and directs it in a certain direction. According to many sociological theories, mass media is recognized to be the best instrument of influencing or manipulating the public consciousness, which is done by various methods and tools. Based on the fact that manipulation is a certain ideological attitude, we think that consideration of media influence in the ideological-propaganda context from the research perspective, is interesting in many ways.

The words: agitation, propaganda and ideology have long been considered anachronisms. During the Soviet period, these terms were associated with the purposeful development of the consciousness of the masses on the part of the authorities of that time. Communist ideology and “regime” propaganda represented a lever for maintaining power and public unity, which was carried out by dishonest methods. And then, the post-communist civilization completely re-evaluated the old views and, accordingly, expelled these terms from the dictionary. This time, in modern mass communication science, while studying the media impact, the need to see ideology-propaganda in a new transformative way has arisen again.

The study of ideology is closely related to determining the socio-political and cultural role of mass media. According to outstanding researchers of modern mass communication, modern journalism can no longer decide what to give to the audience and what to hide from it, although the basic concept of news - to try and understand what people care about and what they need for self-governance - is not obsolete at all. On the contrary, technological advancement increases its need even more. It clearly indicates that the need to study the issue makes even the media industries of the democratic, highly developed countries face the fact. They see it important to develop specific plans and accordingly, to determine the interest of the public; therefore, the public will be informed with operative, balanced and objective information. And here, we can safely say that this is media ideology that essentially aims is to create public opinion in the masses and determine how to attract the attention of the audience. Propaganda is considered as one of the instruments of ideologising the masses. Propaganda, in all its capacities, was widely used for the first time during the First World War, and since then its methods of influence have been refined, and they have also been used many times for dishonest purposes.

Keywords:

Media influence, Agitation, Propaganda, Information access, Awareness of the masses.

შესავალი

თითოეული ჩენთაგანი უკანასკნელ დროს აქტიურად მიმდინარე გლობალურ-სოციალური ცვლილებების მომსწრე და უშუალო მონაწილეა. პროცესების, რომლის უმთავრესი „ფასილიტატორი“ კომუნიკაცია, ინოვაციური ინფორმაციულ-ტექნოლოგიური პროგრესი და შესაბამისად, ინფორმაციის წვდომის ჰიპერ შესაძლებლობებია. ყოველივე ამის წყალობით, სიახლის მიღება, შეფასება და უკუკავშირი, როგორც სოციუმის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აუცილებელი ელემენტი, დემოკრატიზაციისა და სამოქალაქო საზოგადოების შექმნის წინაპირობად მოიაზრება. ცნობილია, რომ სწორედ ინფორმაცია ახდენს უდიდეს ზეგავლენას ჩვენს ცნობიერებაზე, გარდაქმნის მას და გარკვეული მიმართულებით წარმართავს. მრავალი სოციოლოგიური თეორიის თანახმად, მასმედია საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების ანუ მანიპულირების საუკეთესო საშუალებაა და აღიარებული, რასაც სხვადასხვა მეთოდებითა და ხერხით ახორციელებს. იქიდან გამომდინარე, რომ მანიპულირება გარკვეული იდეოლოგიური დამოკიდებულებაა, მედიაზემოქმედების იდეოლოგიურ-პროპაგანდისტულ კონტექსტში განხილვა, ვფიქრობთ, კვლევის თვალსაზრისით, მრავალმხრივ საინტერესო იქნება.

სტატიაში განხილულია პროპაგანდისა და იდეოლოგიის მნიშვნელობა თანამედროვე მასობრივ კომუნიკაციაში. მკვლევრების: ჰ. ლასუელის, ნ. ჩომსკის, ბ. კოვაჩისა და ტ. როზენსტილის ნაშრომებსა და თანამედროვე მედიასაშუალებების გაანალიზებაზე დაყრდნობით გამოტანილი დასკვნები საინტერესოა, როგორც მასკომუნიკაციის კვლევით, ასევე სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებებით დაინტერესებული პირებისათვის.

უდავოა, რომ თანამედროვე მედიის საშუალებები, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, მასებზე ზემოქმედების ინდივიდუალური და განსაკუთრებული მეთოდების წყალობით, მაინც ინარჩუნებენ პროპაგანდისტულ ხასიათს, რადგან პოლიტიკური ძალებისათვის ძალაუფლებისათვის ბრძოლისას უალტერნატივო ტრიბუნაა.

ძირითადი ნაწილი

სიტყვები: აგიტაცია, პროპაგანდა და იდეოლოგია დიდი ხნის მანძილზე ანაქრონიზმებად იქნა მიჩნეული. საბჭოთა პერიოდში, იმდროინდელი ხელისუფლების მხრიდან, მასების ცნობიერების მიზანმიმართულ განვითარებას, სწორედ ეს ტერმინები უკავშირდებოდა.

როგორც, ვიცით კომუნისტური იდეოლოგია და „რეჟიმის“ პროპაგანდა წარმოადგენდა ძალაუფლებისა და საზოგადოებრივი ერთიანობის შენარჩუნების ბერკეტს, რაც არაკეთილსინდისიერი მეთოდებით ხორციელდებოდა. მოგვიანებით, პოსტკომუნისტურმა ცივილიზაციამ მთლიანად გადააფასა ძველი შეხედულებები და შესაბამისად, ეს ტერმინებიც ლექსიკონიდან განიდევენა. ამჯერად კი, თანამედროვე მასკომუნიკაციურ მეცნიერებაში, მედიაზემოქმედების შესწავლისას, კვლავ დადგა იდეოლოგია-პროპაგანდის ახალ ტრანსფორმაციულ ჭრილში დანახვის აუცილებლობა.

იდეოლოგიის შესწავლა მჭიდროდაა დაკავშირებული მასმედიის სოციალ-პოლიტიკურ და კულტურული როლის განსაზღვრასთან. თანამედროვე მასკომუნიკაციის ცნობილი მკვლევრების ბილ კოვაჩისა და ტომ როზენსტილის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ჟურნალისტიკა ვეღარ წყვეტს რა მიაწოდოს აუდიტორიას და რა დაუმალოს საზოგადოებას, ახალი ამბების ძირითადი კონცეფცია – „შეცადო გაიგო რა აინტერესებს ხალხს და რა სჭირდება თვითმმართველობისათვის,“ სულაც არაა მოძველებული. პირიქით, ტექნოლოგიური წინსვლა მის საჭიროებას კიდევ მეტად ზრდის.¹

ეს კი აშკარად მიუთითებს იმ ფაქტზე, საჭიროება თავად დემოკრატიული, მაღალანვითარებული ქვეყნების მედიაინდუსტრიებსაც კი აყენებს ფაქტის წინაშე, რათა შეიმუშაონ კონკრეტული გეგმები, რის მიხედვითაც განისაზღვრება საზოგადოების ინტერესი და შესაბამისად ოპერატიული, დაბალანსებული და ობიექტური ინფორმაციით მოხდება მისი ინფორმირება. აქ კი, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა იდეოლოგია, მედიაიდეოლოგია, რომლის მთავარი მიზანი მასებში საზოგადოებრივი აზრის შექმნა და იმის დაადგენაა, როგორ მიიპყროს აუდიტორიის ყურადღება. თუმცა, ტერმინი „იდეოლოგია“ გაცილებით უფრო რთული და ტევადია თავისი შინაარსით.

თანამედროვე მეცნიერები იდეოლოგიას შემდეგნაირად განმარტავენ: „იდეოლოგია ბერძნული ენიდან მომდინარეობს და არის „იდეების, შეხედულებების ერთობლიობა, რომელიც ადამიანების გარკვეულ ჯგუფში (მაგალითად, სახელმწიფოში) მიღებულ ნორმად, სახელმძღვანელო იდეებად არის აღიარებული“.²

ამასთანავე, „უმეტესწილად იდეოლოგია განაპირობებს ინდივიდების, საზოგადოების სოციალური ჯგუფების დამოკიდებულებას რეალობისადმი“.³

ტერმინს პირველად საფრანგეთის რევოლუციის მონაწილე – ანტონ დესტა დე ტრესის (1754-1836) საჯარო გამოსვლაში ვხვდებით. ის საზოგადოებრივ შეგნებაში ჭეშმარიტების, მეცნიერების,

1 ბილ, კოვაჩი. „ჟურნალისტიკის ელემენტები“ გამომცემლობა „იმპერსი“, თბ. 2006. გვ. 27.

2 <http://ka.wikipedia.org/wiki/იდეოლოგია/>

3 დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდი და აქტიური მოქალაქეობა: სატრენინგო მასალები / შემდგ.: მალხაზ ბეგიაშვილი, დავით ბოსტოღანაშვილი, დიანა ლეჟავა და სხვ. - თბ., 2007

რაციონალობისა და ობიექტურობის საპირისპირო მნიშვნელობით დამკვიდრდა.⁴

მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან დამოკიდებულება სრულიად გადაფასდა და ტერმინმა იდეოლოგია ახალი, ნეიტრალური მნიშვნელობა შეიძინა და ობიექტურობის, სამართლიანობის სინონიმად იქცა. ის აღარ გამოიყენებოდა პოლიტიკური დატვირთვით. მარტინ სელიჯერის განმარტებით, „იდეოლოგია ქმედებაზე ორიენტირებული აზროვნების სისტემაა. ამგვარი განსაზღვრით, ის აღარაა კარგი ან ცუდი, ჭეშმარიტი ან მცდარი, ღია ან ჩაკეტილი, განმათავისუფლებელი ან მჩაგვრელი– იდეოლოგია ყველაფერი შეიძლება იყოს.“⁵

იდეოლოგია, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ბიჰევიორისტებისათვის პოლიტიკური იდეების უბრალო პროპაგანდა იყო, რომელსაც პოლიტიკური ძალები საარჩევნოდ ხმების შესაგროვებლად და ადამიანების მხარდაჭერის მოსაპოვებლად იყენებდნენ. ორთოდოქსი მარქსისტები კი პოლიტიკურ იდეოლოგიებს მხოლოდ კონკრეტული კლასების ინტერესების გამოხატულებად მიიჩნევდნენ. ანუ, იდეოლოგია და პროპაგანდაც გადაჯაჭვულია პოლიტიკასა და მის კანონზომიერებებთან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მრავალ ქვეყანაში ამომრჩევლების და მოსახლეობის გადმოსაზიარებლად მხოლოდ იდეოლოგია და პოლიტიკური პარტიის მოღვაწეობა არ კმარა, მოსახლეობაში ნდობის მოსაპოვებლად უფრო ეფექტური მეთოდებია საჭირო.

„არსებობს იმის თეორიული დასაბუთების მრავალი მცდელობა, რომ აუდიტორიის ცნობიერება მთლიანად არის დამოკიდებული მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის შინაარსზე, ამიტომ ამ შეხედულებით, რაც უფრო მეტ და მრავალფეროვან ინფორმაციას მიაწოდებს მასმედია ადამიანებს, მით მეტად გახდება იგი მათი აქტივიზაციისა და დეაქტივიზაციის საშუალებაც.“⁶

ესეც ერთგვარი იდეოლოგია-სტრატეგიაა, რომლითაც შესაძლებელია აუდიტორიის მართვა. როგორც ცნობილია, თანამედროვე ეპოქაში გლობალიზაციისა და ახალი ტექნოლოგიების განვითარების პირობებში, მამინ როდესაც ისეთმა საკითხებმა წამოიწიეს პლანზე, როგორცაა: გენდერული თანასწორობა, ქალის, ბავშვის უფლებების, სექსუალური, თუ რელიგიური უმცირესობების ინტერესების დაცვა, იდეოლოგიების შემუშავების პოლიტიკა კვლავ აქტუალურია.

იმის უგულებელყოფა, რომ ზოგიერთი იდეათა ერთობლიობა, მიღებული ნორმები გაუფასურდა და დროთა განმავლობაში ხალხის მხრიდან დაკარგა აქტუალობა, გაუმართლებელი იქნება. თითქმის ყველა იდეოლოგია ტრანსფორმირდა, ზოგი მეტად რადიკალური გახდა, ზოგიც რაღაც კონსერვატიულად იქცა, შეიცვალა სახე ან სახელი. ამის მაგალითი ჩვენს ქვეყანაში შექმნილი სიტუაციაა, ნებისმიერი ხელისუფლება საკუთარი შეხედულებებითა და იდეებით, იდეოლოგიით შემოდის ასპარეზზე და თავდაუზოგავად ცდილობს ფართო მასების მიმხრობას უკეთესი მომავლის იმედის გავლევების გზით.

შესაძლოა, იდეოლოგია საზოგადოებრივი ცხოვრების კომპასი და გზამკვლევიც იყოს, ან რაციონალურად შემუშავებული პრინციპების ერთობლიობაც, რომელშიც საერთო ჭრილშია ორგანიზებული შეხედულებები, წარმოდგენები, ზოგადი დამოკიდებულებითი ორიენტაციები, პრაქტიკული გადაწყვეტილების მიღების პრინციპები, მაგრამ არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ წარსული გამოცდილება და არ ვთქვათ, რომ იდეოლოგია რიგ შემთხვევაში არადემოკრატიული მიზნებისთვის გამოიყენება, როგორც ხელისუფლების ასევე მედიაფლობელების მხრიდან. ის ბოროტმოქმედის ხელში არც თუ უვნებელი იარაღია.

როგორც ცნობილია, მასების იდეოლოგიზების ერთ ერთი საშუალებაა პროპაგანდა, რასაც „მიზანმიმართულად მანიპულირებულ კომუნიკაციასაც“ უწოდებენ. ტერმინი propaganda–ლათინური ენიდან მომდინარეობს და ნიშნავს ფართო მასებზე იდეურ ზემოქმედებას. ის საზოგადო აზრის ჩამოყალიბებას ფაქტებისა, არგუმენტების და სხვადასხვა ცნობების ორგანიზებული გავრცელებით აღწევს. დღესაც პროპაგანდის განხორციელებისას ხშირად გამოიყენება როგორც ნამდვილი, რეალური ცხოვრების ყოველდღიურობიდან აღებული, ასევე ყალბი, მოგონილი ფაქტები ე. წ. „ფეიკ-ნიუსები“, „ბოტებისა და ტროლების“ ინსტიტუტები.

ტერმინი პროპაგანდა მას შემდეგ დამკვიდრდა, რაც მე-17 საუკუნის 20-იან წლებში „ჰაჰმა ურბან VIII, მისიონერული მოღვაწეობის გაფართოებისათვის, შექმნა სპეციალური პროპაგანდის კონგრეგაცია „Congregatio de propaganda fide“.⁷

3. ლასუელის განმარტებით, მასობრივი კომუნიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი პროპაგანდაა, მისი თვალსაზრისით, ის დემოკრატიის ერთ-ერთი ბასრი და ქმედითი იარაღია. მხოლოდ პროპაგანდის მიერ შემუშავებული დარწმუნების მეთოდების მეშვეობითა, ძალადობისა და დევნის გარეშე შესაძლებელი დემოკრატიაში მოიპოვოს მასების მხარდაჭერა. წინასწარ გათვლილი პროპაგანდით სულაც არ არის რთულად განსახორციელებელი ამა თუ იმ იდეის საზოგადოებრივ ცნობიერებაში დამკვიდრება. რაც ანგრევს, უმეტესწილად, საზოგადოების ჯანსაღ აზრს და ამკვიდრებს ყალბ, წინასწარ გათვლილ დამოკიდებულებას ფაქტებსა თუ ინდივიდებზე. პროპაგანდა მედიის მთავარი იარაღია. დახვეწილი პროპაგანდისტული დარწმუნების მეთოდების მეშვეობით, მედია ადვილად ახერხებს საზოგადოებრივი აზრის შექმნასა და დამკვიდრებას.

თანამედროვე მკვლევრები გამოყოფენ პროპაგანდის რამდენიმე თვისებას:

4 <http://iberiana2.wordpress.com/segm/d-chumburidze>

5 <http://iberiana2.wordpress.com/segm/d-chumburidze>

6 სურგულაძე რ., იბერი ე., „მასობრივი კომუნიკაცია“ თბ.2003. გვ.232

7 <http://ru.wikipedia.org/wiki/>

„კომუნიკაციის ზემოქმედების სწორხაზოვანი მიმართულება– რომლის დროსაც კომუნიკატორის ფუნქცია აქვს სოციალურ ინსტიტუტებს–მედიას ან სხვა რომელიმე ორგანიზებულ ინტერესჯგუფს (სახელმწიფოს, „მმართველ ელიტას“) ხოლო რეციპიენტის ფუნქცია კი –მოსახლეობას“.⁸

რაც შეეხება მანიპულატორულ ზემოქმედებას, ამ შემთხვევაში პროპაგანდა ეყრდნობა ადამიანური აღქმის არა რაციონალურ, არამედ ირაციონალურ თვისებას. თანამედროვე საზოგადოებაში პირდაპირი, პროპაგანდა არაქმედუნარიანია, რადგან თანამედროვე ინდივიდი არ ახდენს საკუთარი თავის იდენტიფიცირებას სოციალური ჯგუფების მიერ აღიარებულ საერთო იდეასთან.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ძალზე აქტუალურია შერეული პროპაგანდისტული მეთოდები: რეკლამა, პიარი, ფაბლისითი და სხვა...⁹

ამ მხრივ ძალზე საინტერესოა ცნობილი მეცნიერის ნ. ჩომსკის კვლევა, სადაც ის პირველი ალაპარაკდა ე. წ. „ფილტრების“ პრობლემის აქტუალობის შესახებ, რომლებიც ადვილად აანალიზებენ, თუ როგორ გამოიყენება პოპულარული მედიასაშუალებები ძირითადი იდეების, ინტერესების პროპაგანდისა და დამკვიდრებისათვის.¹⁰ სოციალური მეცნიერების მკვლევრები მივიდნენ საბოლოო დასკვნამდე, რომ მიუხედავად შეხედულებების რადიკალური ცვლილებებისა, მედიის საშუალებები და განსაკუთრებით ტელევიზია, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, მაინც ინარჩუნებს პროპაგანდისტულ ხასიათს, რადგან იგი ძალაუფლებისათვის ბრძოლისას უალტერნატივო ტრიბუნაა. „იმდენად რამდენადაც, ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ საზოგადოებებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ფუნქცია არის გაბატონებული იდეოლოგიის პროპაგანდა. ამ დროს სატელევიზიო ეთერში არ შუქდება არც ერთი სიუჟეტი თუ ინფორმაცია, რომელიც ეწინააღმდეგება არსებულ სისტემას“.¹¹ ან შუქდება, მაგრამ კრიტიკა იმდენად შერბილებულა, რომ ძნელია ქმედუნარიანი აღმოჩნდეს. ამერიკელი პროფესორი ალექს ედელსტეინი თვლის, რომ „დადგა ახალი პროპაგანდის დრო, რომელიც ძველისაგან განსხვავდება ბევრი ნიშნით მაგალითისათვის რამდენიმე შეიძლება მოვიხმოთ: აუდიტორიის სპეციფიკა, შეტყობინებების სირთულე და ზემოქმედების მექანიზმების შესაძლებლობები. ამ მხრივ კომუნიკაციის თანამედროვე ტენდენციები სრულიად განსხვავებულ შედეგს გვიჩვენებს, ისეთს, რომელიც ფაქტიურად, ძველი კომუნიკაციის ფორმისათვის წარმოდგენლად მიუწვდომელი იყო. როგორც ცნობილია, ინფორმაცია ფლობდა და ფლობს როგორც შემოქმედებით, ასევე დესტრუქციულ ძალას, მაგრამ განსხვავება ერთია, რომ ამჯერად, ეს ძალა უფრო ქმედითია.“¹²

დრო და შეხედულებები კი შეიცვალა, მაგრამ არ შეცვლილა ინფორმაციის არსი, მხოლოდ გაძლიერდა მედიასაშუალებების ზემოქმედების სიხშირე. ამავე დროს გაზრდილია საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობაც, რაც საზოგადოების ინტეგრირების გარკვეული საფუძველიცაა.

ბევრმა ფსიქოლოგმა და სოციოლოგმა ერთდროულად ჩამოაყალიბა მედიის, კერძოდ რეკლამის ფსიქოლოგიური ზემოქმედების სხვადასხვა მეთოდი, რომელიც ამავდროულად მიღებულია პროპაგანდამიც. ბევრ შემთხვევაში ისინი ერთმანეთს მიღებისა და ზემოქმედების ეფექტებით გვანან. დღეს ერთმანეთისაგან განასხვავებენ კომერციულ და პოლიტიკურ პროპაგანდას. ისევე, როგორც კომერციულ და პოლიტიკურ რეკლამას. თანამედროვე რეკლამამ პროპაგანდას შესძინა „დადებითი მუხტი“ და მისცა გარკვეულ ფასეულობებს გადაფასების ბიძგი. ხშირად პოლიტიკურ პროპაგანდაში გამოიყენება ისეთი ტექნიკა, რომელსაც შესაძლოა ეწოდოს „შებრუნებული რეკლამა“, რადგან ის პოპულარიზებას უწევს სახელმწიფო პოლიტიკას, ხელისუფლებას, პარტიებს, მსოფლმხედველობებს და შეხედულებებს ამა თუ იმ შეტყობინებებზე, აყალიბებს იმიჯს. ყოველივე ამისათვის აქტიურად გამოიყენებს როგორც ტრადიციულ პროპაგანდის ასევე, დამაფიქრებელი ზემოქმედების მეთოდებსაც.

დასკვნა

ამგვარად, სტატიაში ჩვენ ნაწილობრივ შევეცადეთ, განგვიხილა იდეოლოგიისა და პროპაგანდის არსი და მათი აქტუალობა თანამედროვე კომუნიკაციურ მეცნიერებაში. როგორც ცნობილია, მასმედია საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების ანუ მანიპულირების საუკეთესო საშუალებაა აღიარებული, რაც სხვა არაფერია, თუ არა კონკრეტული იდეოლოგია- ზემოქმედება სხვადასხვა მეთოდებითა და ხერხით. ის სოციუმში აყალიბებს კონკრეტულ ქმედებას. მასების იდეოლოგიების ერთ–ერთი საშუალებაა პროპაგანდა, რაც რეკლამირების, პიარისა და პაბლიციტის დროს თითქმის შეუცვლელია. მას „მიზანმიმართულად მანიპულირებულ კომუნიკაციასაც“ უწოდებენ. ტერმინებმა იდეოლოგია და პროპაგანდა დროთა მანძილზე ტრანსფორმაცია განიცადეს, თუმცა, არ მომხდარა მათი მოდიფიკაცია. დრო და შეხედულებები კი შეიცვალა, მაგრამ არ შეცვლილა ინფორმაციის არსი, მხოლოდ გაძლიერდა მედიასაშუალებების ზემოქმედების სიხშირე. ამავე დროს გაზრდილია საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობაც, რაც საზოგადოების ინტეგრირების გარკვეული საფუძველიცაა. უდავოა, რომ თემა კვლევისა და გააზრების თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანი და მასშტაბურია და დიდ ადგილს იკავებს საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც.

8 www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/soc%20nino%20shoshita.pdf

9 http://en.wikipedia.org/wiki/Propaganda_model

10 <https://www.eagblog.ge/read/154/noam-chomski-manipulatsiis-10-strategia>

11 www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/soc%20nino%20shoshita.pdf

12 <http://ru.wikipedia.org/wiki/>

გამოყენებული ლიტერატურა

- დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდი და აქტიური მოქალაქეობა : სატრენინგო მასალები / შემდგ.:
მალხაზ ბეგიაშვილი, დავით ბოსტოლანაშვილი, დიანა ლეჟავა და სხვ. - თბ., 2007;
- Edelstein A. Total propaganda. From mass culture to popular culture. Mahway - London, 1997;
- http://en.wikipedia.org/wiki/Propaganda_model;
- <http://iberiana2.wordpress.com/segm/d-chumburidze>;
- <http://ka.wikipedia.org/wiki/იდეოლოგია/>;
- კოვაჩი ბ., ტ. „ჟურნალისტიკის ელემენტები“ თბ. 2006. გამომცემლობა „იმპერსი“ გვ27;
- სურგულაძე რ., იბერი ე., „მასობრივი კომუნიკაცია“ თბ.2003. გვ. 232;
- http://www.psichology.vuzlib.org/book_o247_page_9.html;
- <http://ru.wikipedia.org/wiki/>;
- Брайант Д. Томпсо и С. Основы воздействия СМИ. Москва, 2004 . pp.-424;
- ბ. იმნაძე, მასობრივი ინფორმაციის კონტენტ-ანალიზის ზოგიერთი პრობლემა, ვერბალური
კომუნიკაციური ტექნოლოგიები. თბ,2014. გვ. 100;
- Lasswell H.D. The Structure and Function of Communication in Society. Urbana, 1960;
- <https://www.eagblog.ge/read/154/noam-chomski-manipulatsiis-10-strategia>;
- www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/soc%20nino%20shoshita.pdf.

რუსეთ - უკრაინის ომი და აფხაზეთიდან დევნილთა ტრანსგენერაციული (თაობიდან თაობაზე გადაცემული) ტრავმის განახლება Après-Coup

ხათუნა ივანიშვილი
ფსიქოანალიტიკოსი,
საერთაშორისო ფსიქოანალიტიკური ასოციაციის წევრი

აბსტრაქტი

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის თავდასხმამ უკრაინაზე კვლავ გააცოცხლა საქართველოში რუსეთის შემოჭრის და ოკუპაციის საფრთხე. ამ საფრთხემ მოსახლეობას კვლავ განუახლა წარსული ტრავმები და ომის განცდა - ასე ნაცნობი ჩვენი ქვეყნის უახლოესი ისტორიიდან გამომდინარე: 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოჰყვა რუსეთის მიერ საქართველოს ორი რეგიონის (აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი) ოკუპაცია და ოკუპირებული ტერიტორიებიდან ქართული მოსახლეობის გამოდევნა. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ რუსეთმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადა. ამ მოვლენების შედეგად, 300 000 ადამიანი დევნილად იქცა.

ჩვენს კლინიკურ პრაქტიკაში აფხაზეთიდან ლტოლვილთა მეორე თაობის წარმომადგენლებთან ვმუშაობთ. ისინი გარეგნულად კარგად ადაპტირდნენ ახალ გარემოსთან, სადაც მათ ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაატარეს, თუმცა „წარსულში მომხდარი დანაკარგი, ტანჯვა და დამცირება მათ თაობათაშორისი ხაზით გადაეცათ“ (ი. გამპელი).

მოცემულ ნარკვევში ჩვენ განვიხილავთ ჩვენი ერთი ანალიტიკური შემთხვევის ფსიქოდინამიკას რუსეთ-უკრაინის ომის პირველი კვირების განმავლობაში. პაციენტის ბავშვობაში მიღებული ტრავმებიდან გამომდინარე, ამ დინამიკამ ტრანსგენერაციული სახე მიიღო. გარკვეული სიტუაციის შედეგად, ბავშვობის ეს ტრავმები ისევ თავიდან ცოცხლდება ანალიტიკური მკურნალობის პროცესში. ჩვენ ვცდილობთ ავხსნათ, თუ როგორ შესძინა რუსეთ-უკრაინის ომმა ამ ტრავმას ახლებური მნიშვნელობა აპრეკუ (Après-Coup). ტრავმატიზაცია გავლენას ახდენს დედის სიმბოლურ ფუნქციონირებაზე და არღვევს იდენტიფიკაციის ადრულ პროცესებს, რაც მისი შვილების განვითარების შეფერხებას იწვევს. ჩვენ წარმოვადგენთ ერთი პაციენტის კლინიკურ მასალას, რომლის ბავშვობაზე გავლენა მოახდინა აფხაზეთის ომმა (1992-1993) და ოკუპაციამ, სადაც აღვწერთ, თუ როგორი მატრავმირებელი და კატასტროფულია დედასთან იდენტიფიკაცია დედის ტრავმატიზმის და დეპრესიის გამო.

თავის ბოლო ნაშრომში, „მე-ს გაყოფა დაცვის პროცესში“ (1940 წ.), ფროიდი ფსიქიკურ ტრავმას აღწერს, როგორც კონფლიქტს ინსტინქტის მოთხოვნასა და რეალობის აკრძალვას შორის. ტრავმის დროს ორივე მოდავე მხარე - ინსტინქტი და რეალობა - თავის წილ დაკმაყოფილებას იღებს: ინსტინქტს ეძლევა კმაყოფილების შენარჩუნების უფლება და, ამავე დროს, მან სათანადო პატივისცემა უნდა გამოიჩინოს რეალობის მიმართ; ეს მიიღება მე-ში ბზარის გაჩენის ფასად, რომელიც დროთა განმავლობაში იზრდება, სანამ არ გამოიწვევს მე-ს გახლეჩას.

პოლიტიკური კონფლიქტი გადაიქცევა შინაგან კონფლიქტად, თანამდევნი პარანოიდულ-შიზოიდურ გახლეჩით, ძლიერი პროექციული იდენტიფიკაციებით, აუტანელი ტკივილითა და დანაშაულის გრძნობით და შემდგომი განახლებით.

ხელოვნებაში სამშობლოს სიმბოლოს ხშირად ხმალამოწვდილი ქალის სახით წარმოსახავენ. ეს დაჭრილი და შეურაცხყოფილი დედა-სამშობლოს სიმბოლოს სახეა; ასეთ დროს იგი დაუნდობელ, შურისმაძიებელ არქაულ ქალღმერთად გადაიქცევა. ამგვარი დომინანტური და ყოვლისშემძლე დედის ხატი მის მკვებავ და მაცოცხლებელ ბუნებას ეწინააღმდეგება.

საკვანძო სიტყვები:

აფხაზეთი, რუსეთ-უკრაინის ომი, ტრანსგენერაციული ტრავმა, აპრეკუ.

The Russia-Ukraine War and the Renewal of the Transgenerational Trauma of Internally Displaced Persons from Abkhazia, Après-Coup

Khatuna Ivanishvili

Psychoanalyst,

Member of the International Psychoanalytic Association

Abstract

Russia's attack on Ukraine on February 24, 2022, revived the threat of Russian invasion and occupation of Georgia. This threat renewed the past traumas and the feelings of war to the population - so familiar from the recent history of our country. The declaration of independence of Georgia in 1991 was followed by the occupation of two regions of Georgia (Abkhazia and South Ossetia) by Russia and the expulsion of the Georgian population from the occupied territories. After the 2008 Russia-Georgia War, Russia declared the occupied territories of Georgia as independent states. As a result of these events, 300,000 people became displaced.

In our clinical practice, we work with the representatives of the second generation of refugees from Abkhazia. Outwardly, they adapted well to the new environment where they spent most of their lives, although "the loss, suffering and humiliation that took place in the past were passed on to them through the intergenerational line" (Y. Gampel).

In this essay, we examine the psychodynamics of one of our analytical cases during the first weeks of the Russo-Ukrainian War. Based on the patient's childhood traumas, this dynamic acquired a transgenerational dimension. As a result of a certain situation, these childhood traumas are relived in the process of analytic treatment. We try to explain how the Russo-Ukraine War gave this trauma a new meaning (Après-Coup). Traumatization affects the mother's symbolic functioning and disrupts the early processes of identification, leading to developmental delays in her children. We present the clinical records of a patient whose childhood was affected by the war (1992–1993) and occupation of Abkhazia where as we describe the identification with the mother becomes traumatic and catastrophic due to the mother's traumatization and depression.

In his final work, *Splitting of the Ego in the Process of Defence* (1940), Freud describes psychic trauma as a conflict between the demands of instinct and the prohibition of reality. During trauma, both opposing parties - instinct and reality - take their share of satisfaction: instinct is allowed to retain satisfaction, and at the same time it must show due respect to reality. This comes at the cost of creating a crack in the self that grows over time until it leads to the split in the self.

The political conflict turns into an inner conflict with paranoid-schizoid splitting, strong projective identifications, unbearable pain and sense of guilt with further renewal.

In art, the symbol of the motherland is often depicted as a woman with a sword in her hands. It is a symbol of a wounded and insulted homeland. At such times, she turns into a merciless, vengeful archaic goddess and such a domineering and all-powerful maternal image contradicts her nurturing and life-giving nature.

Keywords:

Abkhazia, The Russia-Ukraine war, Transgenerational trauma, Après-Coup.

შესავალი

მას შემდეგ, რაც კაცობრიობამ მიწის დამუშავებას მიჰყო ხელი, მიწა მკვებავ დედად გადაიქცა - და, როგორც პირდაპირ, ასევე სიმბოლურად, განასახიერებდა სიცოცხლესა (ნაყოფიერება) და სიკვდილს (შიმშილი). ხშირად ხელოვნებაში სამშობლოს სიმბოლო ხმალამოწვილი ქალის სახით არის წარმოდგენილი. ეს დაჭრილი და შეურაცხყოფილი დედა-სამშობლოს სიმბოლოს სახეა; ასეთ დროს იგი დაუნდობელ, შურისმაძიებელ არქაულ ქალღმერთად გადაიქცევა. ამგვარი დომინანტური და ყოვლისშემძლე დედის ხატი მის მკვებავ და მაცოცხლებელ ბუნებას ეწინააღმდეგება: “ერთფერად მტვირთველი არის საქმის თეთრის და შავისა”...¹

ტრავმატიზმი გავლენას ახდენს დედის სიმბოლურ ფუნქციონირებაზე და არღვევს იდენტიფიკაციის ადრეულ პროცესებს, რაც მისი შვილების განვითარების შეფერხებას იწვევს. ბიონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინფანტილურ არაცნობიერში არ არსებობს სიკვდილის, არყოფნის, იმედგაცრუებისა და არარაობის წარმოდგენა. ამიტომ „ ძუძუ, რომელიც არ არის, არის ცუდი ძუძუ“.(Leuzinger-Bohleber, M. (2022).. მომწამლავი ძუძუ სიკვდილს გამოასხივებს.

ჩემს კლინიკურ პრაქტიკაში აფხაზეთიდან ლტოლვილთა მეორე თაობის წარმომადგენლებთან ვმუშაობ. გარეგნულად ისინი კარგად ადაპტირდნენ იმ გარემოსთან, კონკრეტულად თბილისში, სადაც მათ ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაატარეს, თუმცა „წარსულში მომხდარი დანაკარგი, ტანჯვა და დამცირება მათ თაობათაშორის ხაზით [transmission] გადაეცათ (Gampel, Y.)“.

რა მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს მკითხველს ამ სტატიის სათაურის წაკითხვის შემდეგ? რას ნიშნავს ტრანსგენერაციული ტრავმის განახლება, ან რას აღნიშნავს გაუგებარი სიტყვა *Après-Coup*? ამ ცნებების განმარტების მიზნით, გავიხსენებ ერთ მოგონებას - თუ როგორ ვეწვიე პირველად რომის ფორუმს. უძველესი სასახლეების ნანგრევებში ხეტიალის დროს მარმარილოს დაფებზე მათი მფლობელების ნაცნობ სახელები ამოვიკითხე. გამახსენდა თორნთონ უაილდერის რომანის “მარტის იდების”² გმირები. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ძველ, ნაცნობ სასაფლაოზე მოვხვდი. კიპარისების, მეცნო ფორთოხლისა და ზღვის სიახლოვით გაჟღენთილი სურნელი - ეს აფხაზეთის სუნი იყო, რომელიც არც კი ვიცოდი, თუ მახსოვდა. *Odi et amo. quare id faciam, fortasse requiris?*...³ მოულოდნელად ამ სურნელმა კავშირი გააბა ბორცვზე აღმართულ უსიცოცხლო ნანგრევებსა და სადაც ჩემში შეუცნობლად მცხოვრებ სიყმაწვილის სათუთ განცდებს შორის. ამ მოულოდნელობამ გამაოგნა; ვუყურებდი მეწამული დაისით შეფერილ ნანგრევებს, რომლებიც სიცოცხლის ხმებით ივსებოდა. ეს იყო სწორედ *Après-Coup*: როდესაც ის, რაც არის ახლა, განიცდება ისე, როგორც წარსულში იყო და, ამგვარად, წარსულს რეტროსპექტიულ მნიშვნელობას ანიჭებს.

Nachträglichkeit-ის ანუ *après-Coup*-ის⁴ კონცეფციით ფროიდი (1914) ნერგავს ახალ მოდალობას ფსიქიკური პროცესებში დროის განზომილების შესასწავლად. ეს ნიშნავს, რომ ტრავმა მხოლოდ წარსულში არ ხდება; ის შეიძლება მოხდეს წარსულთან აწმყოს ურთიერთქმედების დროსაც. ლაპლანშის (Laplanche J., Pontalis J.B. (1967) აზრით, „après-coup-ს კონცეფცია მნიშვნელოვანია დროის ფსიქონალიტიკური კონცეფციისათვის; ის ამყარებს კომპლექსურ კავშირს მნიშვნელოვან მოვლენასა და მის შემდგომ, ახლებურად გააზრებულ მნიშვნელობას შორის, რის შედეგადაც ეს მოვლენა ახლებურ ფსიქიკურ მნიშვნელობას იძენს. უფრო მეტიც, დროის ეს ორი წერტილი ერთმანეთთან მნიშვნელობათა ურთიერთმიმართებით არის დაკავშირებული“ (ვაიმბერგი ჰ./Faimberg, H. (2005).

ძირითადი ნაწილი

კლინიკური მაგალითი

ახალგაზრდა ქალმა, რომელსაც აქ ვუწოდებ ა-ს, კონსულტაციისათვის მომმართა გადაულახავი პრობლემების გამო. მას აწუხებდა პანიკურის შეტევები, პირად და ოჯახურ ურთიერთობებთან დაკავშირებული სირთულეები, კატასტროფის მოლოდინი, მაზოხისტური ფანტაზიები და სხვა. მისი ბავშვობა ტრაგიკულმა ამბავმა შეცვალა: დედამისის ოჯახი აფხაზეთში ომის დროს დახვრიტეს. დედას მძიმე დეპრესია დაეწყო. მათ ჰქონდათ სირცხვილის განცდა, რომ საყვარელ ადამიანთა შეურაცხყოფილი სხეულები შესაბამისი პატივით ვერ დაკრძალეს, ამ ფიქრმა მათ განცდაში მიცვალებულები თითქოს შინაგან მდევნელ ობიექტებად გადააქცია, მათი სულები შურისძიებას ითხოვდნენ. დედის არაცნობიერმა ასპექტებმა ბავშვში შურისმაძიებელი და სასტიკი შინაგანი ობიექტების პროექცია მოახდინა და ამ გზით მას

1 ვაჟა ფშაველა, ლექსიდან “ღამე მთაში“

2 იულიუს კეისრის დროინდელი რომის ეპისტოლარული რომანი.

3 ციტატა გაიუს ვალერიუს კატულუსის (ძვ. წ. 84-54 წწ.) ლექსისა: *Odi et amo. Quare id faciam, fortasse requiris? Nescio, sed fieri sentio et excrucior* (მძულს და მიყვარს. რატომაც ასე, შეიძლება იკითხოთ? არ ვიცი, მაგრამ ვგრძნობ, რომ ეს ხდება და ვიტანჯები).

4 *après-coup*, იგივე ფროიდის *Nachträglichkeit*, ესება დროით განზომილებას ფსიქონალიზიზმი და აკავშირებს აწმყოსა და წარსულს, ასევე მომავალს წარსულთან, დროის შეუქცევადობას ათავსებს მოვლენათა დროის ნაკადის სავარაუდო საერთო ლოგიკაში.

აუტანელი, არა-სიმბოლიზებული ფსიქიკური ტკივილი გადასცა. ქალბატონი ა: „ახლა მთელი ეს ტკივილი დასრულდა, მე ის უბრალოდ გავაქრე.“ „ის, რაც არ თქმულა, ვერ იქცევა ისტორიად. ის ყოველთვის უკან ბრუნდება ისტორიაში საკუთარი ადგილის საპოვნელად. მაგრამ როდესაც მატრავმირებული ნაკვალევი დაკარგულია. შეუძლებელია წარსულიდან აწმყოსთან კავშირის გაბმა, რადგან წარსულმა უბედურებამ დროის დინება გააჩერა ...“ (გერტრუდა შლეზინგერ კიპი, 2010).

ომის დროს პაციენტის ოჯახს მატერიალურადაც გაუჭირდა. მისი მშობლები განქორწინდნენ. გოგონას წარმოდგენაში დედამისი ქმარმა იმიტომ მიატოვა, რომ იგი სიკვდილს და მწუხარებას ასხივებდა. გოგონა მამას იშვიათად ხედავდა მისი უყურადღებობის გამო და უმწეოდ და მიტოვებულად გრძნობდა თავს. ბავშვი თავის შფოთვის ნარცისულ მამაში ევაკუირებდა, რომელიც მისთვის პარანოიდულ შიზოიდურ ცუდ ობიექტად გადაიქცა, “რამაც შემდგომში დაცვითი ფაშისტურ წარმოსახვა შექმნა” (Michael O’Loughlin) - სიზმრებში მამა შემზარავი დიქტატორის სახით ჩნდებოდა და სჯიდა. მის გონებაში დედის ქალურობა დამახინჯდა, ბნელი და სასტიკი შინაარსი⁵ მიიღო; ადრეულმა ტრავმატიზაციამ ბავშვის ოიდიპური დანაშაულის განცდა სამარცხვინო და შემზარავ რეგისტრში აიყვანა. პირველადი სცენა საშიშმა და დაზიანებულმა ობიექტებმა დაიკავეს - სიზმრებში იგი ხედავდა გრძელ პერანგიან თმაგაწეწილ ქალს, რომელსაც ფაშისტები მისდევდნენ. ეს ქალი სიზმრებში რაღაც მანქანებით შემოდიოდა მისი სახლის ჩაკეტილ კარებში. გოგონას სჯეროდა, რომ მამას შეეძლო მისი გაყვანა სამარცხვინო, უიმედო სამყაროდან და ნარცისული ბალანსით უზრუნველყო. ამ სურვილების გამო გოგონას დედის მიმართ დანაშაულის გრძნობა ტანჯავდა, რადგან მისთვის მამის სიყვარული დედის ღალატს და სიკვდილს ნიშნავდა. მან გამოიგონა საშიში თამაში, რომელიც თითქოს მის შიგნით არსებულ უფსკრულის კიდეებს აკავშირებდა. პაციენტის მცდელობა, რომ ამ გზით ერთდროულად შეენარჩუნებინა დედა და მამა, თითქმის სუიციდური იყო.

ანალიზის მსვლელობისას პაციენტის „მიჯაჭვულობა ნეგატივთან“ (Anzieu, 1990) აქტიურება ხოლმე მის მაზოხისტურ ფანტაზიებს - გარე სამყაროში ყოველგვარი საფრთხე ტრავმატიზაციას აახლებდა და ძველ, სასოწარკვეთილ და მშვიერ სამყაროში აბრუნებდა. მას ეშინოდა, რომ მისი ქალური ბედნიერება ისევე მოულოდნელად დასრულდებოდა, როგორც მისი დედისა., გათხოვება და ბედნიერება მამის სამყაროში გადანაცვლებას ნიშნავდა, რაც მისთვის დედის ღალატად აღიქმებოდა. როცა იგი თავს ბედნიერად გრძნობდა, თვალწინ დედის სასტიკი სახე უდგებოდა ხოლმე. „წარსულის საშინელი და მტკივნეული მოგონებები გადაავსებს ან ანადგურებს მათ მსხვერპლთა აღქმის და რეპრეზენტაციულ სისტემებს. ეს მოგონებები ქმნიან რეალობას, რომელიც ამ ადამიანებსა და მათ შვილებში იდენტიფიკაციის სასტიკ და ძალადობრივ ფორმებს წარმოშობს.“ (ი. გამპელი) გადატანის პროცესში მე ვიყავი მისთვის დიდებული შარავანდით მოსილი მოუწვდომელი არსება, რომლის სიტყვა განხილვას არ ექვემდებარება. ეს დადებითი გადატანა იმდენად ძლიერი იყო, რომ საშიშ ფორმას იღებდა, რადგან თავყანისცემაში და მსხვერპლმწეირვაში გადადიოდა.

ამ პრეზენტაციაზე არდადეგების დროს ვმუშაობდი, ჩემს სოფლის სახლში; 7 აგვისტო იყო, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დაწყების თარიღი. იმ დღესაც გადავხედე მიდამოს და მთებს, რომლის ნაწილი 2008 წლის ომის დროს იქნა ოკუპირებული და დღესაც ასე გრძელდება. მთელი ეს ხეობა და მთები ბავშვობაში უსაზღვრო მეგონა, ჩემი სამფლობელო, მოგვიანებით კი ეს განცდა საშობლოს გრძნობასთან გაიგივდა. იმ დღეს, 2008 წელს, ხეობის ზემოთ რუსული მოიერიშეები დაფრინავდნენ. აღმართზე რუსული ტანკების კოლონა მოემართებოდა, საზღვარი შეიძლებოდა ჩემს სახლშიც „შემოსულიყო“ და ხელშეუხებელს⁶ შეხებოდა. იმ დროს, როცა ტანკები თბილისის შემოგარენს უახლოვდებოდნენ, ჩემი პაციენტი დახურულ წვეულებაზე ცეკავდა, რითაც სრულიად უარყოფდა რეალობას. მასში კატასტროფული გახლეჩა უკვე მომხდარი იყო - მისი სახლის საზღვრები ბევრად უფრო ადრე აღეგავათ პირისაგან მიწისა. იგი ცდილობდა ცხოვრების ბრჭყვიალა მხარისკენ გადახტომას, რათა თავი დაეღწია მტანჯველი ტკივილის ხელახალი გააქტიურებისაგან მამასთან თავდაცვითი ნარცისული იდენტიფიკაციის გზით. ვინიკოტის „დამლის შიშის“ (1974) მიხედვით, „ტრავმული მოვლენების კვალი კვლავ რჩება პიროვნების მე-ში და მეორდება ხოლმე არა თავდაპირველი მტკივნეული აფექტების ზემოქმედების გამო, არამედ იმის გამო, რისი გადამუშავებაც „მე-მ ვერ შეძლო“ იმ დროს, როდესაც რეალური ტრავმა მოხდა.

ქ-ნ ა-ს საშიში სიზმრები ტანჯავდა - ნაცნობ ქალს მისი ბეტონში ჩამარხვა უნდოდა. მისმა ასოციაციებმა ჩერნობილში დასხივებული ადამიანების ჩაბეტონებული საფლავეები გაახსენა. მან გაიხსენა ჩერნობილის⁷ აფეთქების შემზარავი ისტორიები. უკრაინიდან ჩამოსულმა მდინარეებმა შავ ზღვაში რადიაცია ჩაიტანეს და დედამ ზღვაში ბანაობის ნებას არ აძლევდა. ეს მოგონებები აკავშირებდა დედის, როგორც ოიდიპური შურის ობიექტის სახეს ტრავმირებული დედის ხატთან - ტკივილის, სიცარიელის და რადიოაქტიური სექსუალობის გადამცემს.

5 ბოკანოვსკი: „ნარცისული გახლეჩა, რომელიც ტრავმის ნეგატიური ზემოქმედების სათავეებშია, წარმოშობს „გონებრივ დამბლას“ (ყველაფერი ჩერდება) და, ამავე დროს, სასოწარკვეთის ზღვარზე ინარჩუნებს საშინელებას ტანჯვასა და ტკივილს. ეს დაკავშირებულია პირველადი დეფექტური ობიექტის ინტერნალიზაციასთან“.

6 ხელშეუხებელი - ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს ჩვენი ადრეული ჩვილობის, სიმბიოზურ ასპექტებთან, რომლებიც გადარჩნენ, რადგან ინსტიტუციებში არის გადატანილი (Bleger J, Symbiosis y ambiguedad, 1967).

7 უმოქმედო ატომური ელექტროსადგური უკრაინაში. ის ფართოდაა ცნობილი 1986 წლის 26 აპრილს მომხდარი კატასტროფის შემდეგ

იოლანდა გამპელი გვთავაზობს რადიოაქტიური საფრთხის არაცნობიერად გადაცემის ცნებას; ეს მეტაფორა აღნიშნავს სოციალურ და პოლიტიკურ ძალადობასა და ისტორიული ტკივილის გადაცემა თაობიდან თაობაზე. ამავდროულად, ეს პროცესი აღიქმება როგორც თავდასხმა შინაგან ობიექტებზე, განსაკუთრებით მათზე, რომლებიც წარმოადგენენ საჭიროებას, დამოკიდებულებას, სისუსტეს და მონატრებას. ისინი ასევე გარეთ პროეცირდება დასახიჩრებული, დაზიანებული ფორმით და პარანოიდულად განიცდება, როგორც თავდამსხმელი, მდევნელი და დეფორმირებული ობიექტები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ადამიანის არსებობას (Gampel, 1992, 1998). მსგავსი პროცესები ჩნდებოდა ჩვენი სესიების დროსაც. ტრავმატიზაცია გულისხმობს პირველად, უადრეს შფოთვებთან ექსტრემალურ შეხებას. კ. ვილიამსი ვარაუდობს, რომ ინდივიდებმა, რომელთა ადრეული პროექციების შეკავება მძიმე მარცხით დამთავრდა, ამავდროულად, მოახდინეს მათში ძალადობრივად პროეცირებული ობიექტის პრიმიტიული მახასიათებლების ინკორპორირება“, შეიძლება ეს განიცადონ როგორც „შეჭრა“. „ინვაზიური ობიექტის ინკორპორირება“ - ანუ ობიექტის პრიმიტიული, ძალადობრივი ასპექტების ინტროექცია ქმნის ობიექტის მიერ დატბორვის/გადავსების განცდას, რამაც შეიძლება ნორჩ არსებაშისერიოზული დარღვევა გამოიწვიოს (ვილიამსი, 2010). პათოლოგიური „პროტოიდენტიფიკაციის“ ეს ფორმა ადრეულ ჩვილობაში მოქმედებს და გამოწვეულია ჩვილსა და ობიექტს შორის ნაადრევი ურთიერთქმედებით. რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ასეთ დროს სახეზეა კონტენირების მარცხი და დედის ალფა-ფუნქციის უკმარისობა (ბიონი, 1970).

რუსეთის ვერაგულმა თავდაესხმა კიევზე პაციენტში შემოჭრის პანიკური შიში განაახლა. თუმცა, აპრილში უკვე გამოჩნდა, რომ უკრაინამ გაუძლო კიევზე პირველ შეტევებს და თავდაცვას განაგრძობდა. კონფიდენციალურობის გამო ბეჭდურ ვერსიაში ამოღებულია აპრილის სესიის ჩანაწერი, სადაც პაციენტი რუსეთ უკრაინის კონფლიქტზე საუბრობს და მის პირად ისტორიას უკავშირებს. ეს სესია აპრილის მზიან დღეს მიმდინარეობს, მაგრამ პაციენტი ვერ ბედავს მზით და სითბოთი ტკბობას, რადგან სიცხე შეიძლება რადიაციულ საფრთხედ გადაიზარდოს. მას გარუჯვის ემინია, მზის სხივებს შეუძლია მისი დაწვას. ეს ნიშნავს, რომ პაციენტი უკავშირებს აფხაზეთს უკრაინას და გადატანაში/ტრანსფერში ამუშავებს საკუთარ სადისტური სურვილებს. იგი არ გაურბის ახალ ამბებს, სადაც ომის წარმოუდგენელი საშინელებებია აღწერილი და არ გარბის ცხოვრების ბრწყვიალა მხარეს. აქვე ჩანს მისი მრისხანება მამის მიმართ, რომელმაც გაჭირვებაში და სიღარიბეში მიატოვა და არ მისცა სილამაზით გაბრწყინების შესაძლებლობა, არ გამოესხივებინა საშიში ნეგატივი.

ამ სეანსზე უკრაინა წარმოადგენს საიმედო შინაგან ობიექტს, რომელიც უძლებს წამებას, მას შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა და უნარი აქვს, რომ მთელ მსოფლიოს დაანახოს ის სისასტიკე, რაც მის მიწაზე ხდება. ის არ არის თვალდახუჭული და დამუნჯებული, როგორც დეპრესიისაგან ძალაგამოცლილი დედამისი. თავისი დედისგან და აფხაზეთისგან განსხვავებით, უკრაინას მას შეუძლია მსოფლიოს დაანახოს მტრის ვერაგობა და თავისი სიმართლე, რათა სამყარომ თვალი ადარ დახუჭოს ომის იმ სისასტიკეებზე, რაც ხდება (და რაც დაფარული და დაუსჯელი დარჩა აფხაზეთში).

ქ-ნი ა აღშფოთებული ახსენებს პუტინიზმის პროპაგანდისტებს (ნიკიტა მ. და თინა კ.), რომლებიც ხასიათობრივად მამამისისა და მისი მეუღლის ნარცისულ წყვილს განასახიერებენ: პაციენტის წარმოდგენაში ისინი ფუფუნების გამო გაყიდული და იარლიყების მოყვარულები მოღალატეები არიან და სიმართლეს გაურბიან. განრისხებული თავს ესხმის რა მათ, ქ-ნი ა. მათში საკუთარ მტაცებლურ ნაწილს დებს, პროეცირებს მათში თავის სურვილებს და კომფორტის სიყვარულს. აქ „შინაგანი ურთიერთობები ბავშვური სადიზმის დონემდეა გადაყვანილი. ამავდროულად, იდენტიფიკაციისა და ინკორპორაციის პროცესები მე-ში „კრიტიკულ ხმას“ წარმოქმნის და მიუწვდომელ იდეალებთან არასახარბიელო შედარება მიმდინარეობს. ნარცისული ტიპის მიხედვით შერჩეული ობიექტი მოსამართლის როლს ირგებს, როგორც მე-ს (არაცნობიერი) ნაწილი: ბრალდებები ობიექტის მიმართ და იმედგაცრუება მისი არა-ყოვლისშემძლეობის გამო გადაიქცევა საკუთარი თავის მიმართ საყვედურებად და იწვევს სელფის განუწყვეტელ დასუსტებას (Leusinger).

ქ-ნი ა-ს მხოლოდ ერთი გზა აქვს ბედნიერების მისაღწევად - დედის ცხოვრების გაუმჯობესება ერთადერთია, რაც მას დანაშაულის განცდას ჩამოაცილებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ჰქონია, რომ იგი დაისჯება და მისი შვილი მოკვდება. ქ-ნი ა გადატანაში/ტრანსფერში ქმნის კიდევ სხვა წყვილს, რომელზედაც განრისხებულია; მე და X ასევე ვხდებით რუსეთთან დაკავშირებული წყვილი, რომლებზე თავდასხმაც და რომელთა განადგურება სურს. თერაპიის პროცესში გადატანის დროს პაციენტი თერაპევტს, ორ განსხვავებულ პოზიციაში აყენებს: ერთ არის მწუხარებისაგან გატეხილი, დაჩაგრული დედა, რომელიც ვერ უძლებს მის აგრესიას. ამიტომ პაციენტი : მტოვებს ცოცხალს, როგორც „ხელ-შეუხებელს“. მეორე მხრივ, მას ჩემში გადმოაქვს დესპოტური ზე-მე, რომელიც სჯის მას დედისგან (ასევე ჩემგან) განშორების სურვილებისთვის.

შინაგანად ქალბატონი ა გამუდმებით მოძრაობს მის შიგნით არსებული უფსკრულის (მეს გახლენილი ნაწილები) კიდევს შორის, რათა ამ გზით თავის დანაშაულს გაუმკლავდეს, თან გაბრაზება შეძლოს და თან იდენტიფიცირება დედისა და მამის სხვადასხვა ასპექტებთან: მას ჭირდება იდენტიფიცირება მამის ნარცისიზმთან, რათა გაუმკლავდეს დეპრესიას, ასევე უნდა გაუმკლავდეს დედის მიმართ დანაშაულის გრძნობას მაზოხისტური დაცვების მეშვეობით.

ამ სეანსზე კიდევ ერთი წყვილია -თავად ქ-ნი ა და მისი მეუღლე; მათაც უყვართ ფუფუნება, ძვირფასი ნივთები Balenciaga-საგან. Balenciaga-ს სამხატვრო ხელმძღვანელი დემნა გვასალია აფხაზეთში

დაიბადა. დემნამ მაღალ მოდაში „მეორადი ტანსაცმლის“ ამბივალენტური სტილი შემოიტანა. მისი მოდების ჩვენებები მისი ბავშვობის მოგონებებს ჰგავს, პატარა ბიჭის ხსოვნაში ჩარჩენილ ჯოჯოხეთურ გამოსვლას აფხაზეთიდან, დახეულ ფეხსაცმელებს, დასისხლიანებულ ფეხებს, ყინვას და ტანზე ფენა ფენა მოხვეულ ტანსაცმელს. ეს ჩვენებები თითქოს ბრჭყვიალა მხარეზე გადასვლის მცდელობების აკვიატებული განმეორებაა, სირცხვილისა და სასოწარკვეთილების დიდებად და ფუფუნებად გადაქცევის მცდელობა - „რადგან ტრავმამ არ იცის არც დრო და არც ადგილი, ის ყველგან არის და თან არ არის. ის აწმყოს ავსებს წარსულით, რომელიც არასოდეს მთავრდება, მას არც მომავალი აქვს, რადგან ეს ერთისა და იმავეს გაუთავებელი განმეორებაა“.⁸

დასკვნა

ამ ნაშრომში მე ვეცადე აღმეწერა, თუ როგორ განაახლა უკრაინაში მიმდინარე ომმა აფხაზეთიდან დევნილი პირის ტრავმული მოგონებები და ახლებური მნიშვნელობა მისცა მის ტრანსგენერაციულ ტრავმას. პაციენტებს არა მხოლოდ ახსოვთ შორეული წარსულის მტკივნეული გამოცდილება, არამედ ისინი მაინც ემოციურად ეკიდებიან მათ. ფსიქიკური ცხოვრების ეს ფიქსაცია პათოგენურ ტრავმაზე ნევროზის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია დროის განზომილების მოცემული ასპექტი, *Après-Coup* - „ამ გადმოსახედიდან“ წინა გამოცდილების გადახედვა - საინტერესო შუქს ჰფენს ფსიქიკური განწყობების გადაცემას თაობებს შორის. მოვლენების ახსნის გარეშე ტრავმული გამოცდილების ამგვარმა გადაცემამ, შესაძლოა, „რადიოაქტიური“ ხასიათი მიიღოს. ჩემი ანალიტიკური პაციენტისთვის, რომლის ბავშვობაც აფხაზეთის ომმა დააზარალა. დედის ტრავმატიზაციის გამო მისი დედასთან იდენტიფიკაცია კატასტროფად აღიქმება. ინკორპორირებული რადიოაქტიური ობიექტი საფრთხეს წარმოადგენს, უფრო მეტიც - თავად პაციენტს გადაიქცევს რადიოაქტიურად და მან შეიძლება საფრთხე შეუქმნას საყვარელ ადამიანებს. ეს სიტუაცია ღრმა მაზოხისტურ დამოკიდებულებას წარმოქმნის და ხშირად ხასიათდება შემოჭრილი და მოუცილებელი ფიქრებითა და ფანტაზიებით. ეს ფიქრები წარმოიქმნა წარსულ დროში ტრავმირების შედეგად, მაგრამ მათ აქვთ რაციონალური აზროვნების კოლონიზაციისა და განადგურების უნარი.

ამგვარი საშიში იდენტიფიკაციის შედეგად, პაციენტის სექსუალობაც საშიში და რადიოაქტიური ხდება. რადიაციის შიში არის მისი შინაგანი კონფლიქტი, რომელსაც პაციენტი ასახავს სესიის დროს. ანალიტიკოსსი პროეცირებული რადიოაქტიური ობიექტი მას საფრთხეს უქმნის და ის თავისთავადაც სახიფათო ხდება.

ომმა, სოციალურმა შფოთვამ და ტრავმული წარსულის რე-აქტივაციამ გამოიწვია ფსიქოზური შფოთვა, გამოიწვია ყოვლისშემძლე თავდაცვა და აგრესია, სადისტური მისწრაფებები, განხეთქილება, პროექცია, დეპრესიული მდგომარეობა და შემდეგ ისევ: მუშაობა აუტანელი ტკივილის, დანაშაულის გრძნობისა და რეპარაციის გზით.

8 H. Weiss. Ch. 1. Trauma, guilt and reparation: A psychoanalytic paradigm. In: Trauma, Guilt and Reparation. London, Routledge, 2020, p.20-52.

გამოყენებული ლიტერატურა

- Anzieu, D. (1990). L'attachement au négatif [Attachment to the negative](cited from Bokanowsky T (2005));
Bokanowsky, T. (2005). Variations on the concept of traumatism. *Int. J. Psychoanal.*, (86)(2):251-265;
Egidi Morpurgo, V. (2015). Historical Collective Trauma. Historical Truth and Testimony. EPF Conference Stockholm;
- Faimberg, H. (2005). Apres-coup. *International Journal of Psychoanalysis*, 86: 1—6;
- Freud, S. (1914). Remembering, Repeating and Working-Through, SE 12.(1926d). Inhibitions, Symptoms and Anxiety, SE 20;
- Gampel, Y. (2016). Different Movements of Transmission: Destructive Radioactive Transmission— Creative Radioactive Connexion, Volume 106, Issue 2;
- Gampel, Y. (1998). Reflections on Countertransference in Psychoanalytic Work with Child Survivors of the Shoah. *J. Am. Acad. Psychoanal. Dyn. Psychiatr.*, (26)(3):343-368;
- Ivanishvili, K. (2021). The contaminated analyst and transgenerational trauma in Abkhazia après-coup. *International Journal of Applied Psychoanalytic Studies*. Volume 18, 2 Issue;
- Laplanche J., Pontalis J.B. (1967). *The language of psychoanalysis* Nicholson Smith D., translator. London, Hogarth, 1983;
- Leuzinger-Bohleber, M. (2022). Depression - a disease of ideals and trauma [1] Lecture at the EPF conference in Vienna, July 16;
- O'Loughlin, M. (2022). The war in Ukraine: the obscenity of understanding and the obligation to remember Presented at Ukrainian Psychoanalytic Society, May 15, [ZOOM];
- Perelberg, R.J. (2020). Psychoanalysis and Social Violence: Civilization and its Discontents revisited. *Intern. J. Psychoanal.* Vol. 101. No 6 pp 1248-1263;
- გ . შლეზინგერ კიპი, 2010, ბავშვობა ომისა და ნაციონალ სოციალიზმის პირობებში. გერმანელი ფსიქოანალიტიკოსების მოგონებები. თბილისის სემინარის მასალებიდან;
- Williams, P. (2021). *The Authority of Tenderness Dignity and the True Self in Psychoanalysis*. Routledge;
- Winnicott, DW. (1974). Fear of breakdown. *Int. Rev. Psycho-Anal.*1: 103-7;
- Weiss, H. (2020). Ch. 1. Trauma, guilt and reparation: A psychoanalytic paradigm. In: *Trauma, Guilt and Reparation*. London, Routledge, p.20-52.



**სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA**

ვებ-გვერდი: www.eta.edu.ge

ტელეფონი: +995 32 2 30 52 85

ტელეფონი: +995 5 77 19 92 05

ელ. ფოსტა: nda@mod.gov.ge

თირაჟი: 30

ISBN-978-9941-8-5577-1